კვირის პალიტრა

# გზა

N15 (253) 14/IV.-20/IV.2005.

1168
2005

## პირველი დამის სინდრომი

ანუ რისი ეშინიათ ქალწულებს

## გზავნილები — „ცოლის „პრდილი" თან დამდევს..."

## ...ჭარაუდი გამართლდა, საკანში შემოსულთაგან ორს „შავობაზე" ჰქონდა პრეტენზია:

— ძმებს სალამი! არის აქ მაყურებელი თუ მთლად შაატრონოები ხართ?!.

ცნობილი ჟურნალისტი პატიმრად იქცა

## ოლიმპიურ ჩემპიონთა შერკინება „ნარდის ველზე"

## ნამდვილი ამბავი — უტაქტო საჩუქარი არშემდგარ გელფრენდს

## „სიყვარულისთვის აღარ ვიბრძოლებ..."

## „საშინელებაა, როცა კაცი გატყუებს და თავისი ჭკუით „გაბოლებს"




## ადამიანი, რომელიც არასდროს დამავიწყდება

## „ეს იყო ლექცია ქრისტიანულ ხელოვნებაზე..."

# გამოვიდა აპრილის ნომერი




**თქვენ ხომ გვმოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...**

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№15 (253)
14 - 20 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ
2005
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲠᲘ

**ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ**
ᲣᲛᲐᲓᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ 3
**ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ**
ᲯᲝᲠᲯ ᲑᲣᲨᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ: ᲡᲐᲛᲒᲐᲓᲘᲡᲘ, ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ, ᲥᲕᲔᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘ... 4
**ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ** 5
**ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ...**
ᲒᲘᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲔ: „ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲔᲣᲨᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲕᲔᲮᲔᲑᲝᲓᲘ“ 6
**ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ**
ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲙᲐᲢᲐᲙᲚᲘᲖᲛᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ – „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲐᲛᲗᲠᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ...“ 7
**ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ**
ᲠᲐᲢᲛᲝ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲔᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ 8
**ᲡᲐᲮᲔ**
„ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲢᲥᲣᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲭᲙᲣᲘᲗ, „ᲒᲐᲑᲝᲚᲔᲑᲡ“... 10
**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ**
ᲧᲔᲚᲒᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲛᲐᲕᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲣᲤᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲒᲓᲔᲡ. „ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲪᲓᲘ...“ – ᲐᲡᲔ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲛ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ 12
**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ**
„...ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲪᲓᲐ“ 15
**ᲗᲐᲛᲐᲓᲐ**
„ᲒᲐᲠᲔᲛᲘᲥᲡᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘᲡ „ᲛᲐᲓᲚᲘ“ 17
**ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ**
ᲣᲢᲐᲥᲢᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲐᲠᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠ ᲒᲔᲚᲣᲠᲔᲜᲓᲡ 19
**ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ**
„ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ...“ 20
**ᲢᲔᲡᲢᲘ**
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 23
**ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ**
ᲒᲖᲐ „ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ“ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛᲓᲔ 24
**ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲘ**
ᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲡᲘᲛᲓᲔᲠᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲜᲣ „ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ...“ 26
**ᲗᲔᲛᲐ**
ᲡᲣᲘᲪᲘᲓᲘ ᲐᲜᲣ „ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲔᲗ!“ 28

# ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲔ



ᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲞᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲨᲘᲨᲡ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲓᲐᲛᲔᲡ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲓᲚᲘᲝᲗ ᲔᲡ ᲨᲘᲨᲘ? ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲐ – ᲠᲐ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲔᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ? ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲝᲜ?

34

# „ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲢᲥᲣᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲭᲙᲣᲘᲗ, „ᲒᲐᲑᲝᲚᲔᲑᲡ“...

„ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ. ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲛᲐᲒᲧᲣᲐᲠᲐ ᲙᲐᲪᲘ... ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠ ᲕᲐᲠ „ᲔᲛᲝᲗᲘ“. ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲔᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲡ...“

10

# ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘᲡ „ᲛᲐᲓᲚᲘ“

„ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲒᲘᲖᲛᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲘᲐ, ᲐᲠᲐ? ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲙᲐᲮᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ „ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲒᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐ“ ᲨᲔᲕᲥᲛᲔᲜᲘᲗ, ᲛᲐᲚᲚᲮᲐᲖᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲐ, ᲛᲔ – ᲗᲐᲜᲐᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲐ – „ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ – ᲗᲐᲛᲐᲓᲝᲑᲘᲗ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ!..“

17

# „ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ...“

„ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲒᲕᲥᲔᲘᲤᲣᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲛᲦᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲚᲔᲥᲡᲘᲪ ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲔ:

„ᲐᲮᲚᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲡᲯᲘᲐᲜ,
ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲘᲒᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲗ,
ᲠᲐ ᲒᲕᲔᲛᲕᲔᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐ ᲒᲕᲔᲛᲕᲔᲚᲔᲑᲐ,
ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲔᲜᲔᲚᲓᲐ,
ᲔᲥᲘᲛᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ, ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ,
ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲐᲛ ᲙᲘ ᲒᲐᲮᲔᲗᲥᲐ ᲒᲣᲚᲘ...“

26

**საკითხავი ქალებისთვის**
პალმა – გამარჯვების სიმბოლო 32
**პრობლემა**
პირველი ღამის სინდრომი 34
**ჯანმრთელობა**
- მოინელა საკუთარი თავი 36
- ვებრძოლოთ დიათეზს 37

**ტაძარი**
რა უნდა ვიცოდეთ ცუდად მეტყველებასთან დაკავშირებით? 38
**ფალავანი**
ოლიმპიურ ჩემპიონთან შერკინება „ნარდის ველზე“, ირანელი ტახტის მარცხი და ბერიას პენსნე კრემლის ბანკეტზე 39
**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 40
**რომანი**
მიხეილ იაშვილი. მაქცია (გაგრძელება) 42
**სპორტული მოზაიკა** 46
**ვარსკვლავი**
„ნატიფი, ინტელიგენტი და ამოუცნობი ქალი“ – ანეტ ბენინგი 48
**ბომონდი** 49
**ბიზნესმენი**
ქალების, მანქანების და სკანდალების მოყვარული ფლავიო ბრიატორე 51
**შთამომავლობა**
ვაჟა-ფშაველას დაგვიანებული ჰონორარი, ქართულ „კლასიკად“ ქცეული ჰაინეს ლექსი და გალაკტიონის გაუსტუმრებელი ვალი 54
**ავტო** 56
**პირველი პაემანი**
გალიკო მომღერლებს არ წყალობს, პუტკუნები ხიბლავს და შეყვარებულის პატიოსნებას კუს ტბას უკავშირებს 57
**ჰოროსკოპი**
კვირის (14-20 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი
**სკანვორდი** 61
**იუმორი** 62
**ტესტი**
რამდენად გამბედავი ადამიანი ბრძანდებით? 63
**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64



გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
**მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8**
**ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com**
**ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“**


# სუიციდი



მღვდელმა ჩად ვარამ გაზეთში საკუთარი ტელეფონის ნომერი და შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „თუ თავის მოკვლა გადაწყვიტეთ, დამირეკეთ!“ ეს ჩად ვარამ მას შემდეგ გააკეთა, რაც გაიგო, რომ 12 წლის გოგონამ, რომელსაც პირველი მენსტრუაცია დაეწყო და ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა ამ ბუნებრივ პროცესს, თავი მოიკლა...

28

# გალიკო შეყვარებულის პატიოსნებას კუს ტბას უკავშირებს

„რა თქმა უნდა, ყოველი ჩავლილი სიყვარულის გამო გულისტკენას განვიცდი. მაგრამ ამ მიზეზით, დეპრესია არასდროს მქონია. ერთ ჩემს დაკვირვებას გაგიმხელთ: ოჯახი ნამდვილ სიყვარულს ქმნის, შვილები ცოლ-ქმარს აახლოებს. ერთ-ერთმა მეუღლემ შეიძლება, საყვარელიც გაიჩინოს, მაგრამ მეუღლეს თავისი ადგილი უკავია...“

57

# „ნატიფი, ინტელიგენტი და ამოუცნობი ქალი“

ჰოლივუდელი ჭორიკანების აზრით, მათი ქორწინება სულ მალე კრახით დამთავრდებოდა და ცნობილი პლეიბოი და მექალთანე ბიტი სხვა ქალებს მიაშურებდა. თითქოსდა ამგვარი პესიმისტური პროგნოზების გასაქარწყლებლად, ანეტს იმავე წელს გოგონა შეეძინა...

48

# მაქცია

*მიხეილ იაშვილი*

– მშვიდად მიირთვი, ძმობილო. მშიერ კუჭს ერთბაშად ნუ გადატვირთავ. 1949 წლის ივლისში, პირველი სასჯელი от звонка – до звонка დავახურდავე და კრასნოიარსკის მხარის ერთ-ერთი ზონიდან იქ გაცნობილ კაცთან, ბათუმელ მურმან ბერიძესთან ერთად გამოვედი.

42

# უმადური ხალხი და დიდი სახლის ჰყვარა მამასახლისი

„ბებიის (ბაბუის) ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო“, — სწორედ ჩვენს მამა-მარჩენალზეა ნათქვამი. ძალიან ადრე დააწვა მხრებზე ამოდენა ტვირთი: დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტობას ეხუმრებით თქვენ?!. ბავშვობაც რომ ურთულესი ჰქონდა, ხომ ეტყობა: მისი თანატოლები „ომობანას“, „ექიმობანასა“ და „მძღოლობანას“ რომ თამაშობდნენ, ეს წიგნებთან იჯდა და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას სწავლობდა. ამიტომ ახლა ინაზღაურებს ბავშვობაში მონატრებულ თამაშებს და ხან ტრაქტორის საჭეს მიუჯდება და ხანაც ტელეფონს პასუხობს — 03 გისმენთო...

ხალხი კი იმდენად უმადურია, რომ მაინც გაიგონებ აქა-იქ უკმაყოფილო შეძახილებს: თუ არ დაგვასაქმებს, როგორც მოვიყვანეთ, ისე გავუშვებთო!.. დიდი უსამართლობაა, მე თუ მკითხავთ! დასაქმებასა და მილიონ სამუშაო ადგილს ვინც დაგპირდათ, თქვენი ხელით გაუშვით პენსიაზე და ვის რას სთხოვთ?! ამ ბიჭმაც რა ქნას მეტი: ათასობით პოლიციელი ხომ სწორედ იმიტომ გაათავისუფლა, რომ ასობით პატრული დაესაქმებინა?! ახლა მერიას მიადგა და 1700 თანამშრომელი მოხსნა, — ამდენი შტატი რა ამბავიაო?! მართალია, თქვენ არ მომიკვდეთ: ამერიკა იმხელა ქვეყანაა და 50 შტატი აქვს სულ და თბილისის მერიაში რატომ უნდა იყოს 1700 შტატი?!

გარე ვაჭრობაც იმიტომ აკრძალა, რომ ქართველები მაღალინტელექტუალური ხალხი ვართ და ქუჩაში დგომა და ვაჭრობა სწორედ რომ არ გვეკადრება. ჩატარდება აგერ კონკურსი: თუ მაგარი ხარ, მიიღე მონაწილეობა, გაიმარჯვე და მერიაში იმუშავე, არ გირჩევნია?! თუ არ იცი საკაბინეტო მუშაობა და მარტო ვაჭრობა გეხერხება, მერის მისაღებში დადგი, ბატონო, ის შენი დახლი, დაიდე ცივი სასმელები და ყოველ ორშაბათს, თათბირის შემდეგ ისეთი ვაჭრობა გექნება, რომ მთელ დეზერტირების ბაზარს შეშურდება. ამაზე მეტი მზრუნველი მთავრობა სად გინახავთ, მითხარით...

ახლა „მარშრუტკებს“ დაადგა თვალი და ალბათ მალე იმათაც გააუქმებს. მართალია, ასობით მძღოლი დარჩება უმუშევარი, მაგრამ სამაგიეროდ, კომფორტული ავტობუსები მოემსახურება მგზავრებს. ხომ იყიდა ჩვენმა მამა-მარჩენალმა უკვე ჰოლანდიური ავტობუსები. ისეთი მოხერხებული ყოფილა, რომ მათზე უკვე განთავსდა პირველი სარეკლამო ფრაზა: „ვინ გირჩია ამის ყიდვა?!“

ჰოდა, ასეთ მთავრობაზე აუგის სათქმელად ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს კაცს?! ფეხდაფეხ დადის სოფლიდან სოფელში და თითოეულ ადამიანს ელაპარაკება. ერთ გლეხს თავისივე ხელით ჩაუსხა დიზელის საწვავი. გლეხი სიხარულს ვერ ფარავდა:

— ჩვენი სოფლის „ზაპრავშჩიკს“ კი არა ჰგავს, 20-ის ნაცვლად 16 ლიტრს რომ ასხამსო... ჩამისხა პატიოსნად 19 ლიტრი და მადლობაც აქეთ გადამიხადაო...

მერე სამხედრო ნაწილს ეწვია კრწანისში და სადილიც კი გასინჯა. იმდენად მოეწონა, რომ კომენტარიც გააკეთა: — ასეთი სადილი საქართველოს ყველა ოჯახში უნდა იყოსო... მართალია, თორემ კაცი ხან ზუგდიდშია და ხანაც — საგარეჯოში და რამდენჯერაც მოშივდება, იმდენჯერ ხომ ვერ ირბენს კრწანისის ბატალიონში, რომ გემრიელად ისადილოს?!

ეჰ, ნეტავ მარტო ასაშენებელი და გასაკეთებელი ქვეყანა შეხვედროდა მემკვიდრეობად, ახლა უკვე მაგრად ვიცხოვრებდით, მაგრამ სად მოიცალა ასაშენებლად, როცა დასანგრევიც ბევრია: აქაც პირადად ჩაება საქმეში. აგული ერისთავივით აიღო ხელში ჩაქუჩი და საჭრეთელი და „ანდროპოვის ყურებს“ დასცხო, დღემდე რომ გვიმახინჯებს რესპუბლიკის მოედანს. თქვა კიდეც: — მე ამისგან გავაკეთებო... მაგრამ არ დაუკონკრეტებია. თუმცა, რა დაკონკრეტება უნდა: დავანგრევთ „ანდროპოვის ყურებს“ და დავდგამთ სკულპტურას: „ბუშის თვალები“, „კონდოლიზას ღიმილი“, „ტონი ბლერის ქოჩორი“ და ა.შ.

*P.S. პოლიტიკა სოფლის ბირჟაზე:*

*— სერაპიონ ჩემო, ტელევიზორს თუ უყურე გუშინ? ვერცხლისწყალია ჩვენი მიშა!..*

*— არ მინახავს, რა ქნა ასეთი?*

*— რა ქნა და, ჯერ სამხედროების სადილი ჭამა და ასე თქვა, ნეტავ ყველა ოჯახში იყოს ასეთიო; მერე დიზელი ჩაუსხა გლეხებს და — ნეტავ, ყველა ოჯახში იყოს ასეთიო; მერე უფასო „სასწრაფოს“ მანქანები ნახა და...*

*პროვოკატორი*

**სანამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვა და თავისი ვიზიტით დააფიქსირებს, რომ ჩვენ ამქვეყნად მარტონი არა ვართ და ის მზადაა, დაგვიცვას შესაძლო აგრესიისგან (თუ ვისი — ამას თავადაც მიხვდებით). მანამდე საქართველომ თავად ჯორჯ ბუშის უსაფრთხოების დაცვაზე უნდა იზრუნოს. რომელი უწყებების პრეროგატივაა აშშ-ის პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ვისგან იცავენ ასეთი მაღალი რანგის სტუმარს საქართველოში? როგორც ექსპერტი, ელგუჯა მეძმარიაშვილი აცხადებს — ბუშის უსაფრთხოების მთავარი გარანტი მაინც საზოგადოებაა.**

# ჯორჯ ბუშის ვიზიტი: სამზადისი, უსაფრთხოება, ქვეჯექსჯები...

*ხათუნა მაღრაძე*

— სახელმწიფოში ისეთი რანგის პერსონის ვიზიტი, როგორიც აშშ-ის პრეზიდენტია, ძალზე მნიშვნელოვან ღონისძიებებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, ეს უკავშირდება უსაფრთხოების საკითხს ნებისმიერ ქვეყანაში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს. მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: შიდაცვის თვალსაზრისით და ქვეყნის გარედან მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. გარეშე ძალებში ვგულისხმობ, როგორც საქართველოს, ისე ამერიკის წინააღმდეგ განწყობილ ჯგუფებს, რომელთათვისაც ბუშის ვიზიტის ჩაშლა ან რაიმე პროვოკაციით შეფერხება, თვითმიზანი შეიძლება იყოს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, საქართველო მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს წარმატებით გაართმევს თავს.

**— ასეთი ვიზიტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა კონკრეტულად რომელი უწყებების პრეროგატივაა?**

— ასეთი რანგის სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი უწყება, ორგანიზაცია ან თუნდაც ქვეყანა. ეს არის კომპლექსი და მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: პირველ რიგში, თავისი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტს ნებისმიერ ქვეყანაში უზრუნველყოფენ თავად ამერიკის შეერთებული შტატების სათანადო სამსახურები — დაწყებული აშშ-ის სპეცსამსახურებიდან, დამთავრებული საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზაციებით, ყველა უწყების წარმომადგენელი იქნება ჩართული ვიზიტის მოსამზადებელ სამუშაოებში. უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოს ხელისუფლებასაც. საბედნიეროდ, ჩვენი სპეცსამსახურებისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები უკვე მაღალი კვალიფიკაციის კადრებად ითვლებიან, რადგან საამისო სპეციალური განათლებაც აქვთ მიღებული. რაც მთავარია, პროგრამა მათი მუშაობისა დღეს უკვე ორიენტირებულია დასავლეთის სტანდარტებზე. და ის ძირითადად, ნატოსა და უპირატესად, აშშ-ის უსაფრთხოების ნორმატიულ გეგმებს და ნორმატიულ დოკუმენტებს ემყარება. საქართველოს უსაფრთხოების სისტემა უკვე მეტ-ნაკლებად თავსებადია აშშ-ის უსაფრთხოების სისტემასთან, მის ძირითად მოთხოვნებთან მაინც. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, საერთოდ, ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად. მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ მხოლოდ ძალოვანი სამინისტროები და სპეცსამსახურები არიან უსაფრთხოების გარანტი. უსაფრთხოების სივრცეს ნებისმიერ სახელმწიფოში ქმნის სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტთა ერთობლიობა. ეს არის დოქტრინალური საფუძველი აშშ-ის დღევანდელი უსაფრთხოების დაცვისა. ეს სისტემა გაცილებით გაძლიერდა და სრულყოფილი გახდა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. დაბოლოს — რაც მთავარია, პრეზიდენტის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს თავად საზოგადოებამ, ხალხის კეთილგანწყობის გარეშე ყველა სტრუქტურა უძლურია.

**— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე ქვეყანაში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს, გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო მას საფრთხე შეჰქმნია?**

— აშშ-ის სპეცსამსახურები ამ მხრივ, განსაკუთრებული პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, აქედან გამომდინარე, მისი უსაფრთხოება ყოველთვის მაქსიმალურად არის დაცული. ბოლოდროინდელ ვიზიტებს თუ გადავხედავთ, ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასულ ჯორჯ ბუშს ანტიგლობალისტებისა თუ ერაყის ომის გამო, საპროტესტო აქციების ფონზე უწევს შეხვედრების გამართვა. თუმცა, ამას უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაიმე პრობლემა არ შეუქმნია.

**— მსგავსი მანიფესტაცია საქართველოში ალბათ მოსალოდნელი არ არის...**

— გეთანხმებით. საქართველოს მოსახლეობა სრულ უნისონშია ხელისუფლებასთან და მან კარგად იცის, რომ სახელმწიფოს მშენებლობა და დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბება სწორედ აშშ-ის ორიენტირებს უკავშირდება. გარდა ამისა, ქართველები კარგად ხედავენ იმ დახმარებებს, რომლებიც ნებისმიერ სფეროში ხორციელდება აშშ-ის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ანტიამერიკულად განწყობილი ადამიანების საპროტესტო აქციებს 10 მაისისთვის არ უნდა ველოდეთ. პროტესტის გამოხატვას არც ოპოზიციურად განწყობილი ძალები შეეცდებიან, რადგან მოსახლეობაში ხელისუფლებას ჯერ ისევ მაღალი რეიტინგი აქვს, მასშტაბური აქციის გამართვას კი ათასობით ადამიანი სჭირდება. ასეც რომ არ იყოს, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესები ყველაზე მაღლა უნდა დადგეს. ბუშის ჩამოსვლის დროს, მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს საქართველოს მკვეთრად გამოხატული ორიენტირი, მისი სახელმწიფოებრივი განვითარების კარდინალური მიმართულება, საზოგადოების განწყობილება, რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებს ჩვენს სურვილს დასავლეთთან ინტეგრაციისა. უფრო მეტიც — ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იგრძნობს სტუმარი საზოგადოების და თითოეული ადამიანის მისდამი კეთილგანწყობილებას. ეს ამ ვიზიტის ძალზე ფაქიზი მხარეა, რომელსაც სერიოზული გააზრება სჭირდება: რიგითი ადამიანებისგან წამოსული დადებითი ენერგია ბუშისთვის

შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე პომპეზური ღონისძიებების მთელი კომპლექსი.

**— თუმცა, ეს შეხვედრა საბჭოთა პოლიტბიუროს წევრების ვიზიტებს არ უნდა დაემსგავსოს — როცა ხალხი ძალით გამოჰყავდათ ქუჩაში.**

— ბუშის ვიზიტსა და პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლას შორის პარალელს ვერ გაავლებ. იმ წლებში სიტუაცია ხშირად, კომიკურ ფორმებს იძენდა. ქუჩაში იძულებით გამოყვანილი ხალხი 7-8 საათი ქანცის გაწყვეტამდე ელოდა ესკორტის ჩამოვლას. ერთხელ ბათუმში, ნიკიტა ხრუშჩოვის მოტვლეპილი თავის დასანახავად, დილიდან საღამომდე ქუჩაში გავატარეთ, თანაც გაბრწყინებული სახეები უნდა შეგვენარჩუნებინა. არადა, იმ წლებში, არც პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლით იცვლებოდა რამე და არც წასვლის შემდეგ ელოდნენ გარდატეხას...

**— როგორც ცნობილია, უკრაინის შემდეგ, ბუშმა ღია ცის ქვეშ, რევოლუციაგამოვლილ ქართველ ხალხს უნდა მიმართოს, ამერიკელებმა ამ გამოსვლისთვის თავისუფლების მოედანი დაიწუნეს და არჩევანი რესპუბლიკის მოედანზე შეაჩერეს. თქვენი აზრით, ეს გადაწყვეტილებაც უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება?**

— ადგილის შერჩევას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ უსაფრთხოებას უკავშირდება, ძნელია. ასეთი გამოსვლების დროს, ანგარიშგასაწევია ლანდშაფტი, დასახლება, შენობათა რაოდენობა და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი შენობა ნაკლებია და მეტი სივრცეა, შეიძლება ითქვას, რომ არც უსაფრთხოების დაცვა გაჭირდება და დამსწრე საზოგადოებაც თავისუფლად შეძლებს გადაადგილებას.

**— ბატონო ელგუჯა, თქვენ, როგორც სამხედრო დარგის სპეციალისტი, რა კონკრეტულ შედეგებს ელით ამ ვიზიტისგან?**

— ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბუში კიდევ ერთხელ დააფიქსირებს — ფსოუდან, როკის გვირაბის ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაა და ამერიკა ამას აშკარად აღიარებს... თუმცა, კონფლიქტის მოგვარება ბუნებრივ ფაქტორებთან არის დაკავშირებული და მის გადაწყვეტაში აშშ, მით უფრო ხელოვნური დაჩქარების ხერხებით, არ ჩაერევა.

■

## „არ ვამოვრიცხავ იმას, რომ კეზერაშვილი მალე დააწინაურონ...“

**— როგორც თქვენ აცხადებთ, ფინანსური პოლიციის შეფის მამხილებელი კომპრომატები, ვანო მერაბიშვილის დავალებით გავრცელდა. გამოდის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ღია დაპირისპირებაზე გადადიან?**

**დავით ბერძენიშვილი,** *რესპუბლიკური პარტია:*

— ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯგუფებად დაყოფა საკაშვილმა შევარდნაძისგან ისწავლა. საზოგადოებამ კი, წლების განმავლობაში უნდა არკვიოს, ოქრუაშვილის გუნდია უკეთესი თუ მერაბიშვილის. თუ ბატონი მიშაც საქართველოში დანერგილი „პრინციპების“ მიხედვით გააგრძელებს მუშაობას, ისიც წინამორბედების მსგავსად, მის მიერვე შექმნილი ხელისუფლების ნანგრევებში აღმოჩნდება. როცა ქვეყანას ერთიანი გუნდი მართავს, ერთმანეთის სატელეფონო საუბრებს აღარ ისმენენ და შემოვლითი გზებით ამის გამომზეურებას არ ცდილობენ. ხელისუფლებაში რომ დაპირისპირება არსებობს, ეს უდავოა. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ რაც დრო გადის, მმართველი ძალა ზნეობრივი და ინტელექტუალური წევრებისგან მით უფრო იცლება, საკაშვილის დასაყრდენს კი წარმოადგენენ ქარელის, კეზერაშვილისა და ბრეგაძის მსგავსი ფიგურები. სწორედ ამიტომ არ გაათავისუფლეს თანამდებობიდან ფინანსური პოლიციის შეფი, რომელსაც თუნდაც იმიტომ უნდა დაეტოვებინა თანამდებობა, რომ თავის უწყებაში, მაღალ თანამდებობებზე ნარკომანები დანიშნა. იგივე გააკეთა თავის დროზე ბრეგაძემაც. ქალაქის მთავრობა მისი „ძალისხმევით“ ნარკომანებით იყო სავსე. მართალია, მოგვიანებით, ეს ხალხი გაათავისუფლეს, მაგრამ პასუხისმგებლობა უწყების ხელმძღვანელს არ დაჰკისრებია, უფრო მეტიც, ბიძინა ბრეგაძე უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაიყვანეს. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ კეზერაშვილიც მალე დააწინაურონ.

■

## არჩევნები იმ რაიონებში, სადაც „ხელისუფლების რეიტინგი შესამჩნევად დაეცა“

**— ხელისუფლება, ბათუმში, შუახევში, ქობულეთსა და ტყიბულში შეუულედური არჩევნების დანიშვნას არ ჩქარობს. რაში ხედავთ ამის მიზეზს?**

**მამუკა კაციტაძე,** *„ახალი მემარჯვენეები“:*

— უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ამ რაიონების მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატები არ ჰყავს. შუალედური არჩევნები ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში უნდა დაენიშნათ, მაგრამ ხელისუფლება და მისი ქვემდებარე ცესკო კანონდარღვევით ცდილობს, გაურკვეველი ვადით არჩევნების თარიღის გადაწევას. ხელისუფლების მხრიდან დროის გაწელვა იმაზე მიანიშნებს, რომ ის ერთგვარ შიშს შეუპყრია. არჩევნები წამგებიან სიტუაციაში არასასურველია. რომელი ხელისუფლება ისურვებს, რევოლუციიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, მოსახლეობამ სრული უნდობლობა გამოუცხადოს?!. ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, არჩევნების თარიღი გადასწიონ. კანონით გათვალისწინებული საბოლოო ვადა 26 აპრილს იწურება. იმედია, მანამდე საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესიც დამტკიცდება. ხელისუფლება ახალი ცესკოს დამტკიცებამდე აყოვნებს შუალედური არჩევნების დანიშვნას. გაუგებარია — ცესკო საერთოდ რომ არ შეიცვალოს, შუალედურ არჩევნებს სულ არ დანიშნავენ?.. ოპოზიცია ამ არჩევნებისთვის სერიოზულად ემზადება, ჩვენ კოორდინირებულად ვიმოქმედებთ, წამოვაყენებთ კანდიდატურებს და ვეცდებით, დავიცვათ მოსახლეობის არჩევანი იმ რაიონებში, სადაც მძიმე ზამთრის შემდეგ, ხელისუფლების რეიტინგი შესამჩნევად დაეცა.

■



# გია ბულაძე: „ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ თვით ისტორიას ვეხებოდი"

**„ეს იყო ლექცია ქრისტიანულ ხელოვნებაზე — იმაზე, თუ როგორ ცნაურდება „მე" სიყვარულსა და თავისუფლებაში, როგორ ავლენს ამას ქრისტე ხელოვან ადამიანებში და პირქით — თუ როგორაა გამოხატული ქრისტეს სიყვარული თავისუფალ ხელოვნებაში — ამაზე მეტი რა უნდა მომესმინა! — მით უმეტეს, რომ ამის შესახებ საუბრობდა რომის პაპი — შთამომავალი დიდი წარსულის მქონე, მებრძოლი პოლონელი ერისა და რაც მთავარია, შთამომავალი ჩემთვის ძვირფასი — მიქელანჯელოს, რაფაელის და მათ სულიერ მოძღვართა..." — მითხრა მხატვარმა გია ბულაძემ, რომელიც სრულიად შემთხვევით მოხვედრილა ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს შორის, ვინც თბილისში ჩამოსულ იოანე-პავლე მეორესთან სამთავრობო რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ.**

**ხათუნა ჯავახიშვილი**

— ასეთ შეხვედრებზე, როგორც წესი, არ ვხვდები. როგორც მითხრეს, ეს თედო ისაკაძის დამსახურება იყო, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი. ალბათ ახსოვდა, ჩემი ინტერესი დასავლეთის ისტორიის, საერთოდ, ამ სამყაროს მიმართ და ჩემი სიყვარული რენესანსის პერიოდის იტალიური მხატვრობის, არქიტექტურის და საერთოდ ხელოვნებისა. თუმცა, პირველ რიგში, ალბათ ღვთის ნება იყო, რომ ეს ადამიანი ცოცხლად მენახა. ჩემი აზრით, იოანე-პავლე II ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პაპია ვატიკანის მთელ ისტორიაში და მე ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი მას... დარბაზში პაპი ედუარდ შევარდნაძესთან ერთად შემოვიდა და მოგვმართა სიტყვებით: Вечер добры, грузины. ნელ-ნელა მოდიოდა და ჩუმად იმეორებდა ამ სიტყვებს... შემდეგ დაიწყო თავისი ტექსტის კითხვა და კომენტირება. კითხულობდა ძალიან ნელა, სვენებ-სვენებით: სუნთქვას აკონტროლებდა, რადგან მაშინაც ჰქონდა სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემა... თავიდან ვაკვირდებოდი მხოლოდ მის მოქმედებას, მაგრამ მერე, ყური მივუგდე ტექსტის შინაარსს და გაოგნებისგან მართლაც, პირი დავაღე. გვერდით მჯდომმა მითხრა — რა მოღიმარი სახით უსმენო!.. ეს იმიტომ, რომ წამოვიდა არანორმალურად დიდი ძალა სიკეთისა, ინტელექტისა, გონებისა და რაც მთავარია, ქარიზმა ზეგარდმო ნიჭისა, რომელიც ამ ადამიანს — პაპს ადგა თავს. გაოგნებული ვიყავი. დილეტანტის დონეზე ვიცნობ გერმანულ ფილოსოფიას, განსაკუთრებით მიყვარს ესთეტიკის სფერო და ჩემ წინაშე გადაიშალა ეს ყველაფერი, ერთ გამოსვლაში თავმოყრილი. არ მოველოდი ასეთ ინტელექტუალურ ოკეანეს, ძალას, გამთბარს ამოდენა სიყვარულით. ეს იყო ინტელექტისა და სიყვარულის ერთიანობა, „ინტელექტუალური ცუნამი", თუ შეიძლება ასე ითქვას, ოღონდ — სიყვარულით გამთბარი... მოხსენება დაახლოებით 40 წუთი გრძელდებოდა. მისი დასრულების შემდეგ, მოგვცეს საშუალება, პაპთან ახლოს მივსულიყავით და ფოტოებიც გადაგვეღო. მივუახლოვდი. ჩემი ნამუშევრების პატარა კატალოგი მქონდა წამოღებული თან. კატალოგი გამომართვა, ხელები უკანკალებდა... ვცდილობდი, გადმომეცა ჩემი აღტაცება, მაგრამ თან ვფიქრობდი, რომ მას შეიძლება, არ ესმოდა, რადგან ვერ ვხედავდი მის თვალებს — თავდახრილი იყო. მეც დავიხარე, ლამის მაგიდაზე დავდე თავი და თვალებში შევხედე. დავრწმუნდი, რომ პაპი მისმენდა და ჩემთან კონტაქტში იმყოფებოდა. ეს კონტაქტი სულ მაქსიმუმ 35-40 წამი გრძელდებოდა, მაგრამ ის, რასაც ეს ადამიანი ასხივებდა, ენით აუწერელია: ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ თვით ისტორიას ვეხებოდი. ასეთი რაღაცები არასდროს იშლება მეხსიერებიდან... ეს ადამიანი საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ და თუკი ვინმემ მართლა ღირსეულად აღასრულა თავისი მოვალეობა თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში, ერთ-ერთი პირველთაგანი, იოანე-პავლე მეორეა. მიუხედავად იმისა, რომ იგი აქტიური იყო პოლიტიკური თვალსაზრისით, არ_მოქმედებდა, როგორც პოლიტიკოსი, არამედ მოღვაწეობდა, როგორც სულიერი მამა. ეს არის მნიშვნელოვანი — მან სულიერი მოღვაწეობა და პოლიტიკა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან და სიყვარულისა და მიმტევებლობისკენ მოუწოდა კაცობრიობას. თვითონ, ამის გენიალურ მაგალითს იძლეოდა.

**— ლექცია რა ენაზე წაიკითხა პაპმა?**

— ინგლისურად. იოანე-პავლე II პოლიგლოტიც იყო და ამითაც მოახდინა დიდი ცვლილებები კათოლიკურ სამყაროში: მოგეხსენებათ, თავიდან კათოლიკური რიტუალები მხოლოდ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა და სწორედ იოანე-პავლე მეორემ დანერგა ნაციონალური ენები კათოლიციზმში... არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ კათოლიკური ეკლესიის სისტემის შეფასებით ვკადნიერდები — მე მხოლოდ პიროვნებაზე ვლაპარაკობ (ჩვენი მხრივ დავძენთ: გია ბუღაძე მართლმადიდებელი ქრისტიანი გახლავთ, 3 წლის ასაკში მოინათლა, შემდგომ კი — 1978 წლიდან, 3 წლის განმავლობაში, სტიქაროსანი გახლდათ)...

**— ბატონო გია, რომის პაპის მიერ ჩატარებულ მესასაც თუ დაესწარით?**

— არა. მაგრამ ჩემთვის მესაზე მეტი იყო ის, რაც ლექციაზე ვიხილე და მოვისმინე. ეს იყო შეხვედრა დიდ ინტელექტთან. შეგახსენებთ, რომ იგი დრამატურგიც იყო, ხელოვანიც. მაგრამ ამ ლექციაზე პაპი ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ ვლინდება თავისუფალ ხელოვნებაში ქრისტეს სიყვარული. ამას სულ სხვა ძალა აქვს. ბოლოს დავძენ, რომ ამ ლექციის ტექსტი შემდეგ, დასტამბულიც ვნახე, მაგრამ ეს სულ სხვა რამ გახლდათ — თითქოს ძირითადი ძარღვი გამოაცალეს ტექსტს... ■

# ბუნების რა კატაკლიზმები გველის

**წლევანდელი ზამთარი განსაკუთრებულად „დახუნძლული“ იყო სხვადასხვა სახის ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში უჩვეულო დიდთოვლობა და მეწყერი მძლავრობდა. იმერეთის მხარეს წყალდიდობებმა მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი... როგორი გაზაფხულია მოსალოდნელი — თუ საერთოდ, გაზაფხული ითქმის „მოვარდნილ“ სიცხეზე — და ხომ არ ვარაუდობენ ამ საქმის პროფესიონალები ბუნებრივ კატაკლიზმებს? — ამ კითხვებით საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ ზურაბ ტატაშიძეს მივმართეთ.**

ემა ტუხიაშვილი

— უკვე მრავალი წელია, რაც თურქეთი ჭოროხის აუზში 10 კაშხალს აშენებს, ხოლო მათგან რამდენიმე, სავარაუდოდ წელს ამოქმედდება. სხვათა შორის, ჩვენი ინსტიტუტი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც გამუდმებით ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ შესაძლოა, ამ კაშხლებმა ცუდი გავლენა მოახდინოს ჩვენს კლიმატზე: საქართველო ზღვისპირა ქვეყანაა, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ კაშხლების ამოქმედებით ჩვენი ბუნებრივი წონასწორობა დაირღვეს. ეს კაშხალი კი ქმნის რეალურ საფრთხეს იმისას, რომ ზღვას მოაკლდება მყარი ინერტული მასალა, რაც დროთა განმავლობაში აჭარის სანაპიროს, პლაჟების გაქრობით დაემუქრება.

**— გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებულია მეთოდი, რომელიც ბატონ არჩილ კიკნაძეს ეკუთვნის და მსგავს შემთხვევებში, ხელოვნურად მონარღვევი, მყარი მასალის ზღვაში შეტანას გულისხმობს. უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი არჩილის ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს ხელოვნური ჩარევის მეთოდი ბუნების ხელყოფის მაგალითიცაა, მაგრამ ფაქტობრივად, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია. ფოთი სერიოზული კატასტროფის წინაშე დგას — ყოველწლიურად, მისი სანაპირო ზოლის 5-7 მილიმეტრი იძირება წყალში. ერთი შეხედვით, თითქოს მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ თუ გეოლოგიურ დროში გადავიყვანთ, აღმოჩნდება, რომ ფოთის სანაპიროს ჩარეცხვა გარდაუვალია.

**— ბუნება წელს მაღალმთიან აჭარაშიც ბობოქრობდა...**

— აჭარა ერთი-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. სამოსახლოდ და სამეურნეო საჭიროებისთვის იქ ისეთი მიწის ფართობებს იყენებენ — მაგალითად, დახრილ ფერდობებს — რომელთა ხელყოფა დაუშვებელია. სწორედ ბუნების წიაღში მსგავსი უხეში ჩარევა იწვევს მეწყერსაშიშ ვითარებას, რაც შესაძლოა, გამანადგურებელი აღმოჩნდეს. იგივე შემიძლია გითხრათ ჩვენს დედაქალაქზეც: ბოლო პერიოდში, თბილისში სამშენებლოდ ისეთი ტერიტორიების ათვისება ხდება, რომლებზეც შესაბამისი გეოლოგიური დასკვნები არ გაცემულა. ძირითადად, ნუცუბიძის პლატოს დასახლებასა და ქალაქის შემოგარენს ვგულისხმობ. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ თუ წლების წინ, თბილისში წელიწადში მხოლოდ 20 ათასი ე.წ. მეწყრული სხეული ფიქსირდებოდა, ბოლო წლებში მათი რიცხვი 60 ათასამდე გაიზარდა. ბუნება სისტემატურ მონიტორინგსა და დაკვირვებას საჭიროებს, რისი მატერიალური შესაძლებლობაც ჩვენს ინსტიტუტს უკვე მრავალი წელია, არ გააჩნია. — მთაში წელს თოვლის საფარმა უჩვეულოდ მაღალ ნიშნულს მიაღწია. ალბათ, მით უფრო საშიშია უცაბედი დათბობა, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყო... — ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, ჩრდილოეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედია, როდესაც ჩამოწოლილმა ზვავმა კინორეჟისორი სერგეი ბოდროვი და მისი გადამღები ჯგუფი ჩაიტანა. მსგავსი არაპროგნოზირებადი გარემო იმის შედეგია, რომ მივატოვეთ კვლევითი სამუშაოები. წინათ, ყოველთვის ვაკვირდებოდით მყინვარების დნობის პროცესს, განვსაზღვრავდით, თუ რა სისწრაფით ხდებოდა მათი წინსვლა და უკუსვლა. ჩრდილოეთ ოსეთისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყანა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზეა გადაშლილი, ამიტომ მყინვარების დნობა ჩვენთან უფრო ინტენსიურ სახეს ატარებს. არ არის გამორიცხული, რომ ის, რაც ჩრდილოეთ ოსეთში მოხდა, სვანეთშიც გამეორდეს. წინასწარი პროგნოზირების საფუძველზე ვიცით, რომ აპრილში ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსამდე აიწევს, რაც თოვლის დნობას და წყალდიდობების საშიშროებას გამოიწვევს. ჩვენში წელიწადის სეზონები არ არის მკაფიოდ გამოხატული, ამიტომ შესაძლოა, ზამთრიდან პირდაპირ ზაფხულში გადავიდეთ... მინდა, გავაფრთხილო აგრეთვე ის ადამიანები, ვისი ჰობიც ლაშქრობა და ტურიზმია, ჩვენში ბევრია ღვარცოფული ბუნების მქონე რეგიონი, ამიტომ ნუ გაემგზავრებიან იქ, სადაც ხანგრძლივი მეტეოროლოგიური პროგნოზი არ არსებობს. საერთოდ, ტურიზმი მაშინ არის უსაფრთხო, როდესაც ის მეცნიერულ დასკვნებს ემყარება.

**— აღმოსავლეთ საქართველოზე რას გვეტყვით?**

— მოგეხსენებათ, რომ აღმოსავლეთ საქართველო ნალექების სიმცირით გამოირჩევა, ამიტომ ამ რეგიონის ხელოვნურად მორწყვა, ჯერ კიდევ XII საუკუნიდან ხორციელდებოდა. აქვე მინდა გითხრათ, რომ თამარი იყო პირველი მეფე, რომელმაც გარემოს დაცვითი კანონი გამოსცა... რა თქმა უნდა, ამჟამად კახეთის ველების მელიორაციას აღარავინ ახორციელებს, ამიტომ ამ კუთხის გაუდაბურების პროცესი უკვე დაწყებულია...

■

# რატომ დაჩაგრეს ახალგაზრდა მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე

## დებიუტანტმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა



**ამ რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთში, რაგბის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის — ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც 28 ქვეყნის 18 წლამდე ასაკის მორაგბეთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის, საქართველოს გუნდიც გახლდათ, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა. „პირველ სამეულში მოხვედრის რეალური შანსი გვქონდა, მაგრამ მსაჯის არაკომპეტენტურობის გამო, მხოლოდ მეხუთე ადგილით დავკმაყოფილდით“, — ამბობს ნაკრების ერთ-ერთი წევრი — ზოთიკო ცხოვრებაშვილი.**

*ლიკა ქაჯაია*

— საერთოდ, „ლელოში“ (მორაგბეთა გუნდი) ვთამაშობ, მაგრამ საფრანგეთში, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობასთან ერთად წავედი. სხვათა შორის, ახალგაზრდული ნაკრები პირველად ჩამოყალიბდა და ევროპის ჩემპიონატშიც პირველად ვმონაწილეობდით.

**— შენ როგორ მოხვდი ნაკრებში?**

— ჩემი გუნდის მწვრთნელმა გამგზავნა, სადაც 5 შესარჩევი ეტაპი უნდა გაგვევლო. თავიდან 74 კანდიდატი ვიყავით, ბოლოს კი, ამ ეტაპების გავლის შემდეგ, 26 კაცი დავრჩით.

**— რას ნიშნავს ეს შენთვის?**

— ამ ეტაპზე, ეს ჩემთვის, დაპყრობილ მწვერვალს ნიშნავს. რადგან, პირველ რიგში, სპორტსმენი ვარ და მეამაყება, რომ ვაჟკაცურ სპორტს — რაგბის ვემსახურები.

**— რას ნიშნავს ვაჟკაცური სპორტი?**

— ამას რაგბის პრინციპებიდან გამომდინარე ვამბობ. ჩვენ თამაშის მოსავებად მებრძოლი სული და იშვიათი მეგობრობა გვჭირდება. ამასთანავე, რაგბიში უფრო მეტად ვლინდება ქართველის ის ვაჟკაცური სული, რომლის ბოლომდე წარმოჩენა ფეხბურთის, ჩოგბურთის და ა.შ. თამაშით შეუძლებელია.

**— მომავლის გზა ამ ყველაფრის გათვალისწინებით აირჩიე?**

— არა, 8 წლის წინ, რაგბიზე არც მიფიქრია. ადრე, ქართულ ცეკვაზე დავდიოდი, მაგრამ ჩემი წონის გამო, მიტოვება მომიხდა. სწორედ, მაშინ მიმიყვანა მამაჩემმა რაგბიზე. მიზანი ერთი იყო — ქუჩაში არ გავსულიყავი, ამისთვის დრო არ მქონოდა... თავიდან, 5 წლის განმავლობაში, სამხატვრო აკადემიის კლუბში ვთამაშობდი და ბოლო 3 წელია, რაც „ლელოში“ გადავედი.

**— რა მიზანი გქონდათ, როცა საფრანგეთში მიდიოდით?**

— რა თქმა უნდა — გამარჯვება. მაგრამ არც ახლა ვართ უკმაყოფილოები.

**— როგორც ვიცი, სულ 3 მატჩი ჩაატარეთ.**

— კი, იტალიის, რუმინეთის და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან. რუსეთის (ანგარიშით 26:7) და რუმინეთის (21:7) გუნდებს მოვუგეთ. იტალიასთან კი — დავმარცხდით (11:0). მაგრამ ეს დამარცხება, მსაჯის არაკომპეტენტურობის ბრალია: ის აშკარად მიემხრო იტალიის გუნდს.

**— რაში გამოიხატებოდა მსაჯის არაკომპეტენტურობა და იყო თუ არა იტალიასთან გამარჯვება გარანტია იმისა, რომ პირველ სამეულში მოხვდებოდით?**

— სამეულში მოხვედრის რეალური შანსი მართლაც გვქონდა — თუ იტალიას მოვუგებდით, მაშინ შევხვდებოდით ინგლისის გუნდს. მასთან წაგების შემთხვევაში, მესამე ადგილისათვის შოტლანდიას შევებრძოლებოდით. მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან დაგვჩაგრეს... როგორც კი თამაში დაიწყო, იტალიელელმა „ზანოსი“ *(ბურთის დამიწება. — ავტ.)* შეასრულეს, მერე — გარდასახვა *(ბურთის გატანა. — ავტ.)* გარდა ამისა, მსაჯმა კაცი გაგვიგდო მოედნიდან არასწორი ჩაწოლის გამო — მაშინ, როდესაც ასეთ ჯარიმაზე, მოთამაშისთვის ასეთი სასჯელი არ გამოაქვთ. მთელი მეორე ტაიმი, მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანთან ვიდექით. გვქონდა 5-6 შანსი იმისა, რომ ჯარიმა დაგვერტყა იტალიელთა კარში... მოკლედ, თამაშის ჩანაწერს რომ უყუროთ, თავად დარწმუნდებით იმაში, რომ მსაჯი იტალიელებს აშკარად ემხრობოდა.

**— ამის გამო, მატჩის დამთავრების შემდეგ, რაიმე კონფლიქტი ხომ არ მოგსვლიათ მსაჯთან?**

— არანაირი. მარტო პრესკონფერენციაზე ჩვენებმა მსაჯს ჰკითხეს — ასე რატომ იქცეოდითო? მან ასეთი პასუხი გაგვცა — ამ ტურნირს იტალია აფინანებდა, უფრო დიდი სახელი აქვს,

ტურნირის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც რომ ჩავსულიყავით, ნებისმიერ გუნდთან ერთი თამაში მაინც რომ გვეთამაშა, დაძაბულობა მოგვეხსნებოდა

როგორც რაგბის ქვეყანასო...

**— როგორც ვიცი, პირველი ადგილი ინგლისმა დაიკავა, ხოლო იტალია მხოლოდ მეოთხეს დასჯერდა...**

— ინგლისი და საქართველო ერთმანეთისგან განსხვავდება და თამაშის დროს *(იგულისხმება იტალია — ინგლისის შეხვედრა. — ავტ.)* მსაჯი უფრო ობიექტურად იქცეოდა.

**— ეი. შედეგით მაინც უკმაყოფილოები ხართ?**

— იმ პირობების მიხედვით, რომელიც ჩვენ მომზადებისას გვქონდა, საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ პირველად რომ გავდიოდით მოედანზე იტალიასთან შესახვედრად, კომპლექსმა შეგვიპყრო — არაჩვეულებრივი მოედანი, ამდენი ხალხი... ტურნირის დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც რომ ჩავსულიყავით, ნებისმიერ გუნდთან ერთი თამაში მაინც რომ გვეთამაშა, დაძაბულობა მოგვეხსნებოდა. იტალიასთან უკეთესად ვითამაშებდით და მიუხედავად მსაჯის მიკერძოებისა, შეიძლება თამაში მოგვეგო კიდეც... ამის მაგალითია ის, რომ მეორე და მესამე თამაში

...და გპირდებით, რომ მომავალში უფრო დიდ წარმატებას მივაღწევთ!

უფრო წარმატებული გვქონდა.

**— ყველაზე ღირსეულ მეტოქედ რომელ გუნდს მიიჩნევ?**

— შოტლანდიის გუნდს. იმიტომ, რომ როცა მესამე ადგილისათვის იტალიის გუნდს ხვდებოდა, პირველ ტაიმში 9:0 აგებდა, საბოლოოდ კი, 11:9 დაამარცხა. საოცრად მებრძოლი და ენერგიული გუნდია.

**— 2006 წელს რაგბიში ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი იმართება. რა არის საჭირო იმისათვის, რომ იქ პირველ სამეულში მოხვდეთ?**

— მსოფლიო ჩემპიონატის წინ, შესარჩევი მატჩები გაიმართება. წარმატების იმედი მაქვს, მაგრამ ამისათვის ნორმალური სავარჯიშო პირობები გვჭირდება — მოედანი მაინც, სადაც ბალახი იქნება, რადგან მოედანი, სადაც ვვარჯიშობთ ხოლმე „ხრიოკი" ადგილია... და გპირდებით, რომ მომავალში უფრო დიდ წარმატებას მივაღწევთ!


სიახლე!

# სახსრების ტკივილი გაწუხებთ?

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ტერმინი – **ქონდროპროტექტორი** – შემოიჭრა ტრადიციული თუ ალტერნატიული მედიცინის სფეროში, მაგრამ თავისი მნიშვნელობითა და მოქმედების უნიკალურობით მან უკვე შეძლო წამყვანი ადგილის დაკავება ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. დღეს იშვიათია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისათვის განკუთვნილი წარმატებული პრეპარატი, რომლის ბაზისსაც არ წარმოადგენს **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის კომპლექსი.** და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წლების მანძილზე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიისათვის საჭირო პრეპარატებს უამრავი უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა გააჩნდათ, რითაც მათი გამოყენების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამასთანავე, ეს პრეპარატები ახდენდნენ არა სახსრების ფუნქციისა და სტრუქტურის საფუძვლიან აღდგენას, არამედ უზრუნველყოფდნენ ტკივილის მხოლოდ მოცემულ მომენტში მოხსნას და იძლეოდნენ დროებით დადებით ეფექტს. ამიტომ, იქმნებოდა საჭიროება ახალი სამკურნალო მიდგომების შემუშავებისა. სწორედ ასეთ ალტერნატიულ საშუალებად გვევლინება **გლუკოზამინის ან/და ქონდროიტინის** შემცველი პრეპარატები, **ე.წ. ქონდროპროტექტორები,** რომლებსაც გააჩნიათ აღდგენითი თერაპიული ეფექტი. დღეს უკვე სპეციალისტებს შორის არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ნივთიერებები განაპირობებენ ხრტილისა და სინოვიალური სითხის რეგენარაციას და ამასთან, სახსრებს აუცილებელი „საშენი მასალითა" და საკვები ნივთიერებების მიწოდებით უზრუნველყოფენ. დამტკიცებულია, რომ პაციენტთა 70%-ს, ვინც რეგულარულად იღებს **გლუკოზამინისა და ქონდროიტინის** ნაერთებს, დადებითი შედეგები აქვთ.

**„მეგაპოლის კლასიკი"** გახლავთ ის კომპანია, რომელმაც პირველი ქონდროპროტექტორი, „ინოლტრა" განავრცო საქართველოს ბაზარზე. დღეს ეს კომპანია კიდევ ერთ რევოლუციურ ბიო-პრეპარატს, **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით** გვთავაზობს, რომელმაც თავისი ეფექტურობით ძალზე სწრაფად დაიმკვიდრა თავი ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებათა თერაპიაში. **„გლუკოზამინის და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით:**

- **უზრუნველყოფს ხრტილის რეგენერაციას და ამცირებს ანთებით პროცესს;**
- **ხელს უწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებასა და შეკავებას ხრტილში;**
- **ახასიათებს არასტეროიდული და სტეროიდული პრეპარატების მსგავსი ტკივილგამაყუჩებელი და ანტიანთებითი მოქმედება;**
- **მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძვლისა და შემაერთებელი ქსოვილის აღდგენის პროცესში; ამცირებს სახსრის ცვეთას;**
- **არასასურველი ფერმენტების ბლოკირების გზით იცავს სინოვიალურ გარსს დაზიანებისაგან.**




**„გლუკოზამინისა და ქონდროიტინის კომპლექსი მსმ"-ით**
**შეუნარჩუნებს თქვენს სახსრებს ჯანმრთელობას.**

**ნუ შეგაწუხებთ სახსრები.**
**იცხოვრეთ ტკივილის გარეშე!**

**მეგაპოლის კლასიკი**

**თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 14 (მრგვალ გაღლთან), ტელ: 94 33 92, 98 96 95, 22 05 32**
**10:00 – 18:00 სთ. (შაბათ-კვირის ჩათვლით)**

პრეპარატები ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ "სამგორი-ფარმა"-ს სააფთიაქო ქსელში.

**მომღერალი ნინი ბადურაშვილი გაზაფხულზე, ბუნების გაღვიძებასთან ერთად იღვიძებს — უფრო ხალისიან განწყობაზე დგება. მიუხედავად ჭორებისა, ის კვლავ მარტოა და თეთრ რაშზე ამხედრებული უფლისწულის გამოჩენას ელის... ყოფილა თუ არა ნინი ოდესმე სერიოზულად შეყვარებული, თუ უბრძოლია სიყვარულისთვის და რას საქმიანობს ამჟამად, შოუბიზნესსა და კინოში — მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# „საშინელებაა, როცა კაცი გაცყუებს და თავისი ჭკუით „გაბოლებს“...

ეკა მინდაძე

**— ნინი, რას შვრები, როგორ ხარ?**

— მშვენივრად. ეს ალბათ გარკვეულწილად გაზაფხულის ბრალია. ბუნების გაღვიძებასთან ერთად, მეც ვიღვიძებ და განწყობაც მიუმჯობესდება.

**— წელიწადის დროებიდან რომელს გამოყოფ?**

— ძალიან მიყვარს გაზაფხული და ზაფხული. განსაკუთრებით — ზაფხული, რადგანაც მიყვარს მზე და ზღვაში ცურვა. არ მიყვარს მოღრუბლული ამინდი. ცუდ ხასიათზე ვდგები იმ დღეს, როცა წვიმს ან თოვს. ზამთარი ჩემთვის მხოლოდ 2-კვირიანია მისაღები — როცა გუდაურში ვარ. დანარჩენი ზამთრის დღეები კი, მოსაბეზრებელია.

**— გაზაფხულზე, ქალაქგარეთ პიკნიკებში მონაწილეობა თუ გიყვარს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ძალიან მიყვარს, არ მიყვარს ლაშქრობაში და პიკნიკზე სიარული.

**— თუ ბუნება გიყვარს, ყვავილებიც გეყვარება, არა?**

— საერთოდ, ყვავილების მოყვარული არა ვარ. განსაკუთრებით არ მიყვარს ვარდი. ამიტომ ვინც ეს იცის, ვარდის მაგივრად, მინდვრის თაიგულს მჩუქნის ხოლმე. განსაკუთრებით ლამაზია, როცა თაიგულში ყაყაჩო ან გვირილა ურევია.

**— გაზაფხულზე, ბუნების გაღვიძებასთან ერთად, ხალხიც აქტიურდება და შესაბამისად, ჭორიც უფრო მეტი ჩნდება. ბოლო დროს, რაიმე ჭორს თუ გაუბრაზებიხარ?**

— კი, როგორ არა. სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ ჭორს ბევრჯერ გავუბრაზებივარ. ამ ჭორების მოყოლას არ ვაპირებ, ზოგი ისეთი აბსურდულია, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. ხალხი იმდენად არის დაინტერესებული ჩემი ბედით, რომ ხან ვისზე მათხოვებენ, ხან — ვისზე. ამას წინათ გავიგე, რომ ხიზანიშვილს მივყვები. ზოგი კი, კალაძეზეც მათხოვებს. 2 დღის წინ ავარიაშიც მომყოლეს, რის გამოც, მთელი თბილისი მირეკავდა და კითხულობდა ჩემს მდგომარეობას. ჭორებზე, ადრე უფრო ვბრაზდებოდი, ახლა კი რეაქცია აღარ მაქვს. მივხვდი, რომ პოპულარობა ჭორის გარეშე არ არსებობს. ამას წინათ, ნეკა სებისკვერაძემ მშვენიერი რამ თქვა: თბილისი ოთახნახევრიანი ბინაა, სადაც ყველა ყველას იცნობს და ყველა ერთმანეთზე ჭორაობსო.

**— ამბობენ, ნინი ბადურაშვილი სასწავლებლად საზღვარგარეთ მიდისო, მართალია?**

— საზღვარგარეთ შეიძლება, მართლა წავიდე. ამას ნამდვილად არ გამორიცხავ, მაგრამ ზუსტი დრო და რიცხვი არ ვიცი, როდის წავალ.

**— იმასაც ამბობენ, ნინის ბოიფრენდი ჰყავსო...**

— არა, არ მყავს, ნამდვილად *(იცინის)*.

**— ე.ი. სიყვარული ჯერ არ გწვევია?**

— ახალი არაფერია. პატარ-პატარა გატაცებები ყოველთვის არის, მაგრამ სერიოზული არაფერია.

**— გარეგნულად ძალიან მკაცრი ჩანხარ. მამაკაცები როგორ გახასიათებენ, არ გეუბნებიან — უკარება ხარო?**

— კი, მეუბნებიან: ძალიან უკარება ხარ, ვიტანჯებით იმის გამო, რომ შენთან კონტაქტში ვერ შემოვდივართო... ამ შემთხვევაში, მე უცხოებს ვგულისხმობ, თორემ, მეგობრებში სულ სხვანაირი ვარ. რა ვქნა, ასეთი ვარ — მიჭირს უცნობებთან კონტაქტის დამყარება. მე სხვა ურთიერთობას ვგულისხმობ, თორემ ისე, რომც არ გიცნობდე, შეიძლება, პირველად მე შემოვიდე შენთან კონტაქტში, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მაგრამ როცა ისეთ მამაკაცს მოვწონვარ, რომელიც მე არ მომწონს, თავიდან მოშორების ასეთი მეთოდი მაქვს — მაშინვე ვეუბნები: თავი დამანებე, რა, და მოდი, აღარ დამირეკომეთქი. შეიძლება, უხეშად გამომდის, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. აბა, რბილად რომ ეტყვი, არ ესმის და რა ვქნა?! სხვათა შორის, ადრე ეს ხერხიც ვცადე — თხოვნით მიმიმართავს, რომ აღარ შევეწუხებინე და არ დაერეკა, მაგრამ ასეთი ტონი არ ჭრის და რაც ჭრის, იმას ვაკეთებ... იცი, რა, მე ბევრი მეკონტაქტება იმის გამო, რომ ჩემთან მეგობრობა სურს, მაგრამ ყველასთან ხომ ვერ ვიმეგობრებ! უბრალოდ, ფიზიკურად, ამის არც დრო მაქვს და არც — სურვილი. მე მყავს ცოტა, მაგრამ ნამდვილი მეგობარი, მათთან ბავშვობიდან ვმეგობრობ. თუმცა რამდენიმე, ახალი შეძენილიც მყავს. ასე რომ, მეგობრის ნაკლებობას არ განვიცდი.

**— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომ მოგეწონოს?**

— მამაკაცი უნდა იყოს ყურადღებიანი, სიმპათიური და ხელგაშლილი. არ მიყვარს მატყუარა კაცი. საშინელებაა,

**იცი, რა, მე ბევრი მეკონტაქტება იმის გამო, რომ ჩემთან მეგობრობა სურს, მაგრამ ყველასთან ხომ ვერ ვიმეგობრებ!**

როცა კაცი გატყუებს და თავისი ჭკუით, „გაბოლებს“. თუ კაცი უყურადღებოა, დიტანჯები. შეიძლება, უყვარდე, მაგრამ არ იმჩნევდეს, ეს საშინელებაა. ამას გარდა, მიყვარს ხელგაშლილი მამაკაცები, იმიტომ, რომ მე თვითონ არ ვარ „ჟმოტი“. მიყვარს, როცა ჩემ გვერდით მყოფი მამაკაცი თავისი ხელგაშლილობით ჩემს უახლოეს მეგობრებსაც ასიამოვნებს... მამაკაცს იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს. მოკლედ, კარგი ტიპი უნდა იყოს... რაც შეეხება გარეგნობას — ვინც კი მომწონდა, ვფიქრობ, ყველა ძალიან სიმპათიური იყო. ალბათ ამიტომ მგონია, რომ ჩემი ქმარი კარგი შესახედაობის უნდა იყოს. ვერ შევეგუები, რომ იყოს საშუალო. აი, ესეთი პრეტენზიული ვარ *(იცინის)*...

**— თუ სწორად გაგიგე, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მამაკაცის მატერიალურ მდგომარეობას...**

— იცი, რა, დღეს ისეთი დროა, რომ ფული ბევრ რამეს წყვეტს. რა თქმა უნდა, კარგია, როცა სიყვარულით გათხოვდები ისეთ ადამიანზე, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილია, მაგრამ მხოლოდ ფულის გამო ოჯახის შექმნა დაუშვებელია. ფულის გამო ვინც გათხოვდა და ცოლი მოიყვანა, ყველა დაიღუპა და თუ ჯერ არ დაღუპულა, აუცილებლად დაიღუპება — მინდა, ეს ყველამ კარგად დაიმახსოვროს. არავითარ შემთხვევაში არ დახამდეთ ფულს, ამით უდიდეს სისულელეს ჩაიდენთ. მთავარია სიყვარული. პირველ რიგში, ის ადამიანი უნდა გიყვარდეს, ვისთან ერთადაც აპირებ ცხოვრებას და არა მისი ფული.

**— ისე, ფულის ხარჯვა ალბათ გიყვარს...**

— კი. ფული თუ ჩამივარდა ხელში, შემიძლია, ერთ დღეში 1.000 დოლარი დავხარჯო. არ მენანება არავისთვის. ძალიან მიყვარს, როცა ჩემს მეგობრებს საჩუქრებს ვუკეთებ, მიყვარს მათი დაპატიჟება ბარში... მე რომ ფულს ავიღებ, მაშინვე წვრილმანებში მეხარჯება. უაზროდ მფლანგველი ვარ. ფული რომ ჩამვარდნია, ერთი სერიოზული რამ არ მიყიდია — სულ პაჭაპუჭა რაღაცებში ვხარჯავ, ვყიდულობ: შამპუნს, ლოსიონს, სუნამოს და მანქანისთვის — ბენზინს. აი ასეთი მხარჯველი ვარ...

**— ახლა ის მითხარი — თუ გიბრძოლია სიყვარულისთვის?**

— რა თქმა უნდა, მიბრძოლია, მაგრამ ეს „ომი“ ყოველთვის წამიგია. ამიტომ გადავწყვიტე, რომ სიყვარულისთვის ვიბრძოლებ, საერთოდ აღარაფერს მოვიმოქმედებ — დავჯდები ასე და დაველოდები თეთრ რაშზე ამხედრებულ უფლისწულს...

**— მიზანშეწონილად მიგაჩნია თუ არა ქორწინება ადრეულ ასაკში?**

— იცი, რა, ეს გამართლებაზეა: ზოგი, ადრეულ ასაკში დაქორწინებულები, ცხოვრების ბოლომდე ბედნიერები არიან. მაგრამ ეს ძალიან იშვიათია. ვინც კი ჩემ ირგვლივ ადრეულ ასაკში ოჯახი შექმნა, სამწუხაროდ, ყველას დაენგრა. ადამიანს ასაკთან ერთად, აზრიც და გემოვნებაც

მიყვარს ხელგაშლილი მამაკაცები, იმიტომ, რომ მე თვითონ არ ვარ „ჟმოტი“

ეცვლება. თუ მას ადრეულ ასაკში ასეთი ბიჭები მოსწონდა, დღეს სხვანაირები იზიდავს. ასევეა ბიჭიც. ჰოდა, იმ ბიჭს თავისი მეუღლე აღარ უნდა და სხვა გოგოები მოსწონს.

**— თაყვანისმცემლები ძალიან გაწუხებენ?**

— კი. ზოგი მირეკავს, ზოგი კი ქუჩაში მაჩერებს — რა ვიცი, უამრავი ხერხით ცდილობენ ჩემთან დაახლოებას. მაგრამ მე გოგოების იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც დღეს ერთ „პაკლონიკს“ წაჰყვებიან, ხვალ — მეორეს და ამით ერთობიან, მე ეს არ შემიძლია. თუ პირველი დანახვისთანავე ბიჭი არ მომეწონება, მე მას ვერსად ვერ გავყვები. შეიძლება, ერთხელ, ისიც — დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, — გავყვე კაფეში, მაგრამ მეორედ აღარ შევხვდები. რატომ უნდა ვიარო მასთან ერთად, როცა მაინც უნდა დავშორდე? ეს ხომ ჩემი მხრიდან მისი გამოყენება იქნება!..

**— შენი აზრით, რომელმა სიმღერამ მოგიტანა პოპულარობა?**

— პოპულარობა ჩემმა ბოლო კლიპმა მომიტანა, რომლის სახელწოდებაა „ჩუმად მინატრე“. ნამდვილად არ მეგონა, თუ ამ კლიპს ასეთი წარმატება ექნებოდა.

**— მომავალში, მსახიობობას აპირებ თუ მომღერლობას?**

— იცი, რა, მე მაინც მომღერალი ვარ და ჯერჯერობით, როგორც მსახიობს, არაფერი გამიკეთებია. ვიცი, რომ სიმღერა მეხერხება, აი, მსახიობური ნიჭი კი, ჯერ არ გამომიცდია. ვნახოთ, თუ ამაშიც გამოვდგები, ხომ კარგი, თუ არა და — შევეშვები მსახიობობაზე ოცნებას და მარტო მუსიკაზე ვიფიქრებ.

**— ამჟამად ხომ არ იღებს ფილმს რეჟისორი ერეკლე ბადურაშვილი და თუ აპირებს საკუთარი ქალიშვილის გადაღებას?**

— გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ დღეს რთულია ფილმის გადაღება, მამას შეიძლება, ამის სურვილი აქვს, მაგრამ საშუალება არ არსებობს. თუმცა, რაღაც პროექტზე მუშაობს, რომელსაც შეგნებულად არ დავაკონკრეტებ. ერთადერთს იმას გეტყვი, რომ ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მეც დამიძახა.

**— შენი მშობლებიდან უფრო მკაცრი რომელია?**

— მკაცრი არც დედა ყოფილა და არც მამა. ჩემ მიმართ ყველაზე მკაცრი ალბათ, ბაბუაა *(იმედა კახიანი. — ავტ.)*. ერთი შეხედვით, ის ძალიან რბილია, მაგრამ ეს ასე არ არის. მე უკვე წინასწარ ვიცი, მას რა მოეწონება და რა — არა. აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ისე ვიქცევი, როგორც მას სურს.

**— როგორი ურთიერთობა გაქვს მამასთან?**

— ძალიან კარგი. შაბათ-კვირას ხომ სულ მასთან ვრჩები!.. სხვათა შორის, მამის მხრიდან ძალიან კარგი ბებია, ბაბუა და ბიძა მყავს. მე ისინი ძალიან მიყვარს.

**— ამჟამად რას საქმიანობ და მომავალში რას აპირებ?**

— ამჟამად დაკავებული ვარ, როგორც სასიმღერო კარიერით, ასევე კინოთი: გიო მგელაძე იღებს ფილმს, სადაც მე ერთ-ერთ როლზე ვმუშაობ. სხვათა შორის, არის საუბარი სერიალზეც, მაგრამ ამას ჯერ ვერ ვიტყვი. რაც შეეხება სიმღერას — ჩავწერე თაკო გაჩეჩილაძესთან დუეტი და ვმუშაობ ახალ სიმღერაზე. სულ მალე — ალბათ 25-ში, — ისრაელში წავალ, რათა კონცერტი ჩავატაროთ მე და ჩემმა კოლეგებმა, ისრაელში გახსნილი, ქართული ტელეარხის იუბილეზე. მომავალში შეიძლება, კიევშიც წავიდე. ვნახოთ, რა იქნება. ამას მომავალი გვიჩვენებს. ■


**დიპლომატიური აკადემია**

**ბაკალავრიატი, მაგისტრატურა:**

საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო სამართალი

**მისამართი: ალ. ყაზბეგის №34**

**39 81 72; 39 04 94; 23 23 38**

**www.diplomaticacademy.ge**

***მუშაობს სკოლა-ლიცეუმიც***

# ყელგამოჭრილი გვამი მკვლელობაზე სუფსაში გაიგზავნეს „მთვრალი ვიყავი და შევცდი...“ — ასე იმართლა თავი დამნაშავემ შვილის წინაშე

**საზარელი მკვლელობისთვის, რომელიც ვანის რაიონში 2000 წლის ზაფხულში მოხდა, უზენაესმა სასამართლომ 2 განსასჯელი გაასამართლა. პროკურატურის ინფორმაციით, ანგარების მიზნით, მათ სადისტურად გამოასალმეს სიცოცხლეს ვანის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის ყელგამოჭრილი გვამიც, კვალის დასაფარავად, მდინარე სუფსაში გადააგდეს. აღნიშნული ბრალდება გამოძიების შემდეგ სასამართლომაც დაადასტურა. განსასჯელთაგან ერთ-ერთი — მ. არველაძე წარსულში რამდენჯერმე გახლდათ ნასამართლევი, განზრახ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულისთვის. ამ მკვლელობის შემდეგ კი, სასამართლომ ის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტადაც ცნო.**

## *მეგი ცანავა*

დამამძიმებელ გარემოებებში, ჯგუფურად და ანგარებით ჩადენილი მკვლელობის გარდა არველაძე და მისი თანამზრახველი — ო. თვალაბეიშვილი პროკურატურამ ყაჩაღურ თავდასხმასა და სხვისი მოძრავი ნივთის მითვისებაში დაადანაშაულა. არველაძეს, ყველაფერთან ერთად, სამართალდამცველებმა ქურდობის მუხლიც მიუყენეს.

ოფიციალური ცნობების თანახმად, არველაძე პირველად ლანჩხუთის რაიონულმა სასამართლომ 1992 წელს გაასამართლა და ჩადენილი ქურდობისთვის მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (ის ვადაზე ადრე გაათავისუფლეს). მეორედ ის სამსჯავროს წინაშე ისევ ქურდობის გამო, 1996 წელს წარდგა. ამჯერად მას სასჯელის ზომად 5 წლითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. 1999 წელს პატიმრობიდან გათავისუფლებულმა არველაძემ მორიგი დანაშაული ჩაიდინა. სამართალდამცავების თქმით, იგი ნაქურდალი ნივთების რეალიზაციის შედეგად აღებული ფულით ირჩენდა თავს. პირველი ქურდობა, რომლის შესახებაც პოლიციისთვის გახდა ცნობილი, მან ლანჩხუთში ჩაიდინა. არველაძემ ლანჩხუთის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული შენობიდან შვიდი ცალი ალუმინის წყლის საწრეტი მილი ჩამოხსნა. გამოძიების ინფორმაციით, მილების ღირებულება 294 ლარს შეადგენდა. არველაძემ ნაქურდალი ლანჩხუთის რაიონის „სოფლტექნიკის“ ტერიტორიაზე გადაიტანა, იქ მილები დაჭრა და მეორე დღეს დაბა მახინჯაურში ფერადი ლითონების მიმღებს — გამოძიებით დაუდგენელ პირს ჩააბარა.

ზემოთ აღნიშნულ მკვლელობამდე, როგორც საქმის მასალებშია მითითებული, არველაძემ კიდევ ერთი ქურდობის ჩადენა მოასწრო. 2000 წლის ივნისის დასაწყისში, მან ლანჩხუთში მდებარე, მოქალაქე ზ. ქანთარიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური ამოიღო მიზანში და ღამით, დაახლოებით 3-ის ნახევარზე იქიდან სხვადასხვა ნივთი მოიპარა.

იმავე თვეში არველაძე თავის მეგობარს, ვანის რაონის მკვიდრს — თვალაბეიშვილს დაუკავშირდა და მასთან ერთად ყაჩაღური თავდასხმის გეგმა შეადგინა. თუმცა, ვიდრე გეგმის განხორციელებას შეუდგებოდნენ, ცხენების გაყიდვის მიზნით, სოფელ ყუმურიდან ჩოხატაურის რაიონში წავიდნენ. ადგილობრივი მცხოვრების, კეკელიძეების ოჯახში გაათენეს ღამე და იმდენი გულისხმიერება გამოიჩინეს, რომ ოჯახის დიასახლისს მეორე დილით ყანის გამარგვლაშიც კი მიეხმარნენ. სამაგიეროდ, კეკელიძეები მათ სადილით გაუმასპინძლდნენ. სუფრასთან არველაძემ და თვალაბეიშვილმა ალკოჰოლური სასმელიც დალიეს და მთვრალებმა, დაახლოებით საღამოს 8 საათისთვის, დატოვეს კეკელიძეების ოჯახი. გზაში შეხვდათ ჩოხატაურის რაიონის მკვიდრი — ო. ახალაძე, რომელიც, ცხენზე ამხედრებული, მთისკენ პირუტყვს მიერეკებოდა. არველაძემ და თვალაბეიშვილმა იფიქრეს, რომ მათი დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ხელსაყრელი მომენტი დადგა და ახალაძეზე თავდასხმა გადაწყვიტეს: გააჩერეს იგი და დანის მუქარით მოსთხოვეს, ცხენი და სხვა ნივთები გადაეცა მათთვის. ახლაძე იოლად დანებებას არ აპირებდა და ბოროტმოქმედებს დაუყვირა: ყაჩაღებო, მომშორდით თავიდანო! მაშინ არველაძემ და თვალაბეიშვილმა ძალადობას მიმართეს და ახალაძეს ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს. წინააღმდეგობის გაწევისას მიხვდნენ, რომ ის მათ მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდა და ამიტომაც მისი მოკვლა განიზრახეს. თვალაბეიშვილმა ახალაძეს ხელები გაუკავა და ამით თანამზრახველს საშუალება მისცა, დაზარალებულისთვის დანით მიეყენებინა დარტყმები. გაკავებულ ახალაძეს არველაძემ ყელი გამოსჭრა. *„ახალაძეს არ ვიცნობდი... შელაპარაკებისას თვალაბეიშვილმა ის გამიკავა, მე კი დანა გამოვუსვი კისერში და მოვკალი“*, — აღნიშნა მოგვიანებით, ბრალდებულის სახით დაკითხვისას არველაძემ. დაჭრის შედეგად ახალაძეს საძილე არტერია დაუზიანდა და ძლიერი სისხლდენის გამო, ადგილზევე გარდაიცვალა.

დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, არველაძემ და თვალაბეიშვილმა ახალაძის გვამი შემთხვევის ადგილიდან 29 მეტრის მოშორებით, მდინარე სუფსაში გადაგდეს. ბრალდებულის სახით დაკითხვის დროს, არველაძემაც და თვალაბეიშვილმაც აღნიშნეს, რომ მკვლელობა გზის პირას მოხდა. მაგრამ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, გამოძიებით სხვა რამ დადგინდა, კერძოდ: მკვლელობა გზიდან 24 მეტრის მოშორებით, მინდორში მოხდა. სწორედ იქ აღმოაჩინეს პოლიციელებმა სისხლის გუბე. ბალახზე, გუბიდან წამოსული, სისხლიანი ნაკვალევის ზოლიც აღინიშნებოდა, რომლის სიგრძე 29 მეტრს აღწევდა და მდინარის ნაპირთან წყდებოდა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს პოლიციელებმა სისხლიანი პერანგი, კალოშები, ჯიბის დანა და პოლიეთილენის პარკი იპოვეს.

მკვლელობის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა ახალაძის კუთვნილი ცხენი თავისი აღკა-

ზმულობით და მოკლულის პირადი ნივთები მიითვისეს (მათ შორის, ახალაძის საგზალიც) და ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, ო. თვალაბეიშვილის ოჯახში მიიტანეს. ცხენიც იქვე დატოვეს და მოკლულის სხვა ნივთებიც, დანაშაულის იარაღი – დანა კი თვალაბეიშვილმა თავის მეუღლეს გადასცა შესანახად.

დაზარალებული, **თ. ახალაძე**, მოკლულის მეუღლე:

*„ჩემი ქმარი 21 ივნისს, დაახლოებით დილის 10 საათისთვის გავიდა შინიდან. საქონელი წაიყვანა – ორი სული ხარი და ერთი ძროხა. პირუტყვი ალპურ საძოვრებზე მიჰყავდა. თავად ცხენზე იყო ამხედრებული. სახლიდან საჭმელიც წაიღო – მოხარშული ქათამი, პური, 4 ცალი კიტრი, დაახლოებით 5 ლიტრი ღვინო და ერთ ლიტრამდე არაყი. სახლიდან ჩემმა მაზლმა გააცილა. მესამე დღეს, თანასოფლელებმა მომიტანეს ამბავი, თქვენი საქონელი სოფელში, უკან დაბრუნებული ვნახეთო. ჩემი ქმარი შინ სამ დღეში – შაბათს საღამოს უნდა დაბრუნებულიყო. თავად რომ არ გამოჩნდა, ვიფიქრე, ალბათ საქონელი გზაში გაებნა და ეძებს-მეთქი. მეორე დღეს – 25 ივნისს შემატყობინეს, რომ ის მდინარე სუფსაში მკვდარი იპოვეს...“*

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ახალაძის სიკვდილის უშუალო მიზეზი, მწვავე ზოგადი სისხლნაკლებობა გახლდათ. ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ საძილე არტერიასთან ერთად კისრის ღრმა კუნთებიც სრულად იყო გადაკვეთილი. ამას გარდა, გვამზე, მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით მიყენებული დაზიანებები, ნაჭდევები და სისხლჩაქცევებიც დაფიქსირდა. თუმცა, მათივე თქმით, აღნიშნული დაზიანებები მსუბუქი ხარისხის და ამასთანავე, სიცოცხლის დროინდელი იყო.

სამართალდამცავებს ჩვენება ბრალდებულის – თვალაბეიშვილის მეუღლემაც მისცა:

*„21 ივნისს, ჩემი მეუღლე ჩვენს ახლობელთან – არველაძესთან ერთად სოფელ ზემოსურებში წავიდა. ორ დღეში უკან დაბრუნდნენ. დაახლოებით დილის 7 საათი იქნებოდა, როცა შინ მოვიდნენ. თან ცელოფანის პარკი მოიტანეს. შიგნით მოხარშული ქათამი, სამი ცალი პური და ამდენივე კიტრი იდო. გაკვირვებულმა როცა ვკითხე – საიდან-მეთქი? – მიპასუხეს – ზ. კეკელიძემ გამოგვატანაო. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გადმოცემით ვიცოდი, რომ ჩემი ქმარი და არველაძე მას ყანის დამუშავებაში დაეხმარნენ. ამის შემდეგ შევამჩნიე, რომ არველაძეს „საროჩკაზე“ სისხლი ჰქონდა. ვკითხე – სისხლი რატომ გაქვს-მეთქი? – მიპასუხა – ცხვირიდან წამსკდაო. მაშინვე მთხოვა – იქნებ, გამირეცხოო, – და პერანგი გაიხადა. იმავე საღამოს, სრულიად შემთხვევით მოვისმინე მისი და ჩემი ქმრის საუბარი. რაღაც ცხენზე საუბრობდნენ, შემდეგ ყური მოვკარი, თუ როგორ უთხრა არველაძემ ჩემს მეუღლეს – ის ცხენი მოკალიო. რომელ ცხენზე ლაპარაკობდნენ, ვერ გავიგე. ერთი კვირით ადრე, ვიდრე ჩემ ქმარს დააკავებდნენ, არველაძე მოვიდა და წითელტარიანი დანა მოიტანა. მითხრა – ეს დანა შეინახე, სიმთვრალეში ცუდი ხასიათი მაქვს და მეშინია, ცუდად არ გამოვიყენოო. დანა მაშინვე გამოვართვი და ღუმლის „დუხოვკაში“ შევინახე. შემდეგ ეს იარაღი პოლიციის თანამშრომლებს გადავეცი. რაც შეეხება ცხენის უნაგირსა და ლაბადას, ეს მანამ არ მინახავს, სანამ პოლიციამ არ ამოიღო საყანე ფართობიდან. არც მკვლელობის შესახებ ვიცოდი რამე. არც არველაძეს, არც ჩემს ქმარს ამის თაობაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ.“*

სამაგიეროდ, როგორც ჩანს, ჩადენილი დანაშაული თვალაბეიშვილმა შვილის წინაშე აღიარა და მოინანია. ეს სწორედ მისი ქალიშვილის **მ. თვალაბეიშვილის** დაკითხვის ოქმშია აღნიშნული:

*„მამაჩემი ივლისის თვეში დააკავეს. მას ჩოხატაურის შს რაიგანყოფილებაში შევხვდი და ვკითხე – რატომ ჩაიდინე მკვლელობა-მეთქი? მიპასუხა – მთვრალი ვიყავი და შევცდი, უბედური მყავდა გვერდში და მას დავეხმარეო...“*

ბრალდებას კიდევ ერთი მოწმე ჰყავდა – რ. ხუჭუა. იგი ამბობდა, რომ მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, ივლისში, სოფლის გზაზე მას თვალაბეიშვილი შეხვდა. *„თან ხელით მოჰყავდა დაბალი ტანის, ღია წაბლისფერი ცხენი. ცხენი დედალი იყო, ახალგაზრდა – დაახლოებით 8-9 წლისა. მომეწონა და შევთავაზე – ჩემს ცხენში გამიცვალე-მეთქი. მითხრა – ეს ცხენი ვიყიდე, მაგრამ პატრონისთვის ფული ჯერ კიდევ არ მომიცია, ის საშველს არ მაძლევს, ფულს მთხოვს და ამიტომაც, გადაგიცვლი და ვეტყვი, შენი ცხენი დავკარგე-მეთქი. აღსანიშნავია ისიც, რომ ცხენი მარღი იყო, ანუ მარცხენა თვალი სხვა ფერის – ცისფერი ჰქონდა, ხოლო ცალი ყური სამკუთხედად ჩაჭრილი“*, – განაცხადა ჩვენებისას ხუჭუამ. მის მიერ აღნიშნული დამახასიათებელი ნიშნების შედეგად დაადგინეს, რომ ლაპარაკი იყო სწორედ იმ ცხენზე, რომლის გამოც არველაძემ და თვალაბეიშვილმა ასე სადისტურად მოკლეს ახალაძე. თვალაბეიშვილის საქციელით, როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა მისი თანამზრახველი, მაშინ, როცა არველაძე თვალაბეიშვილს ცხენის მოკვლასა და ამით დანაშაულის კვალის მოსპობას ურჩევდა, თვალაბეიშვილმა ცხენი გაყიდა და ამით, ფაქტობრივად, ხელში ჩაუვარდა სამართალდამცავებს. ჩოხატაურის შს რაიგანყოფილებაში ბრალდებულ არველაძისგან ამოიღეს მის მიერ თვალაბეიშვილისათვის მიწერილი ბარათი, რომელიც მის განაწყენებას ადასტურებდა. არველაძე წერდა: *„ცხენის გაყიდვით როგორც გახსენი, ისე აიღე საქმე შენს თავზე. სასამართლოს კი აჩვენე, რომ ჩვენ საერთოდ არ ვყოფილვართ ერთად“.*

სასამართლო პროცესზე არველაძემ მართლაც, არ ცნო თავი დამნაშავედ, თუმცა ისე მოხდა, რომ დანაშაული თავად აიღო საკუთარ თავზე:

*„21 ივნისს, სოფელ თავსურებში მცხოვრები კეკელიძეების ოჯახიდან წამოსვლის შემდეგ, მე და თვალაბეიშვილი წავკამათდით, ვიჩხუბეთ და დავშორდით ერთმანეთს. გზაზე ცხენზე ამხედრებული უცნობი (როგორც შემდეგ შევიტყვე – ახალაძე) შემომხვდა. ყაჩაღი ვეგონე და ჩხუბი დამიწყო. რადგანაც, ის ჩემზე გაცილებით ძლიერი იყო ფიზიკურად, მისი მოგერიება გამიჭირდა და ამის გამო იძულებული გავხდი, ჯიბიდან დანა ამომეღო. კისერში ჩავარტყი და ის ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ გვამი მდინარეში გადავაგდე. წამოვიყვანე გარდაცვლილის ცხენი და სოფლისკენ წავედი. გზაში თვალაბეიშვილს წამოვეწიე. მას მომხდარის შესახებ ვუამბე. მის ოჯახში მისვლის შემდეგ, თვალაბეიშვილის მეუღლეს შეკითხვაზე ვუპასუხე, რომ ცხენმა გადმომაგდო და ამიტომაც ვიყავი გასისხლიანებული“...*

იგივე ჩვენება მისცა სასამართლოს თვალაბეიშვილმა. არველაძემ წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებში არსებული განსხვავებები ასე ახსნა: *„მამხილებელი ჩვენებები თავად მოვიგონე, რადგან სამაგიეროს გადახდა მინდოდა თვალაბეიშვილისთვის, რომელმაც თავდაპირველად, დანაშაულში მამხილა“.* თვალაბეიშვილმა კი აღნიშნა, რომ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები ყალბია და მას ყველაფერი იძულებით დააწერინეს პოლიციელებმა. *„პოლიციელები მცემდნენ და მაშინებდნენ, ჩემგან არველაძის მხილებას მოითხოვდნენ“*, – განაცხადა მან სასამართლო პროცესზე. მაგრამ სასამართლომ არც ერთი, არც მეორე განსასჯელის სიტყვები სარწმუნოდ არ მიიჩნია. კოლეგიის აზრით, მათ ჩვენებებში დაფიქსირებული წინააღმდეგობები მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობაზე მოწმობს. გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ ჩადენილ მკვლელობაში ორივე

განსასჯელი დამნაშავედ ცნო.

თუმცა არველაძის ბრალი მხოლოდ ამ მკვლელობით არ ამოიწურებოდა. პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელის მიერ ჩადენილი ქურდობების ხუთი სხვადასხვა ეპიზოდი წაიკითხა. პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობიდან დაახლოებით თვე-ნახევარში, მიმალვაში მყოფმა არველაძემ, ლანჩხუთის რაიონის ე.წ. გოგოჩალეს ტერიტორიაზე არსებული კარვიდან, რომელიც მოქალაქე ო. ებრალიძეს ეკუთვნოდა, 60 ლარად ღირებული ველოსიპედი „უკრაინა" მოიპარა. რამდენიმე დღეში, ქ. ლანჩხუთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ჩაიდინა მორიგი ქურდობა. როგორც ირკვევა, მან ფრიად უცნაურ ხერხს მიმართა: 2000 წლის 9 აგვისტოს სადამოს, ჩაის ფაბრიკის საგუშაგო ჯიხურის გაქურდვა გადაწყვიტა და ამისთვის სპეციალურად ბამბუკის ჯოხით შეიარაღდა. ამ ჯოხის საშუალებით ფანჯრიდან 5 ნივთი მოიპარა, მათ შორის – პისტოლეტიც. მეორე დღეს, ლანჩხუთის მკვიდრის – ჩხაიძის საკარმიდამო ნაკვეთიდან 40-ლარიანი ველოსიპედი „სალუტი" გაიტაცა. 4 დღეში კი, ვანის რაიონის სოფლის საშუალო სკოლაც გაქურდა. სკოლის დირექტორის ნ. ახობაძის თქმით, დილით სკოლაში მოსულს თავისი კაბინეტის, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკის კარები ღია დახვდა. როცა ოთახები დაათვალიერა, მიხვდა, რომ სკოლა გაძარცული იყო. პოლიციას მაშინვე აცნობა და გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ იქიდან დაახლოებით 141 ლარის ღირებულების ნივთები იყო წაღებული.

პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა, განსასჯელის უფროსმა ძმამ **შ. არველაძემ** დაადასტურა ქურდობის ფაქტები:

*„ჩემი ძმა წარსულში ორჯერ გასამართლეს ქურდობისთვის. ამის გამო, თუკი რაიონში რომელიმე პიროვნებას ან ობიექტს გაქურდავდნენ, ეჭვი ჩემს ძმაზე მოჰქონდათ. მეც განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენდი მის მიმართ და ვცდილობდი, გამეკონტროლებინა. 2000 წლის ივნისში, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, გვიან ღამით დაბრუნდა შინ და თან სხვადასხვა ნივთით სავსე მუყაოს ყუთი მოიტანა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. გავუწყერი – ეს ნივთები, ვიცი, მოპარული გაქვს და საიდანაც მოიტანე, იქ წაიღე, სასწრაფოდ პატრონს დაუბრუნე-მეთქი. ამის შემდგ, სამსახურში წავედი. შინ რომ დავბრუნდი, ცოლმა მითხრა – მეზობელი იყო მოსული, მისი სავაჭრო ჯიხური გაუქურდავთ და ეჭვი შენს ძმაზე აქვსო. მაშინვე წავედი და იმ მეზობელს შევხვდი. ავუხსენი – თუკი რაიმე პრეტენზია გაქვს, პოლიციას მიმართეთ და იქ ყველაფერს გაარკვევენ, მანამდე კი, ნურავის ადანაშაულებ-მეთქი. იქიდან წამოსულს, ჩემი ძმა შემხვდა, ველოსიპედით იყო, მითხრა – მეორე ველოსიპედი სტადიონთან მაქვს დატოვებული და ორივე შინ წაიღეო. მივხვდი, რომ მოპარული ჰქონდა, ამიტომაც ორივე ველოსიპედი პოლიციას ჩავაბარე"...*

განსასჯელმა არველაძემ ქურდობის მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდში ცნო თავი დამნაშავედ. რაც შეეხება სასამართლო შენობისა და საშუალო სკოლის გაძარცვის ფაქტებს, აღნიშნა, რომ მას ეს დანაშაულები არ ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგიამ პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება ყველა ნაწილში დაადასტურა. ჩადენილი დანაშაულებისთვის, მათ შორის მკვლელობისათვის, არველაძეს 22 წლით, ხოლო თვალაბეიშვილს – 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ორივე მსჯავრდებული, განაჩენის თანახმად, სასჯელს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის.

■

## რუსთავში სკოლების გაქურდვა გახშირდა

რუსთავის განათლების განყოფილების უფროსის – ეთერ ჭიპაშვილის განცხადებით, ბოლო დროს ქალაქ რუსთავში სკოლების გაქურდვის ფაქტი გახშირდა. მისი ინფორმაციით, გასულ კვირას მე-12 და 21-ე საშუალო სკოლები გაქურდეს და დაარბიეს. „ქურდებს დარაჯები ვერ უმკლავდებიან. ერთ-ერთი ქურდობის დროს ბოროტმოქმედებმა სასტიკად სცემეს სკოლის დარაჯი. მე-12 საშუალო სკოლაში ქურდებმა საკლასო ოთახები დაარბიეს, გატეხეს სეიფები და წაიღეს ფერადი ტელევიზორი. 21-ე სკოლაში კი ოთახების დარბევასთან ერთად დოკუმენტაციაც დაწვეს. მაგალითად, კლასიკურ გიმნაზიაში საერთოდ გაანადგურეს სკოლის საბუთები", – აცხადებს ჭიპაშვილი. მისი თქმით, საქმის კურსშია პოლიცია, თუმცა, დამნაშავეთა ვინაობა ჯერ არ დაუდგენიათ.

## თბილისის საპყრობილეები ნორვეგიელებმა დაათვალიერეს

11 აპრილს თბილისის №1 საპყრობილე და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 ქალთა დაწესებულება ნორვეგიის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ნორვეგიის ელჩი საქართველოსა და აზერბაიჯანში – შპაინერ გილი, ნორვეგიის იუსტიციის სახელმწიფო დეპარტამენტის გენერალური მდივანი – როტენ რუდი და ნორვეგიის იუსტიციის სახელმწიფო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი – კარენ გუგე. ვიზიტის მიზანი საქართველოში პენიტენციარულ სისტემაში არსებული მდგომარეობის გაცნობა გახლდათ. „ამას გარდა, ვიზიტის მიზანი ნორვეგიის გამოცდილების გაზიარება და ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაა, როგორც სამართლებრივ, ასევე ტექნიკური დახმარების სფეროებში", – აღნიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ – ეკატერინე ტყეშელაშვილმა.

## 27 წლის ახალგაზრდა, მეგობარი ქალის სადისტური მკვლელობისთვის დააკავეს

რამდენიმე დღის წინ, ხარაგაულში საშინელი მკვლელობა მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, 27 წლის პავლე კაკუშაძემ მეგობარი ქალი – 26 წლის ნანა ჭრელაშვილი სადისტურად გამოასალმა სიცოცხლეს, ჯერ თოკით დაახრჩო იგი, შემდეგ მოკლული საბანში გაახვია და სახლის ეზოში დამარხა. იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ეჭვმიტანილი კაკუშაძე 12 აპრილს დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ის საჩხერელია, ხოლო მოკლული წარმოშობით ჭიათურიდან გახლდათ. გამოძიების ვერსიით, მკვლელობა შემდეგ ვითარებაში მოხდა: პაატა კაკუშაძემ მეგობარი ქალი თავისი ნათესავის – გიგა კაკუშაძის აგარაკზე მიიპატიჟა. წყვილმა აგარაკზე ღამე გაათია. სამართალდამცავთა ვარაუდით, მათ შორის სწორედ ამ დროს მოხდა შელაპარაკება, რის ნიადაგზეც გაბრაზებულმა კაკუშაძემ მკვლელობა ჩაიდინა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება.

■

# ნოდარ ნათაძე: „...გეგმა, რომელიც პრეზიდენტს წამოსცდა“



**„სახალხო ფრონტის“ ფილოსოფოსი ლიდერი ამჯერად ჩვეული გულახდილობით და ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდა. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, — და ახალი კოალიციის შექმნა განუზრახავს. ოღონდ, ნოდარ ნათაძე ჯერჯერობით „თანამზრახველს“ არ ასახელებს. გვიმხელს იმას, რომ ეს ის ძალა იქნება, რომელიც ხელისუფლებას ჩაენაცვლება. „მიზანი ერთია, დიადი, ნათელი“ — საქართველოს ბედნიერი მომავალი — თითქმის ისეთივე, როგორიც მოქმედ ხელისუფლებას ჰქონდა დეკლარირებული, ძალაუფლების ხელში აღებამდე.**

## ნანა ფიცხელაური

**— ბატონო ნოდარ, როდის გახსნის „ფრონტს“ „სახალხო ფრონტი“?**

— ჩვენ ვმუშაობთ ეროვნული მიმართულების, ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებაზე, რის შემდეგაც ერთად ვიმოქმედებთ კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებით.

**— რომელ ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებს და რა კონკრეტულ ამოცანებს გულისხმობთ?**

— არსებობს რამდენიმე გაერთიანება, მათი ჩამოთვლა არ მინდა... ზუსტად ჩვენი პოზიციის აწ უკვე შექმნილი არც ერთი კოალიცია არ არსებობს. ჩვენ გვინდა უფრო ფართო და რადიკალური პუნქტების მომცველი კოალიციის ჩამოყალიბება.

**— ხელისუფლება არ არის ეროვნული?**

— ამ ხელისუფლებას არავითარი ეროვნული ნიშანი არ გააჩნია. ეს არის სრულიად ანტიეროვნული ხელისუფლება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აპირებენ ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვას. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წელიწადში, ქართველი ერი იქცევა ბოგანოდ — უმიწაწყლო, უსახლკარო ადამიანების ბრბოდ. აქამდე ერთი არ „დაუკნავლიათ“ დსთ-დან გამოსვლაზე. განათლებაა და მიზანმიმართულად ანგრევენ, ეკონომიკა დააქციეს და ობიექტებს ყიდიან. სახელმწიფო მინისტრად პა-

# კაფსიკამი

## შვების მომგვრელი სითბო და... ტკივილი უკვალოდ ქრება!

ვის არ განუცდია ტკივილი? იგი ერთგვარი სიგნალია, რომელიც ორგანიზმში არსებული პრობლემის, კერძოდ კი, ქსოვილების დაზიანების შესახებ გვამცნობს. მას დამცველობითი ფუნქცია აქვს და გვაფრთხილებს, რომ მტკივნეულ ადგილს შველა ესაჭიროება.

თანამედროვე ცხოვრება ნამდვილად არ გვანებივრებს: საათობით გვიწევს კომპიუტერთან ჯდომა, თუ არა და საჭესთან თითქოს კომფორტულად მოკალათებულნი კილომეტრებს ვლაშქრავთ. ყოველივე ამის გამო კი ჩვენს ხერხემალს, კისრის კუნთებს, მყესებსა და იოგებს დაძაბულ რეჟიმში უხდებათ მუშაობა. თავისთავად, არც ტკივილი აყოვნებს და შეტევაზე გადმოდის: ხან კისერი გვტკივა და თავის შემობრუნება გვიჭირს, ხანაც წელგაშეშებულები და მოხრილები დავდივართ. დამნაშავე ამ შემთხვევაში ყველასთვის კარგად ნაცნობი რადიკულიტი და ოსტეოქონდროზია. ტკივილი ზოგჯერ ამითაც არ კმაყოფილდება და საკმარისია ყოველდღიური საქმიანობით გართულებს გრილმა ნიავმა დაგვიბეროს, რომ "შეციებული" კუნთი და ნერვი გაუსაძლის ტკივილს იწყებს.

თანამედროვე ადამიანის კიდევ ერთი პრობლემა სახსრების ტკივილია, რომელიც ზოგჯერ ისეთი სიძლიერით იჩენს თავს, რომ გასაქანს აღარ გვაძლევს და იძულებულს გვხვდის უარი ვთქვათ საყვარელ საქმიანობაზე.

მაინც, რომელი დაავადებები არ ინდობს ჩვენ სახსრებს? ესენია: რევმატოიდული ართრიტი, რევმატიზმი, ისევ და ისევ რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი. ყველა შემთხვევაში თავს იჩენს ტკივილი, რომელიც ზოგჯერ იმდენად აუტანელია, რომ ნაბიჯის გადადგმის საშუალებასაც არ გვაძლევს. თუკი ამას თან მიალგია (კუნთოვანი ტკივილი) ან ნევრალგია (ტკივილი ნერვის გაყოლებაზე) დაერთო თან, თავად განსაჯეთ, თუ რაოდენ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება ადამიანი — მას უჭირს მოძრაობა, ელემენტარული სამუშაოს შესრულება, უეცრად, არსაიდან მოვლენილი ტკივილი კი სულ უფრო და უფრო შემაწუხებელი ხდება...

რაც არ უნდა იწვევდეს ტკივილს, დაზიანებული სახსარი, დაჭიმული და შეციებული კუნთი თუ ნერვი, მასთან ბრძოლა აუცილებელია — შემაწუხებელ ტკივილს დაამება და სითბო აუცილებლად სჭირდება.

სწორედ ასეთ დროს მხსნელად გვევლინება კაფსიკამი — გამახურებელი მალამო ტკივილგამაყუჩებელი ეფექტით.

კაფსიკამი თავისი გამახურებელი ეფექტის წყალობით გაგითბობთ და დაგიამებთ მტკივნეულ უბანს. იგი საშუალებას მოგცემთ მალევე იგრძნოთ შვება და გამოემშვიდობოთ შემაწუხებელ ტკივილს.

კაფსიკამი, გარდა იმისა, რომ აყუჩებს ტკივილს და ავლენს გამახურებელ მოქმედებას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ხსნის კუნთოვან დაჭიმულობას.

ამრიგად, კაფსიკამი გამოიყენება, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რადიკულიტის, ნეკნთაშუა ნევრალგიის, შაკიკის, რევმატოიდული ართრიტის, ოსტეოქონდროზის და მიოზიტის დროს. თუმცა კაფსიკამის დამსახურებანი მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება. მან ფართო გამოყენება ჰპოვა სპორტულ მედიცინაში. იგი საუკეთესო გამახურებელი საშუალებაა მასაჟის დროს — ხსნის კუნთების სპასტიკურ დაჭიმულობას, აღადგენს ქსოვილების მიკროცირკულაციას. გარდა ამისა, გაგათავისუფლებთ ტრავმის შედეგად განვითარებული დაჭიმულობის, ღრძობის, ქსოვილების დაძაბულობის, კუნთებისა და სახსრების ანთებისა და ტკივილისგან.

**კაფსიკამი — შეიგრძენით შვების მომგვრელი სითბო და დაემშვიდობეთ ტკივილს!**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 25 00 99, 96 72 27**

„ავერსი-ფარმა“, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/2

**პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას**

თოლოგიური ანტიქართველი და პათოლოგიური თაღლითი ბენდუქიძე ჰყავთ. ამ ხელისუფლებას არც ერთი პლუსი არა აქვს, საპატრულო პოლიციის გარდა, რაც ყელში ამოგვიყვანეს. არაფერი შეუქმნიათ – სულ ნგრევას ემსახურებიან.

**— მახსოვს, ერთხანს, თქვენი სიმპათიები საკაშვილის მხარეს იხრებოდა და დიდ იმედებსაც ამყარებდით მასზე. ასეთმა გამოცდილმა პოლიტიკოსმა, როგორ ვერ გათვალეთ, რა იქნებოდა ერთი წლის შემდეგ?**

– ვიცოდი, ვინ იყო ჟვანია და რა იყო მისი გუნდი. ვიცოდი, შევარდნაძე და მისი „მოქკავშირი". რაც შეეხება პირადად მიხეილ საკაშვილს, იმედი მქონდა, ეყოფოდა

ჩვენ შევიმუშავეთ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების კონცეფცია – ყველა ნაბიჯი გათვლილია (პარლამენტარ ვალერი გელბახიანთან ერთად)

საკუთარი პოტენციალი, რათა სხვა, უკეთესი გზით წასულიყო. როგორც აღმოჩნდა და ვხედავთ, მას ეს პოტენციალი არა აქვს. იმედი გამიცრუვდა. მიშამაც და ამ ხელისუფლებამაც ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები – არაფერი პოზიტიური არ ხდება.

**— თუ ასეა, ვინ მიგაჩნიათ ისეთ სერიოზულ ძალად, რომელიც ამ დღევანდელ მმართველ ჯგუფს ჩაანაცვლება?**

– გითხარით, რომ ამ პარტიების ჩამონათვალს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ეს არის ერთადერთი სუბიექტი, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების საკრებულო, რომელსაც შეუძლია, ჩანაცვლოს ამ ხელისუფლებას და ჩანაცვლება კიდეც.

**— გამოდის, პირველად ჭირდა, თორემ ახლა ყოველ წელს შეგვიძლია ვცვალოთ ხელისუფლება?**

– როდესაც არ ვარგა ხელისუფლება, უნდა შეიცვალოს, თუგინდ ეს დღეში ორჯერ იყოს საჭირო, რაც არ ვარგა, უნდა გადააგდო, მოიცილო.

**— რომელი ხელისუფლება ვარგოდა?**

– ეს არ ვარგა, შევარდნაძის ხელისუფლება არ ვარგოდა. გამსახურდია წელიწად-ნახევარი იყო და ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ რაღაც გაკეთებულიყო. ყოველ შემთხვევაში, გამსახურდია ისე წავიდა, ვალები არ დაუტოვია, საქართველოს სტრატეგიული ობიექტები არ გაუყიდია და არანაირ კაპიტულანტურ ხელშეკრულებაზე არ მოუწერია ხელი. ის ხელისუფლებიდან და ამ ქვეყნიდან სუფთა წავიდა – ქვეყნის ერთგული კაცი იყო. ესენი კი მოღალატეები არიან. სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და პრეზიდენტის უფლებამოსილებანი მკვეთრად შეიზღუდოს. იმ აზრზე ვარ, რომ საპრეზიდენტო მმართველობას ბევრად სჯობს საპარლამენტო, მით უმეტეს – საქართველოში.

**— ბუშის სტუმრობა რას მივაწეროთ?**

– ბუში იმიტომ ჩამოდის, რომ მისი ქვეყნის გეოსტრატეგიული დაინტერესება საქართველოთი ძალიან დიდია. დასავლეთის ინტერესის ყოველი გაძლიერება ჩვენ მიმართ, რუსეთის პირდაპირი დარტყმისაგან გვიცავს. რაც უფრო ძლიერია დასავლეთის ინტერესი, მით უფრო დაცული ვართ რუსეთისაგან.

**— თქვენი აზრით, რამდენად მტკივნეულად ჩაივლის რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოდან? ხელისუფლებას, ალბათ, იმის გათვალისწინებაც მოუწევს, რომ რუსეთში უამრავი ქართველი ცხოვრობს.**

– თუ ხელისუფლება ერთგულია, ეს ოპერაცია აბსოლუტურად უმტკივნეულოდ ჩატარდება. ეტყვი – გაეთრიე და გაეთრევა, არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვთ. ის ქართველები, ვინც რუსეთში ცხოვრობენ, საქართველოში უნდა ჩამოვიდნენ. რუსები მათ ყველა შემთხვევაში გამოყრიან. ისე უნდა შეცვალო სიტუაცია, რომ აქ ჩამოსვლა და ცხოვრება შეიძლებოდეს – ანუ არ უნდა ჩაკლა წარმოება, მიწა არ უნდა გაყიდო უცხოელზე, არ უნდა დააქციო სოფლის მეურნეობა და განათლება.

**— რამდენად საინტერესოა თქვენ მიერ შემუშავებული კონცეფცია?**

– ჩვენ შევიმუშავეთ აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების კონცეფცია – ყველა ნაბიჯი გათვლილია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალის ფონზე მოხდება. ძალას სჭირდება არმია, არმიას – სათანადო პროგრამა. თუ ხელისუფლება რუსეთის ან სხვა ქვეყნის მონა არ იქნება, ჩვენ ამ პრობლემას გადავჭრით. შეგვიძლია ეკონომიკის, არმიის გაძლიერებაც და განათლების ჯეროვანი, რაციონალური სისტემის შემოღებაც. ჩვენ ვიცით და შემუშავებული გვაქვს კონცეფცია, თუ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ საქართველო ჩიხიდან გამოვიდეს. მაგრამ ამას უნდა ხელისუფლების კეთილი ნება. საქართველოში მიწათსარგებლობა ძირითადად დამყარებული უნდა იყოს გრძელვადიან გასხვისება-იჯარაზე, იმ საკარმიდამო ნაკვეთების გარდა, რომლებიც გლეხებს აქვთ საკუთრებაში. სახელმწიფომ მიწის მასივები ამ სახით უნდა აითვისოს და არა უცხოელებზე გაყიდოს. ამასწინანდელ ბრიფინგზე საკაშვილმა ძალიან უცნაური რამ თქვა – პრივატიზაციისგან შემოსული ფული ძირითადად ენერგეტიკაში უნდა დავხარჯოთო – ეს ერთი; მეორე – ენერგეტიკაში ჩვენი პრიორიტეტია გაზის ტურბინების და გადამცემი ხაზების გაკეთება. მესამე – ამ გადამცემმა ხაზებმა უნდა შემოგვატანინოს ენერგია სხვა ქვეყნებიდან – რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და თურქეთიდანო. თურქეთში ენერგია ორჯერ ძვირი ღირს, ვიდრე საქართველოში, ე.ი. თურქეთი ითხოვს ენერგიის იმპორტს, ექსპორტს კი არ აწარმოებს. მაშასადამე, თუ დაგეგმილია, რომ გაკეთდეს ხაზი საქართველოსა და თურქეთს შორის, გამოდის, რომ ეს არის ელექტროენერგიის გადაცემის ხაზი რუსეთიდან – თურქეთში, რაც მილიარდებს მოიტანს. მაგრამ ეს მილიარდები საქართველოს საკუთრება კი არ იქნება – მხოლოდ ხელისუფლების პირადი შემადგენლობა მიიღებს აქედან შემოსავალს. ის პარაზიტად იქნება „დამჯდარი" ამ გადამცემ ხაზებზე. აი, ეს არის გეგმა, რომელიც საკაშვილს წამოსცდა... ის ხშირად მიგვანიშნებს – ხელისუფლებას არავის დავუთმობო, – მაგრამ პოლიცია ყველა ტიპის ადამიანს როდი უსრულებს ბრძანებას. ამის მაგალითი 2 თვის წინ გვქონდა. შეიძლება, პრეზიდენტს ძალიან მკაცრი რეპრესიული მმართველობის დამყარება აქვს მხედველობაში, მაგრამ ის ამას ვერ შეძლებს.

**— ბატონო ნოდარ, ერთი, პირადი ხასიათის კითხვაც მინდა, დაგისვათ. ადრე სპორტის რამდენიმე სახეობას მისდევდით. კიდევ ხართ ფორმაში?**

– რაღა დროს ჩემი სპორტია?! ახალგაზრდობაში მთამსვლელობით, ტანვარჯიშით, ცხენოსნობით და სათხილამურო სპორტით ვიყავი დაკავებული. საკმაოდ წარმატებული სპორტსმენიც გახლდით – მთამსვლელობაში მეორე თანრიგი მქონდა, თხილამურებში – მესამე, ახლაც მიტაცებს მთებში ხეტიალი, მაგრამ ამისთვის დრო აღარ მაქვს, ვზივარ და ვმუშაობ – დავდივარ ფილოსოფიის ინსტიტუტში, ვიღებ საპარლამენტო პენსიას და ვწერ ნაშრომებს, ასე რომ, ცოტა ფორმა შევიცვალე... ■

# „ტარიელიჭსოფუდი" საღვინეტრაქტორიები და ესტანეთიში სტენაზე ტანსტღიდი სიმთვრალის „ეალდი"

**ბესო ბერულაშვილთან შეხვედრა, მისი მოუცლელობის გამო, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მოვახერხე. როგორც იცით, ბესო „იუმორინაში" მონაწილეობს. გარდა ამისა, სამსახურშიც თურმე, ძალზე დაკავებულია — ლაგოდეხის რაიონის საბაჟოს უფროსის მოადგილე გახლავთ. ბესო მთელი ინტერვიუს განმავლობაში (რომელიც ფილარმონიის კულისებში, რეპეტიციის დროს ჩავიწერე) ამთქნარებდა და სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს. გუშინ გვიან დავიძინე, ამ დილით კი ლუდი და არაყი დამალევინეს ბიჭებმა და ცოტა შებუზბუზებული ვარო, — მომიბოდიშა. აგაშენა ღმერთმა — ჩვენი საუბრის თემაც სწორედ სმა და ქეიფიამეთქი, — ვუთხარი. ბესო რატომღაც გააკვირვა ჩემმა სიტყვებმა.**

ნინო ჯავახიშვილი

— რას ამბობ, ახლა ქეიფსა და დალევაზე უნდა ვილაპარაკოთ?

— **რაშია საქმე? სასაუბროდ ცუდი თემაა თუ უბრალოდ, არ გიყვარს ქეიფზე და სუფრაზე საუბარი?**

— არა, კარგია, ეგ „სასწავლებელი" მაქვს დამთავრებული, მაგრამ არ ველოდი, თუ ამაზე ვისაუბრებდით.

— **დიპლომი თუ გაქვს აღებული?**

— აბა, რა! მაშ, უდიპლომო სასიძოს ხომ არ ვიქნებოდი!.. ამ საქმეს ცოდნა უნდა, რადგან სამწუხაროდ, იკარგება ქართული სუფრის ტრადიციები. ქეიფი და „გეიფი" კაცს ერთმანეთში რომ აერევა, იმას რა უნდა ელაპარაკა?! ასეთ კაცთან ერთად სუფრაზე არც უნდა დაჯდე და არც უნდა იქეიფო.

— **მაშ, კარგი დროის ტარებაში რას გულისხმობ?**

— სუფრას აუცილებლად კლასიკური თამადა უნდა გაუძღვეს, ქართული სული უნდა იგრძნობოდეს მის თითოეულ სიტყვაში — ეს ყველაზე მთავარია. მარტო ის კი არ არის, თამადა „კონტროლის პალატა" იყოს და ყველას აძალებდეს — აბა, ბიჭო, ეს სასმისიც ბოლომდე დაცალეო და ა.შ. დალევა უნდა მომანდომოს, კი არ უნდა დამაძალოს.

— **ეი. ისეთი სადღეგრძელო უნდა თქვას, რომ ნებით დალიო?**

— დიახ, იდეალური თამადა სმენად გადააქცევს სუფრის წევრებს, სადღეგრძელოს კი კარგ ლექსს, კარგ სიმღერას მოაყოლებს, არსებობს რამდენიმე კაცი, ვისი თამადობაც გამორჩეულად მომწონს. არასდროს მავიწყდება ერთი წინანდლელი კაცის — გურამ ურჩუხიშვილის მიერ ნათამადები სუფრა. ის ანსამბლ — „წინანდლის" სოლისტია. არ შემიძლია, მას ემოციების გარეშე ვუსმინო — რა ლექსი, რა სიმღერა, რა იუმორი აუჰ!.. კახეთში მას დავნიშნავდი თამადად, იმერეთში კი სულხან მამისეიშვილს — ისიც არაჩვეულებრივი თამადაა. ისე, ბევრი იბრალებს, კარგი თამადა ვარო. აი, ამას რომ ჰკითხო *(დავით როსტომაშვილზე მანიშნებს. — ავტ.)*, მაგარი თამადაა, მაგრამ მარტო რაიონებში ახერხებს, ქალაქში ვეღარ „ქაჩავს"...

— **გამოტყდი, სად ამჯობინებ ქეიფს — კახეთში თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში?**

— აღმოსავლეთში უფრო ლაღად ვგრძნობ სუფრაზე თავს, ვიდრე — დასავლეთში. იმედია, ამას კახურ სეპარატიზმში არავინ ჩამითვლის, მაგრამ ჩემი აზრით, კახელებმა ქეიფიც დინჯი იციან და ეს ძალიან მომწონს.

დასავლეთში კი სწრაფად ხდება ეს ყველაფერი, რამდენიმე ჭიქის შემდეგ ქეიფი მთავრდება. მეგრელები არაჩვეულებრივ სუფრას გაუშლიან სტუმარს, ამაში ვერავინ შევეცილებით, მაგრამ სმა კახელებს დაგვითმონ...

— **შენი აზრით, თამადა მკაცრი უნდა იყოს?**

— თამადის ერთი გადახედვაც საკმარისი უნდა იყოს, სუფრის წევრები რომ გაისუსონ. თუმცა, იმასაც გააჩნია, ვისთან ერთად ქეიფობ. ტინეიჯერებს არც თამადა სჭირდებათ და არც სადღეგრძელოების თქმით შეიწუხებენ თავს. ერთხელ ისეთ სუფრაზე მოვხვდი, სადაც თანამედროვე მომღერლებიც იყვნენ. გვარებს არ დავასახელებ, იმას კი ვიტყვი, რომ მაინცდამაინც არც ხმით გამოირჩევიან, არც სმენით და არც ადამიანობით. ბიჭებმა გრძელი, კახური „მრავალჟამიერი" შემოსძახეს, იმის მოსმენას არაფერი სჯობდა, მაგრამ რად გინდა? ეს ჩვენი თანამედროვე მომღერლები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, პირი არ გაუჩერებიათ. ერთს „ეგოისტი" ჰქონდა თან, ყურში გაირჭო და მუსიკის ხმას რიტმულად ააყოლა სხეულის მოძრაობაც... ძალიან მინდოდა, ჩანგალი ან სხვა რამ ბასრი, რაც ხელში მომხვდებოდა, შემერჭო მისთვის, მაგრამ თავი შევიკავე.

— **როგორც ჩანს, ვიღაც აშკარად გადაურჩა დასახჩრებას...**

— გეთანხმები. ძალიან გამაღიზიანა იმ სიტუაციამ და რა ვქნა? იშლება და იკარგება ქართული სუფრის ტრადიცია. მთავარი ის არ არის, რამდენად მდიდრულ სუფრას გააწყობ, მთავარია, ვისთან ერთად და როგორ გაატარებ დროს. იცი, მე და ჩემს მეგობრებს რამდენჯერ გვიქეიფია უფულოდ? სად გვქონდა სტუდენტობის დროს ფული?! 6-7 მანეთს თუ შევაგროვებდით, დიდი ამბავი იყო. რესტორანში ყველაზე ღარიბი სუფრა ჩვენ გვქონდა — ავიღებდით ღვინოს, ცოტა მისაყოლებელს და იყო ბევრი სიმღერა. კარგ დროს ვატარებდით. მეზობელი სუფრებიდან გვიგზავნიდნენ სასმელს. საჭმელს არავინ გვიგზავნიდა და იმდენ ღვინოს როგორ მოვერეოდით? ამ დალოცვილებმა, სუფრასაც გადაავლონ თვალი-მეთქი... — ვამბობდი. მერე ვიღაც დაიყვირებდა — აბა, სუფრა გააახლეთო! — შეერთდებოდა სუფრები და გრძელდებოდა ქეიფი.

— **თამადობა ხშირად გიწევს?**

— ხშირად მიწევს, მაგრამ როგორც ახლა ლაპარაკი მეზარება, ისე მეზარება ხოლმე თამადობაც: როცა თამადა ვარ, კარგ დროს ვეღარ ვატარებ, რადგან მთლიანად ჩემი მოვალეობის შესრულებაზე ვარ გადართული. როცა სუფრის ჩვეულებრივი წევრი ვარ, ისეთ დროს

*ელენე თევდორაძის სიტყვებს ვამბობდი: — „ძალიან გათავხედდა ე.წ. მამაო ბუასილი“... ჰოდა, თურმე სცენაზე „ჩავიხვიე“ ეს სიტყვები*

გავატარებინებ ყველას, მით უფრო თუ, თამადაც შემეკრა, რომ შენი მოწონებული. აი, ბევრი სტუმარი რომ გეყოლება და საჭმელი ცოტა რომ გექნება, გადმომირეკე, მოვალ და იმდენს ვაცინებ, ყველას ისეთ დღეში ჩავაგდებ, ისე დავხოცავ სიცილით, რომ საჭმელიც დაავიწყდებათ და სასმელიც. მეხვეწებიან ხოლმე — კარგი, რა, ბესო, ნუღარ გვაცინებ, მუცლები გვეტკინაო. მარტო სიცილი და იუმორიც არ კმარა, იცოცხლე, უთვალავი ლექსი ვიცი, ერთი ეგ არის, სიმღერა ვერ ვისწავლე...

**— საკუთარ ოჯახში ალბათ უფრო ხშირად გიწევს თამადობა, ხომ?**

— სხვათა შორის, არა...

**— ახლა არ თქვა, მეუღლეს თამადობა და სმა ვასწავლე და ის მცვლის ხოლმეო.**

— ჩემი მეუღლე გიგაურია გვარად. გიგაურები კი „შეუღლებულები“ არიან ღვინოსა და ქეიფთან, მაგრამ ოჯახში ყველა ხომ არ დაიწყებს სმას? ჩვენ-ჩვენი ფუნქციები განაწილებული გვაქვს. ჩემი მეუღლე პედაგოგია და სმა არ შეშვენის. რაკი მაინცდამაინც არ მიყვარს თამადობა, ზოგჯერ სხვასაც ვნიშნავ ამ თანამდებობაზე.

**— მკაცრი თამადა ხარ?**

— არც ისე. ისეთ საინტერესო ამბებს ვყვები, რომ ყველა ყურადღებით მისმენს. ამიტომაც სიმკაცრის გამოჩენა არ მიწევს.

**— თამადა უნდა დათვრეს სუფრაზე?**

— თამადაც ჩვეულებრივი ადამიანია და როცა სვამს, დათვრება კიდეც. შეიძლება, კარგი მომლხენი და მოსაუბრე იყოს კაცი, მაგრამ სმა არ შეეძლოს, მაშინ თამადადაც არ უნდა დადგეს. ასე არ არის? ერთი ჩემი მეგობარია — რეზო მეცხოვრიშვილი, თბილისელი კაცი. თამადად ყოველთვის მას ვნიშნავ. ისე ლამაზად და კარგად ჰყვება ყველაფერს, გესიამოვნება კაცს. ახლა რა ვქნა, ტრადიციულად ვითამადო თუ „გავარემიქსოო“? — გვეკითხება ხოლმე. „რემიქსი“ გვინდა ახლა ჩვენ, როცა ტრადიციულად მივყვებით სუფრის წესსა და რიგს?! ამით იმის თქმა მინდა, რომ დროს ტარება და სმა, ერთნაირად უნდა შეძლოს სუფრის წინამძღოლმა.

**— თუ გახსოვს, პირველად როდის დათვერი?**

— როგორც პირველი ქალი ახსოვს ყველა კაცს, ისე ახსოვს პირველი დათრობაც. კლასელის — ზაზა ირემაშვილის ოჯახში დავლიეთ ბიჭებმა პირველად. მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდით. სახლამდე როგორღაც მივაღწიე, მაგრამ მთელი ღამე გავათენე — ძალიან ცუდად ვიყავი. მერე, წავიდა და წავიდა — ახლა უკვე კარგად ვიტან სასმელს.

**— მაინც რამდენის დალევა შეგიძლია?**

— 6 ლიტრის დალევას შევძლებ. ეს არ არის მაინცდამაინც ბევრი, მაგრამ რასაც ვსვამ, ვირგებ *(ამ დროს მამუკა ონაშვილიც შემოგვიერთდა)* — სხვათა შორის, გენო — მამუკას მამა, არაჩვეულებრივი თამადაა. აი, მამუკას კი არ უყვარს თამადობა, სულ „კრიტიკული დღეები“ აქვს და უარს გვეუბნება ხოლმე.

**— სხვათა შორის, ეს რუბრიკა მამუკას მეუღლის ირას ინტერვიუთი დავიწყეთ და როგორც მახსოვს, ის საპირისპიროს ამბობდა — მამუკას სმაც უყვარს და თამადობაცო. რაღაცას იტყუები...**

— *(იცინის)* კაცო, რა ხდება, ყველა ჩაწერეთ უკვე და თამადები რომ შემოგაკლდათ, მერეღა მოხვედით ჩემთან?

**— კარგი, ამის გამო ნუ გაგვინაწყენდები. ახლა ის მითხარი, გამორჩეულად რომელია შენი საყვარელი სადღეგრძელო?**

— კახური სეპარატიზმი არავის გაუგია, არა? მე და ჩემმა კახელმა მეგობარმა — მალხაზ გილიგაშვილმა „სეპარატისტული დაჯგუფება“ შეკქმენით, მალხაზი თავმჯდომარეა, მე — თანათავმჯდომარე. ჩვენი საყვარელი სადღეგრძელოა — „კახეთის სახელმწიფოს“ — თამადობით, სრულიად საქართველოს გაუმარჯოს!.. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი — გამჩენი მამაზეციერის საღღეგრძელოზე კარგი რა უნდა იყოს?! — მადლობას ვწირავთ ჩვენი ამქვეყნად მოვლინებისთვის. საერთოდ, სუფრას ზოგი, მშვიდობის სადღეგრძელოთი იწყებს, ზოგი — ოჯახის, მაგრამ ყველა ერთნაირად ამთავრებს — ღვთისმშობელი შეეწიოს ამ ოჯახსო! ტრადიციული სადღეგრძელოების გარდა, ქალების და სიყვარულის სადღეგრძელო მიყვარს.

**— ცუდი თამადის გამო სუფრიდან თუ წასულხარ?**

— ძირითადად მივდივარ ხოლმე — ჩემი პროტესტი ასეთია. ან ისეთ სიტუაციას ვქმნი, რომ სუფრის წევრებმა მალე ჩამოაგდონ.

**— ეი. არასასურველ თამადას „ვარდების რევოლუციას“ უწყობ, არა?**

— ვარდი სულ ჯიბით დამაქვს: რა ვიცი, რა ხდება! ისე, ერთხელ როსტომმა მოინდომა ჩემი გადაგდება, ვარდით შემომივარდა სუფრაზე — გადადექიო! — მაგრამ არაფერი გამოუვიდა, დაავიანდა.

**— სიმთვრალეში ხასიათი გეცვლება?**

— ცუდი ხასიათი არ მაქვს, ცოტა ბრაზიანი კი ვარ. რამე თუ არ მომეწონა, შეიძლება, უცებ შემეცვალოს ხასიათი. სიმთვრალეში ჩხუბი არასდროს ამიტეხია, თუმცა მეგობრებს დავხმარებივარ.

**— „პახმელია“ როგორი გაქვს?**

— ძალიან ცუდი „პახმელია“ მაქვს. ამის გამო სიგარეტს დავანებე თავი — ცუდად ვხდებოდი, „ნაპახმელიევს“ სიგარეტს თუ მოვწევდი. რამაც „მოგწამლა“, „პახმელიაზეც“ იმით უნდა გამოხვიდე. საქეიფოდ ღვინოს ვამჯობინებ, „პახმელიაზე“ გამოსასვლელად კი — კონიაკს ან ლუდს.

**— სცენაზე მთვრალი გასულხარ?**

— ესპანეთში გვქონდა კონცერტები. ერთ-ერთ კონცერტზე ძალიან მთვრალი გავედი სცენაზე, არაფერი მახსოვდა — სად ვიყავი, რა მინდოდა, არადა, იქაური ქართველები მონატრებულნი იყვნენ ქართულ სიტყვას, ქართულ სიმღერას, იუმორს... პირს გავაღებდი და რაღაც უცნაურ ბგერებს გამოვცემდი, თან მიკვირდა — ვა, ეს არ უნდა მეთქვა-მეთქი!.. ელენე თევდორაძის სიტყვებს ვამბობდი — თუ გახსოვს, ბასილ მკალავიშვილზე რომ თქვა — „ძალიან გათავხედდა ე.წ. მამაო ბუასილი“... ჰოდა, თურმე სცენაზე „ჩავიხვიე“ ეს სიტყვები. ბოლოს მამუკას (ონაშვილს) როგორღაც მოუხერხებია და სცენიდან გავუტანივარ... მეორე დღეს ყველა მეჩხუბა, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს აბა, როგორღა გამოვასწორებდი?!.

■

# უცხო-ქცი საჩუქარი ვიშემდგარ გელოვრენლს

ინგა ჯაყელი

უმშვენიერესმა ახალგაზრდა ქალბატონმა რედაქციაში მომაკითხა და კაფეში დამპატიჟა, მითხრა: თავს გადახდენილი ამბავი მსურს გაგიზიაროთ, რომელიც მოსასმენად ნამდვილად მხიარულია, არადა, მაშინ ლამის თავის მოკვლა დავაპირე, როცა ყოფილი შეყვარებული უტაქტოდ მეხუმრა და მისგან მართლაც ჯერ არგაგონილი საჩუქარი მივიღე საახალწლოდო!..

24 წლის ეკას ნაამბობი მართლაც, საოცარი აღმოჩნდა. მანამდე ანეკდოტადაც არსად გამეგონა:

— მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილს, არასოდეს მქონია სურვილი, ზედმეტად „გავთანამედროვებულიყავი“ — ამიტომ სასაცილოდაც არ მყოფნიდა ჩემი ტოლების შეხედულება ბოიფრენდების ყოლის აუცილებლობაზე, რის გამოც გოიმსაც მეძახდნენ, მაგრამ სულაც არ მწყინდა და მოთმინებით ველოდი ჩემსავით „ჩამორჩენილი“ უფლისწულის გამოჩენას, რომლისთვისაც ჩემს ქალწულობასაც ექნებოდა ფასი და მნიშვნელობა და ტრადიციების ერთგულებასაც...

სხვათა შორის, სატრფო ჩემით არ მიპოვია, ამ მხრივაც ფრთხილი ვიყავი, ადვილად არავის ვენდობოდი. დეიდაჩემმა გამაცნო თავისი მეგობრის შვილი, 25 წლის ვასიკო, რომელსაც ინსტიტუტი პეტერბურგში ჰქონდა დამთავრებული და 2 წელი ამერიკაში იმაღლებდა კვალიფიკაციას. საქართველოში დაბრუნებულმა, რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა, ფული იშოვა, ცალკე ბინა იყიდა და ცოლის შერთვაც მოინდომა...

ერთმანეთი მაშინვე მოგვეწონა. მაგრამ ვასიკო დაქორწინებას არ ჩქარობდა და მიზეზიც გამიმხილა: მინდა, ქორწინებამდე გვქონდეს სექსი, ვინ იცის, იქნებ ამ მხრივ ვერ შევეწყოთ ერთმანეთს და ოჯახი რატომ უნდა დავანგრიოთო!..

ჯერ მეგონა, ხუმრობდა, თუმცა არც ეს მომეწონა, მაგრამ როცა განმიცხადა — ხუმრობა არც მიფიქრია, მე გარანტია მჭირდება, რომ სწორედ ის ქალი ხარ, ვინც მჭირდებაო! — გავლანძღე და ჩემი სახელის ხსენებაც ავუკრძალე, გავებუტე...

შარშან, საახალწლოდ, შინ მარტო დავრჩი, ჩემი მშობლები და და ნათესავთან წავიდნენ სტუმრად. მე ვასიკოსთან ახალი ნაჩხუბარი ვიყავი და არაფრის ხალისი არ მქონდა. ხომ მაწყენინა, მაგრამ უკვე მიყვარდა და დასაკარგავად მენანებოდა, იმედს ვებღაუჭებოდი, რომ მოვიდოდა და პატიებას მთხოვდა. 31 დეკემბრის ღამეს, მარტო დარჩენილიც ტელეფონის გვერდით ვიჯექი და იმ იმედით ვუცქერდი, რომ დარეკავდა და ვასიკოს ხმით „მომიალერსებდა“...

ღამის 12 საათიც შესრულდა და 2004 წელიც დადგა, მე თვალცრემლიანი ვიჯექი, როცა... ზარის ხმა გავიგონე, მაგრამ ტელეფონი კი არა, კარზე რეკავდა ვიღაცა. ისევ იმ იმედით გავაღე, რომ ვასიკოს დავინახავდი ზღურბლთან, მაგრამ... თოვლის ბაბუა შემრჩა ხელში, რომელმაც ეკა იკითხა და როცა დავუდასტურე, რომ მე ვიყავი, გაღიმებულმა შემოაბიჯა სახლში, თან გაზეპირებული ტექსტი „გადმოაფრქვია“ ლოცვა-კურთხევისთვის. ამის შემდეგ, ხურჯინი გახსნა, ლამაზად შეფუთული ყუთი გადმომცა და მითხრა — ბატონმა ვასიკომ გამოგიგზავნათო!

გული ლამის საგულიდან ამომივარდა სიხარულით. დარწმუნებული ვიყავი, ყუთში, საბოდიშო ბარათთან ერთად, ნიშნობის ბეჭედსაც ვნახავდი. თოვლის პაპის წასვლასაც არ დავუცადე, ისე გავხსენი ყუთი და უცებ ვერც მივხვდი, რა ნივთი მეჭირა ხელში. შემცბარი, თოვლის პაპის მზერამ მომიყვანა გონს: სექსშოპში ნაყიდი, მამაკაცის ხელოვნური სასქესო ორგანო იყო, იქვე ბარათიც იდო: „სიურპრიზი ჩემგან, ახალ წელს მაინც იცოდე, რაზე ამბობ უარს!..“ — მწერდა „თანამედროვე შეყვარებული“...

ნამდვილი ისტერიკა დამემართა. დაბნეულმა თოვლის ბაბუამ აღარ იცოდა, რით და როგორ დავემშვიდებინე. გამწარებულმა, წვერ-ულვაში მოიგლიჯა და გულიანად შეუკურთხა ვასიკოს: თუ სადმე წავაწყდი, თავ-პირს დავუმტვრევ, მე მაგისი გამოსოროსებული დედა ვატირეო!..

ისეთი ლამაზი ბიჭი იდგა ჩემ წინ, უცებ შემაშრა ცრემლი პირდაღებულს... ცოტა ხანში კი, სუფრა გავშალე და „თოვლის პაპა“ მივიპატიჟე. ახალი წელი დავლოცეთ, რატომღაც გულახდილად ვუამბე ჩემი „უბედურება“... გამთენიისას წავიდა ჩემგან და ორიოდე დღის შემდეგ სახლიდან გასულს, სადარბაზოსთან დამხვდა. უცებ ვერც ვიცანი ჯინსში გამოწყობილი ყოფილი თოვლის პაპა. კაფეში დამპატიჟა, მეც გავყევი და ისეთი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა, ვასიკო სულ დამავიწყა... ორიოდე კვირაში ამიხსნა სიყვარული და 2 თვეში კიდეც ვიქორწინეთ. ახლა უკვე 2 თვის „თოვლის კაცუნაც“ გვყავს და ძალიან ბედნიერი ვარ ჩემსავით „აზიატ“ „თოვლის პაპასთან“, მაშინ როცა „ევროპელ-ამერიკელი“ ვასიკო ისევ უცოლოა და ვერსად იპოვა თავისი მოსაწონი გელფრენდი...

...რომ გაიგო, მის გამოგზავნილ „თოვლის პაპას“ გავყევი ცოლად, საქმის გარჩევა მოუნდომა ჩემს ქმარს — სახლში მოგვივარდა. მაგრამ თვითონვე გაილახა, პირში თავისი „სიურპრიზიც“ ჩატენა ჩემმა „ტრადიციონალმა“ ქმარმა და კიბეზეც დააგორა... მას შემდეგ აღარც მინახავს, ისიც თქვეს — ისევ ამერიკაში გაემგზავრაო და კარგს იზამს, თუ სულ არ დაბრუნდება. იმ გოგონებს, რომლებიც გოიმს მეძახდნენ, მინდა, ვურჩიო — თავი დაანებონ სისულელეებზე ფიქრს, დამიჯერონ: ნამდვილი ვაჟკაცები ქალს არასოდეს დააფასებენ „ავანსად გაცემული“ სიყვარულით, ისინი გელფრენდებთან ერთობიან, მაგრამ „გოიმებზე“ ქორწინდებიან და ძალიანაც ამაყობენ ამით!..

■

# დაუვიწყარი სიყვარული

## „ჩემი პარიკმახერი შემიყვარდა თავდავიწყებით“

**საუკუნეების განმავლობაში, უამრავი ფილოსოფოსი თუ ფსიქოლოგი ცდილობს, გაერკვეს სიყვარულის ფენომენში, მაგრამ კითხვა — რა არის სიყვარული? — მაინც უპასუხოდ რჩება. ზოგი ამბობს — ეს ის გრძნობაა, ბრძენს რომ აგიჟებს და სულელს აჭკვიანებსო, ზოგი მას სენს უწოდებს, ზოგიერთი კი ამტკიცებს — სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადიო... აბა, ვნახოთ, რას ამბობენ ჩვენი მკითხველები.**

*მარი ხაფარიძე*

### „...ესენი ნამდვილად მთვრალები არიან“

„მინდა, ჩემი და ჩემი ქმრის სიყვარულის შესახებ გიამბოთ. ერთმანეთი უზომოდ გვიყვარდა. ვიდრე დავქორწინდებოდით, მთელი 5 წელი შეყვარებულები ვიყავით. უამრავი განსაცდელის წინაშე დავმდგარვართ. ჯერ იყო და, ვიღაც ქალი მისგან ბავშვს აჩენდა, ისე ვინერვიულე, 20 წლის გოგო თითქმის გავჭაღარავდი. როგორც იქნა, ეს პრობლემა მოგვარდა. შემდეგ ორივე ერთად ავარიაში მოვყევით. ძლივს გადავრჩით. მე მთელი 6 თვე ვიწექი საავადმყოფოში და ძლივძლივობით წამოვდექი ფეხზე. დათო უფრო ადრე გამოჯანმრთელდა და მთელ ღამეებს ჩემს საწოლთან ატარებდა... ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ამით იმის თქმა მინდოდა, რომ როცა დავქორწინდით, შვებით ამოვისუნთქეთ, რომ ვერაფერმა შეძლო ჩვენი ბედნიერებისთვის ხელის შეშლა. გავიდა წლები. ჩვენი სიყვარული არ ნელდებოდა, მაგრამ ერთხელაც შევნიშნე, რომ დათო ჩემ მიმართ გაცივდა. შინ გვიან ბრუნდებოდა, სულ წუწუნებდა — გული მაწუხებსო. — რამე სანერვიულო ხომ არ გაქვს-მეთქი? — რომ ვეკითხებოდი, უარის ნიშნად თავს აქნევდა. არადა, აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც წესრიგში ვერ იყო. ერთ საღამოს, შინ მოსულს, ტანისამოსზე ქალის სუნამოს სუნი ასდიოდა. იცოცხლე, მე სკანდალი მოვაწყვე!.. აი, მაშინ კი ამოიღო ხმა და გამოიცხადა, რომ სხვა ქალი უყვარდა და ოჯახიდან წასვლას აპირებდა. ვერ აღვიწერთ, რა შოკში ჩავვარდი, მაგრამ წინააღმდეგობა არ გამიწევია. წავიდა. 2 წლის განმავლობაში ცალ-ცალკე ვცხოვრობდით. უზომოდ მენატრებოდა და ვერ ვივიწყებდი ჩემს ქმარს. ჩამოვხმი. მთელი 25 კილო დავიკელი წონაში. 32 წლის ქალი მოხუცს დავემსგავსე. ერთხელ, ქუჩაში მიმავალს, ყოფილი მეუღლე შემთხვევით შემომხვდა. თვალი ავარიდე, თუმცა გულმა ისე დამიწყო ბაგბუგი, მეგონა, გარშემო ყველას ესმოდა. თვითონ გადამიდგა წინ, გამომკითხა — როგორ ხარ? ხომ არ ავადმყოფობ? ძალზე ცუდად გამოიყურებიო. მერე კაფეში დამპატიჟა. საღამოს ტელეფონით ვილაპარაკეთ 4-5 საათი. მინდოდა შევხვეწნოდი, შინ დაბრუნდიმეთქი, მაგრამ ვერ გავბედე. მერე კიდევ დამირეკა და პაემანი დავთქვით. ასე ვხვდებოდით ერთმანეთს მთელი თვე-ნახევრის განმავლობაში და თბილისის ქუჩებში დავხეტიალებდით. ხან ზოოპარკში წამიყვანა, ხან — თეატრში, კინოში. ვგრძნობდი, რომ ქმარი მიბრუნდებოდა და გული სიხარულით მევსებოდა, მაგრამ ვერც მე ვბედავდი, მეთქვა, ღამით ჩემთან დარჩენილიყო და ვერც ის. ერთ დღეს, ჩვეულებრივად შევხვდი, შემდეგ სადარბაზომდე მიმაცილა. ბნელოდა. რომ მაკოცა, სიხარულით ლამის გავგიჟდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს პირველად მაკოცა. კიბეზე უხმოდ ავედი. მესმოდა მისი ფეხის ხმა, ფეხდაფეხ მომდევდა. კარი აცახცახებული ხელით გავაღე და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ იმ დროს, ჩვენი შვილი შინ არ იყო... მოკლედ, მთელი ღამე ვრიგდებოდით, მთელი დილა ვრიგდებოდით და იმ დღეს სახლიდან გარეთაც არ გამოვიდოდით, სამსახურში წასასვლელები რომ არ ვყოფილიყავით. შინიდან ერთად გამოვედით. წვიმდა და ერთი ქოლგის ქვეშ ვიყავი შეფარებული, თან ერთმანეთს ვეხუტებოდით. ვეჯიბრებოდით, რომელი უფრო უცხო და ლამაზ საალერსო სიტყვას მოვიგონებდით... ჩავედით მეტროში. ისევ ვჩურჩულებდით. დათო მეუბნებოდა — დღესვე შინ გადმოვბარგდებიო. მე ბედნიერი თვალებით შევყურებდი ქვევიდან. უეცრად, ქალის ხმა მოგვესმა, რომელიც იქვე, ჩვენს სიახლოვეს ოჯდა (ჩვენ ფეხზე ვიდექით): — ესენი ნამდვილად მთვრალები არიანო!.. გაღიმებულებმა შევხედეთ. გვეგონა, ჩვენი ბედნიერი სახეების გამო გამოიტანეს ასეთი დასკვნა. მერე მეორემ ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ — რა არის, კაცო, ხომ არ გაგიჟდითო?.. მივიხედ-მოვიხედეთ და სიცილი აგვიტყდა: ერთმანეთის ალერსით გართულებს სულ არ მიგვიქცევია ყურადღება, რომ მატარებლის ვაგონში გაშლილი ქოლგის ქვეშ ვიდექით!.. ასე შევრიგდით. ჩემი ქმარი მართლაც, დაუვიწყარი სიყვარული აღმოჩნდა და ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ. ხათუნა“.

*შემდეგი რესპონდენტიც დაუვიწყარ სიყვარულს, ყოფილ მეუღლეს უწოდებს, აღიარებს, რომ მათი განშორების მიზეზი თვითონ გახლდათ და ცოლის „აჩრდილი“ თურმე ყველგან თან დაჰყვებოდა. ვნახოთ, რა თავგადასავლები გადახდა თავს 35 წლის ნუგზარს.*

### „უფლება არ მქონდა, მისთვის საყვედური მეთქვა“...

„არ შეგაწყენთ თავს იმის მოყოლით, როგორ მიყვარდა ჩემი ყოფილი ცოლი, როგორ მივაღწიე იმას, რომ დავქორწინებულიყავით და ა.შ., მაგრამ გეტყვით იმას, რომ მიუხედავად მის მიმართ ჩემი უზარმაზარი გრძნობისა, მაინც მოღალატე ქმარი ვიყავი. თანაც, ვერასოდეს მოვახერხე მისი გაცურება. ყოველთვის იგებდა ჩემი სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ და ამის გამო ოჯახში სულ აყალმაყალი

გვქონდა. საკმაოდ კარგი შემოსავალი მქონდა და ვცდილობდი, ფულით „მომესყიდა“ ოჯახური სიმშვიდე, მე კი მეპარპაშა, მაგრამ ნურას უკაცრავად – ჩემს ცოლს, მაიას ფული სულაც არ ხიბლავდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ადგა და შინიდან წავიდა. ჩვენი 2 შვილიც თან წაიყვანა და დამიბარა: სასტუმროში რომ არ ხარჯო ფული, შეგიძლია, კახპები პირდაპირ სახლში მოიყვანო, სრულ თავისუფლებას გაძლევო... ამის შემდეგ 5-6 თვე ისე გავიდა, ქალებში წასვლის სურვილიც აღარ გამჩენია. ყოველდღე ვურეკავდი, ვეხვეწებოდი, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ ის კლდესავით შეუვალი იყო. რადგან ვერაფერს გავხდი, დავიწყე „ხალასტოი“ კაცის ცხოვრება. გასარეცხი პერანგებისა და წინდების მთა, ყოველ საღამოს – შემწვარი კვერცხი ან ჩაი, დილით მაგიდაზე დარჩენილი, გამხმარი პური – ეს იყო ჩემი მენიუ. ხან მთვრალი ვიყავი, ხან – ფხიზელი, ხანდახან შინ „ორგიებსაც“ კი ვაწყობდი. ერთ დღეში უამრავ ფულს ვხარჯავდი, მერე, ხელფასამდე, პროდუქტსა და სიგარეტს ნისიად ვიღებდი... ამასობაში, მთელი 3 წელი გავიდა. თითქოს კმაყოფილიც კი ვიყავი თავისუფლებით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მანქანით შუქნიშანთან გავჩერდი. გვერდით შავი „ბეემვე“ ამომიდგა. მშვენიერი, სიმპათიური მძღოლის გვერდით ჩემი ყოფილი ცოლი იჯდა. მან შემნიშნა, მაგრამ არ შეიმჩნია. „ბეემვეს“ ავეკიდე, მაგრამ მალე დამეკარგა თვალთახედვიდან. იმავე საღამოს მაიას შინ მივაკითხე. არ დაუმალავს, რომ ის კაცი მისი საყვარელი იყო. უფლება არ მქონდა, მისთვის თუნდაც მცირე საყვედური მეთქვა. წამოვედი მისგან გულდამძიმებული და ჩემს ერთ-ერთ ნაშას დავურეკე. შინ მოვიყვანე, მაგრამ რად გინდა? მასთან არაფერი გამომივიდა. ჭერზე ჩემი ცოლის ლანდი მომეჩვენა. ქალს ბოდიში მოვუხადე და შინ გავუშვი. ძალზე ვინერვიულე, რადგან წინათ, ამ საქმეში მარცხი არასოდეს განმიცდია. ვიფიქრე, როგორც ჩანს, ეს ქალი მომბეზრდა-მეთქი და დავიწყე ახლის ძებნა. ვიპოვე კიდეც, მშვენიერი, 23 წლის ანგელოზივით გოგო, მაგრამ მასთანაც შევრცხვი. შემდეგ – სხვასთან... ჩემი ცოლის „აჩრდილი“ თან დამდევდა და მოსვენებას არ მაძლევდა. რომ წარმოვიდგენდი, როგორ ეფერებოდა მას სხვა მამაკაცი, თავის მოკვლა მინდოდა. ფსიქოლოგის ჩარევა დამჭირდა იმისათვის, რომ ჩემი სექსუალური ცხოვრება მომეწესრიგებინა. ახლა ჩემი ცოლი ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ მან იგივე მითხრა თავისი საყვარლის შესახებ. მაიკო ჩემთვის დაუვიწყარი სიყვარულია. სხვა ქალს ცოლად არასოდეს მოვიყვან. მაიკო, თუ წაიკითხავ ამ მესიჯს, შემეხმიანე. ნუგზარი“.

*Риск – благородное дело – ამბობენ რუსები. ფრანგები კი ირწმუნებიან – თუ არ გარისკავ, ვერც შამპანურს დალევო. მაგრამ ისიც ნათქვამია, რომ შამპანურს დილაობით ან არისტოკრატები სვამენ – ან დეგენერატები... ჩემს მომდევნო რესპონდენტს გაურისკავს, დილით შამპანურიც მიურთმევია, მაგრამ არისტოკრატობაზე „ქაჩავს“ თუ არა, ამას მისი მესიჯიდან შეიტყობთ.*

## „გასაღები ფანჯრიდან მოვისროლე და ვუთხარი – აღარ წავალ-მეთქი...“

„ახლა 29 წლის ვარ. ტინეიჯერულ ასაკში ერთი ბიჭი შემიყვარდა. მისი დანახვისას მუხლები მიკანკალებდა, სახეზე ვწითლდებოდი, თვალებიდან კი ნაპერწკლებს ვყრიდი ხოლმე. ვიცოდი, მას სხვა უყვარდა, მაგრამ ამას არ ვეპუებოდი. მოსვენებას არც დღისით ვაძლევდი, არც ღამით. დღისით თან დავყვებოდი, ლანდად ავედევნებოდი ხოლმე, ღამღამობით შინ ვურეკავდი და სიყვარულს ვუხსნიდი. ხელიდან არ ვუშვებდი შანსს, რომ მისი შეყვარებული გამელანძღა ან მასზე, საერთო ნაცნობებთან მეჭორავა. ბოლოს და ბოლოს, მივაღწიე იმას, რომ აკაკი შეხვედრაზე მთანხმდებოდა ხოლმე და კვირაში ერთხელ, სულ რაღაც 1-2 საათით, მასთან ყოფნით ვტკბებოდი. ტელეფონითაც უკვე კარგა ხანს ვაგრძელებდით საუბარს, თუმცა სულ მახსენებდა, რომ მარი ძალზე უყვარდა და მის მიტოვებას არ აპირებდა. მე ჩუმად ჩავიცინებდი, როცა ამას მოვისმენდი, ვნახოთ, ვნახოთ-მეთქი, – გავიფიქრებდი ხოლმე. სპეციალურად იმ ადამიანებთან ვლაპარაკობდი ჩვენი ურთიერთობის შესახებ და თანაც ისეთ მუქ ფერებში ვხატავდი ყოველივეს, რომ მარისთვის ამბავი მიეტანათ. ვხედებოდი, რომ მათ შორის ნელ-ნელა ბზარი გავაჩინე. ერთხელ დილით, აკაკისთან დავრეკე და მოვიკითხე. მითხრა – მშობლები სოფელში წავიდნენ, მე კი, სიცხიანი, შინ ვწევარო. – აუჰ, რას მეუბნები-მეთქი! – სასწრაფოდ დავკიდე ყურმილი, ჯერ აფთიაქში ჩავირბინე და საჭირო წამლები შევიძინე, შემდეგ – მაღაზიაში ათასგვარი პროდუქტი, ტკბილეული და შამპანური ვიყიდე და აკაკის სახლს მივადექი. დავაკაკუნე. კარი თვითონ გააღო. რომ დამინახა, შეცბა... მთელი დღე ვუვლიდი, საღამოს კი, სიცხე უკვე აღარ ჰქონდა. ვახშამიც მოვუმზადე, ვავახშმე. ახლა შინ წადი, უკვე გვიანიაო, – მითხრა. მე კი კართან მივედი, გასაღები ორჯერ გადავატრიალე, მერე საკეტიდან გამოვამვრე, ფანჯრიდან მოვისროლე და ვუთხარი – აქედან აღარ წავალ-მეთქი. იმ ღამით ერთად ვიწექით. ვიფიქრე, გასაღები მას უკვე აღარ აქვს, ვიდრე მისი მშობლები არ მოვლენ, კარს მაინც ვერ გააღებს, მე კი მათ შინ დავხვდები და რძლად გავეცნობი-მეთქი... დილით ერთი ბოთლი შამპანური გავხსენი და საწოლშივე ჩვენი სადღეგრძელო აკაკის სულ ძალით დავალევინე. ის ძალზე ცუდ ხასიათზე გახლდათ, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა და – მარის რა ვუთხრაო? – მხოლოდ ამას იმეორებდა. მერე ეზოში მოთამაშე ბავშვებს სთხოვა, მისი გასაღები მოეძებნათ. იმედი მქონდა, ვერ იპოვიდნენ, მაგრამ მალე იპოვეს და კარი გარედან გაგვიღეს. აკაკიმ შინიდან გამომაგდო და კარი მომიჯახუნა. მე შენ გიჩვენებ სეირს-მეთქი! – გავიფიქრე და შინ მისულმა, ბიძაჩემს დავურეკე. ის იმ დროს პოლიციაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. სულ ფშლუკუნ-ფშლუკუნით ვუამბე, როგორ შემაცდინა უნამუსო ბიჭმა, როგორ გამომკეტა სახლში და აღარ გამომიშვა და ა.შ. ბიძაჩემმა გასცა განკარგულება და ეს ჩვენი აკაკი სულ ცუნცულ-ცუნცულით მიაბრძანეს პოლიციაში. ბიძაჩემმა პირდაპირ უთხრა – ან ჩემს ძმისშვილს ცოლად შეირთავ, ან იარაღსა და წამალს ჩაგიდებთ მანქანაში და ციხეში მიგაბრძანებთო. ერთი კვირის შემდეგ, ისე მოვაწყვეთ ყველაფერი, თითქოს მე და აკაკი მშობლებისგან მალულად გავიპარეთ. ბედნიერი ვიყავი,რომ ჩემსას მივაღწიე, მაგრამ იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. ჩემი „მოსიყვარულე“ ქმარი შინ გვიან ბრუნდებოდა, ხანდახან საყვარელი სახლშიც მოჰყავდა; მეტყოდა ხოლმე – შენ ცოტა ხნით გაისეირნე, საქმე მაქვსო... ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის დროს ხელიც დაურტყამს ჩემთვის. მოკლედ, ვერა და ვერ ავაწყვეთ ურთიერთობა... ახლა ერთმანეთს გავცილდით. ისე ძლიერ მიყვარდა, რომ არ მევონა, თუ ოდესმე მის გარეშე გავძლებდი, მაგრამ ახლა ისე მეზიზღება, მისი სახელის ხსენებაც კი არ მინდა. დაუვიწყარი სიყვარული არ არსებობს.


**ინტიმური ტელეფონი**

**822-009-008**
**822-009-088**
**822-009-108**



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

არა, ვცდები, ალბათ არსებობს, რადგან ჩემმა ქმარმა მარი ვერ დაივიწყა... არ ვიცი, ახლა გააგრძელებენ ურთიერთობას თუ არა, რადგან ის გოგო გათხოვილია. მაგრამ იქნებ, ამან სულაც არ შეუშალოს ხელი, თუ ნამდვილი სიყვარულია?"

## „სხვასთან ამას არ გავაკეთებდი..."

„ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ერთი ბიჭი შემიყვარდა. ჩუმად, უხმოდ ვიტანჯებოდი მისი სიყვარულით, მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან ვერ ვუბედავდი თქმას. შემდეგ მან ცოლი მოიყვანა. თავის მოკვლა მინდოდა, ისე განვიცადე. სულ მალე მეც პირველსავე მთხოვნელს გავყევი: ვიფიქრე, მის დავიწყებას უფრო იოლად შევძლებმეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. გამუდმებით ამ ადამიანზე ვფიქრობდი და მასზე ვოცნებობდი. ქმრის გვერდით ვიწექი და თვალწინ ის მედგა. რაც ასაკში შედიოდა, მით უფრო სიმპათიური და კარგი ხდებოდა. მე ერთგულად ვეწეოდი ოჯახის უღელს და რადგან თავს ქმრის წინაშე თითქოს დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ სხვა მამაკაცზე ვფიქრობდი, ვცდილობდი, მისთვის სითბო და ყურადღება არ მომეკლო... გავიდა წლები. ოჯახს მატერიალურად გაუჭირდა და იძულებული გავხდი, მუშაობა დამეწყო. კარგი სამსახური ვიშოვე. ყოველთვიურად ისეთ ხელფასს ვიღებდი, როგორსაც ჩემი ქმარი – 6 თვის განმავლობაში, თუმცა ისიც არ იჯდა გულხელდაკრეფილი და ჩემს იმედად, ეზოში დომინოს არ თამაშობდა. თითქმის არასოდეს ვკამათობდით, რადგან ნახევარი სიტყვითაც ვუგებდით ერთმანეთს. სამსახურმა, შვილებმა და ოჯახმა თითქოს გადამავიწყა ჩემი ბავშვობის დროინდელი სიყვარული. მხოლოდ ხანდახან, მაშინ მახსენდებოდა ხოლმე, როცა მის სახელს გავიგებდი ან საერთო ნაცნობს შევხვდებოდი, ან კიდევ მოულოდნელად სადმე თვალს მოვკრავდი. როცა მეგონა, სულ დავივიწყე-მეთქი, სწორედ მაშან მოხდა ასეთი რამ: თანამშრომლებმა გადავწყვიტეთ, უფროსის იუბილე – 50 წლისთავი რესტორანში აღგვენიშნა. ფული შევაგროვეთ. უფროსმა ამის შესახებ რომ შეიტყო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მე ვკისრულობ პურმარილსო, – გამოგვიცხადა და მართლაც, საღამოს რესტორანში მოვიყარეთ თავი. იუბილარს იმ სამინისტროდანაც ჰყავდა ხალხი მოწვეული, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია ეკუთვნოდა. სტუმრებს შორის, სწორედ „ის" შევნიშნე. ლამის გული გადამიქანდა. მოვახერხე, რომ სუფრასთან მის სიახლოვეს მოვხვედრილიყავი. კარგად მოვილხინე. სიყვარულის საღღეგრძელო კი, ისეთი პათოსით წარმოვთქვი, რომ ყველა აღტაცებული დარჩა. ასე იყო თუ ისე, ჩემმა საყვარელმა ადამიანმა ჩემ მიმართ ინტერესი გამოამჟღავნა (მას არც კი ვახსოვდი ბავშვობიდან). რამდენიმე თვის შემდეგ კი, ქმარს ვუღალატე. გეფიცებით, ეს არ მოხდებოდა, ბავშვობიდან რომ არ მყვარებოდა. შესაძლოა, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ სხვასთან ამას არ გავაკეთებდი. ახლა ბედნიერება და სინდისის ქენჯნა ერთმანეთს აბალანსებს და აღარ ვიცი, რა დავარქვა იმ გრძნობას, რომელსაც ამ მამაკაცის ან ჩემი ქმრის მიმართ განვიცდი. ვიცი, უღირსი ცოლი ვარ, მაგრამ დაუვიწყარ სიყვარულს წინ ვერ აღვუდექი".

## საქმიანი პარტნიორი შეფის ცოლად გადაიქცა

„ჩემთვის დაუვიწყარი სიყვარული და დაუვიწყარი ქალი ჩემი შეფის ცოლია. ნამცოს კარგა ხნის წინ ვიცნობდი და წლების განმავლობაში, საყვარლებიც ვიყავით. მას ჰქონდა საკმაოდ შემოსავლიანი საქმე და მისი საქმიანი პარტნიორი გახლდით. თავიდან ჩვენი ურთიერთობა მართლაც, მხოლოდ საქმით შემოიფარგლებოდა. შემდეგ დავახლოვდით. ოჯახი რომ არ მქონოდა, სიამოვნებით მოვიყვანდი ცოლად. ერთ მშვენიერ დღეს ნამცომ გამომიცხადა, ვთხოვდებიო. გადავირიე, მაგრამ – შენ რომ ცოლ-შვილი გყავს, ხომ კარგიაო!.. – მითხრა და ამით გამაჩუმა. ძალზე განვიცადე, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. შემდეგ, ქმარს სთხოვა, რომ ჩემთვის სამსახური ეშოვა. მანაც თავის მოადგილედ დამნიშნა (რომელ დაწესებულებაში, ამას არ გავამხელ). 6 თვის წინ ნამცომ გამომიცხადა – ერთმანეთს უნდა დავშორდეთო. მიზეზი არ აუხსნია. არ ვიცი, ახალი საყვარელი იშოვა თუ ქმრის ერთგული გახდა, მაგრამ შედეგი სახეზეა – ერთმანეთს დავშორდით. მიჭირს უმისოდ გაძლება, ვერ ვივიწყებ, მაგრამ რადგან მან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მე ვერაფერს შევცვლი".

## „...ვგრძნობდი, რომ მასში ძველმა გრძნობამ გაიღვიძა"

„6 წლის წინ, ჩემმა მეზობელმა ბიჭმა მომცა თავისი მეგობრის ტელეფონის ნომერი და მითხრა – გიორგი იკითხე და გაესაუბრე, ცოტას გაერთობიო. მართლაც, დავრეკე. საუბარი მალევე ავაწყვეთ და რამდენიმე დღის შემდეგ, ერთმანეთს შევხვდით კიდეც. ერთმანეთი მოგვეწონა. დავიწყეთ შეხვედრები. შემდეგ, გიორგის ბოტკინი დაემართა და 3 კვირით საავადმყოფოში დააწვინეს გამოჯანმრთელდა თუ არა, ცოლობა მთხოვა. მაშინ მივხვდი – იმდენად არ მიყვარდა, რომ ცოლობაზე დავთანხმებულიყავი... ნელ-ნელა ჩამოვშორდი, აღარ ვურეკავდი, აღარ ვნახულობდი და თვითონაც არ მაწუხებდა. ასე დავშორდით ერთმანეთს. 6 წლის მანძილზე, სულ 2-3-ჯერ თუ გამახსენდა, ბოლოს კი საერთოდ მივივიწყე... შარშან, 14 მაისს, ჩემი დაქალი პაემანზე მიდიოდა. გადამეკიდა, გინდა თუ არა, ჩვენთან ერთად წამოდიო. ჩემი დაქალის შეყვარებულმა მთხოვა – ჩემს მეგობარს გავუაროთო. ჩემი მანქანით ვიყავით. ვხედავ, ჩვენკენ ძველი ნაცნობი – გიო გამოემართა, უკანა კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა. ვერ მიცნო. ძალზე მხიარულად მოგვესალმა. მე მივუბრუნდი და ვუთხრი – ძალზე ცუდი მეხსიერება გქონია-მეთქი. რომ შემომხედა, ჩემი სახელი ხმამაღლა დაიყვირა... ოთხივენი ბარში შევედით. მთელი საღამო ხმა არ ამოუღია, მხოლოდ მიყურებდა და მისმენდა. ვგრძნობდი, რომ მასში ძველმა გრძნობამ გაიღვიძა... ბარიდან მისი სახლისკენ გავემართეთ... იცით, ახლა როგორ მიყვარს? მზად ვარ, სიცოცხლე ვანაცვალო. თვითონაც ასევე ძლიერად ვუყვარვარ. ყველას ვუსურვებ ასეთ ძლიერ სიყვარულს! გიო, შენ ყველაზე დაუვიწყარი სიყვარული და ნათელი წერტილი ხარ ჩემს ცხოვრებაში. დიდი მადლობა „გზას", რომ საშუალება მომეცა, ჩემი სიყვარულის ამბავი ჟურნალის ფურცლებზე მოხვედრილიყო. პატივისცემით, ირინა".

*ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## „სხეულით ქმარს ვეკუთვნი, გულითა და გონებით – სხვას"

„სამწუხაროდ, ჩემი სიყვარული დაუვიწყარი იმით არის, რომ ჯანმრთელობა შემირყია. ჩემი ნათესავის მიმართ ცალმხრივმა სიყვარულმა ნევროზი ამკიდა."

„არ მეგონა, თუ ოდესმე მესიჯს მოგწერდით. ზაფხული იყო. ჩემი მობილურით ვსაუბრობდი. 2 გოგონა მომიახლოვდა. მთხოვეს – თუ შეიძლება, ერთი მესიჯი გაგვაგზავნინე, გვინდა, უცხო ნომრით მივწეროთო... ცოტა ხნის შემდეგ დამირეკა უცნობმა ბიჭმა – თქვენი მობილურიდან მესიჯი მომივიდაო... ასე გავიცანი ჩემი მომავალი სიყვარული. ჯერ მესიჯებით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, მერე – შევხვდით კიდეც. ჩვენი ურთიერთობა 10 თვე გაგრძელდა. ახლა კი დავშორდი. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. თუ წაიკითხავს, მიხვდება

ვინც ვარ. იმ სიტყვებს შეგახსენებ — ...და ეს იცოდე, ჩემი გული შენს დავიწყებას ვერ გადაიტანს. თუ მე დავიღუპები შენი გულისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ვერ დაგთმე. — ჩვენს სიყვარულს ვერ დავივიწყებ. ზ.მ.“

„ძალზე მინდოდა, ვინმე მყვარებოდა, მაგრამ რატომღაც არავისი მჯეროდა. ერთ მშვენიერ დღეს, სილამაზის სალონში შევედი თმის მოსაწესრიგებლად... ჩემი პარიკმახერი შემიყვარდა თავდავიწყებით. მან მასწავლა, რა არის სიყვარული. ედო, მიყვარხარ სიგიჟემდე. შენი ოხრახუში“.

„მეშინია, ჩემი დაუვიწყარი სიყვარული ჩემი მარტოობის მიზეზი არ გახდეს. ყველაფერი 10 წლის წინ დაიწყო. მე და შიომ ერთმანეთი ახლობელთან გავიცანით. სიყვარული პირველსავე დღეს ამიხსნა. მისი სიტყვები სასაცილოდ არ მეყო. მერე იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველი შეხვედრის დროს, სიყვარულს მეფიცებოდა, ოღონდ — თუ ნასვამი იყო, მაშინ. მისი გაცნობიდან, სულ რაღაც 7 თვეში, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, სხვისი ცოლი გავხდი. შიო ჩემმა გათხოვებამ ლამის გააგიჟა. 2 წელიც არ იყო გასული, რომ ქმარს გავშორდი. შიოს წინაშე თავს დამნაშავედ ვთვლიდი, ამიტომ მისი სიყვარულის დაბრუნება არც მიცდია. მე და შიოს საერთო ახლობლები გვყავს და ყოველი შეხვედრისას სულ საყვედურებით მავსებდა. თავს არასოდეს ვიმართლებდი. ვერც იმას ვუხსნიდი, რომ ჩემი გათხოვება ჩემივე სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა. შიო ხშირად მახსენებდა, რომ ვუყვარდი, მაგრამ დაბოღმილი იყო ჩემზე. მეც მიყვარდა. ამიტომ ვცდილობდი გამეგო მისთვის. ბევრჯერ ვცადე, მასზე ფიქრი თავიდან ამომეგდო და ჩემი ცხოვრებისთვის მიმეხედა, მაგრამ როგორც კი დავინახავდი, ყველაფერი მავიწყდებოდა. ასე გავიდა 8 წელი. არც მას და არც მე, პირადი ცხოვრება არ გვაქვს. გასულ ზაფხულს მე ლიკანში ვისვენებდი, ის კი — ბორჯომში. მეგონა, ბოლოს და ბოლოს, ერთად ვიქნებოდით. ჩემმა მეგობარმა ჩათვალა, რომ შიო ჩემი შესაფერისი არ იყო. თავი ათასი სისულელით გამომიტენა და სწორედ მაშინ, როცა შიო მიმტკიცებდა, რომ ქვეყნად ყველაზე მთავარი ჩვენი სიყვარული იყო, რჩევებით „დახუნძლულმა“ მასთან ვიჩხუბე. შიო იოლად მიხვდა ყველაფერს და კიდევ ერთხელ დავშორდით. რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ახლოს აღარ გამიკარა. ვიცი, ვუყვარვარ, მაგრამ ბოღმიანი ხასიათი ნებას არ აძლევს, რომ შემირიგდეს... ღმერთს ვევედრები — ან გააქროს ჩემი ცხოვრებიდან, რომ ახალი ცხოვრება დავიწყო, ან ყველაფერი ისევე უცებ დამთავრდეს, როგორც დაიწყო.“

„ვეძებ მეგობარს, რომელიც 2 წლის წინ გავიცანი „მარშრუტკაში“. მას ლაშა ჰქვია და ხაშურელია. ქუთაისში, „გეპეიში“ სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მე ზესტაფონში მივდიოდი ბებიასთან, ის კი ხაშურში. ტელეფონის ნომერი მთხოვა და არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მიმეცა. ახლაც ვერ გამიგია, რატომ მოვიქეცი ასე. ლაშა, თუ „გზას“ კითხულობ, აუცილებლად გაგახსენდები. ამ მესიჯით. მარის დაუკავშირდი და ჩემს ნომერს მოგცემს. მაგდა“.

„ერთი ბიჭი მიყვარს სიგიჟემდე. მისი გულისთვის რა არ მაქვს ჩადენილი. მასაც ვუყვარვარ. ოჯახის შექმნაც კი გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მის ძმასაც ვუყვარვარ და ბექას ჩემზე რაღაც სისულელეებს ეუბნება. ხშირად, ბექა მის ნათქვამს იჯერებს, ზოგჯერ — არა, მაგრამ ის მაინც ახერხებს, რომ ჩვენ შორის უსიამოვნება ჩამოაგდოს“.

„არ ვიცი, ამას სიყვარული ჰქვია თუ არა. მე კი ვიტანჯები და... ორი წლის წინ, ერთმა ბიჭმა ჩემი ყურადღება ძალზე „ნაგლი“ ქცევით მიიქცია. რომ დავინახე, გავიფიქრე — ამას ვინ შეიყვარებს-მეთქი, მაგრამ სწორედ მე შემაყვარა ღმერთმა და ვერ ვივიწყებ. კუდში დამდევდა, მე კი ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა დამეკარგა და როცა მგონია — დავივიწყე-მეთქი, სწორედ მაშინ გამოჩნდება, შორიდან დამენახვება ხოლმე და მიდის. ამ მესიჯით მინდა, იმ შავტუხას ვუთხრა — თუ უნდა, გამეცნოს. თუ არა და, მომეშლება ნერვები და სულ სხვას გავყვები ცოლად. მერე იაროს უჩინმაჩინის ქუდით“.

„ხელები მექავება, ისე მინდა, ტელეფონით გაცნობილ სტომატოლოგს დავუმესიჯო. მის გამო მობილურის ნომერიც კი შევცვალე და დავიფიცე, რომ არ დავურეკავდი, მაგრამ ისე მენატრება, როგორც ლოთს — ღვინო და პოეტს — კალამი. მარი“.

„სხეულით ქმარს ვეკუთვნი, სულითა და გონებით კი — კვლავ ჩემს დაუვიწყარ სიყვარულს. ის სხეულით ცოლს ეკუთვნის, გულითა და გონებით — მე. ოთხივეს გაგვიმარჯოს! ანა.“

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომერის თემად გთავაზობთ — სხვისი საიდუმლო. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

■



# ერთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

**1. რომელია სანდრა რულოვსის მეორე სახელი?**

ა) ალექსანდრა;
ბ) ელისაბედი;
გ) სონია.

**2. რომელი ქვეყანა ითვლება ატმის სამშობლოდ?**



ა) ჩინეთი;
ბ) ინდოეთი;
გ) მექსიკა.

**3. რამდენი დღე იჯდა ასლან აბაშიძის „პირადი ტყვე“, თენგიზ ასანიძე იზოლატორში?**

ა) 838;
ბ) 3838;
გ) 8383.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# გზა „იუგოსლავიის ტრიბუნალიდან“ იუსტიციის სამინისტრომდე

## ახალგაზრდა მაღალჩინოსანს სასამართლოს წინაშე წარდგომა იზიდავს...

ემა ტუხიაშვილი

(წინა რიგში მარჯვნიდან მეორე)

**მიიჩნევენ, რომ ქალის ასაკზე ხაზგასმით ლაპარაკი ცუდი ტონია. მაგრამ თუ ეს ქალი ძალიან ახალგაზრდაა და თანაც, მაღალი თანამდებობის პირი, ამის აქცენტირება გარკვეულ ხიბლსაც კი იძენს... იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ეკა ტყეშელაშვილი ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ მრავალმხრივი საქმიანობის წყალობით მიღებული გამოცდილება უმაგრებს ზურგს. მართალია, როგორც თავად ამბობს, საოჯახო საქმეების კეთება არ ეხერხება, სამაგიეროდ, წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება, კადრებსა და ადმინისტრაციულ სექტორზე ზედამხედველობა, პენიტენციარული სისტემისა და მთლიანად სისხლის სამართლებრივი სისტემის რეფორმირება — ასეთია ახალგაზრდა ჩინოსანი ქალბატონის მოვალეობათა არასრული ნუსხა.**

— დამთავრებული მაქვს თბილისის 46-ე საშუალო სკოლა, სადაც პედაგოგებისა და მოსწავლეების თვალსაზრისით, სასიამოვნო გარემო იყო. საკმაოდ ცვალებადი ხასიათი მაქვს, ამიტომ მერვე კლასში გადავწყვიტე, ჯერ ჟურნალისტიკაში მეცადა ბედი, შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პროგრამისტობა მინდოდა, საბოლოოდ კი, საერთაშორისო სამართლის დაუფლება განვიზრახე, რადგან ეს პროფესია უფრო ფართოა, ვიდრე ზოგადად იურისპრუდენცია. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, ვმუშაობდი საგარეო საქმეთა სამინისტროში, საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში. მოგვიანებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში ვმსახურობდი. გარკვეული კურსები გავიარე ოქსფორდის უნივერსიტეტში, მაგისტრატურა — ამერიკაში. ვმუშაობდი ნიუ-იორკში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში. მოგვიანებით კი ჰოლანდიაში, სადაც ყოფილი „იუგოსლავიის ტრიბუნალი“ იმართებოდა, პროკურორის ოფისში, სააპელაციო განყოფილებაში ვმუშაობდი. საქართველოში 2002 წელს დავბრუნდი და მუშაობა განვაგრძე არასამთავრობო ორგანიზაციაში — „აირის საქართველო“ — ჯერ იურისტად, მოგვიანებით კი, ამ ორგანიზაციის დირექტორი გახლდით. გასული წლის დეკემბრიდან კი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გახლავართ.

**— ალბათ, ამ გადაწყვეტილების ინიციატორი, ყოფილი იუსტიციის მინისტრი იყო, ხომ?**

— უნდა ვაღიარო, რომ მანამდე, სანამ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები განხორციელდებოდა, საჯარო სამსახურის მიმართ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი და არასამთავრობო სექტორში გაცილებით კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ამ ცვლილებებმა კი დამანახვა, რომ ჩემი ქვეყნისთვის ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებდი სახელმწიფო სამსახურში ყოფნით და შემოთავაზებულ წინადადებას ამიტომაც დავთანხმდი. მე და გიორგი პაპუაშვილს მანამდეც გვიხდებოდა საქმიანი ურთიერთობა: მას, როგორც „სოროსის ფონდის“, მე კი, როგორც „აირისის“ წარმომადგენელს, ერთობლივი პროექტებიც გვქონდა განხორციელებული, ამიტომ კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობები.

**— როგორ ფიქრობთ — ასეთი მაღალი თანამდებობა საკმაოდ ახალგაზრდა — 27 წლის ქალბატონისთვის, დიდი მიღწევაა?**

— წინასწარ არასდროს ვგეგმავ არაფერს და არც მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა მაქვს იმისა, რასაც მინდა მივაღწიო მომავალში. ერთადერთი, რაც ცხოვრებისგან მინდა, თვითრეალიზაციაა.

**— რამდენად შეიცვალა თქვენი საქმიანი იმიჯი მას შემდეგ, რაც საჯარო მოხელედ იქეცით?**

— თანამშრომლებთან ურთიერთობას რაც შეეხება, საქმის მართვის იმავე მეთოდს ვიყენებ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაში მქონდა. ძირითადად, გუნდური საქმიანობის მომხრე ვარ, ამიტომ არ მივდევ ე.წ. დაქვემდებარების მეთოდს, რომელიც მკაცრი ბრძანებების რეჟიმზეა აგებული. ცხოვრების წესში მომხდარ ცვლილებას კი, თავისუფალი დროის სიმცირე იწვევს და კიდევ ის, რომ ახლა, ვერც ჯინსით და ბოტასებით დავდივარ სამსახურში.

საქმის მართვის იმავე მეთოდს ვიყენებ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაში მქონდა (მარცხნიდან მეორე ეკა ტყეშელაშვილი)

**— თანამდებობრივი დაწინაურების შემდეგ, ოჯახის წევრების დამოკიდებულება თუ შეიცვალა თქვენ მიმართ? ალბათ, უფრო მეტი პატივისცემით გეპყრობიან, არა?**

— ოჯახში ჩემ მიმართ დამოკიდებულება აბსოლუტურად არ შეცვლილა. უბრალოდ, ჩემი ოჯახი მძიმედ აღიქვამს იმას, რომ ცოტა დროს ვატარებ შინ, გვიან ვბრუნდები სამსახურიდან და ფაქტობრივად, არც შაბათი და კვირაა ჩემთვის დასვენების დღეები.

**— ოჯახში ვინ გყავთ?**

— დედა, მამა და ძმა.

**— როგორ ფიქრობთ — ასეთ პირობებში პირადი ცხოვრებისთვის დრო დაგრჩებათ?**

– *(იცინის)* გარკვეულწილად ვახერხებ, მცირედი დრო ამისთვისაც გამოვნახო.

**— ამბობენ, რომ საქმიან ქალებს უჭირთ, საკუთარი თავი ოჯახის მარწუხებში მოაქციონ...**

– ის, რომ საქმე ბევრ დროს გართმევს, არ ნიშნავს, რომ ოჯახური ურთიერთობების გაძღოლას ვერ მოახერხებ. თუ მატერიალური შესაძლებლობა აქვს, ქალს შეუძლია, ძიძის ინსტიტუტს მიმართოს, სახლში დამხმარე პერსონალი გამოიყენოს და ა.შ. მთავარია, შეძლო, ოჯახის წევრებთან საურთიერთო დროის გამონახვა. ალბათ, ოჯახი რომ მქონდეს, იმ დროის მონაკვეთს, რომელსაც აქ ვატარებ, მნიშვნელოვნად შევკვეცდი.

**— მატერიალური შესაძლებლობები ახსენეთ და თუ გახსოვთ, თქვენი პირველი ხელფასი რამდენს შეადგენდა?**

– პირველი ხელფასი საგარეო საქმეთა სამინისტროში ავიღე. ეს იყო 45 ლარი, საიდანაც გარკვეული თანხა იქვითებოდა და ხელზე მხოლოდ 37 ლარს ვიღებდი.

**— ახლა თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა...**

– მაღალი ხელფასი მაქვს, თუმცა ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არასამთავრობო სექტორში მქონდა.

**— ყოფილი იუსტიციის მინისტრი თიოქმის თქვენი ასაკისაა. ბატონ კოტე კემულარიასთან ურთიერთობისას, ასაკობრივი სხვაობა გარკვეულ ბარიერს ხომ არ გიქმნით?**

– მართალი გითხრათ, აქამდე, ბატონ კოტესთან მუშაობის გამოცდილება არ მქონია, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ამ მხრივ, არანაირი პრობლემა მინისტრთან ურთიერთობისას არ გამჩენია, აბსოლუტურად იმავე რელსებზე გაგრძელდა მუშაობა, როგორზეც ის წინა თვეებში მიმდინარეობდა. ამიტომ ასაკობრივი ზღვარი ჩვენს ურთიერთობებში არ იგრძნობა.

**— არაფორმალური ურთიერთობისას, თქვენს თანატოლ მამაკაცებს უხერხულობას ხომ არ უქმნის თქვენი თანამდებობრივი სტატუსი?**

– ვერ დავიტრაბახებ, რომ მას შემდეგ, რაც მინისტრის მოადგილე გავხდი, ჩემი ნაცნობ-მეგობრების წრე უფრო გაფართოვდა, ამიტომ ვერ გეტყვით, როგორი იქნებოდა უცნობი ადამიანის რეაქცია მსგავს სიტუაციაში. ჩემი მეგობრებისთვის კი, ჩემი თანამდებობრივი სტატუსი ძირითადად, სახუმარო თემაა და ხშირად მომმართავენ: ქალბატონო მოადგილეო. სხვათა შორის, ახალგაზრდა კადრების შერჩევის ტენდენცია მხოლოდ საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. ცოტა ხნის წინ, ესტონეთში გახლდით, სადაც იქაურ პენიტენციარულ სისტემას ვეცნობოდით და შევნიშნე, რომ ძირითადად, ახალგაზრდა კადრებითაა დაკომპლექტებული – როგორც ესტონეთის იუსტიციის სამინისტროში, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

**— ხშირად გიწევთ უცხოეთში მივლინებით გამგზავრება?**

– არასამთავრობო სექტორისაგან განსხვავებით, საჯარო სამსახურში მივლინება საკმაოდ ხშირია. ეს გაძლევს საშუალებას, ადგილზე გაეცნო ყოველივეს, რისი შექმნაც საკუთარ ქვეყანაში გაქვს განზრახული. ბოლო დროს, მივლინებებით ვიყავი წასული ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრობაციის სამსახურის ხელმძღვანელებთან მქონდა შეხვედრა და ჩვენ ვგეგმავთ მნიშვნელოვან რეფორმას არასაპატიმრო სასჯელაღსრულების სისტემაში. ერთ-ერთი უკანასკნელი ვიზიტი მქონდა ბუდაპეშტში, სადაც გაიმართა მსოფლიო ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ სახაზინო ადვოკატის სამსახურის წარმომადგენლები და უაღრესად საინტერესო შეხვედრები გაიმართა ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. სხვათა შორის, ესტონეთის პენიტენციარული სისტემა, რომელიც წეღან უკვე ვახსენე, რეფორმების გატარების თვალსაზრისით, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებულადაა მიჩნეული.

პატიმრებთან პირდაპირი ურთიერთობა პირველად, „იუგოსლავიის ტრიბუნალში“ მქონდა...

სწორად წარმართული ურთიერთობისას, სქესი და ასაკობრივი ზღვარი აბსოლუტურად იშლება

**— ალბათ, ხშირად გაქვთ ურთიერთობა პატიმრებთან. რამდენად გულახდილები არიან ხოლმე ისინი მინისტრის ახალგაზრდა მოადგილესთან?**

– ურთიერთობის ისეთი სტილი მაქვს, საიდანაც ადვილი მისახვედრია, რომ საქმე გაქვს სერიოზულ ადამიანთან. სწორად წარმართული ურთიერთობისას, სქესი და ასაკობრივი ზღვარი აბსოლუტურად იშლება. ისინი არიან ადამიანები, ვისაც ამ ეტაპზე, მაქსიმალური ყურადღება სჭირდება. ამიტომ აუცილებელია, რომ კარგად გავაანალიზოთ და გავიგოთ ის საჭიროებები, რომლებიც მათ აწუხებს. არასდროს მქონია პატიმრებთან ურთიერთობისას გაუცხოების მომენტი იმის გამო, რომ ისინი რაღაც კრიმინალურ სამყაროს მიეკუთვნებიან, მე კი, ლეგიტიმურ, „თეთრ“ სამყაროში ვცხოვრობ. მე ამ ადამიანებს აბსოლუტურად თანასწორი პოზიციიდან ვუყურებ. ბუნებრივია, რომ პატიმრებს დღემდე აწუხებთ საყოფაცხოვრებო პირობები, გველაპარაკებიან აგრეთვე, გამოძიებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რაც არ შედის ჩვენს კომპეტენციაში და შესაბამისად, ამაზე რეაგირებას ვერ ვახდენთ.

**— თუ თქვენს სამუშაო პრაქტიკას გადავხედავთ, პატიმრებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება უნდა გქონდეთ...**

– პატიმრებთან პირდაპირი ურთიერთობა პირველად, „იუგოსლავიის ტრიბუნალში“ მქონდა, როდესაც საჭირო იყო ომის დამნაშავეების ინტერვიურება: გამოძიებასთან დაკავშირებულ ჩვენებათა შეგროვებას ინტერვიუს სახე უნდა მიეღო და ამ სამუშაოს 6 თვის განმავლობაში ვასრულებდი...

**— თქვენი აზრით, შემდგომში როგორ განვითარდება თქვენი საქმიანი კარიერა?**

– მინდა გითხრათ, რომ ძალიან მიყვარს სასამართლოს წინაშე გამოსვლა, ამიტომ ადვოკატურა მხიბლავს. რამდენად მალე იქნება ეს, არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვიტოვებ იმის იმედს, რომ კერძო პრაქტიკაში მოვსინჯავ ძალებს.

**— მინისტრის მოადგილის საკავარძელს კერძო ადვოკატის სტატუსზე გაცვლით?**

– კი, რატომაც არა!

■

**ოთარ რამიშვილი 70 წლისაა, თუმცა გიტარას ისევ ახალგაზრდული ენერგიით უკრავს და არც მუზა ღალატობს. მასთან ყოველი შეხვედრა იუმორით, ღიმილითა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებითაა აღსავსე. გამონაკლისი არც ეს ინტერვიუა. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოდან 3 დღის წინ გამოვიდა, სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან და ახლობლებიც საკმაოდ შეაშინა, 16 აპრილს ფილარმონიაში საიუბილეო სალამოს მართავს. ისე დავუკრავ, როგორც არასდროს დამიკრავსო, — მითხრა.**

# ის სიმაჯთლეს სიმღერით ამპოვდა

## ანუ „მაშინ საქართველოში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი სულ ოხი იყო...“

ლელა ჭანკოტაძე

**— ბატონო ოთარ, უკვე 70 წლის ბრძანდებით. განვლილ ცხოვრებას თვალს რომ გადაავლებთ, რა გრძნობა გეუფლებათ? როგორ იცხოვრეთ?**

— ძალიან ლამაზი წარსული მაქვს. ბევრი რამის გახსენება შემიძლია. პატარაობიდან ვშრომობ. აბრეშუმის ფაბრიკაში დურგლის მოწაფედ ვმუშაობდი. პარალელურად ღამის სკოლაში ვსწავლობდი. 10 წლის ვიყავი, დურგალს რომ ვუთხარი: მე გიტარაზე ვიმეცადინებ, ჩემი ხელფასი — 15 მანეთი კი შენ აიღე-მეთქი. დღე და ღამე ვუკრავდი. 17 წლის რომ გავხდი, ფილარმონიაში კონკურსი გამოცხადდა. პირველი ადგილი დავიკავე და მუშაობაც იქ დავიწყე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქი მაქვს შემოვლილი. გიტარის სიყვარულმა ბევრი რამ შემაძლებინა.

**— გიტარისადმი ასეთი ძლიერი სიყვარული როდის გაგიჩნდათ?**

— ...ვაკეში ვცხოვრობდით. ცნობილი მუსიკოსები იყვნენ ძაგნიძე და ჩხიკვაძე. მოგვეწონა მათი დაკრული და ბიჭებმა უბანში დავიწყეთ დაკვრა. შვიდსიმიან გიტარაზე ვუკრავდით. ჩემმა ბიძაშვილმა ომარ ჩხიკვაძემ დაკვრა კარგად იცოდა. ის მასწავლიდა. მერე ინოლა გურგულიასთან მიმიყვანეს, შემდეგ ესპანურ ტრიოს — „ლოს-პანჩოს“ მოვუსმინე. აღფრთოვანებული დავრჩი. ავიღე ექვსსიმიანი გიტარა, საჯარო ბიბლიოთეკაში ნოტები მოვძებნე და დავიწყე მეცადინეობა. 10-12 საათი ვმეცადინეობდი. ეზოდან რომ გამაგდებდნენ, ვაკის პარკში მივდიოდი და იქ ვუკრავდი. თუ საკუთარ თავზე არ იმუშავებ, არაფერი გამოვა. მახსოვს, ქურთის ქალმა მითხრა: „ჩემს შვილს ერთ დღეში „შალახოს“ დაკვრას ასწავლიო? მე ვუთხარი: ქალბატონო, სურდო ხომ არ არის, ვაკოცო და გადაედოს-მეთქი!

**— ძნელია, იყო ქალაქის კოლორიტი?**

— გამორჩეულ ლექსებს, სიმღერებსა და ანეკდოტებს ვწერ. ხალხი კოლორიტად ალბათ, ამიტომ მიმიჩნევს. გინდათ, ანეკდოტი გიამბოთ? ბავშვს ეკითხებიან: ეს ბიძია ვინ არისო? — ეს მამიკოს ქვისლიაო. — დედაშენს და რომ არ ჰყავსო? — რა ვიცი, მამა რომ მივლინებაში მიდის, სულ დედასთან წვებაო, — უპასუხა პატარამ. სხვა რა გითხრათ?.. ჩემი არსიყვარული არც შეიძლება. რომ დაგინახოთ, მძიმე ტვირთი მოგაქვს, მოგეშველებით, გამოგართმევთ და ადგილამდე მიგატანინებთ. ცხოვრებაში არ მიჩხუბია. ქეიფსა და დროს ტარებას რა სჯობს?! კარგი წრე, გიტარა, ურთიერთსიყვარული და ცოტა დალევა — აი, ეს არის ჩემთვის ჩხუბზე უკეთესი.

გიტარაზე დაკვრას ვასწავლიდი. ბევრ სკოლაში მიმუშავია. უამრავი მოსწავლე მყავს. 1960 წლიდან მოყოლებული 2033 ადამიანს ვასწავლე გიტარაზე დაკვრა. ალბათ, ბევრი გამომრჩა და აღარ მახსოვს.

**— თქვენ შესახებ გექნებათ გაგონილი: რამიშვილი დააპატიმრეს და დაკვრა მიუსაჯეს. სიმართლეა?**

— ერთხელ მე და ჩემი ძმაკაცი მილიციის სამმართველოში წაგვიყვანეს. კამერაში ჩაგვკეტეს. მოგვიტანეს გიტარები და კარგა ხანს გვამღერეს. ყველანაირ ადამიანთან მქონია ურთიერთობა — დაწყებული „წითლებით“, დამთავრებული „შავებით“. ფერზე გამახსენდა: მაღიზიანებს, ეს „ბოტკინიანი“ (ყვითელი) ავტობუსები რომ შემოიყვანეს. ქალაქი ავადმყოფს დაემსგავსა. უწინ უფრო მეტი სიყვარული და მეგობრობა იყო. თბილისში გაცილებით ნაკლები ხალხი ცხოვრობდა. ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. თუ ვინმე საბურთალოზე დაიღუპებოდა, სამძიმრის სათქმელად მთელი ვაკე მიდიოდა. ახლა ისეთ დღეშია ხალხი, ომიანობის დროს არ იყო ასეთი გაჭირვება და გაბოროტება... მე ტაბიძესთან, ნიაზ დიასამიძესთან, ავთო ვარაზთან, ქართლოს კასრაძესთან ვმეგობრობდი. სულ ერთად ვიყავით.

**— ნიაზ დიასამიძესთან დაკავშირებით გაიხსენეთ რამე.**

— დედამისმა და მამამისმა „ვანაში“ ჩაკეტეს — ვეღარ დალევსო. ზეწრები გადააბა, დაგრიხა და ქვემოდან ჩვენც ავვათრია. მერე მისი მშობლები წყალს ყნოსავდნენ — არაყი ონკანიდან ხომ არ წამოვიდა, აბა, საიდან დათვრაო?.. ყველანი კარგად ვსვამდით. ერთხელ ცხონებულმა ქართლოს კასრაძემ ლატარიის ბილეთი მოიტანა. შევედით ბაზარში და ამ ახალი ბილეთებით კახელი გლეხისგან 7 ინდაური ვიყიდეთ. ლატარიის ბილეთები მანეთებად გავასაღეთ. ვიქტორ დოლიძის ბიჭი, ავთო ვარაზი, ქართლოსა და ნიაზი წავედით წყნეთში. ერთმა წყნეთელმა ქალმა უზარმაზარ ქვაბში შვიდი ინდაურის საცივი გაგვიკეთა.

ზამთარი იყო, არ გაფუჭდა და 3 კვირა გვეყო. დილას პურს ჩავწობდით, დავლევდით, წამოვიდოდით, მაგრამ ისე კი არ ვსვამდით, რომ დავმთვრალიყავით.

**— ქუჩაში ქალებს თვალს თუ აყოლებდით?**

— ნიაზას ძალიან კარგი ცოლი ჰყავდა. მაშინ იცით, როგორ ხდებოდა? ნახალოვკელი ვაკელ გოგოს რომ გამოაცილებდა ვაკეში, გავლახავდით. — რატომ გამოაცილეო?! მაშინ მსუბუქი ყოფაქცევის ქალი საქართველოში 2 იყო, ახლა ყოველი მეორეა. არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვქონდა გოგონებთან. თუ ბიჭს და გოგოს ერთმანეთი უყვარდათ, ორივე ცალ-ცალკე ტიროდა. ერთმანეთს ვერ უმხელდნენ. მეც მიყვარდა ერთი გოგო. სოფელში ბებიასთან რომ ჩავდიოდი, იქ შემიყვარდა. ერთ ზაფხულს ვუთხარი: ცოლად უნდა გამომყვე-მეთქი. უარი მითხრა. მეორე ზაფხულს რომ ჩავედი, უკვე გათხოვილი დამხვდა.

**— თქვენ თუ გიტირიათ ქალის გამო?**

— არა, არასდროს.

**— ცოლი როგორ შეირთეთ?**

— ძმაკაცმა გამაცნო სამტრედიაში. მომეწონა. დაჯექი მანქანაში-მეთქი, — ვუთხარი. — არაო,— მიპასუხა. ძალით ჩავსვი და წამოვიყვანე. მაშინ მე 34 წლის ვიყავი, გულნაზი — 19-ის. ისეთი ლამაზი ქალი გახლდათ, ვერ წარმოიდგენთ.

**ძ-ნი გულნაზი:**

— სამტრედიაში ვცხოვრობდი. ოთარს არ ვიცნობდი. არც მისი სიმღერების შესახებ გამეგო რამე. სტუმრად იყო ჩამოსული. ერთ ზაფხულს დავუნახავვარ და უკითხავს: ვინ არისო? ერთი წლის შემდეგ, სპეციალურად ჩამოვიდა. მახსოვს, 28 აგვისტო იყო, მარიამობა... მას შემდეგ ერთად მოვდივართ და უკვე 37 წელია, რაც ცხოვრების ჭაპანს ერთად ვეწევით. ცხადია, ყოველი წვრილმანი მახსოვს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, მხოლოდ კარგი გავიხსენო. გასახსენებელი კი უამრავია. ერთხელ, დილით ადრე, მაღაზიაში წავიდა. საუზმისთვის ყველი და კარაქი უნდა მოეტანა. აღარ დაბრუნდა. რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკა: ლენინგრადში ვარ, თენგიზ სუხიშვილს შევხვდი და კარაქამდე ველარ მივაღწიეო... ასეთი რამ ბევრჯერ გაუკეთებია. ასე მგონია ეს ყველაფერი გუშინ იყო, ოთარი კი უკვე 70 წლისაა.

**— ამ ხნის მანძილზე ალბათ, ბევრჯერ საზეიმოდ აღნიშნეთ თქვენი დაბადების დღე. რომელიმე მათგანს ხომ არ გამოარჩევდით?**

**ბ-ნი ოთარი:**

— ყველა მოდის, ვისაც ვახსოვარ. ზოგჯერ უამრავი ხალხი მესტუმრება ხოლმე. დიდი სუფრა იშლება. თუმცა, ისიც მახსოვს, ქუჩაში 4 კაცს რომ აღგვინიშნავს ჭიქა არყით ჩემი დაბადების დღე... ზოოპარკში მაიმუნების გალიის წინ იყო პატარა მაგიდა, რომელსაც ქეთო ემსახურებოდა. ერთხელ ჩემი დღეობა იმ მაგიდასთან აღვნიშნეთ. ვქეიფობდით, გამვლელები კი გაოცებულები მოგვჩერებოდნენ.

**— სამახსოვრო საჩუქრებიც ჩამოთვალეთ.**

— შოთა გორგოძემ მაჩუქა საათი, რომელსაც გიტარის ფორმა აქვს. გიტარაც უჩუქებიათ... საჩუქრებს რა ჩამოთვლის! კაცს რომ გაახსენდები, ყველაზე კარგი საჩუქარი ეს არის. მაშინ ხალხს გვექეიფებოდა და გვემღერებოდა. ახლა უმეტესობას სტუმრის დანახვისა ეშინია. ამაზე ლექსიც დავწერე:

„ახლა სიკვდილით აღარა სჯიან,
შეცვალეს იგი შიმშილით დასჯით,
რა გვეშველება, რა გვეშველება,
ხალხის ცხოვრება როგორ შენელდა,
ექიმი ფულით, სწავლება ფულით,
უფულობამ კი გახეთქა გული...“

**— ჩვენი საუბრის დასასრულს ის პერიოდი გავიხსენოთ, როცა თქვენი სიმღერები იკრძალებოდა. ძნელი იყო ცენზურასთან გამკლავება?**

— ჩემი სიმღერები დაახლოებით 20 წლის განმავლობაში იკრძალებოდა. მწარე ლექსები მქონდა. ხელისუფლებას არ მოსწონდა. „ძაღლო, ძაღლო, ძაღლო მამაძაღლო“ — ვმღეროდი, ისინი გიჟდებოდნენ. მახსოვს, ფილარმონიაში კონცერტი მქონდა დანიშნული. აფიშები ჩამოხიეს. ფილარმონია მილიციელებმა ალყაში მოაქციეს. შესასვლელში ერთმა მილიციელმა მკითხა: სად მიდიხარო?

— უნდა ვიმღერო-მეთქი, — ვუპასუხე. — რა უნდა იმღერო, ძლივს ლაპარაკობ! — მითხრა. წამოვედი სახლში. მეორე დღეს, ერთმა ქალბატონმა ვერაზე დამპატიჟა; ოტოლარინგოლოგი ვარ, სადილზე კვერცხი უნდა გადაყლაპო და ყელი მოგირჩებაო, — დამარიგა. — ქალბატონო, ამ ხმის გულისთვის ამერიკაში ოპერაციას იკეთებენ; თანაც, კვერცხი ხმას რომ აძლევდეს, ქათმის კურტუმო ოპერა იქნებოდა-მეთქი. — ვუპასუხე.

**ძ-ნი გულნაზი:**

— მახსოვს, ოთარს სოლო კონცერტის ჩატარების ნება დართეს. ქალაქში აფიშები გააკრეს. მაგრამ ერთ დღეს ჩვენი შვილი მოვიდა სკოლიდან და თქვა — მამა, შენს აფიშებს ხევდნენ და „ივერიის“ აფიშებს აკრავდნენო. ოთარმა გადაამოწმა. მართლა ასე იყო. მეორე დღეს კონცერტი უნდა ყოფილიყო. ოთარის მაგივრად სცენაზე „ივერია“ გამოვიდა. ხალხი დაიბნა. ამ ფაქტის გამო ოთარის პოპულარობა ძალიან გაიზარდა, შემდეგ უკვე, როცა ოფიციალურად დაუშვეს ოთარის კონცერტი, ფილარმონიას იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ოჯახის წევრებმა შესვლა ვერ მოვახერხეთ. ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ „ჩაის სახლიდან“ რუსთაველამდე მილიციამ გზა გადაკეტა.

**— კონცერტის ჩაშლა ძალიან განიცადა?**

— ცხადია, ძალიან განიცდიდა. მოგვიანებით, ტელევიზიით გამოვიდა. თქვა: მე ვიცოდი, რომ ვუკრავდი, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ ვუკრავდი. სულ ენატრობდი, საკუთარი თავისთვის შორიდან მეცქირა და ჩემი ხელის მოძრაობა მენახაო.

**— არასდროს გითქვამთ მისთვის, შეეცვალა თავისი რეპერტუარი?**

— ის ყოველთვის სიმართლეს ამბობდა. მაშინ, როცა ამას ვერავინ ბედავდა, ოთარი მღეროდა იმ პრობლემებზე, რაც ხალხს აწუხებდა. ამიტომაც შეიყვარეს. დღემდე მას ხალხის სიყვარული არ დაჰკლებია. ■

# ადამიანი ან „თუ თავის მოკვლა გადაწყვიტეთ, დამირეკეთ!“

**გასული საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მლვდელმა ჩად ვარამ გაზეთში საკუთარი ტელეფონის ნომერი და შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „თუ თავის მოკვლა გადაწყვიტეთ, დამირეკეთ!“ „ეს ჩად ვარამ მას შემდეგ გააკეთა, რაც გაიგო, რომ 12 წლის გოგონამ, რომელსაც პირველი მენსტრუაცია დაეწყო და ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა ამ ბუნებრივ პროცესს, თავი მოიკლა... სამწუხაროდ, ეს ჩვენს პლანეტაზე მომხდარი არც პირველი და არც უკანასკნელი თვითმკვლელობა ყოფილა. ადამიანების ერთი ნაწილი დღემდე ჯიუტად უსწორებს ანგარიშს საკუთარ სიცოცხლეს. ისმის კითხვა, რატომ?**

*რუსუდან ლებანიძე*

## ისტორია

აღმოსავლეთი ყოველთვის იყო მიდრეკილი თვითმკვლელობისადმი: ინდოეთში დაქვრივებული ქალები კოცონზე იწვავდნენ თავს, რასაც სატი ეწოდებოდა. იაპონიაში ხარაკირი და მასობრივი სანახაობრივი თვითმკვლელობები იყო გავრცელებული; ძველ ჩინეთში შეურაცხმყოფელს საკუთარი თავის მოკვდინებით პასუხობდნენ...

სულ სხვაა დასავლეთი: ჯერ კიდევ უძველეს დროში ქალებს შორის თვითმკვლელობის აღკვეთას იმის მუქარით ცდილობდნენ, რომ მათ შიშველ გვამებს ყველას საცქერლად გამოფენდნენ; ძველ რომში, იმპერატორ ტანკვინიუს პრიკსუსის დროს, უბედური თვითმკვლელების გვამებს მტაცებლებს უგდებდნენ საჯიჯგნად; ადრიანეს ეპოქაში თვითმკლელობა დანაშაულს უტოლდებოდა და ქონების კონფისკაციით, გლოვისა და დამარხვის აკრძალვით მთავრდებოდა.

თუმცა, ძველად მაინც უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო (გამუდმებული ტანჯვა, უკურნებელი სენი, ღირსების შენარჩუნება), თვითმკვლელობას მაინც ჰქონდა არსებობის უფლება. რომისა და საბერძნეთის ხელისუფალნი ამ საკითხის კანონმდებლობის დონეზე მოგვარებასაც კი ცდილობდნენ. ბევრ ქალაქში სპეციალურად ინახებოდა სახელმწიფო ხარჯებით დამზადებული ძლიერმოქმედი შხამის — ციკუტის მარაგი, რომელიც ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი იყო, ოღონდ ერთი პირობით: თვითმკვლელობის მიზეზი სენატს, უხუცესთა საბჭოს ან სხვა რომელიმე უმაღლეს ინსტანციას უნდა „მოეწონებინა“.

მაგრამ XIV საუკუნეში ეკლესიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა მცნებით — „არა კაც ჰკლა“, თვითმკვლელობა ოფიციალურად გაუტოლა მკვლელობას. ამის შემდეგ, თვითმკვლელთა გვამებს განსაკუთრებული სისასტიკით შეურაცხყოფდნენ: ხალხმრავალ ადგილებში ფეხებით კიდებდნენ, გულში მარგილს ურჭობდნენ და ისე ფლავდნენ გზაჯვარედინზე, სამარცხვინოდ ლეშთან ერთად მარხავდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ „დანაშაულში“ უბრალოდ ეჭვმიტანილი ადამიანების გვამების ამოთხრაც კი დაიწყეს. ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს, სისხლის სამართლის დებულების თანახმად, თვითმკვლელთა გვამებს ქუჩებში პირქვე დამხობილთ დაათრევდნენ, ფეხებით კიდებდნენ და შემდეგ ძაღლებს უგდებდნენ საჯიჯგნად.

მოგვიანებით, უფრო რესპექტაბელურმა ევროპელებმა თვითმკვლელები უბრალოდ გიჟებად გამოაცხადეს. თუმცა, ინგლისმა, როგორც ყოველთვის ამჯერადაც კარგა ხანს არ უღალატა ტრადიციას: იქ თვითმკვლელობა 1961 წლამდე ითვლებოდა დანაშაულად. მაგალითად, 1955 წელს, ერთ უბედურს, თვითმკვლელობას სასწაულებრივად რომ გადაურჩა, ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

## თანამედროვეობა

თანამედროვე საზოგადოება თვითმკვლელთა ქმედებას არაერთგვაროვნად აფასებს. ზოგი მათ საქციელს სიგიჟეს ეძახის, ზოგი — უდიდეს გაბედულებას, ადამიანთა უმეტესობა კი მხოლოდ სიბრალულის გამოხატვით იფარგლება. ამ მძიმე საკითხში საერთო აზრამდე სპეციალისტებიც იშვიათად მიდიან. თვითმკვლელთა საქციელის შეფასებისას, ფსიქიატრები ადამიანის ფსიქიკური აშლილობისკენ იხრებიან, ანთროპოლოგები ყველაფერს თავის ქალაში არსებულ გადახრებს აბრალებენ, ფსიქოლოგები — ადამიანის პიროვნულ სისუსტეს, სოციოლოგები — სოციალური პრობლემების მოუგვარებლობას... ის კი არა და, როგორც ჩანს, თავად თვითმკვლელებმაც არ იციან ზუსტად, თუ რას მიჰყავს ისინი ამ უკიდურეს ზღვრამდე — თვითმკვლელობის წინ დაწერილი მათი წერილები ხომ ტრაფარეტული და არაფრის მთქმელია... სიკვდილთან შედარებით.

მაგრამ ადამიანები მაინც ჯიუტად უსწორებენ სიკვდილს თვალს. მეტიც:

ბოლო მონაცემებით, თვითმკვლელობების რიცხვი მსოფლიოში გამუდმებით იზრდება. დღეს საკუთარი სიცოცხლისთვის ანგარიშის გასწორების სურვილი უჩნდებათ არა მარტო შეშლილებს, არამედ ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელ ადამიანებსაც, ღარიბ-ღატაკთაც და სიმდიდრით გამორჩეულთაც. ის კი არა და, განვითარებულ და სტაბილურ ქვეყნებში თვითმკვლელობისკენ ლტოლვა, თურმე, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დანარჩენ სამყაროში. მაგალითად, კანადაში სამჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე კოსტა-რიკაში. ერთი სიტყვით, სუიციდი სტაბილურობისა და მატერიალური კეთილდღეობის ერთგვარ სასტიკ მეგზურადაც კი იქცა, რაზეც კონკრეტული სტატისტიკაც მეტყველებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წლიდან დღემდე ახალგაზრდა თვითმკვლელთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. იქ ყოველდღიურად, წარუმატებელი სუიციდის შემდეგ, საავადმყოფოში ასზე მეტი ახალგაზრდა ხვდება; ინგლისში ყოველ 100000 მოსახლეზე 144 თვითმკვლელობა მოდის, ავსტრიასა და დანიაში – 128, ფინეთში – 125...

## სპეციალისტის აზრი

**ვეტა ლაზარაშვილი**, *სუიციდოლოგი, სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი:*

– სუიციდი – თვითმკვლელობა – მიკროსოციალური კონფლიქტების პირობებში პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური დეზადაპტაციის შედეგია. არსებობს თვითმკვლელობის შემდეგი ფორმები: პროტესტი, შურისძიება, სასჯელისთვის თავის არიდება, სიცოცხლეზე უარის თქმა. რაც შეეხება თვითმკვლელობის მოტივებს, ისინი საკმაოდ მრავალგვარია. მაგალითად, ოჯახური კონფლიქტი, პირადი უსიამოვნება, კონფლიქტი პროფესიულ სფეროში, სექსუალური პრობლემები, ცალმხრივი სიყვარული, მარტოობა და ა.შ. ხშირია თვითმკვლელობა განუკურნებელი სენით შეპყრობილ (მაგალითად, ონკოდაავადებებით) ადამიანებშიც.

**— უფრო ხშირად რა ასაკის ადამიანები იკლავენ თავს?**

– საერთოდ, სუიციდს ორი პიკი აქვს: ახალგაზრდობის (18-დან 25 წლამდე) და სიბერის (55 წლის შემდეგ). ეს პიკები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. პირველში უფრო ხშირია თვითმკვლელობის მცდელობა, მეორეში – დასრულებული სუიციდი. დასრულებული სუიციდი ასევე მეტია მამაკაცებში. თუმცა ქალები 4-ჯერ უფრო ხშირად ცდილობენ თავის მოკვლას. არსებობს ე.წ. – „პარასუიციდის ცნებაც", რომელშიც ზოგიერთი მკვლევარი, თვითმკვლელობის მცდელობებთან იმ შემთხვევებსაც აერთიანებს, როცა ადამიანს სიკვდილის გაუცნობიერებული სურვილი ამოძრავებს. მაგალითად, კარლ მენინგენის თეორიის მიხედვით, ალპინიზმს, მოტოსპორტს, ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს და საერთოდ, ყველა იმ ქმედებას, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებს, საფუძვლად სიკვდილის ქვეცნობიერი სურვილი უდევს. ცხადია, არსებობს ანტისუიციდური ფაქტორებიც, რომლებიც სერიოზულ ანტისუიციდურ ბარიერებს ქმნის. ესენია: რელიგიური მრწამსი, ოჯახური ტრადიციები, პასუხისმგებლობის გრძნობა (ე.წ. კანტის „ზნეობრივი იმპერატივი"), რომლებიც სერიოზულად უშლის ხელს ადამიანს თვითმკვლელობის ჩადენაში.

**— საბედნიეროდ, თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტორები საქართველოში ჯერ ისევ მტკიცედაა ფესვგადგმული...**

– დიახ და ამიტომაც, საქართველო ყოველთვის იმ ქვეყნათა რიგში იდგა, სადაც ნაკლებია თვითმკვლელობის შემთხვევა. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ჩვენ ბოლოსწინა (ბოლოზე სომხეთი იყო) საპატიო ადგილი გვეკავა. ეს კი იმით აიხსნებოდა, რომ არც ჩვენს კულტურაში, არც რელიგიასა და არც საზოგადოებრივ ცნობიერებაში თვითმკვლელობა, როგორც მიღებული ფენომენი, არასდროს არსებულა. არადა, არის ქვეყნები, მაგალითად, იაპონია, სადაც თვითმკვლელობა ყოველთვის მიღებული იყო. ძველ გერმანელებს პირველი თვითმკვლელისადმი მიძღვნილი ჰიმნიც კი ჰქონდათ, რომელშიც მის სიმამაცეს განადიდებდნენ. საქართველოში თვითმკვლელობა ყოველთვის ადამიანის სისუსტედ ითვლებოდა, თვითმკვლელი ებრალებოდათ, მაგრამ არ თანაუგრძნობდნენ და, მით უფრო, არ განადიდებდნენ.

**— მაგრამ ქართველები ხომ მაინც იკლავდნენ და იკლავენ თავს, თანაც, ბოლო წლებში მგონი, უფრო ხშირადაც...**

– ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ბოლო წლებში საქართველოში ყოველ 100000 მოსახლეზე 3-4 თვითმკვლელობა მოდის. ეს დაბალ მაჩვენებლად ითვლება. გახშირებით კი, თვითმკვლელობა კი არა, თვითმკვლელობის მცდელობა გახშირდა, რაც არანაკლებ საგანგაშოა. ამის ძირითად მიზეზად ბევრი, მოსახლეობის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას ასახელებს. ჩემი აზრით კი, ეს, პირველ რიგში, იმ უიმედობის, უპერსპექტივობის, უსამართლობის, უმომავლობის განცდის შედეგია, რაც ადამიანს სერიოზულ დეპრესიაში აგდებს.

**— დეპრესიიდან თვითმკვლელობამდე კი ხშირად ერთი ნაბიჯია რჩება...**

– მე ასე ვიტყოდი: თავისთავად, დეპრესია არ არის კატასტროფა, მაგრამ თუ მას დროზე არ გამოავლენ და სათანადოდ არ უმკურნალებ, შეიძლება, ძალიან ცუდად დამთავრდეს.

**— კონკრეტულად თქვენ ცენტრი რას აკეთებს ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დასახმარებლად?**

– ჩვენი ცენტრი არასამთავრობო სამეცნიერო-პრაქტიკული ორგანიზაციაა, რომლის ძირითად მიზანსაც, ფსიქოლოგიურ კრიზისში მყოფი ადამიანების სამედიცინო და სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს. ჩვენ შეიძლება, ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში მყოფმა ადამიანმა მოგვმართოს. ჩვენი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, იურისტები, სოციალური მუშაკები მას სათანადო დახმარებას აღმოუჩენენ. ჩვენთან მუშაობს აგრეთვე, საღამოობამისო მრავალარხიანი ნდობის ტელეფონებიც – მოზრდილთათვის და მოზარდთათვის („საყმაწვილო არხი").

## აღსარება ადამიანისა, რომელმაც ორჯერ სცადა თავის მოკვლა

– თავის მოკვლა პირველად 19 წლისამ ვცადე. მეორედ 30-ს ვიყავი გადაც-

ილებული (აქ ასაკს შეგნებულად აღარ ვაკონკრეტებ). ორივე შემთხვევაში ყველაფერი ისე მოვაწყვე, რომ წესით, ჩემი გადარჩენა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეტყობა, ღმერთის ნება იყო და ორჯერვე გადავრჩი... პირველად სახლში მე და დედაჩემი ვიყავით. ცოტა ხანში ის რაიონში, ახლობლის დაკრძალვაზე უნდა წასულიყო. დედა გავისტუმრე თუ არა, სამზადისს შევუდექი. თავი მაქსიმალურად მოვიწესრიგე, მაკიაჟიც კი არ დამვიწყნია – მინდოდა, ლამაზი მკვდარი ვყოფილიყავი. შემდეგ კედლიდან ჩამოვხსენი დიდი სარკე და იატაკზე დავდგი, რომ მასში მთლიანად გამოჩენილიყავი. დავწექი ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც სიკვდილის შემდეგ წარმომედგინა თავი. საკუთარი გამოსახულება სარკეში შევათვალიერე და ფრიად კმაყოფილიც დავრჩი... ამის შემდეგ, სარკე ისევ თავის ადგილას დავაბრუნე, თმა კიდევ ერთხელ გავისწორე საწოლის გვერდით, ტუმბოზე ჭიქით წყალი დავიდგი და იმ წამლის 16 აბი – რომელსაც მამაჩემს გარდაცვალებამდე ვასმევდით და ვიცოდი, რომ მარტო წნევას კი არ არეგულირებდა, ძილსაც ჰგვრიდა – მშვიდად, თითო-თითოდ, ერთმანეთის მიყოლებით დავლიე...

**— იმ მომენტში რაზე ფიქრობდი?**

– აბსოლუტურად არაფერზე!

**— არც იმაზე, ვინც ან რამაც ამ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანა?**

– არა! უბრალოდ, საკუთარი თავი დავსაჯე, გავასამართლე და განაჩენიც თავადვე გამოვუტანე...

**— მიზეზი?.. რაღაც მიზეზი ხომ უნდა გქონოდა?**

– მქონდა კიდეც – განხიბვლა! ბუნებით მაქსიმალისტი ვარ. სანახევროდ არც სიყვარული შემიძლია და არც სიძულვილი. მიყვარს ადამიანის (როგორც მამაკაცის, ისე ქალის) ამოჩემება და გაღმერთება. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება ხოლმე, რომ შევცდი (გაღმერთებული ადამიანისგან ხომ პატარა შეცდომა და უყურადღებობაც კი საშინელებად გეჩვენება) და ამის გამო, მზად ვარ, საკუთარი თავი სასტიკად დავსაჯო.

**— ვინ გადაგარჩინა?**

– დედამ. მაინც რა არის დედის ინტუიცია – გზაში გულმა რაღაც ცუდი უგრძნო და უკან მობრუნდა... უკვე გონება მქონდა დაკარგული... ამის შემდეგ, სამი დღე და ღამე მეძინა. ამ ხნის მანძილზე, თურმე, დედაჩემის ხმის გარდა, არაფერზე ვრეაგირებდი. დედას კი კითხვებზეც ვპასუხობდი. რომ გამოვიღვიძე, პირველი, რაც გავაკეთე – მშია-მეთქი, წამოვიძახე...

**— ჩადენილის გამო სინდისი არ გქენჯნიდა?**

– არა! პირიქით, ძალიან კმაყოფილიც კი ვიყავი იმით, რაც გავაკეთე... ვფიქრობდი, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დავუმტკიცე საკუთარ თავს. ალბათ, ის, რომ შემიძლია, თავს მოვერიო და რასაც მოვისურვებ, ის დავმართო... ე.ი. მე ძლიერი ვარ!

**— მაგრამ ბევრს და მათ შორის სპეციალისტებსაც მიაჩნიათ, რომ თავის მოკვლა მხოლოდ სუსტი ადამიანების ხვედრია...**

– ადამიანი, რომელიც ამას შანტაჟის მიზნით აკეთებს, მართლაც სუსტი და შესაბრალისია. მაგრამ არა მგონია, თვითმკვლელობა ყოველთვის ადამიანის სისუსტით იყოს გამოწვეული. არა! ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ვინმეს თვითმკვლელობისკენ მოვუწოდებ. ნამდვილად არ მინდა, ასე გამიგონ. მაგრამ თავის მოკვლას საოცარი ძალა სჭირდება – შიშის, სიკვდილის შიშის დაძლევის ძალა! ეს კი ყველა შიშზე ძლიერია... ისე, გამოგიტყდები და მაშინ ძალიან პატარა ვიყავი საიმისოდ, რომ ამდენ რამეზე მეფიქრა, ანდა იმაზე მემტვრია თავი, თუ ჩემს საქციელს ვინ როგორ გაიგებდა...

**— მეორედაც ასე დაუფიქრებლად მოქმედებდი?**

– არა. და ამიტომაც, მეორედ, მართლა დამნაშავე ვიყავი... არა, ისე კი ნუ გამიგებ, რომ რაღაც კონკრეტული დანაშაული ჩავიდინე... უბრალოდ, ბოროტად გამოვიყენე ძალა, რომელიც, ალბათ, ყველა ქალს აქვს და ცოდვისკენ ვუბიძგე ერთ ადამიანს...

**— ასეთი მაინც რა ცოდვა იყო?**

– გამორთე დიქტოფონი და გეტყვი...

**— მეორედაც წამალი დალიე?**

– კი, ისევ ივიგე წამალი და თანაც, მის ხელში ჩასაგდებად, ცხოვრებაში პირველი და ალბათ, უკანასკნელი ქურდობაც ჩავიდინე – აბები მეგობრის სახლიდან დაუკითხავად წამოვიღე... შემდეგ, სწორედ ამ მეგობრის გადასარჩენი გავხდი... მეორე თვითმკვლელობის მცდელობა უფრო გულმოდგინედ მოვაწყვე. წერილებიც კი დავუტოვე ყველა ჩემს ახლობელს...

**— თუ საიდუმლო არ არის, რას წერდი იმ წერილებში? როგორც ამბობენ, თვითმკვლელთა სიკვდილისწინა წერილები ხშირად ძალზე ტრაფარეტული და თითქმის არაფრის მთქმელიაო...**

– იცი, ეს როგორი წერილები იყო? როგორ გითხრა?.. ალბათ, იშვიათია ადამიანი (ცხადია, გიჟის გარდა), ვისაც შეუძლია, ყველას ყველაფერი პირდაპირ უთხრას: კოჭლს – კოჭლი ხარო, ბრუციანს – ბრუციანიო და ა.შ. აი, რაღაც ამის მსგავსი წერილები იყო. მოკლედ, გულში აღარაფერი ჩავიტოვე. მართალია, ძალზე მოკლე და ლაკონიური წერილები იყო, მაგრამ მაინც – ყველაფრის მთქმელი. ცხადია, საგანგებოდ ვუხდიდი ბოდიშს და პატიებას ვთხოვდი დედას!

**— ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა...**

– მართალი ხარ... მაგრამ... მოდი, მეც გკითხავ: თუ ყოფილხარ მდგომარეობაში, როცა იმდენად ძლიერია სიკვდილის, ამქვეყნად არყოფნის სურვილი, რომ ყველაფერს ჯაბნის?

**— ალბათ, ვყოფილვარ, მაგრამ როგორც წესი, ასეთი განცდა მაინც წამიერია და მალევე გადის...**

– ყოველთვის არა! ასე რომ, თუ ეს სურვილი კარგა ხნით დაგეუფლა, მაშინ ვეღარავის გაუწევ ანგარიშს, მათ შორის – ვეღარც დედას! მე კი სწორედ ასე დამემართა: აბსოლუტურად მარტო დავრჩი... არა, ახლობლები და მეგობრები გვერდით როგორ არ მყავდნენ, მაგრამ მაინც

ფრაზა გენიალური

**ცოცხალი გონების ნიშანი ის არის, რომ საკმარისია, ცოტა ნახოს, ცოტა მოისმინოს, რათა შემდგომ, დიდხანს იფიქროს, ბევრი გაიგოს და შექმნას.**

*ჯორდანო ბრუნო*

ბრუციანიო და ა.შ. აი, რაღაც ამის მსგავსი წერილები იყო. მოკლედ, გულში აღარაფერი ჩავიტოვე. მართალია, ძალზე მოკლე და ლაკონიური წერილები იყო, მაგრამ მაინც – ყველაფრის მთქმელი. ცხადია, საგანგებოდ ვუხდიდი ბოდიშს და პატიებას ვთხოვდი დედას!

**— ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა...**

– მართალი ხარ... მაგრამ... მიდი, მეც გკითხავ: თუ ყოფილხარ მდგომარეობაში, როცა იმდენად ძლიერია სიკვდილის, ამქვეყნად არყოფნის სურვილი, რომ ყველაფერს ჯაბნის?

**— ალბათ, ვყოფილვარ, მაგრამ როგორც წესი, ასეთი განცდა მაინც წამიერია და მალევე გადის...**

– ყოველთვის არა! ასე რომ, თუ ეს სურვილი კარგა ხნით დაგეუფლა, მაშინ ველარავის გაუწევ ანგარიშს, მათ შორის – ველარც დედას! მე კი სწორედ ასე დამემართა: აბსოლუტურად მარტო დავრჩი... არა, ახლობლები და მეგობრები გვერდით როგორ არ მყავდნენ, მაგრამ მაინც აბსოლუტურ სიცარიელეს ვგრძნობდი...

მე ძალიან მიჭირს უსიყვარულოდ ცხოვრება. მაშინ კი დიდმა სიყვარულმა დამტოვა. ამას დაემატა სრული პროფესიული კრახიც – გაკოტრდა ფირმა, რომელშიც ვმუშაობდი, დავკარგე საყვარელი საქმე და თან, უშველებელი ვალიც დამედო... მოკლედ, ცოცხალ ლეშად ვიქეცი. თანაც, ეს რამდენიმე დღე ან კვირა კი არა, თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ნამდვილად აღარ შემეძლო სიცოცხლე, აღარ შემეძლო და მორჩა! მაგრამ მეორედაც გადამარჩინეს. გონს რომ მოვედი, სასტიკად დამწყდა გული: როგორ! ისევ ცოცხალი დავრჩი-მეთქი?! არადა, სულ რაღაც ორ კვირაში ისეთი დიდი ბედნიერება მეწვია, რომ ეკლესიაში, ხატის წინ მუხლმოყრილი, მადლობას ვწირავდი ღმერთს, რომ გადამარჩინა და ამხელა ბედნიერების განცდის საშუალება მომცა...

**— მანამდე სად იყო ღმერთი? ნუთუ თვით ყველაზე დიდი სასოწარკვეთილების წუთებშიც არ გაგხსენებია?..**

– სად იყო და... მე ყოველთვის მწამდა ღმერთი!.. მაგრამ მქონდა მომენტები, როცა საყვედურს გამოვთქვამდი ღვთის მისამართით (ახლა ვთვლი, რომ ეს ყველაზე დიდი ცოდვაა, რაც კი ოდესმე ჩამიდენია). იმიტომ, რომ ზოგჯერ ისეთ კრიტიკულ მომენტს „მიქმნიდა", უფრო სწორად, თავად მექმნებოდა ცხოვრებაში, რისი ღირსიც ნამდვილად არ ვიყავი. რატომღაც, სწორედ ის ადამიანები, ვისთვისაც სრულიად უანგაროდ გამიკეთებია სიკეთე (ალბათ, ამის თქმაც ცოდვაა, მაგრამ სიტუაციის გაანალიზებას ვცდილობ), მპასუხობდნენ ბოროტებითა და უკეთურობით, ისინი მიფუჭებდნენ ბევრ რამეს. მათ გამო გავილანძღე დაუმსახურებლად, თანაც – არაერთხელ... მეც სწორედ ასეთ წუთებში ვსაყვედურობდი ღმერთს: ღმერთო, ნუთუ ვერ ხედავ, რა ხდება, რატომ არ მეხმარები, რატომ არაფერს იღონებ-მეთქი?! ასეთი საყვედური ბევრჯერ შემიბედავს ღმერთისთვის... იმიტომ, რომ ასეთ მომენტებში ღმერთზე განაწყენებული ვიყავი, მეტიც, მეჩვენებოდა, რომ ზოგჯერ თავად ღმერთიც მტოვებდა...

**— და ამიტომ, ჯოჯოხეთში მოხვედრისაც აღარ გეშინოდა?**

– არა! იმ წუთებში იმდენად გამწარებული ვიყავი, რომ თავს საწამებლადაც ადვილად გავიმეტებდი. „ღირსი ხარ, თუ „იქ" მოხვდები და ეწამები!" – ვეუბნებოდი მაშინ საკუთარ თავს და იმ მომენტში ამაზეც შეგნებულად მივდიოდი...

**— თვითმკვლელობას გადარჩენილი ადამიანი ცხოვრებას ძნელად უბრუნდება. ვინ (ან იქნებ, რამ) მოგაბრუნა სიცოცხლისკენ საბოლოოდ?**

– ღმერთმა! აკი გითხარი, მეორე თვითმკვლელობის მცდელობიდან სულ რაღაც ორ კვირაში, უდიდესი ბედნიერება მომივლინა-მეთქი!.. ღვთის საჩუქრად ვთვლიდი და ახლაც ვთვლი ყველაფერს, რაც მაშინ თავს გადამხდა. ბედნიერების ისეთი ამაღლებული გრძნობა მხოლოდ ღვთის წყალობით თუ ეწვევა ადამიანს...

**— ეს მაშინ იყო, ახლა?**

– ახლა იმდენად ჩამითრია საყვარელმა საქმემ, რომ თვითმკვლელობისთვის ნამდვილად აღარ მცალია. აკი გითხარი, სანახევროდ ვერაფერს ვაკეთებ-მეთქი...

## ყველა გზა რწმენისკენ მიდის

*პროტოპრესვიტერი* **გიორგი გამრეკელი**:

– სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული თვითმკვლელობა ცოდვად ითვლება. უბედურება ამ ცოდვისა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აღარ აქვს მონანიების საშუალება. ის მიდის ამ ქვეყნიდან უკიდურესი განმარტოების მდგომარეობაში. გაწყვეტილი აქვს კავშირი ღმერთთან და მოყვასთან. ხსნის აღარც იმედი აქვს და აღარც სურვილი. მას ამოძრავებს მხოლოდ ერთადერთი რამ: გაექცეს ამქვეყნიურ ცხოვრებას. სრულიად აღარ ფიქრობს მომავალ ცხოვრებაზე. მან უარი თქვა ყველაზე, დაკარგა რწმენა ღვთისა და მომავლისა და ამ ქვეყნიდან სინანულის გარეშე მიდის. ამიტომ, დახმარებას, ლოცვის სახით, ის ვერ მიიღებს. ამგვარი თვითმკვლელის საოხად ეკლესიაში ლოცვა არ აღევლინება, როგორც უშედეგო და უნაყოფო. თვითმკვლელი, რომელიც სასოწარკვეთილების გამო იკლავს თავს, არის ადამიანი, რომელმაც მთელი მსოფლიო საკუთარ თავს დაუპირისპირა და თვითონაც დაუპირისპირდა მას. მისი სული იმქვეყნიურ ცხოვრებაში ყველასგან გარიყული, მარადიულ სიბნელესა და ტანჯვაში აღმოჩნდება. სხვა არის, როდესაც ადამიანი თავს წირავს მოყვასისთვის, უფლისთვის. ის სიყვარულის კარნახით მოქმედებს.

*დაბოლოს, თვითმკვლელობა, როგორც არ უნდა ავხსნათ მისი მიზეზი, მაინც სისუსტე და კაპიტულაციაა. ამიტომ ის, ალბათ, მაშინაც არ არის გამართლებული, როცა ადამიანმა ყველაფერი დაკარგა: სიყვარული, ჯანმრთელობა, ახლობლები, საკუთარი ძალების რწმენა და სიცოცხლის აზრი... იმიტომ, რომ ასეთ უკიდურესად საშინელ მდგომარეობაშიც კი არსებობს ძალა, რომელსაც უფსკრულთან ნებაყოფლობით მდგომი ადამიანის მობრუნება შეუძლია... ბევრს ამ ძალას ღმერთი აძლევს, ზოგიერთს კი, ღვთისავე შეწევნით, უდიდესი სასოწარკვეთილების დროს – გვერდით იქნებ, შემთხვევით მდგარი უბრალო მოკვდავი...* ■




# — გამარჯვების სიმბოლო

ლევან ებრალიძე

*პალმის რტო თავდაპირველად ომში გამარჯვების სიმბოლო იყო, მას თან ატარებდნენ ტრიუმფულ პროცესიაზე. ქრისტიანულ აღმსარებლობაში კი სიკვდილზე ქრისტეს გამარჯვების სიმბოლოდ აღიქმება. გამარჯვების ქალღმერთი ნიკე ასევე პალმის რტოთი ხელში გამოისახება. პალმა დიდების გამომხატველი ნიშანია. ხელოვნებაში ის ხშირად გვხვდება წამებულთა ატრიბუტად და ამ მხრივ, საიდენტიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს. პალმა, აგრეთვე ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის სიმბოლოა. იესო ქრისტეს, იერუსალიმში შესვლისას პალმის ტოტებით შეხვდნენ. ჩვენში ამ ქრისტიანულ დღესასწაულს ბზით აღვნიშნავთ. პალმა, აგრეთვე, ნაყოფიერების კლასიკური ემბლემაა. „ყოველთვის ფოთლებშემართული, მუდამ მწვანითაა შემოსილი. ამ ხის ასეთ ძალას, ხალხი შესაფერისად და მისაღებად თვლის გამარჯვების გამოსასახავად“, — ამბობს პლუტარქე. პალმას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი დატვირთვა აქვს: არაბეთში — სიცოცხლის ხედ, ჩინეთში — ღირსების, ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნევენ; ქრისტიანულ ქვეყნებში — წმინდანის, უკვდავების (ამ მნიშვნელობით ის ფენიქსთან ერთად გამოისახება), წამებულის სიკვდილზე გამარჯვების, სამოთხის სიმბოლოა... ეგვიპტეში — „კალენდარულ“ ხედ მოიაზრება, რომელიც ყოველ თვეში ახალ ტოტს იძლევა.*

*ტექსტებსა და გამოსახულებებში, როგორც წესი, იგულისხმება ფინიკის პალმა. ასირიელები მზის ღმერთს ხშირად პალმის გვირგვინზე გამოსახავდნენ. ეგვიპტელები კი პალმის მარაოებს სარკოფაგებსა და მუმიებზე ათავსებდნენ. პალმა არ ექვემდებარება მასზე დაწოლილ სიმძიმეს, ის იმარჯვებს და ტკბილ ნაყოფს ისხამს. ვინც ღმერთსაა მინდობილი და ჭეშმარიტად ლოცვა შეუძლია, მას ყველა სირთულის გადალახვაში ანგელოზები ეხმარებიან“ (ჰოხბერგი).*

*ეს, რაც შეეხება პალმის სიმბოლურ დატვირთვას, ხოლო როგორც უბრალოდ ოთახის მცენარე, პალმა ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური და მდიდრულია. თუ როგორ უნდა გავახაროთ და მოვუაროთ პალმას, მოგვითხრობს თბილისის ბოტანიკური ბაღის ტროპიკული ორანჟერეის თანამშრომელი, ქალბატონი* **ნანა ყუბანეიშვილი**.

— პალმები (Palmae) შედიან პალმისებრთა ოჯახში და ითვლიან 2700-მდე სახეობას. პალმა ოთახის საუკეთესო ფოთოლ-დეკორაციული მცენარეა. უმეტესობა მიეკუთვნება ტროპიკულ მცენარეთა რიგს, მცირე ნაწილი კი — სუბტროპიკულს. ბევრი მათგანი შეუცვლელია შიდაგამწვანებისთვის, ზაფხულში კი — ყვავილნარების, ბაღებისა და აივნების გასალამაზებლად. სამშობლოში პალმები უზარმაზარი ზომის იზრდებიან. ფოთლების სიგრძე 15 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე — 2 მეტრს. თუ კარგ პირობებს შევუქმნით, მშვენივრად ხარობენ ოთახშიც. შენობა პალმებისათვის მზით განათებული და ფართო უნდა იყოს, აგრეთვე კარგად უნდა ნიავდებოდეს, ოღონდ არ უყვართ ორპირი ქარი. ყველა პალმა ტენის მოყვარულია. ამიტომ ნიადაგი ქოთნებში ყოველთვის ნამიანი უნდა იყოს და არა — სველი. ზედმეტი, ჭარბი რწყვა ფოთლების დაზიანებას იწვევს. როგორც წესი, ქვედა ფოთლები დროთა განმავლობაში ძველდება და ყვითლდება. ვინაიდან პალმა ვერ იტანს ტოტების შეჭრას, სანამ ბოლომდე არ გახმება, გაყვითლებული ფოთოლი არ უნდა მოიკვეთოს, ოთახის პალმას შეძენისას უნდა დავაკვირდეთ. იგი არ უნდა იყოს მავნებლებისგან დაზიანებული, არ უნდა ჰქონდეს შემხმარი ან წვეროებშეჭრილი ფოთლები. ოთახში უმჯობესია თესლით გახარებული პალმა, რადგან თავიდანვე შეგუებული იქნება შესაბამის გარემო პირობებს. პალმების უმრავლესობას თესლით ამრავლებენ, ზოგს — ამონაყარით. თესლი მალე კარგავს აღმოცენების უნარს. თესვის ყველაზე კარგი დროა ზამთრის მეორე ნახევარი და გაზაფხული. რადგან გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში თბილა, უკეთესად ვითარდებიან, იზრდებიან, მაგრდებიან და ზამთარსაც ადვილად იტანენ. თესლს დათესვამდე 2-3 დღით ადრე, სუფთა წყალში ალბობენ და დაბალ ქოთანში (16 სანტიმეტრამდე) თესენ. ქოთნის ძირი სწორი და ნაჩვრეტებიანი უნდა იყოს. ქოთანში ჯერ დრენაჟისთვის კენჭებს ყრიან, შემდეგ კი — მიწის ნაზავს: ერთი წილი კორდის მიწა და სამი წილი მსხვილმარცვალა ქვიშა. მიწის ნაზავს ზემოდან, ოთხი სანტიმეტრის სისქეზე ქვიშას აყრიან, რომელშიც 2-3 სანტიმეტრის სიღრმეზე ერთმანეთისგან სამი სანტიმეტრის დაშორებით თესავენ. ნიადაგის ტემპერატურა სუბტროპიკული ზონის პალმის თესლის აღმოცენებისთვის 20-22 გრადუსია, ხოლო ტროპიკული ზონის — 28-30 გრადუ-



სი უნდა იყოს. ქოთანი ყოველდღე, ოთახის ტემპერატურის წყლით ირწყვება. როცა პირველი ფოთოლი 5-8 სანტიმეტრს მიაღწევს, უნდა გადაირგოს 9 სმ-ის დიამეტრიან ქოთანში, რომლის მიწის ნაზავი ასეთია: 2 წილი კორდის მიწა, 2 წილი ფოთლის მიწა და 1 წილი მდინარის ქვიშა. გადარგვის შემდეგ კარგად ირწყვება და ნათელ, თბილ ადგილას იდგმება. როცა ნათესარი კარგად მომაგრდება, ისეთივე მოვლა დასჭირდება, როგორიც მოზრდილ მცენარეებს. 3-4 წლამდე პალმა ყოველწლიურ გადარგვას საჭიროებს. გადარგვისას ფესვთა სისტემა არ უნდა დაზიანდეს და არც — შეიკვეცოს. 5 წლის შემდეგ, როცა ქოთნის ძირის ნაჩვრეტიდან ფესვი გამოვა, გადარგვა მოზრდილ ქოთანში ხდება.

ჩვენში ყველაზე გავრცელებულია მარაოსებრი პალმა, რომელიც საუკეთესო მასალას წარმოადგენს ინტერიერების, ოფისების, დარბაზების გასაფორმებლად. თესლით გამრავლებისას ყველა პალმა გარეგნულად ერთნაირია, მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ ფოთლის ფირფიტა იყოფა და იღებს ამა თუ იმ პალმის დამახასიათებელ ფორმას.

## ქალბატონებო, საინტერესოა იცოდეთ, რომ...

- თუ მამაკაცს ცივი, უფერული, ხელის მტევნები აქვს, ის გულგრილი და ეგოისტი ადამიანია. მისგან ნურც დელიკატურ მოპყრობას ელით;
- ნაზი, უთმო ხელები — დედაზე (ან ცოლზე) დამოკიდებული მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი;
- რბილი, ფუმფულა ხელების მქონე მამაკაცები სენტიმენტალურები არიან;
- უხეში და დანაოჭებული ხელების პატრონი ზარმაცია;
- გრძელი, თხელი და ზემოთ აპრეხილი თითების მქონე მამაკაცი გულკეთილი, მხიარული, ამავე დროს, შრომისმოყვარე ადამიანია;
- პატარა ხელები — ცბიერ, მოქნილ და პრაქტიკულ მამაკაცებს აქვთ;
- თუ მამაკაცს დიდი ხელის მტევნები აქვს, ის თბილი, გულისხმიერი და ამავე დროს, ძლიერი ხასიათის მქონეა. მის გვერდით მუდამ დაცულად იგრძნობთ თავს;
- ხოლო თუ მამაკაცს ჭუჭყიანი ხელები აქვს, მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

## თავი გტკივათ? — უმკურნალოთ ზურგს

ქალები, რომლებსაც ხერხემლის არეში უსიამოვნო შეგრძნებები აწუხებთ, ხშირად უჩივიან თავის ტკივილს.

სპეციალური გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ თავის ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს მოუხერხებელ პოზაში ჯდომამ ან მკვეთრმა მოძრაობამ — რომლის დროსაც კისრის კუნთები იჭიმება.

თავის ტკივილის მიზეზი, ხშირად, ტკივილგამაყუჩებელი წამლების გადაჭარბებულად მიღებაც ხდება.

## მიირთვით ბევრი თევზეული

თევზეული ავსტრიელი მეცნიერების მიერ ახლახან ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაციონში თევზის მნიშვნელოვანი დოზის ჩართვა, ინსულტის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც თევზეულს კვირაში 3-4-ჯერ მაინც მიირთმევენ, ინსულტი გაცილებით იშვიათად ემართებათ, ვიდრე მათ, ვინც თევზს მხოლოდ თვეში ერთხელ მიირთმევენ. ასე რომ, ქალბატონებო, მიირთვით ბევრი თევზეული.


სიახლე!

**სილამაზისა და ჯანმრთელობის კაბინეტი**

მოგიხსნით სახის კანის პრობლემებს, მოგაშორებთ გამონაყარს, ფერისმჭამლებს, ნაოჭებს, მკვდარ უჯრედებს და ლაქებს, დაგირეგულირებთ კანის ცხიმიანობას და სიმშრალეს. აგრეთვე სპეციალური ბუნებრივი პროდუქციით გაგინმინდავთ ორგანიზმს და სამუდამოდ გაგანთავისუფლებთ ალერგიული, ანთებითი და ჰორმონალური დარღვევებით გამონვეული გამონაყარისაგან.

შეგიჩერებთ თმის ცვენას, მოვახდენთ ფიგურის კორექციას, სხეულის კანს გავხდით გლუვსა და ხავერდოვანს, მოგაშორებთ მაზოლებს, შრამებს და მშობიარობის შედეგად დარჩენულ სტრიებს. კაბინეტში ტარდება სამკურნალო მასაჟიც.

ჩაწერა წინასწარ: 35 22 76 (კაბინეტი); 64 37 44 (ბინა); 877 78 37 83.
მისამართი: დიდუბე, წერეთლის გამზ. 55 (შესასვლელი კედიას, ყოფილი ჯახოვკის ქუჩიდან). სილამაზის სალონი „ფანტაზია", მენეჯერი-კონსულტანტი ბ-ნი სერგო



| ის, რითიც თამაშობენ ნარდს | სახლის გადასახურავი კერამიკის მასალა | მაღაზიის დიდი მინა | დაიანა, იგივე ლედი ... | მანგუსტი ... -ტიკი-ტავი | რძის პროდუქტი | მამაკაცის სასიმღერო ხმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მაია წყნეთელის ბიჭური სახელი | ელასტიკური ქსოვილი | გამის ნოტი | მორებისაგან შეკრული ტრანსპორტი | მონო, დი, ... | გარეული მტაცებელი ცხოველი ზოგადად | რა ააგო ნოემ |

# ჰიჩჰაიდი ღამის სინდროში

## რისი ეშინიათ ქალწულებს

ლელა ჭანკოტაძე

*ნებისმიერი ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია პირველ ინტიმურ კავშირს, რომელიც ხშირად, პირველ საქორწინო ღამესთან არის დაკავშირებული. როცა ამ საკითხზე მუშაობა დავიწყე, მეგონა, უინტერესო, ერთფეროვანი მასალა შემრჩებოდა ხელში, მაგრამ სექსოლოგებისა და ფსიქიატრების დახმარებით, ბევრ კურიოზულ შემთხვევასაც კი წავაწყდი. ქალბატონი, რომელიც ახლა 80 წლის ხდება, საქორწინო კაბით კაკლის ხეზე ავიდა...*

**ქალბატონი ქეთო:**

— სოფლელი გოგო ვიყავი. მორცხვი, ფერმკრთალი, ჭკვიანი — ასე მახასიათებდნენ. სწორედ ამით მოვეწონე ერთ ქალაქელ ყმაწვილს, რომელიც ჩვენს სოფელში, თავის ბებიასთან ჩამოდიოდა ხოლმე. ჩემთვის არც უკითხავთ, მომწონდა თუ არა... უწინ, ასეთი წესი იყო — იმ სახლში, სადაც ნეფე-პატარძალს უნდა დაეძინა, ადამიანის ჭაჭანება არ უნდა ყოფილიყო. ჩვენც მარტო დაგვტოვეს. ის ქალაქელი იყო, სოფლელ ბიჭებზე მეტად თამამი. ამიტომ ჩემ თვალწინ დაიწყო ტანსაცმლის გახდა. შიშველი მამაკაცი რომ დავინახე, ისე შემეშინდა, კივილით გავიქეცი ფანჯრისკენ. საქორწინო კაბით ფანჯარაზე შევხტი და ეზოში ვისკუპე.

— **ქმარი არ დაგედევნათ?**

— არა. ალბათ, იფიქრა, დაწყნარდება და უკან მობრუნდებაო. მე კი მივიხედ-მოვიხედე, დასამალი სხვაგან რომ ვერსად ვნახე, იქვე მდგარ კაკლის ხეზე ავძვერი. ცოტა ხანში, იური ეზოში გამოვიდა, ქეთო, ქეთოო! — მეძახდა ჩუმად. ალბათ, რცხვენოდა, ვინმეს გაეგო, რომ ცოლი გაექცა. დიდხანს მეძება. ბოლოს შემეცოდა და დავუძახე: აქ ვარ-მეთქი. დამიძახა: ჩამოდი, სხვა ოთახში დავიძინებ, ოღონდ სოფელში თავი არ მომჭრაო. ხვეწნა-მუდარით რომ ვერაფერი გააწყო, წავიდა და მამაჩემი მოიყვანა. მამა ძალიან გაბრაზდა. გიჟი გამიზრდიხარო, — თქვა და გამაფრთხილა — თუ არ ჩამოხვალ, ხეს მოვჭრიო. მართლაც ხერხი მოიტანა. მთელი ღამე ვტიროდი. იური კი დაჩოქილი იდგა და მეხვეწებოდა: ლოგინში ჩაცმულები ჩავწვეთო... ახლა 7 შვილი და 15 შვილიშვილი გვყავს.

**მიხეილ ცუცქირიძე,** *ექიმი-სექსოლოგი:*

— ქართველი კაცისთვის ქალიშვილობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი, ვფიქრობ, ზედმეტია. უცხოელი კოლეგები ხშირად გვეკითხებიან: თუ ქალი 25 წლის შემდეგ ქალწულია, როგორღა შეძლებს გათხოვებასო?! დასავლეთელი მამაკაცების უმრავლესობას სურს, სექსუალურ სფეროში კომპეტენტური ქალი შეირთოს ცოლად და მათ გაუმართლებლად მიაჩნიათ, რომ მოზრდილი ქალი ქალწული იყოს. ჩვენში არსებულ, სრულიად საპირისპირო დამოკიდებულებას, ხშირად უხერხულ, კურიოზულ სიტუაციამდე მივყავართ: მაგალითად, მამაკაცი ვერ ხვდება, ქალწული იყო თუ არა მისი ცოლი და ამის დასადგენად, გინეკოლოგთან მიჰყავს იგი... ასე რომ, პირველ ღამეს არა მარტო ქალები, მამაკაცებიც მომზადებულები უნდა შეხვდნენ. აუცილებელია, ქორწილამდე დაიწყოს ვაჟსა და გოგონას შორის ინტიმური იმპულსების გაცვლა-გამოცვლა, ხშირი შეხვედრა, ალერსი, ვნებიანი კოცნა. ქორწილამდე გოგონა ისე უნდა შეეჩვიოს ვაჟს, რომ მასთან განმარტოება კი არ აშინებდეს, არამედ სიამოვნებას ანიჭებდეს. თუმცა, დღევანდელ ახალგაზრდებს ამის რჩევა აღარც სჭირდებათ. ამიტომ დრო, როცა შეშინეული პატარძალი კრუნჩხვებში ვარდებოდა, წარსულს ჩაჰბარდა.

**გიორგი თათიანაშვილი,** *ექიმი-სექსოლოგი:*

— ქალი თანდათანობით და ნელა შედის სქესობრივ ცხოვრებაში და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ შეიცნობს მას. არსებობენ ფრიგიდული ქალები, რომლებსაც უკვე შვილებიც ჰყავთ, მაგრამ სქესობრივი ცხოვრებისგან ვერავითარ სიამოვნებას ვერ იღებენ, პირიქით — ის მასში ზიზღსაც კი იწვევს. ეს კი პირველი ღამიდან გამოყოლილი უარყოფითი განცდის შედეგია.

— **რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს პირველი ღამით გამოწვეულ სტრესს?**

— პირველი სექსუალური სიახლოვე ყოველთვის სავსეა განცდებით და შესაბამისად, დაუვიწყარიცაა. ჩვენი გოგონების უმეტესობა ქალიშვილობას ღირსებასთან აიგივებს და ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს გაურბის. ისინი პირველი ინტიმური კავშირისთვის განსაკუთრებული შინაგანი მღელვარებით ემზადებიან, განსხვავებით იმ გოგონებისგან, რომლებიც ფიქრობენ, რომ პირველი აქტი მხოლოდ შემდგომი, დაუვიწყარი ღამეების დასაწყისია... თუ გოგონა ფსიქოლოგიურად მზად არ არის ინტიმური ცხოვრების დასაწყებად, მან შეიძლება სტრესიც მიიღოს. ამიტომ ამ დროს ბევრი რამ მამაკაცზეა დამოკიდებული. ერთმა ცნობილმა სექსოლოგმა ამის გამო, სპეციალური ცხრილიც კი შეიმუშავა, სადაც ჩამოთვლილია პარტნიორებს შორის სასურველი ასაკობრივი სხვაობები, მაგალითად: 18 წლის გოგონამ ინტიმური ცხოვრება 22-25 წლის ბიჭთან უნდა დაიწყოს, 28 წლისამ — 32-35 წლის მამაკაცთან, 32 წლისამ — 38-41 წლის მამაკაცთან. აუცილებელია, რომ პირველი ინტიმური კავშირის დროს მამაკაცი გამოცდილი იყოს და იცოდეს, რომ სხვაგვარად უნდა მოექცეს ქალწულს და სრულიად სხვაგვარად — გამოცდილ ქალს.

**კოტე,** *54 წლის:*

— 17 წლის ვიყავი, ცოლის შერთვა რომ გადავწყვიტე. ჩემმა მშობლებმა შემირჩიეს ლამაზი, თან, მდიდარი ოჯახის შვილი. ერთმანეთს ქორწილამდე 2 კვირით ადრე შევხვდით... ქორწილის დღეს, გვიან ღამით, როცა მარტონი დავრჩით, შინაგანი დაძაბულობა ვიგრძენი. ფეხებიც კი ამიკანკალდა. მართალია, ქალის ალერსი ჩემთვის უცხო არ იყო, მაგრამ დიდი გამოცდილება არ მქონდა. ამიტომაც ვერ გავიგე, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როცა ის გოგო ნერვიულობისგან აცახცახდა.

საწოლში რომ ჩავწექი, ყინულივით ცივი გახლდათ, რამდენიმე წამში კი, გაითიშა – გონება დაკარგა. ხან წყალი შევასხი, ხან ლოყაში გავარტყი, მაგრამ ვერაფრით მოვაბრუნე. მეგონა, მოკვდა, ოთახიდან გამოვიქეცი და მშობლებს დავუძახე. დედა და მამიდა ამაოდ ცდილობდნენ მოესულიერებინათ ჩემი ცოლი. ყველანი ძალიან შევშინდით „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. დედამ პატარძლის მშობლებსაც დაურეკა... ექიმმა გვირჩია, საავადმყოფოში წაგვეყანა. მერე საავადმყოფოდან მშობლებმა წაიყვანეს. ამბობდა თურმე – თავს მოვიკლავ და აღარ გავთხოვდებიო. მეც იმავეს ვიმეორებდი. მამას ვუთხარი: ალბათ, ქალს აღარასოდეს მივეკარები-მეთქი. ასეც მოხდა. 3 წლის განმავლობაში ვმკურნალობდი, ძლივს გადავლახე ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც საქორწინო ღამემ წარმოქმნა. მხოლოდ 42 წლის ასაკში დავქორწინდი. ცოლად ქალწული აღარ მომიყვანია.

*უხერხულია, იმ განცდებზე, რომლებიც ქალწულებს პირველი ინტიმური კავშირის დროს ეუფლებათ, ღიმილით ლაპარაკი, მაგრამ წლების შემდეგ, ისინი ამ ამბავს თავადაც იუმორით იხსენებენ. მარიკა 24 წლის ასაკში გათხოვდა. ის სოფლიდან ქალაქში თეთრი „ვოლგით“ ჩამოიყვანეს...*

**მარიკა:**

– მახსოვს, როგორ ვკანკალებდი. მინდოდა, ქორწილი დილამდე გაგრძელებულიყო. მაგრამ როგორც კი 12 საათი გახდა, ოჯახის უფროსმა საძინებლის კარამდე მიგვაცილა. ოთახში მარტო დარჩენილმა ვიფიქრე, ფანჯრიდან გადავხტები-მეთქი, მაგრამ მეოთხე სართულიდან გადახტომა იოლი როდია... ქმარი ჩემკენ რომ წამოვიდა, კინაღამ დავეცი. ერთადერთი, რაც მოვიფიქრე, ვთქვი: ფანჯარა გამოაღე, თორემ, სიცხისგან გული წამივა-მეთქი. როგორც კი მიბრუნდა, კარს ვეცი. ბინიდან გამოვვარდი და მეზობლის კარზე ბრახუნი ავტეხე. არავინ გამიღო. ზევით გავიქეცი, კიბეს ავუყევი და ერთ-ერთ სართულზე ღია კარი დავინახე. შევვარდი და კარი გადავკეტე. ხმაურზე ერთ-ერთი ოთახიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. საქორწინო კაბით რომ დამინახა, გაიცინა: შენ ირაკლის ცოლი არა ხარ, ბინა ხომ არ შეგეშალაო?.. – მიშველე-მეთქი, – ვთხოვე. ძალიან დაიბნა, მე კი აზრზე მოსვლა არ ვაცალე: – დამმალე, თუ ძმა ხარ, სადმე დამმალე-მეთქი, – შევეხვეწე. მერე მის პასუხსაც აღარ დაველოდე, ერთ-ერთი ოთახის კარი შევაღე და იქ შევვარდი. კარიც საგულდაგულოდ ჩავრაზე... მალე, ჩემი ქმრის ხმა გავიგონე, იმ ბიჭს ეუბნებოდა – არ ვიცი, რა დაემართა, მაგრამ ეს ამბავი მეზობლებმა თუ გაიგეს, თავი მომეჭრება და ეგ არისო. კარგა ხანს მემუდარებოდა – გამოდი, არ შემარცხვინო, თითსაც არ დაგაკარებ, ოღონდ სახლში წამოდიო. ცხადია, მეზობლებმა შეიტყვეს, რაც ხდებოდა. ერთ მოხუც ქალს უთქვამს – თავი დაანებეთ, არ გაგიჟდეს, დამშვიდდება და გამოვაო... დაუჯერეს... ხმაური რომ მიწყდა, უფრო მეტად შემეშინდა. ვაითუ, მიმატოვოს, უცხო ქალაქში მარტომ რა უნდა ვქნა, რა მეშველება, ირაკლიმ რომ აღარ შემიშვას-მეთქი? – ვიფიქრე და ოთახიდან გამოვედი. ირაკლი იქვე სკამზე იჯდა. არაფერი უთქვამს, ხელი მომხვია და უსიტყვოდ წამომიყვანა. უკვე გათენებულიყო.

*რა განაპირობებს პანიკურ შიშს, პირველ საქორწინო ღამეს? როგორ დავძლიოთ ეს შიში? ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ გამოსავალი, სექსუალურ აღზრდაშია. მაგრამ საკითხავია – რა ასაკიდან უნდა დავიწყოთ ეს აღზრდა? აუცილებელია თუ არა ინფორმაცია სექსის შესახებ შვილებს მშობლებმა მიაწოდონ?*

**ძეთინო თავართქილაძე,** *ფსიქოლოგი:*

– 3-4 წლის ბავშვისთვისაც კი ცოტათი გულუბრყვილოდ ჟღერს ფრაზები: „მაღაზიაში გიყიდეთ“, „წერომ მოგიყვანა“, „კომბოსტოში გიპოვეთ“ და ა.შ. სქესი ჩასახვის მომენტიდან იჩენს თავს: დედის საშოში ბიჭები სხვაგვარად იქცევიან, ვიდრე გოგონები. ფსიქოლოგები ტრანსსექსუალობის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ გარკვეული სქესის მქონე მომავალი ბავშვის ორსულ დედას ძლიერი სურვილი ჰქონდა, რომ სხვა სქესის ბავშვი შესძენოდა... შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ როგორ აღიქვამს ბავშვი თქვენს პასუხს მის მიერ დასმულ კითხვაზე, მაგრამ არ აუკრძალოთ კითხვის დასმა, ჯობს, არაფერი უპასუხოთ, ვიდრე ტყუილი უთხრათ. ბავშვის სწორი სექსუალური ორიენტაციის ჩამოსაყალიბებლად არ არსებობს სხვა გზა, გარდა ცოდნის, ჯანსაღი აზრის. ვერავინ იქნება ამ გზაზე უკეთესი ორიენტირი, ვიდრე მშობლიური ინსტინქტით, დაკვირვებით, პირადი მოგონებებით, სიყვარულით შეიარაღებული დედა და მამა. ისეთ შეკითხვებზე, რომლებსაც ჩიხში შევყავართ, საუკეთესო პასუხია: „ამ საკითხში უფრო კარგად უნდა გავერკვე, უნდა დავფიქრდე მერე ვილაპარაკოთ“. ოღონდ, დაპირება შეძლებისდაგვარად მალე უნდა შეასრულოთ. თანამედროვე ბავშვები 14-15 წლისთვის უკვე იძენენ გარკვეულ ეროტიკულ გამოცდილებას. მშობლის მთავარი პრობლემაა, როგორ მოიქცეს – შეზღუდოს, აკონტროლოს თუ ნებაზე მიუშვას? ყველა შემთხვევაში, პასუხი ემოციებით განისაზღვრება, არგუმენტები აქ უძლურია. 12 წლის მაიასა და 13 წლის გოჩას, სარდაფში, მურაბისთვის ჩასულმა, ერთ-ერთი მათგანის დედამ ტახტზე დაწოლილებს შეუსწრო. საექიმო შემოწმებით დადგინდა, რომ ფიზიოლოგიურად შეუქცევადი არაფერი მომხდარა. მაგრამ გაუთავებელ ცემას, ლანძღვას და წყევლას მაიამ ყელზე გამოსკვნილი ყულფით დაუსვა წერტილი... 5 წლის ნინოს დედა თავის შვილს და იმავე ასაკის ბიჭს ოთახში გაშიშვლებულებს წამოადგა თავზე. დედის მაშინდელი რეაქციის გამო, უკვე 23 წლის ნინო, მძიმე ფსიქონევროზით მამაკაცებისადმი, ზიზღისა და შიშის სიმპტომატიკით, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა. მეზობლები, 4 წლის გიორგი და 5 წლის თემო ასევე „ექიმობანას“ თამაშისას შარვალჩახდილები „ამხილეს“ მშობლებმა. „მხილება“ იმდენად სასტიკი იყო, რომ ერთ-ერთი ოჯახი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. გიორგის კი, 19 წლის ასაკში, არც ერთი მეგობარი არ ჰყავდა. იგი მკვეთრად გამოხატული შიზოიდური თვისებების – გულჩახვეულობის, ჩაკეტილობის, განმარტოებისკენ სწრაფვის, ინდიფერენტულობის გამო, დიაგნოზის დასაზუსტებლად, საავადმყოფოში მოათავსეს.

**— როგორ მოვიქცეთ?**

– პოზიცია მშვიდად უნდა გამოვხატოთ. ბავშვს ავუხსნათ, რომ ეს უზრდელობაა, ისეთივე უზრდელობა, როგორიც ენის გამოყოფა, დამანჭვა ან შეფურთხება. ცხადია, ტინეიჯერთან საუბრისას სულ სხვა ამოცანის წინაშე დგახართ. ჯობს, გოგონას ესაუბროს დედა, ვაჟს – მამა. ცხადია, დედასაც შეუძლია ვაჟიშვილს მოუთხროს მამაკაცისა და ქალის ფიზიოლოგიის შესახებ. მაგრამ მცოდნე და ტაქტიანმა მამამ, თუნდაც ის ექიმი იყოს, ნაკლებად მოსალოდნელია, შეძლოს, ქალიშვილისთვის გარკვეული ჰიგიენური ჩვევების სწავლება... ეს ადვილი ამოცანა როდია. მით უმეტეს, რომ ბარიერი ორმხრივია – ჩვენც გვეუხერხულება და მოზარდსაც. ბავშვს ყველაზე მეტად ასეთი საუბრის საკუთარ მშობლებთან რცხვენია – ეშინია შეკითხვების, გულახდილობის, ჭკუის სწავლების. ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს არა განმარტებებს, არამედ უბრალოდ, გულახდილ, მშვიდ საუბარს. დაეხმარეთ და გაუადვილეთ სექსის რთულ და ჯადოსნურ სამყაროში შესვლა... ■

# მოინელა საკუთარი თავი

***რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი***

**თუ ხორცის ნაჭერს აიღებთ და კუჭქვეშა ჯირკვლის წვენით სავსე ქილაში ჩააგდებთ, ერთ საათში იგი მთლიანად გაიხსნება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს წვენი ვერ გადადის კუჭქვეშა ჯირკვლიდან ნაწლავში. რა მოუვა ჯირკვალს და მის ირგვლივ მდებარე ქსოვილებს? ისინი „მოინელება“. ეს საშინელი ფანტაზია არ გახლავთ — სწორედ ამგვარად ვლინდება პანკრეატიტი. ზოგიერთ შემთხვევაში დაავადება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევასა და რეანიმაციულ ღონისძიებებს საჭიროებს. მისი დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკის მეთოდები კი ჯერჯერობით არ არის სრულყოფილი.**

პანკრეატიტი კუჭქვეშა ჯირკლის ანთებას ნიშნავს, განსაკუთრებით საშიშია დაავადების მწვავე ფორმა. პანკრეასის წვენი შეიცავს დიდი რაოდენობით ფერმენტებს, რომლებიც ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს შლის, ნორმალურ სიტუაციაში იგი ნაწლავში გადადის და საჭმლის მონელებაში მონაწილეობს. თუ წვენის გადინება რაიმე მიზეზით ირღვევა (ამის მიუხედავად, ის განაგრძობს გამომუშავებას, რადგან პანკრეასის უჯრედები ცოცხალია), აგრესიული ფერმენტები გადადის მუცლის ღრუში და რაც გზაზე შეხვდება, ყველაფერს ანადგურებს, გარდა იმისა, რომ კუჭქვეშა ჯირკვლის მიდამოში ყველა ქსოვილი, უხეშად რომ ვთქვათ, მოხარშულს ემსგავსება, ცუდ დღეში ვარდება მთელი ორგანიზმიც. ეს დაავადება იმითაა საშიში, რომ სისტემურ დაზიანებებს იწვევს. ზემოქმედების საკმაოდ რთული მექანიზმის გზით ცვლილებები ვითარდება ღვიძლში, თირკმლებში, გულში. ადამიანს შეიძლება, ერთდროულად გამოეთიშოს ყველაფერი. მძიმე ფორმისას (სტატისტიკურად შემთხვევათა 15%-ში) ვითარდება პანკრეონეკროზი — კუჭქვეშა ჯირკვლის დაშლა. ნეკროზული პროცესი შეიძლება გავრცელდეს მეზობელ ორგანოებზეც და გართულდეს პერიტონიტით.

## ჯენჭი, ალკოჰოლი და ინფექცია

აღწერილ უსიამოვნებათა ყველაზე ხშირი მიზეზი ნაღვლის ბუშტიდან გამოსული კენჭია, რომელიც სანაღვლე გზებში იჭედება. ადამიანის ანატომია ისეა აწყობილი, რომ სანაღვლე გზებსა და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებს საერთო გასასვლელი ხვრელი აქვს. თუ კენჭი ამ ხვრელს დაეცობა, ვითარდება პანკრეასის წვენის ჰიპერტენზია ანუ წნევის მომატება კუჭქვეშა ჯირკვალში. წვენის ნორმალური გადმოდინების აღსადგენად საჭიროა კენჭის მოშორება. როგორც წესი, ასეთი ვარიანტი ქალებისთვისაა დამახასიათებელი, რადგან მათ უფრო ხშირად აქვთ ნაღველ-კენჭოვანი დაავადება.

მამაკაცების შემთხვევაში კი, საქმე სხვაგვარადაა. პანკრეატიტის განვითარებაში მთავარი დამნაშავე ალკოჰოლია, განსაკუთრებით — ცუდი ხარისხისა და უზომო რაოდენობით. რაც უფრო მეტად მომშხამავია ნივთიერება, მით უარესი კუჭქვეშა ჯირკვლისათვის. თუმცა ზუსტი ახსნა იმ მექანიზმის, რომელიც ამ შემთხვევაში იწვევს პანკრეატიტის განვითარებას, ჯერ კიდევ არ არსებობს.

შედარებით იშვიათად პანკრეატიტი შეიძლება განვითარდეს ტრავმის (მაგალითად, მუცელში დარტყმის), რაიმე პრეპარატების მიღების, კუჭ-ნაწლავის ინფექციის შედეგად.

დავუშვათ, ათი ადამიანი წავიდა რესტორანში და ჭამა უხარისხო, სალმონელებით ინფიცირებული საკვები. ცხრა მათგანს დაემართა ინფექციური დაავადება, ისინი გადაიყვანეს ინფექციურ საავადმყოფოში, დაუნიშნეს ანტიბიოტიკები და გამოჯანმრთელდნენ. ერთ ადამიანს კი პროცესი სხვაგვარად განუვითარდა — სალმონელებმა გააღწიეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და პანკრეატიტი გამოიწვიეს.

პანკრეატიტის სხვადასხვა შემთხვევაში მკურნალობაც პრინციპულად განსხვავებულია. თუ პანკრეატიტი ნაღველ-კენჭოვან დაავადებასთანაა დაკავშირებული, საჭიროა, არა მხოლოდ სადინარში გაჭედილი კენჭის ამოღება, არამედ ნაღვლის ბუშტის ამოკვეთაც, თუნდაც არ იყოს ქოლეცისტიტის (ბუშტის ანთების) ნიშნები. რადგანაც ვიდრე კენჭების გადმოსვლის საფრთხე არსებობს, იარსებებს პანკრეატიტის საშიშროებაც. ალკოჰოლიზმით დაავადებულ ავადმყოფებში პრობლემის გადაწყვეტა სპირტიანი სასმლის აკრძალვას გულისხმობს.

სამწუხაროდ, პანკრეატიტი ბავშვებშიც გვხვდება. მათში იგი შედარებით ნაკლებად აგრესიულია და ვითარდება სხვადასხვა მიკროორგანიზმით (ჭიებით, სტაფილოკოკებით, ვირუსებით) კუჭქვეშა ჯირკვლის დაზიანების შედეგად. დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვანი „წვლილი“ შეაქვთ დედებსა და ბებიებს, რომლებიც მეტისმეტად ანებივრებენ თავიანთ პატარებს შებოლილი პროდუქტებით, ტკბილეულით, ყავით, ცხიმიანი ბულიონით.

## დიაგნოსტიკა

პანკრეატიტის დიაგნოზს ჩვენშიც და უცხოეთშიც ხშირ შემთხვევაში კუჭქვეშა ჯირკვლის ძირითადი ფერმენტის ამილაზის შეფასების შედეგად სვამენ. ეს ფერმენტი ხსნის ნახშირწყლებს. მისი განსაზღვრა შეიძლება სისხლისა და შარდის ანალიზით. თუმცა ასეთი სკრინინგ-ტესტი ყოველთვის არ ადასტურებს პანკრეატიტის არსებობას და ზოგჯერ ჰიპერდიაგნოსტიკის მიზეზი ხდება. საქმე ის არის, რომ კუჭქვეშა ჯირკვალი ამილაზის გადმოტყორცნით სისხლში შეიძლება რეაგირებდეს ნებისმიერ სტრესულ ფაქტორზე ან სხვა დაავადებაზე, მაგალითად, თავის ტკივილზე. ასეთ დროს სისხლში ამილაზა მატულობს, თუმცა პანკრეატიტი არ აღინიშნება. ამიტომ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად სასურველია მეორე ფერმენტის, ლიპაზის დონის განსაზღვრაც. მაგრამ ეს გამოკვლევა ძვირად ღირებულია და იშვიათად გამოიყენება. უფრო ინფორმაციულია ულტრაბგერითი გამოკვლევა და კომპიუტერული ტომოგრაფია. ■

# ვებრძოლოთ დიათეზს

მხოლოდ სარეკლამო სურათებშია პატარების ლოყები, ხელები და დუნდულები სწორი და ვარდისფერი კანით დაფარული. ცხოვრებაში კი მათ საკმაოდ ხშირად უჩნდებათ წითელი, აქერცლილი უბნები – ეს დიათეზი ანუ ატოპიური დერმატიტია.

„დიათეზური“ ალერგია, როგორც წესი, თანდაყოლილია. მისი მიზეზი, ნებისმიერი პროდუქტი შეიძლება გახდეს. მაგალითად, სიცოცხლის პირველ წელს ბავშვებში ალერგია შეიძლება გამოიწვიოს ძროხის რძემ, კვერცხმა, თევზმა, ზღვის პროდუქტებმა, ბურღულეულმა, სოიამ, სხვადასხვა პროდუქტში შემავალმა კონსერვანტებმა და საღებავებმა.

გარდა ამისა, ალერგიული რეაქციის გამოწვევა შეუძლია მტვერს, მატყლს, მცენარის მტვერს, სხვადასხვა პრეპარატსა და ქიმიურ ნივთიერებას. ზოგჯერ ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა, შიში, ჩხუბი, სტრესი შეიძლება გახდეს ატოპიური დერმატიტის განვითარების მიზეზი 2 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებში.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ატოპიური დერმატიტი აწუხებს ბავშვთა 30-40%-ს და რომ თავისთავად იგი არ გაივლის. უფრო მეტიც, თუ დიათეზს დროულად არ მივხედავთ, შეიძლება, უფრო სერიოზულ დაავადებაში გადაიზარდოს.

ზოგჯერ წითელი ლაქების ნაცვლად კანზე ვითარდება სიმშრალე, ნახეთქები, წითელი ქერქი, კვანძები. ამიტომ ატოპიური დერმატიტის მკურნალობის დაწყება რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს. უნდა ვეცადოთ, რომ პატარაზე არ იმოქმედოს მაპროვოცირებელმა ფაქტორებმა: კონტაქტი შალეულთან, ოთახის მცენარეებთან, სხვადასხვა ბალახეულთან. ალერგენის დასადგენად კი უმჯობესია, კვების ღიური შემოიღოთ და მკაცრად აუკრძალოთ ბებიებსა და ბავშვის მომვლელებსაც პატარისათვის „აკრძალული“ პროდუქტების მიცემა.

და რაღა თქმა უნდა, აუცილებელია კანის მოვლა. დაავადების საბოლოოდ დასაძლევად კი, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც შინაგანი და გარეგანი მოხმარების პრეპარატებს დაგინიშნავთ. გახსოვდეთ, რომ კანზე ზრუნვა მოზარდობისა და უფროს ასაკში კი არა, სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე უნდა დაიწყოთ. ■

# რა „აფუჭებს“ მხედველობას

ახლომხედველობის (მიოპიის) ეპიდემია სინგაპურსა და იაპონიაში ცხოვრების სტილის შეცვლამ გამოიწვია – ასეთი შედეგები უჩვენა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა. მალე ეს ეპიდემია დასავლეთის ქვეყნებსაც შეეხება, რადგან ცვლილებას იქაც განიცდის მოზარდთა ქცევის მოდელი: ბავშვები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ შენობაში, კომპიუტერთან და ტელევიზორთან. სინგაპურში წვევამდელთა 80% ახლომხედველია – მაშინ, როცა 30 წლის წინ, მათი რაოდენობა 25% იყო. იმატა სიბრმავის გამომწვევი ასაკობრივი ექსტრემალური მიოპიის შემთხვევებმაც. შვეიცარიაში ბავშვთა 50% 12 წლის ასაკში ახლომხედველია. მოსალოდნელია, რომ როდესაც ისინი 18 წლის ასაკს მიაღწევენ, მათი რიცხვი 70%-მდე გაიზრდება. ბავშვები საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში, აჩერებენ თვალებს ახლოს მდებარე ობიექტებზე – წიგნებსა და კომპიუტერებზე; ამ დროს, თვალის კაკალი გრძელდება – ამგვარად, ახლოს მდებარე ობიექტებზე ფოკუსირებისათვის ნაკლები ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ ასეთი თვალი ვეღარ ფოკუსირდება შორს მდებარე ობიექტებზე.

სინგაპურში 18 წლის ინდოელთა 70% ახლომხედველია, ხოლო თვით ინდოეთში ეს მაჩვენებელი 10%-ს არ აღემატება. ისრაელის რელიგიურ სკოლებში, სადაც 14-18 წლის ბიჭები ძალზე ბევრს კითხულობენ, ახლომხედველთა წილი 80%, ხოლო სახელმწიფო სკოლებში იგი 30%-ს არ აჭარბებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ გენეტიკურ წინასწარ განწყობასთან შედარებით, ცხოვრების სტილს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ■

# ზეითუნის ზეთი და მკერდის კიბო

ეპიდემიოლოგები დიდი ხანია, ამტკიცებენ, რომ ე.წ. ხმელთაშუა ზღვის დიეტის ერთ-ერთი სასარგებლო თვისება ის არის, რომ იცავს ქალებს მკერდის კიბოს განვითარებისაგან. ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დიეტის პროფილაქტიკური თვისების გასაღები, ზეითუნის ზეთია, უფრო ზუსტად კი – მის შემადგენლობაში შემავალი ოლეინის მჟავის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც აბრკოლებს სიმსივნური უჯრედების ზრდას.

ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილი იქნა სიმსივნური უჯრედების კულტურაზე ოლეინის მჟავის ზემოქმედება. აღმოჩნდა, რომ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს მკერდის კიბოს ყველაზე აგრესიული ფორმის განვითარებას. ეს ფორმა საერთო შემთხვევათა ერთ მეხუთედს შეადგენს. მალე დაიწყება ექსპერიმენტი, კიბოს უჯრედებზე ზეითუნისა და მზესუმზირის ზეთის კომპონენტების ზეგავლენის დასადგენად. რადგანაც ზეთი არატოქსიკურია, ასეთ კვლევას ხელს არაფერი შეუშლის. შემდგომ კი, დიასახლისები თავად გადაწყვეტენ, რომელი ზეთი გამოიყენონ სალათების მომზადებისას. ■


**ქალთა სექსუალური დარღვევების მკურნალობა**

**ანორგაზმია** - სექსუალური დაუკმაყოფილებლობა, ორგაზმის მიღწევის გაძნელება, როგორც სქესობრივი აქტის დროს, ისე მის გარეშე.

**ვაგინიზმი** - სქესობრივი ცხოვრების შიში, საშოს ჯუნთის უნებლიე შეკუმშვები.

**დისპარეუნია** - მტკივნეული აქტი.

**ალიბიდეპია** - სქესობრივი ლტოლვის გაქრობა.

**წყვილის დისპარმონია** - მოუწესრიგებელი ცოლ-ქმრული ურთიერთობები; არასასიამოვნო სქესობრივი აქტები; ნაადრევი თესლდანთხევა, როდესაც ქალი ვერ ასწრებს ორგაზმის მიღწევას; შესუსტებული რეაქციები.

**„პირველი საქართველო ღამის პრობლემები“**

**მის: თევდორე მღდვლის ქ. (ყოფ. ორჯონიკიძის), რკინიგზის საავადმყოფოს ახალი შენობა, III სართ, სექსოლოგიის განყოფილება. ☎ 56 37 16; 8(99) 55 72 55**

# რა უნდა ვიცოდეთ ცუდად მეტყველებასთან დაკავშირებით?

**ცუდად მეტყველებაა ყოველი უსარგებლო, უქმი, უშვერი სიტყვა, რომელიც ადამიანის ბაგიდან წარმოითქმის: ბილწსიტყვაობა — ე.ი. გინება, ლანძღვა, უწმაწური სიტყვები, წყევლა; სიცრუე — ტყუილი და ცილისწამება და ამაოდ მეტყველება — განკითხვა, ჭორაობა. ცუდად მეტყველებას ავსიტყვაობას, ბოროტის მეტყველებასაც უწოდებენ...**

*მორენა მერკვილაძე*

ცუდად მეტყველება რომ ღვთისთვის სათნო საქმე არ არის, ამის ახსნა არც ერთ ადამიანს, მათ შორის, არც ამ მავნე ჩვევის მოყვარულთ არ სჭირდება, თუმცა ფაქტი ერთია – ავსიტყვაობის ცოდვით მაინც მრავალი ადამიანი სცოდავს. ავსიტყვაობა ენისა და ბაგის სიბოროტესა და დაუცხრომლობაზე მიუთითებს, რითაც ადამიანი ეწინააღმდეგება უფლის ნებას, რომელიც სხვა ქველ საქმეებთან ერთად, ენის კეთილად დაცვას, ბოროტისგან დაცხრომასაც მოითხოვს. წმინდა მამათა მოძღვრებით, ღმერთმა ენა იმიტომ მოგვცა, რომ ვაკურთხოთ, ვადიდოთ და მასზე ვილოცოთ, დავლოცოთ და დავარიგოთ მოყვასი და არა იმისათვის, რომ უქმად მეტყველებისა და უშვერი სიტყვების წარმოსათქმელად გამოვიყენოთ. ცუდად მეტყველების ცოდვათაგან, ყველაზე მძიმე და ვნების მომტანია ბილწსიტყვაობის ჩვეულება. გინებით, წყევლით თუ უწმაწური სიტყვებით გულს ვტკენთ მოყვასს. ამასთანავე, ამას ხშირად მოჰყვება ჩხუბი და აყალმაყალი, რომელიც ზოგჯერ სავალალო შედეგით – ადამიანის სიცოცხლის ხელყოფით სრულდება. ბილწსიტყვაობა დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის სულზეც, რადგან ისეთ გარემოში გაზრდილი ბავშვი, სადაც უწმაწური სიტყვების გამოყენება ჩვეულებად ქცეულა, თვითონაც ბილწსიტყვაობს და მისი სულიც შესაბამისად ბინძურდება.

**რა შეიძლება ვიცოდეთ სიცრუისა და ამაოდ მეტყველების შესახებ?**

არსებობს ცოდვები, რომლებიც ერთი შეხედვით უწინარია, მაგრამ სულისთვის განსაკუთრებით საშიშია. ერთ-ერთი ასეთი ცოდვაა სიცრუე – ე.ი. ტყუილის თქმა, რომელიც მრავალ ადამიანს უწყინარ, მცირე ცოდვად მიაჩნია, მაგრამ მძიმე ცოდვად ითვლება, რადგან მისი მამა არის ეშმაკი. ამის შესახებ პირდაპირ მიგვანიშნებს მაცხოვარი, როდესაც ბრძანებს: „ცრუ არის იგი და სიცრუის მამაა“ (იოანე 8, 44). წმინდა პავლე მოციქული კი შეგვაგონებს: „ვინც ცრუობს, მამამისი არის ეშმაკი, რამეთუ მან პირველმა იცრუა“. მძიმე ცოდვად ითვლება ამაოდ მეტყველებაც. „წმინდა წერილის“ თანახმად, ადამიანი ვალდებულია, დაიცვას ენა ძვირის თქმისაგან და უქმი, არაფრის მთქმელი საუბრისგან. ლოცვაც კი, თუკი უგულისყუროდ წარმოითქმის, უქმად მეტყველებად მიიჩნევა და ამაოა – ე.ი. ასეთი ლოცვის სანაცვლოდ, ღვთისგან მადლს და შეწევნას ვერ მივიღებთ. ამაოდ მეტყველება ფიტავს და აცარიელებს ადამიანის სულს.

**რა არის ცუდად მეტყველების მიზეზი და როგორია ამ ცოდვით დაცემულთა იმქვეყნიური მისაგებელი?**

ავსიტყვაობის უმთავრესი მიზეზი არის ურწმუნოება, უსიყვარულობა ღვთისა და მოყვასისა, ღვთის შიშის უქონლობა და უცოდინარობა იმ საშინელი სასჯელისა, რომელიც გარდაცვალების შემდეგ მოელის ადამიანს ამ ცოდვის სანაცვლოდ: – ნურავინ იფიქრებს, რომ თუ ენას ბოროტისგან არ დაიცავს, რაიმე სხვა სიკეთით ცხონდება. რაც არ უნდა მოღვაწეობაში იყო, ენის დაუცველად საუკუნო ცხოვრებას ვერ აღასრულებ. იცოდე, რომ ცხონება და წარწყმედა სიტყვისგან არის... „სიტყვამ აცხოვნა უძღები შვილი, როდესაც თქვა: „ვცოდე, მამაო, ცად მიმართ და წინაშე შენსა“ და თუ შენ სიტყვა კეთილად დაცული არ გაქვს, რით გამართლდები ღვთის წინაშე?“ – ბრძანებს ანტონ ჭყონდიდელი. აქედან გამომდინარე, უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროს, ადამიანი პასუხს აგებს არა მხოლოდ მის მიერ ქმნილი საქმეებისთვის, არამედ სიტყვებისთვისაც. უფალი პირდაპირ ბრძანებს: „სიტყვათა შენთაგან გამართლდები და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცუდის მთქმელმა ენამ შესაძლოა, ადამიანი მარადიულ სატანჯველს აზიაროს. ავსიტყვაობისთვის ადამიანს, ღვთის მადლი და შეწევნა მიწიერ ცხოვრებაშიც მოაკლდება. ამ ცოდვის გამო, შესაძლოა უფალმა სხვადასხვა ცხოვრებისეული განსაცდელიც მოგვივლინოს, რათა ამ გზით გამოვფხიზლდეთ, ვისწავლოთ სიმდაბლე და მდუმარება, მივხვდეთ, რომ უძლურნი ვართ და ღვთის მადლი გვიფარავს.

**ხომ ხდება, რომ ბოროტის მეტყველი, სიტყვით ავის მთქმელი ადამიანები, ღვთისთვის სათნო საქმეებსაც აღასრულებენ — დადიან ტაძარში, ლოცულობენ უფლის წინაშე, გასცემენ მოწყალებას და სხვა. შეიწირავს თუ არა უფალი მათ მიერ ქმნილ კეთილ საქმეებს?**

ავის მთქმელი ენის მქონე ადამიანისგან უფალი არც ლოცვას შეიწირავს და არც სხვა კეთილ საქმეებს. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ფარისევლის მაგალითი, რომელიც სჯულის მიერ დაწესებულზე მეტ შესაწირავსაც სწირავდა, მარხვასაც ინახავდა და სჯულით დაწესებულ სხვა საქმეებსაც აღასრულებდა, მაგრამ უფლისგან მაინც დაისაჯა, რადგან ენა კეთილად არ დაიცვა. ამდენად, სიტყვით უცდომელობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: „ვინც სიტყვით არ სცდება, სრულყოფილი ადამიანია“, – შეგვაგონებს იაკობ მოციქული.

**რა შემთხვევაში მიეტევება ადამიანს ავსიტყვაობის ცოდვა?**

თუკი ადამიანი გააცნობიერებს, თუ რაოდენ მძიმე და სულის მომაკვდინებელი ცოდვაა სიტყვით შეცოდება, გულწრფელად მოინანიებს ღვთისმსახურის წინაშე და საბოლოოდ მოიკვეთს ამ მავნე ჩვევას, მას გულმოწყალე უფალი მიუტევებს და განწმენდს ავსიტყვაობის ცოდვისგან. ცუდად მეტყველების საწინააღმდეგოდ საჭიროა, ვისწავლოთ მოზომილი საუბარი და დუმილი – ე.ი. ვეცადოთ, არ ვისაუბროთ იმ დროს, როდესაც აუცილებელი არ არის. მაგრამ ადამიანი ამას მხოლოდ საკუთარი ძალით, უფლის შეწევნის გარეშე ვერ მოახერხებს, ამიტომ გულმხურვალედ უნდა ვილოცოთ უფლის წინაშე და შევთხოვოთ, მოგვმადლოს ძალა და მადლი, ენის კეთილად დაცვისა. თუკი უფლის რწმენა და სასოება გვექნება, ყოველგვარ ბოროტებას, მათ შორის ავსიტყვაობასაც დავძლევთ. ■

ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში, არმიელთა სპორტულ კომპლექსში თავისუფალი სტილით მოჭიდაველები საქართველოს ჩემპიონის ტიტულისათვის ასპარეზობდნენ. დილის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების შემდეგ ორგანიზატორებმა ერთსაათიანი შესვენება გამოაცხადეს. ფალავნები დასასვენებლად გაეშურნენ, მაყურებლები — წასასემსებლად. დაცარიელებულ დარბაზში რამდენიმე კაცილა დავრჩით, მათ შორის, უმეტესობა, ვეტერანი სპორტსმენი იყო. მოულოდნელად ვხედავთ — დავით ციმაკურიძეს ნარდი ამოუიღლიავებია და ჩვენი მაგიდისკენ მოემართება. — სად ველოდო ამათ! დრო ტყუილ-უბრალოდ რატომ დავკარგოო?!. — და სპარინგ-პარტნიორად რაფაელ ჩიმიშკიანი გამოიწვია...

ოლიმპიური ჩემპიონების: დავით ციმაკურიძის (მარცხნივ) და რაფაელ ჩამიშკიანის შერკინება...

# ოლიმპიურ ჩემპიონთა შერკინება „ნარდის ველზე“, ირანელი ტახტის მარცხი და ბერიას პენსნე კრემლის ბანკეტზე

*უნდა გითხრათ, რომ თამაში ერთობ ხმაურიანი გამოუვიდათ. კამათლების რამდენიმე გაგორების შემდეგ, ორივე მხოლოდ მარსის მოგებას ცდილობდა. დათმობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არც იყო გასაკვირი — ოლიმპიური ჩემპიონები არავის და არაფერს უთმობენ, ამიტომ „ნარდის ველზეც“ ერთობ სოლიდური ასაკის მიუხედავად, ენერგიულობითა და შეუპოვრობით გამოირჩევიან.*

*სწრაფად მოვიფიქრე, რაც უნდა გამეკეთებინა — ვიდეოკამერა მოვიმარჯვე და ინტერვიუს ასაღებად მოვემზადე: ჰელსინკის ოლიმპიადის გმირებს, ერთს — მოჭიდავეს, მეორეს კი — ძალოსანს, სპორტისა და წონითი კატეგორიის მიუხედავად, ერთმანეთს რომ ეპაექრებიან, ყოველდღე ვერ ნახავ კაცი, მაგრამ ვინ გაგიკარა?! — მაცალე, რა დროს შენი ინტერვიუა, ამის ძველი ვალი მაქვს. ჯერ ვალს გავუსტუმრებ და მერე ვილაპარაკოთო, — მომიშორა თავიდან ბატონმა დავითმა. არც ბატონი რაფო თმობდა პოზიციებს — კიდევ ერთი მარსით უნდა „გასიამოვნოო“, — იქადნებოდა. სხვა რა გზა მქონდა და მეც მორჩილად შევუერთდი გულშემატკივართა მცირერიცხოვან ჯგუფს...*

*ამ რამდენიმე დღის წინ რაფაელ ჩიმიშკიანი 76 წლის გახდა, 29 მარტს კი, პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს დავით ციმაკურიძეს 80 წელი შეუსრულდა. ჰოდა, მაშინ არშემდგარი ინტერვიუ* ***დავით ციმაკურიძესთან*** *ახლა ჩავიწერე...*

**გოგი ფრანგიშვილი**

**— ბატონო დავით, მოდი, საუბარი თქვენი სპორტული კარიერის მთავარი ტურნირით — ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებით დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ ეს თქვენი პირველი და როგორც შემდეგ გაირკვა, ამ რანგის ბოლო ასპარეზობა იყო.**

— მართალი ბრძანდებით, საბჭოთა სპორტსმენები და მათ შორის ქართველი ათლეტებიც ოლიმპიურ თამაშებში პირველად ვმონაწილეობდით. მანამდე თავისუფალ ჭიდაობაში არც ევროპის ჩემპიონატები ტარდებოდა და არც მსოფლიო ჩემპიონატებში გამოვდიოდით. მართალია, სხვადასხვა სამატჩო შეხვედრასა თუ საერთაშორისო ტურნირში უცხოელ სპორტსმენებთან პაექრობის საშუალება კი გვქონდა, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში პირველად მივიღეთ მონაწილეობა. ეს კი სულ სხვა დონის ტურნირია, თანაც, არ დაგავიწყდეთ — საბჭოთა მთავრობა ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდა და ეს დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვაქცევდა. მიუხედავად ამისა, მე ჩემს თავში დაჯერებული ვიყავი და საკავშირო ნაკრების მწვრთნელებსაც სჯეროდათ, რომ ოქროს მედალს დავისაკუთრებდი. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემს წონაში კონკურენტი არ მყავდა...

*სამწუხაროდ, ოლიმპიური სტარტი მარცხიანი აღმოჩნდა დავით ციმაკურიძისთვის. პირველი შეხვედრა ქართველმა ფალავანმა ნაკლებად ცნობილ შვედ ბენგტ ლინდბლადთან ქულებით წაავო. მოწინააღმდეგე არაფრით გამოირჩეოდა, იგი ერთთავად გაურბოდა ციმაკურიძესთან მჭიდრო კონტაქტს და ინიციატივასაც აშკარად ჩვენებური ფლობდა, მაგრამ ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ, მსაჯებმა გამარჯვებულად ლინდბლადი გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ შვედმა ყველა მომდევნო ორთაბრძოლა წაავო, თუმცა ციმაკურიძისათვის ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო: პირველი შეხვედრის შემდეგ, ოქროს მედლის მოსაპოვებლად მას ყველა პაექრობა უნდა მოეგო.*

*— ამ მარცხის მიუხედავად, მე მაინც საბოლოო გამარჯვების იმედი მქონდა. მანამდე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მქონია მსგავსი შემთხვევები, როდესაც პირველ ორთაბრძოლას ვაგებდი, მაგრამ მერე, მაინც ჩემპიონი ვხდებოდი. ასე რომ, ამჯერადაც პირველობაზე ვფიქრობდი!..*

*საშუალო წონის მოჭიდავეთა შორის, რომელშიც დავით ციმაკურიძე ასპარეზობდა, 17 ფალავანი მონაწილეობდა. მათ-*

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

### ეიბა დვალის
### უბის წიგნაკიდან:

1. უცუნომია ქალაქია იაპონიაში.
2. შესანახად გამხმარ ხორცს აპოხტი ჰქვია.
3. ბრინჯაოს ხანა 4500 წლის წინ დაიწყო.
4. ირლანდია წმინდა პატრიკმა გააქრისტიანა.
5. კოკო შანელი უკანონო შვილი იყო.

6. „ფული ომის მთავარი არტერიაა“, — ამბობდა პეტრე პირველი.
7. მოხევე — ალექსანდრე ყაზბეგის თეატრალური ფსევდონიმი იყო.
8. შრი-ლანკაში ქოქოსის კაკლის ნაჭუჭით სპილოებს კბილებს უხეხავენ.
9. ცხენს, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს, ბატატურას ეძახიან.
10. ედუარდ მანე არც ერთ სამხატვრო სკოლას არ მიაკუთვნებდა საკუთარ თავს.
11. რატი ამაღლობელს კოტე ყუბანეიშვილი ხუმრობით, რატიკალურ პოეტს ეძახის.
12. სიმღერა „შავლეგო“ სახალხო გმირის — შალვა ახალციხელისადმია მიძღვნილი.
13. ოლივერ სტოუნის ფილმში — „ალექსანდრე“ — არისტოტელეს როლს ენტონი ჰოპკინსი ასრულებს.
14. პირველი მსოფლიო ომის დროს, ზიგმუნდ ფროიდის სამივე ვაჟი ავსტრიის ჯარში მსახურობდა.
15. „ბენდუქიძის პაროდირების გამო, დიეტაზე ვეღარ დავმჯდარვარ“, — ამბობს ბესო ბერულაშვილი.
16. „სანტო სუბიტო“ (უკვე წმინდანი) — ამ სიტყვებით გააცილეს კათოლიკეებმა უკანასკნელ გზაზე რომის პაპი, იოანე-პავლე II. იგი ვატიკანის მთავარ ბაზილიკაში, წმინდა პეტრეს გვერდით დაკრძალეს. ახალ პაპს კათოლიკური ეკლესია 18 აპრილს აირჩევს.
17. მდინარე ნილოსში ბინადრობს ლოქო, რომელიც მტაცებელთა თვალის ასახვევად, მუცლით ზემოთ დაცურავს.
18. სახელწოდება „ჩაი“ ჩინური იეროგლიფიდან „ჩა იე“ წარმოიქმნა, რაც მცენარე ჩას ფოთოლს ნიშნავს.
19. ჩხუბის დროს მოწინააღმდეგისთვის სახეში თავის დარტყმას შოტლანდიელები გლაზგოურ კოცნას ეძახიან.
20. „დავით კეზერაშვილს დღეს ლექსენწზე მეტი მსმენელი ჰყავს“, — ამტკიცებს დათო გოგოჩაიშვილი.
21. „— მომე, ბიჭო, გერაინი! — ფული



*გან ამერიკელი დან ჰოჯი უნიკალურ რეკორდს ფლობდა — ზედიზედ ასამდე შეხვედრა ჰქონდა მოგებული. ფიზიკურადაც ძლიერი იყო და ამტანიც. 4 წლის შემდეგ, მონრეალში იგი ვერცხლის პრიზიორიც გახდა, თუმცა განაწყენებულმა ჭიდაობას თავი დაანება, კრივში გადავიდა, აშშ-ის ჩემპიონიც გახდა და „ოქროს ხელთათმანსაც“ დაეუფლა.*

— ამერიკელი დან ჰოჯი საკმაოდ კარგი მოჭიდავე იყო. მასაც, ჩემსავით, აუცილებლად მოგება სჭირდებოდა. თავიდან, მოახერხა კიდეც რამდენიმე ქულით დაწინაურება, მაგრამ ერთ მომენტში, ჩოქბჯენიდან ქართული შუაკაური გავუკეთე და ბეჭებზე „დავსვი“. მოულოდნელად სახეზე შემომარტყა ხელი. ძალიან გავმწარდი, მაგრამ აშკარა პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა — მომხსნიდნენ შეჯიბრებიდან, — ამიტომ მალულად მეც „მოვეფერე“ ცხვირ-პირზე, მერე კი ბეჭებზეც გავაკარი.

*მომდევნო შეხვედრაში, ჩვენმა იუბილარმა ჯერ ეგვიპტელი აბდუ ჰუსეინი დაამარცხა, ხოლო შემდეგ — უნგრელი დიერდ გურიჩი. ოქროს მედლის ბედი დავით ციმაკურიძისა და ირანელი გულამ-რეზა ტახტის ორთაბრძოლაში უნდა გადაწყვეტილიყო.*

— ტახტი მართლაც, დიდებული მოჭიდავე იყო და ირანის შაჰის რჩეულ ფალავნადაც ითვლებოდა. ჰელსინკამდე ერთი წლით ადრე, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, მოგვიანებით კი, ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ჰელსინკის შემდეგ, კიდევ 3-ჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. მელბურნში წონა გამოიცვალა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რომში ისევ ვერცხლი ირგუნა, ხოლო ტოკიოს ოლიმპიადაზე მეოთხე ადგილს დასჯერდა. ტახტი რაინდი იყო. იგი ორთაბრძოლას არ გაურბოდა. პატიოსნად, ალალად მოდიოდა კონტაქტზე, არ ეშმაკობდა და არც მე მიშლიდა ღიად, გახსნილად ჭიდაობას. ჩვენი ორთაბრძოლა თავიდან, ტახტის უპირატესობით წარიმართა, პირველი 2 ქულა მან აიღო. ჩვეულებრივ, თავის გრძელ თითებს კოჭებში ჩასჭიდებდა მეტოქეს, შემდეგ ფეხებს დაუჭერდა და ხიდურზე გადაჰყავდა მოწინააღმდეგე. მეც ასე გამიკეთა ორჯერ და ქულებიც დამათმობინა. რაღაც უნდა მომეფიქრებინა, რაღაცით უნდა გამეკვირვებინა ტახტი. სწრაფად მივუახლოვდი, ისეთი მოძრაობა გავაკეთე, ვითომ ცაციათი მარჯვენა ფეხში სარმა უნდა გამომედო... რა თქმა უნდა, ძალიან რისკიანი ფანდი იყო, ტახტის თავისუფალი ხელით შეეძლო კონტრილეთი გაეკეთებინა, მაგრამ მან ინსტინქტურად, უკან*

***რამდენიმე თვის შემდეგ, მოსკოვში მიგვიწვიეს დიდ ბანკეტზე, დიდი სუფრა კრემლში გაშალეს. თამადა მოლოტოვი იყო. სტალინი მოკლე სიტყვით გამოვიდა...***

გადადგა ფეხი; ამ მომენტში, წამით ცალ ფეხზე იდგა, ამიტომ ჩემთვის საშიში აღარ იყო; ქვემოდან შევუხტი, ვეცი და ამოვაყირავე. 2 ქულა მომცეს. ამის შემდეგ, რიგრიგობით ჩოქბჯენში ვიჯდავეთ. გამარჯვებისათვის ორივე ბოლომდე დავიხარჯეთ. როცა საფინალო სასტვენი გაისმა, გაირკვა, რომ ქულებით გავიმარჯვე. გული მწყდება, რომ ეს ნაღდი ფალავანი ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. ირანელ ხალხს ის ძალიან უყვარდა, შეიძლება იმაზე მეტად, ვიდრე ეს ირანის შაჰისთვის იყო სასურველი... ზუსტად ვერ გეტყვით, მაშინ ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა, ამბობდნენ, ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარაო. სამწუხარო ის არის, რომ ტახტი 39 წლისა გარდაიცვალა...

**— ტახტის გარდა, ცხოვრებაში ალბათ ბევრი კარგი მოჭიდავე შეგხვედრიათ. იქნებ, გვითხრათ, იდეალური მოჭიდავის თქვენეული ვარიანტი?**

— ო, ეგ არც ისე ადვილი საქმეა. კარგი მოჭიდავე მართლაც, იმდენი მინახავს, რომ მათი გამორჩევა ძნელი საქმეა. მაგრამ ვცდი, ჩემეული „კრებითი“ ვარიანტი შემოგთავაზოთ. ჩემი აზრით, იდეალურ ფალავანს უნდა ჰქონდეს: ვლადიმერ სუბაშვილის კუნთური მგრძნობელობა, არსენ მეკოკიშვილის სიდინჯე, ლევან თედიაშვილს სიმამაცე, ვახტანგ ბალავაძის ვირტუოზულობა, რომან რურუას ნებისყოფა, დავით ციმაკურიძის ეშმაკობა, გურამ საღარაძის ფიგურა, ალექსანდრე მედვედის შედეგიანობა. ხოლო ყოველივე ეს არაფერი იქნება, თუ კაცს გივი კარტოზიას გული და მისი კეთილშობილება არ ექნება... ცოტა გრძელი კი გამომივიდა იდეალური ფალავნის დახასიათება, მაგრამ ასეა. მოკლედ კი, გეტყვით — კლასიკური სტილით მოჭიდავეთა შორის,

გივი კარტოზია მიმაჩნია საუკეთესოდ, ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეებში — ლევან თედიაშვილი.

**— ამ ჩამონათვალში საკუთარი თავიც შეიყვანეთ. თქვენი კოზირი რა იყო: ტექნიკა, ძალა, ამტანობა თუ სისწრაფე?**

— რა გითხრათ, იცი — ერთი კოზირით ჩემპიონი ვერ გახდები. მოჭიდავეს ბევრი რამ სჭირდება; რაც თქვენ ჩამოთვალეთ, რა თქმა უნდა, ისიც და კიდევ ბევრი სხვა თვისებაც. ჭიდაობა ბევრი ნიუანსისაგან შედგება და თუ რაიმე გაკლია, დიდი ჩემპიონი ვერ გახდები, მე მაგალითად, ტახტის წინააღმდეგ საბრძოლველად, საგანგებოდ ვემზადებოდი: ვარჯიშის დროს, ხიდურზე დავდგებოდი, ხელში ორფუთიანი (თითო — 32 კგ) გირები მეჭირა. აბა, წარმოიდგინეთ, კისრის კუნთებისთვის რამხელა დატვირთვა იყო!.. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების წინ, ჩვენი ნაკრები რუსეთში, ქალაქ ვიბორგში ემზადებოდა. მახსოვს, ყველა რომ მორჩებოდა ვარჯიშს, მე მრავალსართულიანი სახლის სახანძრო კიბეზე ხელებით ავდიოდი ისე, რომ ფეხებს არ ვიხმარებდი. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისთვის, უკვე საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი ვიყავი, მაინც სერიოზულად ვემზადებოდი ოლიმპიადისთვის. აუცილებლად უნდა მომეგო ოლიმპიადა: იმ დროს უკვე 27 წლისა ვიყავი და მეორე შანსი აღარ მომეცემოდა. ოლიმპიადაზე რომ მივემგზავრებოდი, ჩვენთან სახლში ძველი ქართველი მოჭიდავეები მოვიდნენ. მითხრეს — ჰელსინკში გახსოვდეს, მიხეილ მაჩაბლის შვილი ხარო *(დავით ციმაკურიძის მამა — ცნობილი ფალავანი, მაჩაბლის ფსევდონიმით გამოდიოდა ცირკის არენაზე. — ავტ).* ამიტომ ჰელსინკში მხოლოდ ოქროს მედლისათვის ვიბრძოდი და მიზანს მივაღწიე კიდეც.

**— საინტერესოა, თუ გგვრიდათ მაშინ განსაკუთრებულ გრძნობას ის, რომ ქართველებს შორის, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდით?**

— იცით, მაშინ ამაზე არც მე და არც ჩემი თანაგუნდელები არ ვფიქრობდით. მთავარი იყო, რომ მე ჩვენი ბიჭების იმედი გავამართლე. და კიდევ — თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირიდან 2 ფალავანი გავხდით ოლიმპიური ჩემპიონები და ორივენი ქართველები ვიყავით — მე და არსენ მეკოკიშვილი. არსენა მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა... მახსოვს, საქართველოში მატარებლით რომ ვბრუნდებოდით, თითქმის ყველა სადგურზე ვჩერდებოდით და ყველგან გულუხვად გვიმასპინძლდებოდნენ, პურმარილით გვხვდებოდნენ.

**— მაშინდელმა ხელისუფლებამ როგორ აღნიშნა თქვენი ჩემპიონობა?**

— 3.000 მანეთით დამავჯილდოეს. რომ გითხრათ, ამან ჩემი ოჯახი წელში გამართა-მეთქი, არ იქნება სწორი, მაგრამ მაშინ ასე იყო. რამდენიმე თვის შემდეგ, მოსკოვში მიგვიწვიეს დიდ ბანკეტზე, დიდი სუფრა კრემლში გაშალეს. თამადა მოლოტოვი იყო. სტალინი მოკლე სიტყვით გამოვიდა, შემდეგ, ოფიციალური ვახშამი გაგრძელდა. ბერია, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ხრუშჩოვი, მიქოიანი... პრაქტიკულად მთელი მთავრობა იქ იყო. ერთი როსტოველი სპორტსმენი, ტკაჩენკო იჯდა ჩემ გვერდით, ეტყობა, არაყი უყვარდა. 2 ბოთლი რომ გამოცალა, აიჩემა — სტალინს უნდა ვაკოცოო. ვერ გავაჩერე. ადგა და ცენტრალური მაგიდისკენ დაიძრა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, დავინახე, ბერიამ პენსნე ასწია და გადახედა დაცვის თანამშრომლებს. მათაც წამში „უმასპინძლეს“ ტკაჩენკოს, უთხრეს — გვერდით ოთახში შეგახვედრებთ სტალინსო და დარბაზიდან გაიყვანეს...

**— ჰელსინკის ოლიმპადის შემდეგ, მალე დაამთავრეთ თქვენი სპორტული კარიერა. მომდევნო ოლიმპიადაზე, მელბურნში უკვე მწვრთნელის რანგში გაემგზავრეთ და რამდენადაც ვიცი, ეს ოლიმპიადაც წარმატებული იყო თქვენთვის.**

— მელბურნში საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელად წავედი. იქ ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგად გამოვიდა. ქართველებიდან, მირიან ცალქალამანიძე ჩემპიონი გახდა, ხოლო ვახტანგ ბალავაძემ და გიორგი სხირტლაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საერთოდ, როგორც მწვრთნელი, ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ვიყავი. გუნდის წევრებისაგან სრულ მობილიზებას ველოდი და შეღავათს არავის ვუკეთებდი.

**— 80 წლის კაცი ბრძანდებით. ცხოვრებაში ბევრი რამ შეგხვედრიათ. საინტერესოა, თუ არის ისეთი რამ, რაზეც გული გწყდებათ?**

— მართალია, 80 წელი სახუმარო ასაკი არ არის, მაგრამ ჯანზე დღესაც კარგად ვარ, ერთ-ორ ჭიქა ღვინოს დღესაც დავლევ. რაც შეეხება თქვენს კითხვას — აბა, რაზე უნდა დამწყდეს გული?! რაც მინდოდა, ყველაფერს მივაღწიე, საჭიდაო ხალიჩაზე უკან არ დამიხევია, ყოველთვის ალალად ვჭიდაობდი. ოლიმპიური ჩემპიონიც გავხდი. ახლა კი, მართალია, ასაკში ვარ, მაგრამ 3 შვილი, 5 შვილიშვილი და ერთიც შვილთაშვილი მყავს. ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს?! მათი შემყურე მე ყოველთვის ბედნიერი ვიქნები.

■

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეიზა დვალი: უბის წიგნაკიდან:

რომ არ მოგიცია?! — აი, ასე მუშაობდა ფინანსური პოლიცია!“ — მღეროდა თავის შოუში, გუდა-სტვირის აკომპანემენტით, ნიკა ქავთარაძე.

22. მექსიკის მთავრობამ პოლიციელთათვის სავალდებულო გახადა კლასიკური ლიტერატურის კითხვა. ყოველი თვის ბოლოს კი, მცირე გამოცდა ეწყობა. ვინც გამოცდის ჩაბარებაზე უარს იტყვის, მას სამსახურიდან ათავისუფლებენ.

23. „სლოვო „ვრუზია“ უ მენია ვსეგდა ვიზივაეტ ჩუვსტვა კამფორტა“, — თქვა ვიქტორ იუშენკომ.

24. მიქელანჯელოს და ლეონარდო და ვინჩის ერთმანეთი სძულდათ. ისინი ჩირქს სცხებდნენ ერთმანეთის შემოქმედებას და ქუჩაშიც არ ერიდებოდნენ ერთმანეთის ლანძღვას.

25. ამას წინათ, ხელში ჩამივარდა მათე ალექსიშვილის წიგნი — „აი რას ამბობს ისტორია“. იგი 1953 წელს არის გამოცემული და პირდაპირ „ატალახებულია“ მარქსიზმის კლასიკოსთა ციტატებითა და კომუნისტური პათოსით. ე.წ. „ჰედლაინებზე“ არასდროს „მინადირია“, მაგრამ მინდა, ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ერთი ნაწყვეტი გავაცნო ამ წიგნიდან: „რამზეს II ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი ძლიერი და მქუხარე სახელის ფარაონი იყო (სტილი დაცულია. — გ. დვალი). მისი მოღვაწეობა წერილობითი წყაროებით ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი მისი მუმიის აღმოჩენამდეც. მან იცოცხლა დაახლოებით 100 წელი და ფარაონად (მეფედ) კი იყო 66 წელი (1317-1251 წწ.). მისი სიცოცხლე მაშინ მოწმე იყო ეგვიპტის ძლიერების ხანისა, როცა ეგვიპტის სახელმწიფოს საზღვრები აფრიკიდან, (სადაც საკუთრივ ძველი ეგვიპტე მდებარეობდა) აზიაში (სირია-პალესტინაში) გადმოდიოდა. კაიროს მუზეუმში დაცული მისი მუმია კი ახლა, 3204 წლის შემდეგ, მოწმეა ეგვიპტის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მის სამშობლოში ინგლისელი ოკუპანტების თარეშისა. რამზესი რომ გაცოცხლდეს ახლა და თვალი გადაავლოს ეგვიპტის ისტორიის ამ ოცდაცამეტი საუკუნის დროთა გრეხილს, იგი ალბათ იტყოდა რუსთაველის სიტყვებით: „აწღა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“-ო“. P.S. რაც მართალია, მართალია — დიდი შოთას ციტირება უყვარდა ცხონებულ რამზესს!



მიხეილ იაშვილი

**(დასაწყისი „გზა“ №14)**

**ჟურნალისტი ზურა მჭედლიძე მოულოდნელად საპატიმროში აღმოჩნდება: პოლიციელები მის მანქანაში ჩადებულ „მაკაროვის“ პისტოლეტს იპოვიან და დააკავებენ. უსამართლობით აღშფოთებულს, წინასწარი დაკავების საკანში ზედამხედველებთან ჩხუბიც მოუვა და სასამართლოც აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებს. ციხეში გადაყვანილი ზურა, შეყვარებულისგან ბარათს მიიღებს: ეკა მას აცნობებს, რომ მისი გაზეთის რედაქციაც შეძრულია ამ ამბით, კოლეგებმაც სხვა გაზეთებიდან და ტელეკომპანიებიდან დიდი ხმაური ატეხეს და აიმედებს — რედაქტორმა გამოცდილი ადვოკატი დაგიქირავა, ხოლო ჩვენი მეგობარი, ცოტა ხნის წინ იუსტიციის მინისტრად დანიშნული ოთარ ცაგარეიშვილი 2 დღეში დაბრუნდება ამერიკიდან და ამ საშინელ გაუგებრობასაც დაესმება წერტილიო.**

**საკანში ზურა გაიცნობს ე.წ. მაყურებელს — ვაჟას, მეტსახელად ჟანგიანას და ორ საბურთალოელ „კაი ბიჭს“ — ზაზა ურუშაძესა და იასე არაბულს, რომლებიც არიგებენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ციხის დაუნდობელ და მისთვის სრულიად ახალ სამყაროში ხიფათს არ გადაეყაროს...**

6.

შემდეგ დღეს, ახალი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მერე მორიგე ზედამხედველმა ჟანგიანა დერეფანში გაიხმო და ეს უკანასკნელი მჟავე სახით დაგვიბრუნდა — ოთხი ახალი პატიმრის შემოსახლებას გვიპირებენ და უნდა შევვიწროვდეთო. 11 ადგილზე უკვე 15 კაცი მოდიოდა. მაყურებლის გადაწყვეტილებით, 3 საწოლიდან „ოჯახს“ 2 დაგვრჩებოდა და ძილი აწი რიგრიგობით მოგვიწევდა. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ნამდვილი უსიამოვნებანი სხვა რამის გამო დაიწყო. ზაზა ურუშაძის ვარაუდი, შესაძლო აყალმაყალის თაობაზე, გამართლდა. შემოსულთაგან ორს, „შავობაზე“ ჰქონდა პრეტენზია და ამის დამტკიცებას პირველი წუთებიდანვე შეუდგნენ.

— ძმებს სალამი! — მარჯვენა ასწია ერთ-ერთმა. — არის აქ მაყურებელი თუ მთლად უპატრონოები ხართ?

— აირია მონასტერი, — ჩამჩურჩულა ურუშაძემ.

ჟანგიანა ფეხზე წამოდგა და აშკარად ყალბად გაიხარა:

— ვაა, რა ხალხი, რა ხალხი! ბაჩას გაუმარჯოს, ზდრასტი, კოკი!

ერთიც და მეორეც გალეული ბიჭები იყვნენ, ჩემზე ალბათ, რამდენიმე წლით უმცროსები. თავი ამაყად ეჭირათ და თუ ჟანგიანას მათდამი მოწიწებულ დამოკიდებულებასაც გავითვალისწინებთ, გარკვეული ავტორიტეტიც ჰქონდათ. მაყურებელმა ორივე გადაკოცნა და სკამები შესთავაზა. დანარჩენი ორნი, ასევე ახალგაზრდები, ამასობაში მორიდებით გვერდზე დადგნენ. ჩემსავით ახალბედებს ჰგავდნენ...

— სკამი რად გვინდა, ტო! — აღშფოთდა ბაჩა. — ჯდომას ისედაც მოვესწრებით... გაიგე, ჟანგო, შე ძველო? სულ ნახშირს დამსგავსებიხარ, ბიჭო. რომ შემოვედი, სრაზუ ვერც კი დაგალივერე. მოდი, აქვე კუთხეში მივდგეთ და ვიბაზროთ, ტო... დანარჩენებმა, — და თვალი საკნის დანარჩენ ბინადართ მოგვავლო, — ცოტა ხნით ყურები დახუჭეთ!

ჟანგიანა, ბაჩა და კოკი კართან ახლოს, კუთხეში მივიდნენ და ჩურჩულს შეუდგნენ, თან, დროდადრო, ჩვენკენ იმზირებოდნენ, აქაოდა, ვინმემ ჩვენთვის ყურის გდება ხომ არ გაბედაო. ბჭობა მალევე დაასრულეს და მაყურებელმა გამოგვიცხადა, ჩემს უფლებამოსილებას ამათ გადავცემ და კეთილი ინებეთ, ამიერიდან შესაბამისი პატივი ეცითო. ფანჯარასთან ახლოს მდებარე საწოლებიც მათ ერგოთ, კიდევ ერთი საწოლი კი ჟანგიანამ იმ ახალბედებისთვის გაიმეტა.

— თქვენ, ბიჭებო, ეგ ერთი კოიკაც გეყოფათ.

მოსულებმა თავიანთი ბარგი დააბინავეს, მერე ბაჩამ ყველას გასაგონად თქვა:

— ამ ხატაში, გატყობთ, ძილისა და ჯმის მეტს არაფერს აკეთებთ. ახლა დვიჟენია უნდა მოვიყვანოთ. აბა, ვინ ხართ კაი ბიჭები? ვის უნდა თამაში?

პასუხი არავის გაუცია. ზაზა ურუშაძემ მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა.

— ნახე, კოკი? — არ ცხრებოდა ბაჩა. — კაი ბიჭები რომელი ხართ-მეთქი და ხმას არავინ იღებს, ტო!

— აუ, ბოზიშვილი ვიყო, — ზიზღით ჩაილაპარაკა მეორე „ძველმა ბიჭმა“. — ეს რა კამერაში მოვხვდით... — მერე, აქაოდა, ქურდული გაგებისა ვარო, ღიღინს მოჰყვა:

Я родился ночью, под забором,
Черти окрестили меня вором,
Мать родная назвала Романом
И с тех пор я шарю по карманам...

— ე, შენა! — ბაჩამ ერთ-ერთი ახალბედასკენ გაიშვირა თითი. — მოდი აქ!

ბიჭი მორჩილად წამოდგა და გაუბედავად მიუახლოვდა.

— რა მქვიაო, რა თქვი?

— ბაკური.

— საღოლ, შენ! რაზე გეთამაშო?

— არ მინდა, რა, თამაში... — ენის ბორძიკით მიუგო ბიჭმა.

— არ გინდა ახლა რიჟა ბაზარი, ეგრე არაა, ძმაო, შენ რომ გგონია. აქ სკოლა და ინსტიტუტი არ გეგონოს, ციხეა, ციხე!.. რა, არ ხარ კაი ბიჭი? თუ ტრაკი ხარ, ეგეც თქვი და გვეცოდინება, რა.

— არა, უბრალოდ, არ მინდა. თან არც ვიცი თამაში...

— ატრაკებ, ბიჭო! არა? თუ ნაღდად არ იცი, გასწავლი, ძმაო, რა პრობლემაა?

ამ უსიამოვნო სცენას ყველა გასუსული ადევნებდა თვალყურს. საკანში ორი ასაკოვანი მამაკაციც გვყავდა. ვიფიქრე, ისინი მაინც ჩაერევიან და ნაძირალას შეაჩერებენ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად... ურუშაძემ, ალბათ, შემატყო, ბრაზი რომ მერეოდა, მკლავზე ხელი მომიჭირა და ჩაიბურტყუნა:

— თავი დაანებე. არ მიქარო და არ გამოესარჩლო...

ამასობაში ბაჩას გვერდით ძმაკაციც ამოუდგა და ბაკურს შემპარავად მიმართა:

— ძმაო, მართლა არ იცი თამაში?

— არ ვიცი.

— არც შახმატი და ნარდი?

— არც ეგ.

— მაშინ იცი, რაა? ზარი გავაგოროთ. ეგ ყველაზე ადვილი თამაშია. შენ პროსტა გააგორე და მორჩა, დათვლით კი ჩვენ დავითვლით. აბა, დავაი, მაგას რა ცოდნა უნდა... ინტერესზე ვითამაშოთ. ჰა, შენ კამათლები... მიდი, გამომართვი.

ბაკურმა ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო. ეტყობოდა, ისიც ჩემსავით დაურიგებიათ, თამაშზე არასდიდებით არ წამოეგო. საცოდავი, ნერვიულობისგან ციებიანივით კანკალებდა... ურუშაძემ კვლავ მომიჭირა ხელი...

— რა იყო, არ გააგორებ? გგონია, გატყუებ? არ გრცხვენია, ძმაო? — ახალბედას დაყოლიებას კოკი ისევ აფერისტობით ცდილობდა.

— ხომ გითხარით, არ მინდა და არც ვიცი-მეთქი...

— კაი, ეგრე იყოს, არ გინდა — ნუ გინდა... წადი მაშინ და იმ სკამზე დაჯექი. სხვასთან ვითამაშებ.

ბაკურმა იქვე მდგარ სკამს დახედა. ალბათ, იეჭვა, მგონი, კიდევ რაღაც ოინს მიპირებენო და უარის ნიშნად თავი გააქნია:

— ჩემს კოიკაზე მირჩევნია დავჯდომა...

— აუ, ეს რა მანდრაჟისტი ვინმეა, ტო! — აღმოხდა ბაჩას. — კოკას ვენაცვალე, შეეშვი, რა, ამ ჩმორიკას, რად გინდა ამდენი ბაზარი-ვაგზალი...

— ჰო, კაი, წადი, წადი, — ხელი აიქნია იმანაც.

ბაკური თავის ადგილს დაუბრუნდა, ხელისგულით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და საწოლზე ჩამოჯდა. ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა. კოკი მასთან მიიჭრა, მუხლის თავზე წყვილი კამათელი დაადო და უკან გადახტა.

— ვსიო, ბრატ! გაინძრევი, ჩამოყრი ამ ზარს და ჩათვალე, რომ გაგორებული გაქვს. თუ ხელით შეეხე, მაინც უნდა გააგორო...

საკანში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ჰაერიც კი დაიმუხტა და აფეთქებას ერთი გაფაჩუნებაღა აკლდა. იმ ორი ნაძირალას გარდა ყველა წინააღმდეგი იყო ასეთი უსამართლობის, მაგრამ არც ამჯერად ამოუღია ვინმეს ხმა...

მიტკალივით გაფითრებული ბაკური უაზროდ დასჩერებოდა კამათლებს. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, პერანგის გულის ჯიბიდან ფრთხილად ამოიღო ცხვირსახოცი, გრძლად გაკეცა და აკანკალებული ხელებით კამათლები მუხლზე მიიბა...

— ეე, ნახე, რა გოთვერანია, ტო! — დაიყვირა ბაჩამ. — აჩკოში უნდა ჩავაყუდოთ!

— საცემია, ბოზიშვილი ვიყო! — კოკიმ სკამს დაავლო ხელი, აღმართა და ინსტინქტურად გვერდზე წახრილ ბაკურს წელზე გადაალეწა.

მეტის ატანა აღარ შემეძლო. მაგიდაზე მდგარ ჩაიდანს ხელი ვტაცე და ბაჩას გამეტებით დავცხე მხრებზე... მერე მეორეს დავეტაკე... თან გიჟივით ვღრიალებდი... ისეთ ჭკუაზე ვიყავი, მთელ საკანსაც დავერეოდი...

არ ვიცი, რით დასრულდებოდა ყოველივე, საკანში ზედამხედველები რომ არ შემოცვენილიყვნენ. კოკი ხელიდან გამომგლეჯეს და დერეფანში გამათრიეს.

— ჯერ არ მოსულხარ და უკვე ალიაქოთს აწყობ? — შემიტია ერთ-ერთმა.

— ნარუჩნიკი უნდა დაგადო. ხელები ზურგს უკან და მარშ! წამომყევი, ადვოკატი გელოდება.

რაღაც გვირაბის მსგავსი ბნელი დერეფანი გავიარეთ. მგონი, სხვა კორპუსში გადავდიოდით. ბორკილის ახსნა და ტუალეტში შესვლა ვითხოვე.

იქ ხელ-პირი დავიბანე და ცოტათი დავშშვიდდი.

— რაზე ეჩხუბებოდი იმ ტიპებს? — მკითხა იმან, ხელბორკილი რომ დამადო.

— უხ, მაგათი... — ისევ მომერია ბრაზი. — იარაღი რომ მქონოდა, შუბლებს გავუხვრეტდი...

— კაი, კაი... რომ გქონოდა... — დამცინავად მომიგო. — ბებიაჩემსაც, ყვერები რომ ჰქონოდა, ბაბუაჩემი იქნებოდა...

რამდენჯერ უნდა ვიჩხუბო, ამის ღმერთი არ იყოს?.. — გავიფიქრე და თვალი თვალში გავუყარე, თუმცა აღარაფერი მითქვამს.

არ გაგიტყდესო, — ღიმილით მითხრა და გზა განვაგრძეთ.

7.

ვექილის ნაცვლად, შეხვედრების ოთახში ოთარ ცაგარეიშვილი დამხვდა. მას შემდეგ, რაც დამიჭირეს, ნაცნობს პირველად ვესაუბრებოდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ცრემლი ძლივს შევიკავე. ოთარი გადამეხვია.

— ჰო, კარგი, კარგი. ვიცი, რომ გაუგებრობაა და მალე გაგიყვან აქედან, — სცადა ჩემი დამშვიდება.

— ბიჭო, შენ ხომ მაინც მიცნობ. ხედავ, რა სისულელეს მაბრალებენ? — ვიგრძენი, ხმა მიკანკალებდა, სიტყვების გამოთქმა მიჭირდა.

— ვიცი, ზურა, ყველაფერი ვიცი. ახლა კარგად მომისმინე. დრო ცოტა მაქვს. დილით სტრასბურგში მგზავნიან, მაგრამ 3 დღეში ისევ აქ ვარ. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს — მინისტრი ავარიაში მოყვა და მძიმე მდგომარეობაშია. შენ შესახებ საჭირო ხალხს უკვე ველაპარაკე და დახმარება აღმითქვეს, თუმცა, დროა ამისთვის საჭირო. აქ ცოტა ხანს კიდევ უნდა გაძლო. დილით ციხის საავადმყოფოში გადაგიყვანენ. იქ შედარებით უკეთესი პირობებია. მთავარი ექიმი, დათო ნარსია, ყოველმხრივ მოგხედავს — იცის, ჩემი საუკეთესო მეგობარი რომ ხარ.

— ოთარ, გაგიჟდი? ან ციხეში რა მინდა, ან ციხის საავადმყოფოში?! — ავყვირდი, ნერვებმა საბოლოოდ მიმტყუნა. — იცი, რომ ნორმალურად არც არავის დავუკითხივარ?! რა იარაღი, რომელი ყაჩაღი მე ვარ!.. ერთი კვირაა, დარდით თვალი არ მომიხუჭავს! მართლა ჩალითაა, ამის დედა ვატირე, ქვეყანა დახურული? დავლპი, ვირთხებმა და რწყილებმა შემჭამეს, ოთარ! რატომ? რისი გულისთვის?

— გთხოვ, დამშვიდდი. მომიტყუებიხარ ოღესმე?.. ჰოდა, არც ახლა გატყუებ. ჰა-ჰა, ერთი-ორი კვირა და გამოგიყვან, ამათი დედაც... — არც ის იყო, მგონი, ჩემზე უკეთეს დღეში.

— ბიჭო, რა არის, იცი, ყველაზე მურტალი? ბოღმა მახრჩობს, ბოღმა! მართლა მაინც ვიყო რამეში დამნაშავე... თავს ველარ ვაკონტროლებ... სულ ჩხუბებში ვარ...

— თუ ჩემი ძმა ხარ, დამშვიდდი. შენ გამო უამრავი ადამიანი დადგა ფეხზე. ადვოკატი მაგარი აგიყვანეს, მე ყველაფერს ვაკეთებ, ჟურნალისტები ხომ მთლად გადაირივნენ — პოლიციას და პროკურატურას სულ ყოფა უტირეს. ყოველი საინფორმაციო გამოშვება შენით იწყება და

სრულდება, გაზეთებიც მხოლოდ შენზე წერენ. მოკლედ, დიდი აჟიოტაჟია და სხვათა შორის, ძალზე პოპულარულიც გახდი. რომ გამოხვალ, ყველა გაზეთი თუ ტელევიზია, ალბათ, შენს დათრევას ეცდება. მერე ნახე ხელფასები და ჰონორარები... ჰო, მართლა, აი, ეს გამომართვი, 500 ლარია. არაფერში დაგჭირდება, მაგრამ მაინც გქონდეს. ისე, შენს ადგილას ამ სიტუაციას გამოვიყენებდი და რამდენიმე მაგარ სტატიას გამოვაცხობდი. ჰა, როგორია?

— ნეტავი შენ...

— მთავარმა ექიმმა მითხრა, რომ საუკეთესო პალატას გამოგიყოფს, სადაც მხოლოდ ერთი მეზობელი გეყოლება — ვიღაც ლეგენდარული ქურდია, კრიმინალური სამყაროს უახლესი ისტორიის ცოცხალი მემატიანე. ასეთ რესპონდენტს სხვაგან სად ნახავ?..

— გმადლობ, ოთარ. ვიცი, რომ ყველაფერს აკეთებ ჩემთვის. მაპატიე, წეღან ცოტა გავცხარდი.

— ეგ არაფერი. კარგი, აბა, წავედი. რაც შენზე იწერება, ყველაფერს გიგროვებ, ვიდეოზე ტელესიუჟეტებსაც ვიწერ. რამდენიმე დღეში გნახავ და დარწმუნებული ვარ, სულ მალე ამ ამბებს ღიმილით გავიხსენებთ...

ოთარის წასვლის შემდეგ, საკმაოდ დიდხანს ვიჯექი მარტო. ციხის თანამშრომლები რატომღაც იგვიანებდნენ. ბოლოს და ბოლოს, რომ მომაკითხეს, შუაღამე იქნებოდა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, საკანში სრული სიმშვიდე დამხვდა. შუქი ჩაქრეთ, ერთადერთი, ეწ. მორიგე ნათურაღა ბუუტავდა. ორი-სამის გარდა, თითქოს ყველას ეძინა. „ძველი ბიჭებიც“ საწოლებზე იწვნენ. არ ვიცი, მათაც ეძინათ თუ მელოდნენ...

ზაზა ურუშაძემ რაღაც წიგნები მომაჩეჩა და ტუჩებზე თითი აიფარა:

— ჩუ... ხმა არ ამოიღო. ეს წიგნები შარვალში ჩაიწყვე. ერთი — წინ, მეორე — უკან... იცოდე, ეგენი არ გაპატიებენ, შტირები აქვთ და ალბათ ამ ღამითვე დაგეცემიან... შტირი წიგნს ვერ ხვრეტს... არ ჩაგეძინოს, თორემ დაიბრიდები, დილით კი ქურდთან შეხვედრა მოითხოვე...

ღამე, რა თქმა უნდა, თეთრად გავატარე. საწოლზე წამომჯდარი მათ ფხიზლად ვადევნებდი თვალყურს, ყოველი შემთხვევისთვის სკამიც იქვე მედგა. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, არაფერიც არ მომხდარა. შურისძიება, ეტყობა, მეორე დღისთვის ჰქონდათ გეგმაში...

დილის 8 საათზე კი, ციხის თანამშრომლები მოვიდნენ და წამიყვანეს...

8.

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, რომელიც ორთაჭალის ციხის უკან მდებარეობს, ჟარგონზე „რეზბალნიცა“ ჰქვია. ეს „ზ“ რა შუაშია, წარმოდგენა არ მაქვს, სამაგიეროდ, უკვე ვიცი, რომ თუ გამოსულ ბიჭად და ციხის ამბებში კომპეტენტურ პირად გინდა თავი წარმოაჩინო, არა „რეზბალნიცაში“, არამედ „რეზბალნიცაზე“ უნდა თქვა. მაგალითად — „ის რეზბალნიცაზე გადაიყვანეს“, „ამ კაცს რეზბალნიცაზე შევხვდი“ და ა.შ. სიტყვა „ციხის“ შემთხვევაშიც ასეა — „ციხეზე ვიყავი, ძმაო“ და არა „ციხეში“.

მისაღებში ხუთნი ვართ. კომუფლირებულფორმიანი ზედამხედველები, ციხიდან რომ მომყვებიან, კართან ატუზულან და რაღაცაზე ჩურჩულებენ, ორი თეთრხალათიანი ექიმი მამაკაცი კი, ჩემი ავადმყოფობის ისტორიის ამსახველ დოკუმენტაციას ავსებს.

— დიდი ხანია, თირკმელი გაწუხებს? — მეკითხება ერთ-ერთი ჭაღარა.

— საერთოდ არ მაწუხებს.

— აა... ღვიძლი, ხომ?

— არც ღვიძლი.

ჭაღარა მოულოდნელად გაღიზიანდა, კალმისტარი მაგიდაზე დაახეთქა და კართან მდგომთ მიუბრუნდა:

— ბიჭებო, გარეთ დამელოდეთ, თქვენი ჭირიმე... ჩამომიმწკრივდებიან აქ კაი პროფესორებივით, თითქოს კონსილიუმში მონაწილეობენ, — დაამატა უკვე მათი გასვლის შემდეგ და ისევ მე მომმართა: — ძამიკო, კარგად დაიმახსოვრე — შენ თირკმელიც გაწუხებს, ღვიძლიც, კუჭიც, ნაწლავიც, გულიც და კიდევ ძალიან ბევრი რამ. თუ არა და, საავადმყოფოში შენი ადგილი არ არის...

ექიმები კარგა ხანს ავსებდნენ რაღაც ბარათებსა და ბლანკებს, შემდეგ დაწვრილებით დამარიგეს, კომისიის გამოჩენისას რა და როგორ უნდა მეთქვა და კვლავ ჭრელფორმიანებს ჩაბარეს ჩემი თავი:

— წაიყვანეთ, მძიმე ავადმყოფია. ვახო ნახეთ და პალატაში ის აიყვანს.

პალატა თითქმის ისეთივე საკანი აღმოჩნდა, როგორიც ციხეში ვიხილე, თუმცა განსხვავებაც შევნიშნე, რაც წიგნებით სავსე მოზრდილი თაროს, ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოებით აჭრელებული, გაყვითლებული მაცივრის, პატარა შავ-თეთრი ტელევიზორისა და საპირფარეშოში საშხაპე კაბინის არსებობაში გამოიხატებოდა. რკინის ნაცვლად, ხის კარი იყო. გარდა ამისა, აქ მხოლოდ ორი საწოლი იდგა და რაც მთავარია, ფანჯარას რკინის ფურცლები არ ჰქონდა აკრული.

ჩემმა ახალმა მეგზურმა, ნადზირატელმა ვახომ, ხელი ერთ-ერთი საწოლისკენ გაიშვირა:

— აი, ეგაა შენი კოიკა. მეორე, გოგია ჩხეიძისაა. ძაან მაგარი ქურდია, ციხეს ეგ უყურებს. მაგან რომ აქ ბრძანება გასცეს, ერთ საათში მაგადანის ლაგერებში ზეკები ბუნტს მოაწყობენ, მაშ... ახლა ექიმებს რაღაც პროცედურებზე ჰყავთ გაყვანილი. ეცადე, მაგასთან კაი ატნაშენიებში იყო და ჩიტის რძე არ მოგაკლდება, თბილად იქნები, მეფესავით, რა...

— გმადლობ, ვახო, — მივუგე თავაზიანად, გულში კი გავიფიქრე, ქურდები და მამაძაღლები მაკლდა-მეთქი...

ჩემი მომავალი თანასაკნელით აღფრთოვანებული ზედამხედველი, რომელიც, თუ ფორმას არ ჩავთვლით, თავისი ავადმყოფური იერით, სპეციფიკური მიხრა-მოხრითა და ლაპარაკის მანერით ძალიან ჰგავდა ჩვეულებრივ პატიმარს, გაიჭყანა:

— ისე, ეტყობა, ძაან ძვირი დაგიჯდა აქ გადმოსვლა, არა? — და პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო: — შენამდე აქ მხოლოდ ყოფილი რაიკომის მდივნები, მინისტრები, მილიანერი მეღვინეები და გლავნი ქურდები ცხოვრობდნენ.

— დიდი პატივია ჩემთვის...

— ჰო, ეგრეა, — კვერი დამიკრა ვახომ და ისევ იმ ჩხეიძის ქება განაგრძო. — გოგია ჩესტნი პატიმარს არასოდეს აწყენინებს. მუჟიკებს ეგ დიდ პატივს სცემს. დიდი ხნის წინ, ერთ ზონაში ვმუშაობდი. იქ სასმელი წყლის პრობლემა იდგა, პატიმრები წყურვილისგან იხოცებოდნენ. გაიგო ეს გოგიამ, ერთ კაცს თავისი პირადი ფული გაატანა და იმ კოლონიაში ჭა გაათხრევინა. პატიმრები სულ მის მზეს ფიცულობდნენ, ადმინისტრაციას კი შიში ჰქონდა. კაი ბიჭები იყვნენ და პატიმრებისთვის პაიკა მოეკლოთ, გოგია ეგრევე მოსვამდა ადგილზე.

— კაი, კაცო!

— მაშ... თავერა, ქაჩალა, შოქია, პეტროსა, ბოლშევიკა, ჭიჭყინა, ნალბო, კუტი ალბერტა, ძმები ვაჰაპეტიანები... ეე... და სხვა ზნამენიტი ქურდები, სულ მაგის ბრატები იყვნენ... ჰო, კიდევ — ტიტე, თუთიკა და შოენაც...

— რას მელაპარაკები! მერე?

— რაღა მერე? — ვახომ ჩემს ხმაში ირონია დაიჭირა და სასწრაფოდ დამემშვიდობა: — აბა, წავედი, მაგრად იყავი, ჯიგარო!

უკანასკნელი, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კოშმარული დღეების მანძილზე პირველად დავრჩი მარტო. ზურგჩანთა საწოლზე დავდე და ფანჯარას მივაშურე. სივრცის შეგრძნება სიგიჟემდე მომნატრებია, თან აქედან საუცხოო ხედი იშლებოდა.

ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ ორთაჭალაში, მაგრამ ამ ულამაზესი მთაგორაკებისთვის, ახლა რომ ხარბად ვუმზერ გისოსებიდან, უწინ რატომღაც, არასოდეს მიმიქცევია ყურადღება. სტუდენ-

ტობის დროინდელი ლაშქრობები და ალპინიადები გამახსენდა. მთა, ტყე, კრიალა ჰაერი, კარვები, კოცონი, ყინულივით ცივი მდინარეები და ბრდღვიალა ვარსკვლავებით დახუნძლული ცა, რომლის მსგავსსაც ადამიანი თბილისსა ან სხვა დიდ ქალაქში ვერასოდეს ხედავს. რატომღაც ისიც გამახსენდა, საქართველოს ბუნებაში ხეტიალისას ძირითადად, რუსები და ამერიკელები რომ მხვდებოდნენ გზად...

აქედან რომ გავალ, ამ მთებსაც უეჭველად მოვივლი...

— აბა, აქ მარტო აღარ ვიქნები, არა? — მომესმა ვიღაცის ხრინწიანი ხმა.

მოვბრუნდი. ზღურბლზე სპორტულ სამოსში გამოწყობილი, ჩია ტანის ბერიკაცი იდგა და მიღიმოდა.

— ბრეჟნევს გაუმარჯოს! — ღიმილითვე მომიახლოვდა და მარჯვენა გამომიწოდა. — კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. გოგი.

— ზურა, — ცოტა არ იყოს, დავიბენი. ვერ მივხვდი, ვინ იყო. სახელგანთქმულ ქურდს, ჩემი წარმოსახვით, სრულიად სხვაგვარი გარეგნობა უნდა ჰქონოდა. თანასაკნელი, სვირინგებითა და იარებით აჭრელებულ ახოვან და კუშტი სახის შუახნის მამაკაცად წარმომედგინა. ეს კი ვიღაც კეთილი და საწყალი ბებუა იყო. არც ექიმს ჰგავს, არც გამომძიებელს ან ზედამხედველს. ალბათ, მეზობელი საკნის ბინადარია, აქ ცნობისმოყვარეობამ შემოიყვანა. მაგრამ ბრეჟნევი საიდანღა მოიტანა?..

— არ გეწყინოს, ბრეჟნევი რომ გიწოდე, — თითქოს აზრს მიმიხვდაო. — ჩემს ჯეელობაში, ტელევიზორს რომ ჩართავდი, მაშინვე მისი ფიზიონომია გამოანათებდა, ამ ბოლო დროს კი, სულ შენ გაჩვენებენ...

— გასაგებია, — მეც გავუღიმე. რა ენაწყლიანი ხალხი შეკრებილა ამ საავადმყოფოში. ჯერ იმ ვახომ წაიღო ტვინი თავისი ქურდებით, ახლა ამ ბებრის ქაქანს უნდა ვუსმინო.

— შენი ბევრი სტატია მაქვს წაკითხული. გუშინ მთავარმა ექიმმა მითხრა, დილით ზურა მჭედლიძეს შემოგისახლებთო. ძალიან კარგი-მეთქი. წინაღმდეგი რად უნდა ვყოფილიყავი?.. წესიერ ხალხთან ერთად ყოფნას რა სჯობს. ეგრე არაა?

— რა ვიცი...

— მხრები ავიჩეჩე. ხედავ შენ? ეს ყოფილა. არადა, ლეგენდარულისა არაფერი ეტყობა.

ბერიკაცი სკამზე ჩამოჯდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და რამდენიმე წუთი, ამჯერად სერიოზული სახით, ჩაფიქრებული შემომცქეროდა.

უხერხულობის დასაფარავად ზურგჩანთის ამოლაგებას შევუდექი. ტანსაცმელი ლურსმანზე დავკიდე, ჰიგიენის ნივთები კი, ჩემი საწოლის თავთან მდებარე პატარა კარადის უჯრაში ჩავაწყვე.

— გშია? — მკითხა უცებ.

— ცოტა. აქ რომელ საათზეა საუზმე?

— ამათი საუზმეც, კარანტინის მსგავსად, უკეთეს შემთხვევაში, ღორის სალაფავივითაა — ჭიანი კარტოფილი მარილიან წყალში, თუმცა პატიმარს ხშირად არც ამას აღირსებენ და მთელი ციხე მხოლოდ ამანათების იმედადაა. მოდი, მომეხმარე. იმ თაროდან ერთჯერადი ჭურჭელი გადმოალაგე და დენის ფეჩი ჩართე, საჭმელი რომ გავაცხელოთ. მაცივარში რაღაცრაღაცები კიდევ დამრჩა, შუადღეზე კი, გარედან კარგ სადილსაც შემოგვიგზავნიან.

5 წუთში, დიდებული სუფრა გავაწყვეთ: შემწვარი დედალი, მწვადი, სულგუნი, შებოლილი ქაშაყი, კუჭმაჭი, ხაჭაპური, ხიზილალა, „ხვანჭკარა“...

მოხუცმა, როგორც ჩანს, შემატყო ნადიმის ასეთი მრავალფეროვნებით გამოწვეული გაოცება:

— აქვე, ორთაჭალაში დიდი რესტორანი რომაა, „საქეიფო“, მის მფლობელს ოდესღაც მცირე დახმარება გავუწიე და ახლა შეფობა აიღო ჩემზე — ყოველდღე მიგზავნის დელიკატესებს. მიირთვი, არ მოგერიდოს. სანამ ერთად ვართ, მშიერი არ დარჩები. კარგია, აქ რომ შემოგასახლეს, თორემ, კარგა ხანს მარტო ვიჯექი და ხომ გაგიგონია — მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

გემრიელ საჭმელს მონატრებულმა კერძებს უმალ მადიანად შევუტიე. ჭამაში გართულმა, უცებ შევნიშნე, რომ ჩემს თანასაკნელს ხელიც არ ეხლო არაფრისთვის. თვალები მოეჭუტა და კვლავ ჩაფიქრებული შემომცქეროდა.

— მშვიდად მიირთვი, ძმობილო. მშიერ კუჭს ერთბაშად ნუ გადატვირთავ. — მერე ცოტა დაახანა და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ხმადაბლა განაგრძო: — 1949 წლის ივლისში, პირველი სასჯელი от звонка – до звонка დავახურდავე და კრასნოიარსკის მხარის ერთ-ერთი ზონიდან იქ გაცნობილ კაცთან, ბათუმელ მურმან ბერიძესთან ერთად გამოვედი. დილა იყო და უახლოეს დასახლებამდე, დაბა ფიოლეტოვომდე, თითქმის 30 კილომეტრი უნდა გვევლო ფეხით. გზის ნახევარი რომ გავიარეთ, ადგილობრივ გლეხს გადავაწყდით. გაძვალტყავებული ცხენი ურემში შეება და დაბაში თივას მიეზიდებოდა. მურმანმა ლაგერში გაკეთებული რაღაც ბეზდელუშკა აჩუქა და ისიც დაგვთანხმდა დასახლებამდე მიყვანაზე. ფიოლეტოვოში რომ შევედით, გლეხმა ურემი ერთ ფიცრულთან შეგვიჩერა — თქვენისთანა ხალხი, პირველ რიგში, აქ მომყავს ხოლმეო. სურსათის მაღაზია ყოფილა. შევედით და ხორაგის სიუხვით თვალთ დაგვბნელდა. დახლზე თეთრი პურის გროვა ეყარა, თაროებზე — კონსერვები, შაქრის ნატეხით სავსე ყუთები, ქაღალდში გახვეული, კარაქის უზარმაზარი ბრიკეტები, გაყინული თევზი... მურმანი კარაქს ეძგერა. გამყიდველ ქალს ცხვირწინ დაჭმუჭნილი ფული დავუყარე, ჩექმაში დამალული დანა ამოვაცურე და კონსერვებს ვეცი... ალბათ, 10 ქილა მაინც გავანადგურე, სანამ ოდნავი შვება ვიგრძენი. გამყიდველს ერთი ბღუჯა ქაღალდის ფული კიდევ მივუყარე და ტომარა ვთხოვე. რაც შეიძლება დიდი იყოს, ბლომად საჭმელი რომ ჩაეტიოს-მეთქი. წლობით შიმშილისგან შეშლილს მეგონა, დედამიწაზე სხვა მაღაზია არ არსებობდა... ამ დროს ვხედავ, რომ მურმანს კარაქის ერთი ვეებერთელა ნაჭერი გაუნადგურებია და ახლა მეორეში აქვს თავი ჩარგული. ქალი შეწუხდა: „Скажи своему другу, что нельзя столько жрать, помрёт, ведь, один кубик масла восемь килограммов весит!“ ამის თქმა იყო და მურმანიც ჩაიკეცა. კარაქით მოსვრილი სახე ჩალურჯებოდა, მძიმედ სუნთქავდა. ძლივს არ გავეხიო?! — გაღიმება სცადა და ხელში ჩამაკვდა...

გოგი ჩხეიძე ფეხზე წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და გორაკებს გახედა.

— უტაქტოდ მომივიდა, ძმობილო, არა?

— არა, რას ბრძანებთ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# სოკრატეს ბრაზილეიროს ალბიონური თავგადასავალი

ცოტა ხნის წინ, იორკშირული „გარფორტ თაუნის“ ქომაგები დიდმა ეიფორიამ მოიცვა. მათ სიხარულს და აღტყინებას საზღვარი არ ჰქონდა. ხუმრობა ხომ არ იყო – ერთი უბრალო, სამოყვარულო ინგლისური გუნდის მაისური 80-იანი წლების საფეხბურთო ლეგენდას, ბრაზილიელ სოკრატესს უნდა მოერგო. ყვითელმაისურიანთა ყოფილი ლიდერი „გარფორტ თაუნში“ თავად კლუბის მფლობელმა და მწვრთნელმა, საიმონ კლიფორდმა მიიწვია. რა თქმა უნდა, მას ამ ნაბიჯით გუნდის პოპულარობის გაზრდა სურდა. 50 წლის სოკრატესს კი, როგორც ჩანს, მოედანზე გასვლის დიდი ნოსტალგია ამოძრავებდა და ამიტომაც არ დაიზარა ოკეანის გადმოლახვა და ნისლიან ალბიონზე ჩასვლა.

„გარფორტ თაუნის“ ხელმძღვანელმა და გულშემატკივრებმა ბრაზილიელ დიდოსტატს ჩინებული დახვედრა მოუწყვეს, რისთვისაც ისინი საგანგებოდ ემზადებოდნენ. სხვათა შორის, სწორედ იორკშირში სოკრატესის სტუმრობის დღეს, იქვე, სულ რამდენიმე კილომეტრში პირველ პროფესიონალურ დივიზიონში მოასპარეზე „ლიდსი“, „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ მასპინძლობდა. ჩვეულებრივ, ასეთ დღეებში გარფორტელი ფანები საგრაფოს დედაქალაქისკენ მიეშურებიან და „ლიდსის“ საშინაო არენის ტრიბუნებს ავსებენ, მაგრამ მაშინ ასე არ მომხდარა. ეს ხომ განსაკუთრებული დღე იყო – საგრაფოს თვით სოკრატესი სტუმრობდა! ამიტომ „ლიდსის“ მიმართ განსაკუთრებული ინტერესი არავის გამოუვლენია. მოგვიანებით, გარფორტელებს არც იმაზე დასწყვეტიათ გული, რომ იმ მატჩში გატანილი შვიდი გოლი („ლიდსმა“ 6:1 გაიმარჯვა) ვერ იხილეს. ყველას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა – ცოცხალი ლეგენდა ახლოდან ენახა, მას შეხებოდა და თუ ბედი გაუღიმებდა, ავტოგრაფიც გამოერთმია. ყველამ კარგად იცოდა, რომ 50 წლის სოკრატესი ისეთ თამაშს ვეღარ აჩვენებდა, როგორიც ეგი საფეხბურთო სამყაროს 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებიდან ახსოვდა, მაგრამ მოედანზე მის გასვლას მაინც მოუთმენლად ელოდნენ.

სამხრეთამერიკელი ვარსკვლავისთვის სამწუხაროდ, დღე, როდესაც მას „გარფორტ თაუნის“ შემადგენლობაში უნდა ეთამაშა, მეტისმეტად (თვით ინგლისური ზამთრისთვის შეუფერებლადაც კი) ცივი აღმოჩნდა. ბუნებრივია, მზიანი ბრაზილიის შვილი ასეთ ყინვას მიუჩვეველი იყო. მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე, მან ცხელი ყავა მიირთვა, 3 სვიტერი ჩაიცვა, შალის ქუდი, შარფი და ხელთათმანებიც მოირგო, მაგრამ მაინც ვერ გათბა. ბოლოს, საიმონ კლიფორდი იძულებული გახდა, რომ მცივანა სამხრეთამერიკელისთვის საკუთარი პალტო ეთხოვებინა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სოკრატეს ბრაზილეიროს, ნისლიან ალბიონზე საკუთარი ბუცებიც კი არ წაუღია. სპეციალურად გუნდის მიერ მისთვის გამოწერილი საფეხბურთო ფეხსაცმელიც არ მოერგო, რის შემდეგაც „გარფორტ თაუნის“ ფიზიოთერაპევტმა, პოლ კეიველმა, როგორც იქნა, მისი ზომის ბუცები იშოვა.

„გარფორტ თაუნის“ სტადიონზე – „უიტლი პარკზე“ 2000-მა ქომაგმა მოიყარა თავი. „ტედკასტერი“ საიმონ კლიფორდის გუნდის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია – ორივე მათგანი ზედა დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის. ამიტომ ამ შეხვედრის წინ, ყველამ კარგად იცოდა, რომ მოედანზე გასართობად არავინ გამოვიდოდა. „სოკრატესს ჩვენი მხრიდან მის მიმართ რაიმე დათმობის იმედი ნუ ექნება, – განაცხადა მატჩამდე, სტუმართა თავკაცმა, ტედ კოლისმა, – თუ საჭირო გახდა, მას ფეხებშიც ჩავუვარდებით ბურთის ართმევის მიზნით“.

ბრაზილიური ფეხბურთის დიდი ქომაგის, საიმონ კლიფორდის გეგმით, სოკრატეს ბრაზილეირო მოედანზე საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე უნდა გამოსულიყო, მაგრამ „გარფორტის“ მფლობელმა ეს მომენტი 77-ე წუთამდე გადადო.

როგორც ჩანს, მისტერ საიმონმა ფეხბურთელის ფიზიკური მდგომარეობა გაითვალისწინა: ტანადი, ელეგანტური ბრაზილიელისაგან, როგორიც ეგი 20-25 წლის წინ მთელმა მსოფლიომ გაიცნო და შეიყვარა, მხოლოდ ჩვეული (თანაც გაჭაღარავებული) წვერიღა დარჩენილიყო. ეს ხომ ის სოკრატესი აღარ იყო, რომელსაც ესპანეთისა (1982) და მექსიკის (1986) მუნდიალებზე თავისი გრაციოზული მოძრაობებითა და საფეხბურთო ინტელექტით, აღტაცებაში მოჰყავდა მილიონები. ახლა ინგლისელთა წინაშე წლებისა და თამბაქოსა თუ ლუდის გადაჭარბებული მოხმარებისაგან გატეხილ, ვეტერან ფეხბურთელს უნდა ეთამაშა (სხვათა შორის, სოკრატესი ლუდისა და თამბაქოსადმი თავის უზომო სიყვარულს მწვრთნელებს მაშინაც არ უმალავდა, როდესაც სპორტული კარიერის ზენიტში იმყოფებოდა).

ასე იყო თუ ისე, სახელგანთქმული ოსტატი თამაშში მაშინ ჩაერთო, როდესაც მასპინძლებსა და სტუმრებს უკვე 2-2 გოლი ჰქონდათ გატანილი. სოკრატესმა ბურთთან პირველი შეხები-

სთანავე სცადა, თავისი შორეული „საფირმო“ ჩახვეული დარტყმის შესრულება, მაგრამ „ტედკასტერის“ მეკარემ იმარჯვა. „როდესაც მოედანზე შემოსვლის მომენტიდან უკვე რამდენიმე წამში, ჩვენი კარიდან 25 მეტრის მოშორებით მდგომმა ბურთი მიიღო, უმალვე გავიფიქრე, – ეშმაკმა დალახვროს, ახლა პირდაპირ „ცხრიანში“ ჩაგვისვამს-მეთქი! საბედნიეროდ, ჩვენმა კიპერმა, ტომ რაიდერმა ბურთის მოგერიება მოახერხა და მატჩის ფრედ დასრულება შეეძელით“, – განაცხადა პაექრობის შემდეგ „ტედკასტერის“ მცველმა, გრეგ ანდერსონმა, რომელსაც სწორედ დიდი ბრაზილიელის მეურვეობა ჰქონდა დაკისრებული. დარჩენილ დროში სოკრატესს მნიშვნელოვანი აღარაფერი გაუკეთებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რამდენჯერმე ელეგანტური მოძრაობითა და ერთი შეხებით გადასცა თანაგუნდელებს ბურთი. მოედანზე ბრაზილიელი ნელა მოძრაობდა და მძიმედ ქოშინებდა. შეხვედრა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყაიმო ანგარიშით დასრულდა. „თუ საჭირო იქნებოდა, მზად ვიყავი, მის წინააღმდეგ აგრესიულადაც მეთამაშა, – არ მალავდა სა-



ფინალო სასტვენის შემდეგ ანდერსონი, – საბედნიეროდ, ამის აუცილებლობა არ დამდგარა“. თავად მატჩის გმირი კი, კვლავ ყინვის გამო წუწუნებდა. „პირველ რიგში აუტანელ სიცივეს გავუსვამ ხაზს. ეს მართლაც, მეტისმეტია ჩემთვის. ამიტომ მოედანზე გასვლისთანავე, თავი ძლიერ ამტკივდა. აღარც მახსოვს, სატურნირო შეხვედრაში ბოლოს როდის მივიღე მონაწილეობა. შეიძლება, ზოგიერთი აქაური, იმედგაცრუებულიც კია ჩემი თამაშით, მაგრამ მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. მომიტევეთ და უფრო მეტის უნარი ნამდვილად აღარ მაქვს“.

ისე კი, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ყველას კარგად ესმოდა ის, რომ სოკრატესი ძველებურად ვეღარ იასპარეზებდა. უფრო მეტიც, „გარფორტის“ ქომაგები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეს დღე მათი საყვარელი გუნდის ისტორიაში განსაკუთრებული იყო.

სოკრატესის აზრით, შეხვედრა გაცილებით მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, ვიდრე იგი მოელოდა. ბრაზილიაში ასე სწრაფად არ თამაშობენო, – დასძინა ოსტატმა, რომელიც სამყვარულო თამაშისადმი ფეხბურთელთა სერიოზულ დამოკიდებულებასაც გაუკვირვებია. ისინი ხომ ისევე თავდაუზოგავად იხარჯებოდნენ, როგორც პრემიერ-ლიგაში მოასპარეზე გუნდების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, სოკრატეს ბრაზილეირომ ისიც დასძინა – მატჩში მონაწილეობით დიდი სიამოვნება მივიღე და „გარფორტ თაუნის“ მაისურის კვლავ მორგებასაც არ გამოვრიცხავო. კმაყოფილი დარჩა კლიფორდიც. ■

## რომის პაპს წინასწარ რომ სცოდნოდა!..

იოანე-პავლე მეორის დაკრძალვის შემდეგ, ის ადამიანები, რომლებსაც რომის პაპთან ოდესმე ჰქონიათ შეხება, პონტიფიკოსის შესახებ ათასგვარ ამბავს იხსენებენ. მაგალითად, პოლონეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშის ზბიგნევ ბონეკის თქმით, იოანე-პავლე მეორე ყოველთვის განიცდიდა, იმას, რომ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, თავისი სამშობლოს ეროვნული ნაკრებისთვის – (როგორც ცნობილია, რომის პაპი

პოლონელი იყო) ლოცვა არ აღავლინა. „უფალი საფეხბურთო გუნდებს შორის არც ერთს არ გამოარჩევს“, – უთქვამს ვატიკანის თავკაცს თანამემამულეებისთვის, რომლებსაც მისთვის ესპანეთისკენ გზის დალოცვა უთხოვიათ. 1982 წლის მუნდიალის შემდეგ, ბონეკი უკვე „იუვენტუსის“ მოთამაშის რანგში ესტუმრა ვატიკანს. „მოულოდნელად პაპის პირადმა მდივანმა, სტანისლავ ძივიჩმა გვერდით გამიხმო და მითხრა, – იოანე-პავლე მეორეს რომ სცოდნოდა, თუ რა წარმატებულად იასპარეზებდა პოლონეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე, ის გუნდის გაჩემპიონებისთვის აუცილებლად ილოცებდაო“, – იხსენებს ზბიგნევი. შეგახსენებთ, რომ ყველასთვის მოულოდნელად, პოლონელებმა 1982 წლის მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავეს, მაშინ, როდესაც ტურნირს ნაადრევად გამოეთიშნენ ბრაზილიისა და არგენტინის ბრწყინვალე გუნდები. ნახევარფინალში, ყოფილი რომის პაპის თანამემამულეები მომავალ ჩემპიონთან, იტალიის ნაკრებთან ბრძოლისას დამარცხდნენ (0:2), ხოლო მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში საფრანგეთის გუნდს სძლიეს, რომლის ღირსებასაც იმხანად, ჩვენთვის კარგად ცნობილი ვარსკვლავები – მიშელ პლატინი და ალენ ჟირესი იცავდნენ. ■

## ჰიუიტი და ულიისტერსი უქმად არ არიან

მსახიობ ბეკ კარტრაიტთან ერთად ცხოვრების მიზნით, ლეიტონ ჰიუიტმა სიდნეის პრესტიჟულ რაიონში – პალმბიჩზე 4,5 მილიონ დოლარად სახლი შეიძინა. გარდა ამისა, ჩოგბურთელმა სატრფოს 220 ათას დოლარად ღირებული საქორწინო ბეჭედიც მიართვა. ლეიტონის ყოფილ გელფრენდს, კიმ კლიისტერსაც ასევე ახალი გულის სწორი ჰყავს. ეს გახლავთ სამოდელო ბიზნესის წარმომადგენელი, 25 წლის ბელგიელი ლუკ ოპდელოხტი, რომელიც საცვლების დემონსტრირებას მისდევს. წყვილი პაპარაცებმა ანტვერპენში ცოტა ხნის წინ შენიშნეს. ლუკი წაბლისფერთმიანი, ცისფერთვალება, მაღალი მამაკაცია. ■

# „ხატიფი, ინტელიგენტი და ამოფცხობი ქალი“

## ანეტ ბენინგი

### ბედნიერი შემოქმედი და ყიდევ უფრო ბედნიერი დედა

**„რაც თავი მახსოვს, მსახიობობაზე ვოცნებობდი, თამაშს დებიუტის პირველსავე წამებიდან ვაღმერთებ და ჩემს პროფესიაზე დღემდე შეყვარებული ვარ“.**

ანეტ ბენინგი 1958 წლის 29 მაისს კანზასის შტატის მიყრუებულ ქალაქ ტოპეკაში დაიბადა. გოგონა 7 წლის იყო, როდესაც ოჯახი საცხოვრებლად სან-დიეგოში გადავიდა. მისი მშობლები დღესაც იქ ცხოვრობენ. ანეტის დედა საეკლესიო გუნდის მგალობელი იყო, მამა – სადაზღვევო აგენტი. ანეტის გარდა ოჯახში კიდევ ორი ბავშვი იზრდებოდა. გულღია, მეგობრული, მაგრამ ამავე დროს ძალზე მორცხვი გოგონა პატარაობიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდა. „რაც თავი მახსოვს, მსახიობობაზე ვოცნებობდი. თამაშს დებიუტის პირველსავე წამებიდან ვაღმერთებ და ჩემს პროფესიაზე დღემდე შეყვარებული ვარ“, – ამბობს ანეტ ბენინგი, რომელმაც თეატრალური განათლების მიღება სან-დიეგოს მესას კოლეჯში დაიწყო და სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტში დაასრულა. სტაჟირებას სან-ფრანცისკოს თეატრში გადიოდა და სწავლის დამთავრების შემდეგ, ამავე თეატრის დასში ჩაირიცხა. ანეტმა მაყურებლისა და კრიტიკოსების მოწონება თავიდანვე დაიმსახურა და სულ მალე, 1986 წელს საუკეთესო დებიუტანტად დასახელდა. 1987 წელს კი სპექტაკლში „სანანპირო ტალღები“ ნათამაშები როლისათვის ახალგაზრდა მსახიობი ამერიკის უმაღლესი თეატრალური პრემიის – „ტონის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

ანეტ ბენინგი ეკრანზე პირველად 1988 წელს გამოჩნდა. მისი დებიუტი ფილმში „დიადი სივრცე“, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, რადგან სრულიად უმნიშვნელო როლი სამსახიობო ოსტატობის გამოვლენის საშუალებას არ იძლეოდა. მსახიობის გარეგნული მონაცემები კი საშუალოდ შეფასდა. მაგრამ მომდევნო სურათში ანეტი შეამჩნიეს და ერთი წლის შემდეგ, მან მილოშ ფორმანის მიწვევა მიიღო. ანეტ ბენინგი დიდ რისკზე მიდიოდა, როდესაც შოდერლო დე ლაკლოს რომანის – „სახიფათო კავშირები“ მიხედვით გადაღებულ სურათში „ვალმონი“ მონაწილეობას დათანხმდა, რადგან „ვალმონთან“ ერთად ეკრანებზე სტივენ ფრირზის ფილმი „სახიფათო კავშირები“ გამოვიდა, სადაც გლენ კლოუზმა მაღალი საზოგადოების ინტრიგანი ქალის მარკიზა დე მერტეის შთამბეჭდავი სახე შექმნა, რომელიც დაკარგული ახალგაზრდობის გამო მთელ სამყაროზე შურისძიებას ლამობს.

მილოშ ფორმანმა და ანეტ ბენინგმა ფილმის გადაწყვეტის სრულიად განსხვავებული გზა აირჩიეს. მათი გმირი ქალთა იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც ძველ დროში „გრძნეულებს“ უწოდებდნენ. მახვილგონიერი, კეთილმოსურნე, მუდამ მოღიმარი ქალი ყველასთან ფლირტს აბამს, გარშემო ყველას მოხიბვლას ცდილობს და თავქარიან ვალმონსაც სინდისის ქენჯნის გარეშე, მომხიბვლელი ღიმილით აუღელვებლად იმეტებს დასაღუპავად. ფილმს საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონდა და კრიტიკის კეთილგანწყობაც დაიმსახურა, მაგრამ ფრირზის ვერსიასთან კონკურენციაში მაინც დამარცხდა.

გლენ კლოუზისა და ანეტ ბენინგის მიერ შექმნილი ინტელექტუალური ინტრიგანების ორი პორტრეტის შედარებისას სტივენ ფრირზი ბენინგით დაინტერესდა და მას ფილმში „გრიფტერები“ როლი შესთავაზა. ამ როლმა ანეტს „ოსკარის“ პირველი ნომინაცია მოუტანა.

ანეტ ბენინგის ნიჭმა ჰოლივუდის საყოველთაოდ ცნობილი გულთამპყრობელი უორენ ბიტი მოხიბლა, რომელმაც 1991 წელს ანეტი თავის ახალ ფილმში „ბაგსი“ მიიწვია. მათი შეხვედრა გადაღებებზე შედგა. ამ შეხვედრას ბიტი ასე იხსენებს: „30 წამი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ანეტი შემყვარებოდა. დღესაც არ ვიცი, რითი გამოირჩევა ის სხვა ქალებისაგან, მაგრამ მუდამ ვგრძნობ, რომ ის სრულიად განსაკუთრებულია“.

მომდევნო ფილმში – „რაც შეეხება ჰენრის“ – ანეტის პარტნიორი ჰარისონ ფორდი იყო. მაკარტიზმის ეპოქაზე შექმნილ სურათში – „ეჭვმიტანილი დამნაშავე“ ბენინგი რობერტ დე ნიროს უწევდა პარტნიორობას.

1992 წელს ანეტი და უორენ ბიტი დაქორწინდნენ. ჰოლივუდელი ჭორიკანების აზრით, მათი ქორწინება სულ მალე კრახით დამთავრდებოდა და ცნობილი პლეიბოი და მექალთანე ბიტი სხვა ქალებს მიაშურებდა. თითქოსდა ამგვარი პესიმისტური პროგნოზების გასაქარწყლებლად, ანეტს იმავე წელს გოგონა შეეძინა, რომელსაც ბედნიერმა მშობლებმა კეტლინი დაარქვეს. ამ პერიოდში ანეტ ბენინგმა რამდენიმე ძალზე საინტერესო პერსპექტიული შეთავაზება მიიღო, მაგრამ მან უარი განაცხადა და ეკრანულ როლებს არანაკლებ მნიშვნელოვანი, დედისა და მეუღლის როლი ამჯობინა.

1994 წელს ანეტი ნებაყოფლობითი შინაპატიმრობისაგან გათავისუფლდა და

ქმართან ერთად 1957 წელს გადაღებული ცნობილი სურათის – „სასიყვარულო რომანი“ რიმეიკში ითამაშა. მსახიობი დიდ ეკრანს ახალი როლებით დაუბრუნდა: 1994 წელს ფილმში „რიჩარდ III“ დედოფალი ელისაბედი განასახიერა; რასაც რობ რაინერის სურათში „ამერიკელი პრეზიდენტი“ განსახიერებული რომანტიკული გმირის სახე მოჰყვა. 1996 წელს ანეტმა ტიმ ბარტონის ფანტასტიკურ კომედიაში „მარსი უტევს“ კომიკური გმირის საინტერესო სახე შექმნა. კომერციულად წამგებიან სურათში მსახიობთა მთელი თანავარსკვლავედი: გლენ კლოუზი, ჯეკ ნიკოლსონი, პირს ბროსნანი, დენი დე ვიტო, მაიკლ ჯ. ფოქსი და ტომ ჯონსონი მონაწილეობდნენ, მაგრამ ანეტ ბენინგმა მაინც შეძლო, რომ ვარსკვლავებს შორის არ დაკარგულიყო და უცხოპლანეტელთა ფანატის დასამახსოვრებელი სახე შეექმნა, რომელიც ბედის ირონიით მათი პირველი მსხვერპლი ხდება. ამ სურათს ანეტის კინოკარიერაში კიდევ ერთი, ამჯერად ხანმოკლე პაუზა მოჰყვა – მას მეორე გოგონა შეეძინა. 1998 წელს ანეტი ეკრანზე ფილმში „ჩასაფრება“ განსახიერებული არაბისტიექსპერტის, ელიზა კრაფტის როლით დაბრუნდა. კრიტიკოსთა აზრით, ედვარდ ცვიკის ამ წარუმატებელი სურათის ნახვა მხოლოდ ანეტ ბენინგის დრამატული თამაშის გამო თუ ღირდა.

მსახიობის კინოკარიერის ზენიტად 1990 წელს გადაღებული სურათი – „ამერიკული სილამაზე“ იქცა. სურათი „ოსკარების“ ფავორიტი გახდა და 5 „ოსკარი“ მოიპოვა. წლის საუკეთესო ფილმად აღიარებულ სურათში ანეტმა კეროლაინ ბერნჰემის შთამბეჭდავი სახე შექმნა. მისი გმირი 90-იანი წლების ტიპური საქმიანი ამერიკელი ქალია, რომელსაც ერთი შეხედვით არაფერი აკლია. მას ყველაფერი აქვს: სახლი, ოჯახი, სამსახური და ქონება, ჰყავს საყვარელი, მაგრამ წარმატების გარეგნული ნიშნების მიღმა გულქვაობა, ზნეობრივი და სულიერი სიცარიელე და შინაგანი მარტოობა იმალება. კეროლაინს 4.000 დოლარად ღირებული დივანი ქმარსა და ქალიშვილს ურჩევნია და უაზრო აკვიატება, რომ ცხოვრებაში არავინ დაჩაგროს, გმირს იმდენად აგრესიულს ხდის, რომ ის მკვლელობაზეც კი მიდის. ანეტს „ოსკარი“ თითქმის გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს მას ჰილარი სუონკმა ავჯობა. სამაგიეროდ, ბრიტანული კინოაკადემიის გადაცემის ცერემონიაზე ანეტს ტრიუმფი ელოდა, მაგრამ იმ დროისათვის მსახიობი მესამე შვილს ელოდა და დაჯილდოებას ვერ დაესწრო. ანეტის მაგივრად პრიზი მის პარტნიორს მინა უვარის გადასცეს.

2000 წელს ეკრანებზე გამოვიდა სურათი „რომელი პლანეტიდან ხარ?“ – სადაც სანიმუშო დედამ 40 წლის დედამიწელი ქალის როლი განასახიერა, რომელიც უცხოპლანეტელი არსებისგან ორსულდება. 2003 წელს ანეტმა კიდევ ერთი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კევინ კოსტნერის ვესტერნში „ღია სივრცე“ ითამაშა. ფილმების – „სასწაული“, „მისის ჰარისი“, „ჩემს კანქვეშ“ და „ბრძოლა მაკრატლით“ შემდეგ ანეტ ბენინგმა „ოსკარის“ მოპოვების კიდევ ერთი, რიგით მესამე შანსი მიიღო სომერსეტ მოემის რომანის – „წვიმა“ – მიხედვით გადაღებულ სურათში – „იყო ჯულია“. მსახიობი ჯულია ლამბერტის როლისათვის 2005 წლის „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მაგრამ სანუკვარი ჯილდო ამჯერადაც ჰილარი სუონკს ერგო. ■

# ემინემის მანდა

მსოფლიოს ყველაზე სახელოვანმა რეპერმა ემინემმა, როგორც იქნა, ჟურნალისტებს თავის საზაფხულო გეგმები გაუმხილა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოხულიგნო მულტიმილიონერი საგასტროლოდ დეტროიტში გაემგზავრება. გასტროლებზე, რომლის დასახელებაა Anger Manegement 3, ცნობილი რეპერის დროშის ქვეშ მისი მეგობრები: D 12, Lil Jon & the East Side Boyz, G-Unit, Obie Trice, Stat Quo და რაღა თქმა უნდა, 50 Cent შეიკრიბებიან. ტურნე 24 კონცერტისაგან შედგება. პირველი შოუ 7 ივლისს, ინდიანის შტატის ქალაქ ნობლსვილში გაიმართება, ბოლო კონცერტები კი 12 და 13 აგვისტოს, დეტროიტში ჩატარდება. შოუს საუკეთესო ეპიზოდებს ემინემის რადიოსადგური Shade 45

გადასცემს. „ტურნეში გასამგზავრებლად შესაფერ მომენტს ველოდი და აი, ეს დროც დადგა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა, საუკეთესო მუსიკოსთა გუნდის შექმნა იყო. ამიტომ ყველაფერი შესანიშნავად გამოვიდა“, – განაცხადა ემინემმა.

50 Cent-მა კი თქვა, რომ Anger Management 3 სეზონის ყველაზე „ცხელი“ მოვლენა იქნება და მსმენელებს მოუწოდა, რომ სამსახურში უფროსებს დროულად დაეთხოვონ: „წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგასწრებენ და უბილეთოდ დარჩებით. ბოლოს და ბოლოს, შოუზე მოსახვედრად სამსახურისთვის თავის დანებებაც შეიძლება“, – დასძინა მან. Anger Management-ის პირველი, 3 წლის წინანდელი ტურნეს ამსახველი საკონცერტო DVD სავაჭრო ქსელში ასევე ზაფხულში გამოვა.

■

## შონ კონერი ჯეიმს ბონდს უმრუნდება



შონ კონერი ბრიტანული დაზვერვის იმპოზანტური აგენტის როლს უბრუნდება. იგი კომპანია Electronic Arts-ის მიერ „ბონდიანის“ ერთ-ერთი სერიის – „რუსეთიდან სიყვარულით“ – მიხედვით შექმნილ ვიდეოთამაშს გაახმოვანებს. თამაშის მთავარ გმირს ახალგაზრდა კონერის სახე აქვს: სწორედ ასეთი იხილა მაყურებელმა შონ კონერი 1963 წელს გადაღებულ ფილმში. ბონდის გარდა, ვიდეოთამაშში გაჩნდა: ექსცენტრიკული გამომგონებელი Q, დესმონდ ლეველინის სახით, ბონდის გოგონა ტატიანა რომანოვა (დანიელა ბიანკი), შეუცვლელი მის მანიპენი (ლოის მაქსველი) და ფილმის სხვა გმირები. „ვხედავ, რომ ეს შემოქმედებითი პოტენციალის დემონსტრირების შესანიშნავი საშუალებაა. დღეს ვიდეოთამაშებმა პოპულარობის პიკს მიაღწია. შედეგს მოუთმენლად ველი“, – ამბობს შონ კონერი ახალი პროექტის შესახებ. თამაში Playstation 2, Xbox და CameCube-ის ვიდეომაგნიტოფონებისთვისაა განკუთვნილი. ვიდეოთამაშის რელიზი 2005 წლის შემოდგომაზე შედგება... თამაშის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს „ბონდიანის“ სამყაროში შესვლის საუკეთესო საშუალებაა, მით უმეტეს, რომ ფილმის ახალი სერიის – „კაზინო როიალი“ – ეკრანებზე გამოსვლას საშველი არ დაადგა. როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ 2006 წელს მოხდება. ■

## 50 Cent ქალის ქვედა საცვლის ექსპერტი

პოპულარული რეპერი თავის მრავალმხრივ ნიჭს კიდევ ერთ სფეროში გამოიყენებს. მან კოლეგასთან ერთად 50 Cent-ის მარკით, ქალის ქვედა საცვლების კოლექციის გამოშვება დაისახა მიზნად. შეგახსენებთ, რომ მუსიკისა და კინემატოგრაფის გარდა, ცნობილი რეპერი ვიტამინიზებულ სასმელს, პორნოფილმებსა და ტანსაცმლის საკუთარ ხაზსაც უშვებს. ქალის ქვედა საცვლების ხაზიც სწორედ ამ სერიით გამოვა. „პირადად მე, მუდამ G-Unit-ის სტილის ტანსაცმელს ვატარებ და უკვე 2006 წლის კოლექციის ნიმუშებიც მაქვს. უნდა გითხრათ, რომ ამ სამოსის ხილვით ხალხი გაოცებული დარჩება“, – განაცხადა ჯგუფის ვოკალისტმა ოლივიამ. მისი თქმით, მოდელების შესაქმნელად საუკეთესო დიზაინერები მიიწვიეს, მაგრამ 50 Cent-ის ვიზის გარეშე არც ერთი ნიმუში არ გამოვა. ■

## კამერონ დიასი სხეულის ზოგიერთი ნაწილის შეცვლაზე ოცნებობს

კამერონ დიასმა აღიარა, რომ მცირე ზომების გამო, ბავშვობიდან არ მოსწონს საკუთარი... უკანალი. როგორც გაირკვა, ისედაც საკმაოდ სექსუალური ლამაზმანის ოცნება, დუნდულების გადიდება ყოფილა. ერთ-ერთ ინტერვიუში ვარსკვლავმა მოულოდნელად ეს ამბავი გაამხილა – თურმე ბავშვობაში ფუმფულა ფორმებსა და სიმსუქნეს ნატრობდა. დიასის განცხადება საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა, რადგან დღეს ძნელად თუ მოიძებნება ქალი, რომელიც გახდომაზე არ ოცნებობს. კამერონმა კორესპონდენტს ისიც მოუთხრო, თუ რა ზომებს მიმართავდა მიზნის მისაღწევად: ის თურმე წლების განმავლობაში, მხოლოდ მაღალკალორიულ საკვებს მიირთმევდა, მაგრამ უამრავმა ტკბილეულმა, ცომეულმა და შემწვარ-მოხრაკულმა საკვებმა შედეგი არ გამოიღო, კამერონის ფიგურა არა და არ იცვლებოდა. 32 წლის ასაკში მსახიობმა გასუქების ამაო მცდელობაზე ხელი აიღო და ბედს შეეგუა... ის განსაკუთრებით განიცდის იმ ამბავს, რომ მისმა სხეულმა უწინდელი სინორჩე დაკარგა. „ეს მით უფრო მტკივნეულია მაშინ, როდესაც შენი ბოიფრენდი პლანეტის სექსიმბოლო, 23 წლის ჯასტინ ტიმბერლეიკია,“ – აღიარა დიასმა. ■

## ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ერთმანეთს ხვდებიან

საადგომო არდადეგები ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ ერთად გაატარეს. დასავლური ტაბლოიდების ცნობით, სასტუმროში წყვილმა რეგისტრაცია ცოლ-ქმრის – ჯასმინ და ბრაის პილაფების – სახელით გაიარა. როგორც ბრიტანული გამოცემა – The Sun იტყობინება, ბრედი და ანჯელინა ახლა კალიფორნიის ქალაქ პალმ-სპრინგსში იმყოფებიან, სადაც მალე ახალი ფილმის გადაღებები დაიწყება. წყვილმა უიკ-ენდი სასტუმრო Le Parker Meridien-ის მდიდრულ ნომერში გაატარა, რომლის მომსახურე პერსონალი იტყობინება, რომ პიტი და ანჯელინა მთელ დღეებს აუზთან ატარებენ, მზის აბაზანებს იღებენ და ბედნიერი წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სარეკლამო ტრიუკია და ისინი მხოლოდ კარგი მეგობრები არიან. თავად ვარსკვლავები ამ თემაზე კომენტარებისაგან თავს იკავებენ. როგორც ამბობენ, ბრედ პიტისა და მისი ყოფილი მეუღლის, ჯენიფერ ენისტონის ოჯახის დანგრევის მიზეზი ანჯელინა ჯოლი გახლდათ, რომელიც ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. „ბრედი ცოლიანი კაცია, მე კი სხვის ქმრებთან არ ვწვები. საყვარლები ისედაც არ მაკლია,“ – განუცხადა მსახიობმა ცოტა ხნის წინ ჟურნალ OK-ის კორესპონდენტს. უკანასკნელ ხანებამდე ბრედი და ჯოლი ერთმანეთს თავს არიდებდნენ. პიტისა და ენისტონის განქორწინების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ცნობილი გახდა, რომ პიტმა ყოფილ მეუღლეს ჰოლივუდში მდებარე 14-მილიონიანი სახლის გასაღები გადასცა. ადრე ის ამ სახლის გაყიდვას აპირებდა, მაგრამ ენისტონმა განქორწინების შემდგომ, სწორედ იქ ცხოვრება მოისურვა.

პიტი და ჯოლი დღეს ჰოლივუდის ყველაზე სექსუალურ ვარსკლავებად ითვლებიან: ბრიტანული ჟურნალის – Company-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ბრედ პიტი პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცების სიის სათავეშია. ანჯელინა ჯოლი კი, სექსიმბოლოდ ჟურნალმა FHM-მა დაასახელა. ■

# ქალების, მანქანებისა და სჯანდალების მოყვარული




# ფლავიო ბრიატორე

**ერთნი მას იცნობენ, როგორც „ფორმულა-1“-ის სარბოლო გუნდ „რენოს“ ბოსს, მეორენი — როგორც კუნძულ სარდინიაზე მდებარე კლუბ „მილიარდერის“ მფლობელს, მესამენი კი, როგორც ნაომი კემპბელის და კიდევ ერთი სუპერმოდელი — ჰაიდი კლუმის არშემდგარ ქმარს. უკვე კარგა ხანია, რაც ფლავიო ბრიატორე თანამედროვე შოუბიზნესის სამყაროში ლეგენდარულ პიროვნებად იქცა. მასზე გამუდმებით წერენ პრესაში, ფოტოგრაფები სულ თან დაჰყვებიან და მოსვენებას არ აძლევენ, მინიმუმ წელიწადში ერთხელ კი, როგორც წესი, ის მორიგ ხმაურიან სკანდალში ეხვევა. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თავად 55 წლის ფლავიო მიიჩნევს, რომ ამ ცხოვრებაში მას ჯერ კიდევ არ მიულწევია იმ ყველაფრისთვის, რაც სურს.**

## კავშირების როლი თანამედროვე ბიზნესში

როცა ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ, ერთ არცთუ ისე შეძლებულ იტალიურ ოჯახში მასწავლებელ წყვილს ვაჟიშვილი ფლავიო შეეძინა, ვერავინ იფიქრებდა, რომ დროთა განმავლობაში ეს ყმაწვილი საქვეყნოდ ცნობილი და დიდი ქონების პატრონი გახდებოდა. 17 წლის ფლავიო მშობლიური იტალიის ერთ-ერთ სამთო-სახთილამურო კურორტზე ინსტრუქტორად მუშაობდა. 24 წლის ასაკში სტაჟიორი გახდა და პრეტენზიას აცხადებდა მილანის საფონდო ბირჟის მაკლერის თანამდებობაზე. სწორედ აქ გაუღიმა ბედმა ფლავიოს და მისი მომავალი ცხოვრება თვალის დახამხამებაში შეიცვალა. არა, ეს სასურველი თანამდებობის მიღებაში როდი გამოიხატებოდა, უბრალოდ, ფორტუნის წყალობით, მან მოდური ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმის მეპატრონე — ლუჩანო ბენეტონი გაიცნო. ამ ნაცნობობის მეორე წელს ბრიატორე უკვე „ბენეტონის“ საფირმო ნიშნისათვის ახალი ბაზრის დასაპყრობად ჰონკონგში გაემგზავრა. ფლავიომ აზიაში 5 წელი იმუშავა, შემდეგ კი საკუთარი წარმატებული მოღვაწეობის გასაგრძელებლად ის აშშ-ში მიავლინეს. 1988 წლისათვის ჩრდილოეთ ამერიკაში უკვე „ბენეტონის“ 800 საფირმო მაღაზია გახლდათ გახსნილი და ყოველი წარმატებული გარიგებიდან იტალიელი სოლიდურ პროცენტსაც იღებდა. სწორედ ამ პერიოდში, ლუჩანო ბენეტონმა „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი გუნდი შეიძინა და როცა მიხვდა, რომ მისი ახალშეძენილი „სათამაშოს“ სამარკეტინგო განყოფილება სასწრაფოდ რეანიმაციას საჭიროებდა, დასახმარებლად ფლავიო ბრიატორეს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ფლავიოს თქმით, მას იმ პერიოდში რბოლებისა საერთოდ არაფერი გაეგებოდა, თანამდებობაზე დანიშვნაზე, ბუნებრივია, უარი არ უთქვამს. აი, ასე ამოყო თავი ტანსაცმლით წარმატებულად მოვაჭრემ სამეფო სპორტის სამყაროში და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანამედროვე ბიზნესში გადამწყვეტ როლს კავშირები თამაშობს.

## ახალი ცოცხი

ახალ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებისთანავე, ბრიატორე სარბოლო გუნდის სამუშაო პრინციპებში საკმაოდ სწრაფად გაერკვა: „მივხვდი, რომ როცა საქმე მენეჯმენტს შეეხება, „ფორმულა-1“-სა და ვთქვათ, ნიუ-იორკის რომელიმე ფირმას შორის არანაირი სხვაობა არ არის. მთავარია, ანგარიში არ გაუწიო ვიღაც-ვიღაცების ამბიციებს, შეიმუშავო პროგრამა და განუხრელად განახორციელო ის“. საკუთარი პროგრამის თანახმად, ბრიატორემ გუნდში მომუშავეთა ნახევარზე მეტი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. ეს გადაწყვეტილება კი „დამარცხებულის ფსიქოლოგიასთან“ ბრძოლით ახსნა. ის სამსახურიდან ითხოვს ნებისმიერს, ვინც ერთხელ მაინც დაუშვებს შეცდომას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის შეცვლა შეუძლებელია, თანაც, ის საკუთარ თავს არ მიაკუთვნებს იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც მეორე შანსს იძლევიან. ყველასათვის მოულოდნელად, იტალიელი დებიუტანტის მიერ განახლებული გუნდი აღორძინების გზას დაადგა. ხოლო როცა მიხაელ შუმახერმა (სხვათა შორის, შუმახერი Jordan-იდან Benetton-ში სწორედ ბრიატორეს მიერ დაქირავებული იურისტების გასაოცარი მანიპულაციების წყალობით აღმოჩნდა) გუნდს კონსტრუქტორთა თასი და ზედიზედ ორჯერ ჩემპიონის ტიტული მოუპოვა, იტალიელი დებიუტანტის დაცინვას ყველამ თავი დაანება. იმათაც კი, ვინც კეპის შებრუნებულად ტარების მანერის გამო ზურგს უკან ჩუმ-ჩუმად დასცინოდა ფლავიოს. მოკლედ, იმ დღიდან მოყოლებული, ბრიატორეს აზრს ყველა ანგარიშს უწევს. მან ხომ ზედმიწევნით კარგად იცის, თუ რა როგორ უნდა გააკეთოს.

*„ჰაიდი, ჩემი ოცნების ქალია“ (ჰაიდი კლუმთან ერთად)*

ნაომი კემპბელი თავის 145-ე საყვარელთან ერთად

## მაღალი მოდის გოგონებთან დაკავშირებული ამაღლებული გრძნობები

რა თქმა უნდა, „ფორმულა-1“-ის სამყარო მას ბევრ დროს ართმევს, მაგრამ იმის თქმა, რომ ფლავიო ბრიატორე მხოლოდ სამეფო სპორტის სახეობითაა დაკავებული, ნამდვილად არ შეიძლება. ერთ-ერთი წამყვანი სარბოლო გუნდის ბოსი გულწრფელად აღიარებს, რომ იმ დროსაც კი, როცა შესაძლოა, ტრიბუნებზე დაძაბულობა კულმინაციას აღწევდეს, ის არასოდეს ოცნებობს პილოტებზე, ის მხოლოდ ქალებზე ოცნებობს და ეს ჭეშმარიტად ასეა.

რამდენიმე წლის წინ, მისი რომანი ნაომი კემპბელთან აქტიურად განიხილებოდა ყვითელი პრესის ფურცლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ფლავიო – ცნობილი ტოპმოდელის 145-ე საყვარელი იყო, ყველას სჯეროდა, რომ მათი კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი აღმოჩნდებოდა. თავად ნაომი ირწმუნებოდა, რომ ბრიატორეს ერთგული იქნებოდა და ბოლოს და ბოლოს, დაწყნარდებოდა; გასაოცარი ტემპერამენტით ცნობილი ქალბატონი ქორწინებაზეც ალაპარაკდა. ფლავიო საკუთარ თავს „ამქვეყნად ყველაზე ბედნიერ მამაკაცს“ უწოდებდა. მიუხედავად წყვილის ხმამაღალი განცხადებებისა, ვერავინ იტყვის, რომ მათ რომანს სიმძაფრე აკლდა – ხშირად იყო სკანდალი, ჩხუბი, ზოგჯერ საქმე ხელით შეხებამდეც კი მიდიოდა. სამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ისინი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ამბობენ, რომ განხეთქილების მიზეზი ნაომის ორგულობა გახდა. როცა ბრიატორემ ნაომის „ფორმულა-1“-ის პილოტთან – პედრო დინცთან (თანაც ფლავიო პედროს მენეჯერი გახლდათ) შეხვედრების შესახებ შეიტყო, საშინლად განრისხდა და კემპბელი გვარიანად მიჟეჟა. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ტოპმოდელის ადვოკატებმა ფლავიოს ნაომის დალილავებული სახის საკომპენსაციოდ 4,5 მლნ დოლარის გადახდა მოსთხოვეს. იმასაც ამბობდნენ: მის კემპბელი ძალზე დამწუხრებული გახლდათ იმის გამო, ყოფილი საქმროს ინიციალებიანი სვირინგის იძულებით მოშორება რომ მოუხდაო.

მოკლე ხანში, ნაომის ადგილი მაღალი საზოგადოების წარმომადგენელმა სხვა ლამაზმანმა – 24 წლის ვიქტორია ჰერვიმ დაიკავა, რომელსაც იმ დროისათვის უკვე მოესწრო რამდენიმე ბოიფრენდის გამოცვლა (მათ შორის იყვნენ: მილიონერი სებ ბიშოფი, მრბოლელი დევიდ კულტჰარდი და ჯგუფ Boyzone-ის ყოფილ წევრი – შეინ ლინჩი).

ვიქტორია სპეციალურად ჩაფრინდა იმხანად, კენიის სანაპიროზე მყოფ ბრიატორესთან, რათა მასთან ერთად გაეტარებინა დამდეგი ახალი წლის დღესასწაული. ამ საახალწლო არდადეგების გამო, მეგობრებს – ვიქტორიასა და ნაომის – საკმაოდ გაუფუჭდათ ურთიერთობა. მის კემპბელმა საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილ წვეულებაზე არც კი დაპატიჟა ჰერვი და როგორც ამბობენ, შეუთვალა კიდეც, რომ ამიერიდან მისგან შორს დაეჭირა თავი.

ერთხელ ფლავიო, გოგი ბერკალიევას (ერთ-ერთი ყაზახი პოლიტიკოსის ქალიშვილი) გვერდით შენიშნეს. ბერკალიევა ლონდონში ცხოვრობდა, TV-ში მუშაობდა და რაც მთავარია, არასოდეს აკლდებოდა მაღალი საზოგადოების თავყრილობებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როცა პაპარაცებმა ფამილიარულად მობაასე ფლავიო და ბერკალიევა შენიშნეს, ეს უკანასკნელი ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევის ქალიშვილად მიიჩნიეს და ასეც დაწერეს პრესაში. მართალია, მოგვიანებით ბერკალიევამ და ბრიატორემ ეს ფაქტი საჯაროდ უარყვეს, მაგრამ „ეგზოტიკური“ ქვეყნების მაღალ პოლიტიკურ წრეებში ფლავიოს ტრიალის თემა ძალზე ხელსაყრელი და მიმზიდველი აღმოჩნდა ჟურნალისტებისათვის და ამ ფაქტს კარგა ხნის მანძილზე აქტიურად განიხილავდნენ პრესაში.

ბოლო ორიოდე წელი ფლავიო კიდევ ერთ სუპერმოდელს – ჰაიდი კლუმს ხვდებოდა, რომელთანაც ძალზე სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა. ბრიატორე ამბობდა, რომ მის ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა დადგა: „ჰაიდი, ჩემი ოცნების ქალია. ჩვენ შესანიშნავი დამოკიდებულება გვაქვს და ვგრძნობ, რომ მასთან ყველაფერი შესაძლებელია: ქორწინება, ოჯახი, შვილები. მასთან ოჯახის შექმნაზე ფიქრი, ჩემში ძალზე სასიამოვნო ემოციებს აღძრავს“. თავად კლუმი კი ჟურნალისტების შეკითხვაზე – მაინც რა განსაკუთრებული თვისებები აღმოაჩინა მან 53 წლის ბრიატორეში? – პასუხობდა, რომ ეს მისი ქარიზმა და ქცევის შეუდარებელი მანერა გახლდათ. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოკლე ხანში წყვილი დაქორწინდებოდა, მაგრამ იყვნენ გამონაკლისებიც, რომლებიც იხსენებდნენ ერთ ინციდენტს მათი ურთიერთობიდან. საქმე ეხებოდა ბრილიანტებით შემკულ ბიუსტჰალტერს, რომელიც ჰაიდიმ „შემთხვევით“ გახია. იმ სამოდელო სახლის დიზაინერებმა, საიდანაც ქალის ტუალეტის ეს საგანი არენდით იყო გამოტანილი, კლუმს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს და 1,5-მილიონიანი ჩეკი წარუდგინეს. ჰაიდის ფლავიოს დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ მილიონერმა პირში მიახალა: თუკი ბრილიანტებით მოოჭვილი ბიუსტჰალტერის რეკლამირებას მოჰკიდე ხელი, კეთილი უნდა გენება და სიფრთხილე გამოგეჩინაო! ამაზე კლუმი გაბრაზდა და Renault-ის ბოსს დაემუქრა: თუკი ამ ჩეკის განაღდებაზე უარს იტყვი, შენს ახალგაზრდა მრბოლელს – ფერნანდო ალონსოს, რომელსაც გუნდში ყველა ფავორიტად მიიჩნევს და რომლის გამარჯვების დიდი იმედი გაქვთ, თავბრუს დავახვევო. საბოლოოდ, კონფლიქტი მოგვარდა, მაგრამ ერთი რამ უდავოა – სიყვარული ბრიატორესთვის ყოველთვის სკანდალთან, ჩხუბთან და კამათთან ასოცირდება.

მოგვიანებით, ჰაიდი დაორსულდა და იტალიელისგან ბავშვს ელოდა; უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ საქმე სულ მალე ქორწილამდე მივიდოდა, მაგრამ მათ შორის სერიოზული უთანხმოება მოხდა

ბრიატორეს ჩვეულებრივი არდადეგები (2000)

და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. შარშან გაზაფხულზე, კლუმს ქალიშვილი ლენი შეეძინა, ახლა პატარა გოგონა 11 თვისაა, დედამისს კი უკვე ახალი საქმრო – ცნობილი მუსიკოსი სილი – ჰყავს და როგორც ამბობენ, კვლავ ორსულადაა. ჰაიდიმ და სილმა ბევრლი ჰილზზე 4,3 მლნ დოლარად ახალი სახლი შეიძინეს და სულ მალე დაქორწინებას აპირებენ.

## სარდინიაზე ელიტა სუფევს

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იტალიელმა მილიონერმა თავის საყვარელ კუნძულ სარდინიაზე მოდური კურორტის მოწყობა გადაწყვიტა. მან მიზნად დაისახა კუნძულის ზურმუხტოვანი სანაპიროს მაღალ დონეზე კეთილმოწყობა, რათა მას კონკურენცია გაეწია საფრანგეთის რივიერასთვის (ლაჟვარდოვანი ნაპირი). 1998 წლის ივლისში ბრიატორემ კუნძულზე დისკოთეკა Billionaire („მილიარდერი“) გახსნა, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში იტალიის (და ევროპის, როგორც თავად ფლავიო ირწმუნება) ყველაზე პოპულარულ გასართობ ადგილად გადაიქცა. ეს კლუბი, სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში იღებს სტუმრებს, სამაგიეროდ, მაგიდების დაჯავშნა რამდენიმე თვით ადრე ხდება. ყოველწლიურად, ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში „მილიარდერში“ უამრავი ცნობილი ადამიანი და ვარსკვლავი იყრის თავს, ამის გამო ხშირად სკანდალური სიტუაციაც იქმნება. ერთხელ ფლავიო ბრიატორემ მასპინძლის უფლება გამოიყენა და არაეთიკური საქციელისათვის ლიბიელი დიქტატორის ვაჟიშვილი საადი კადაფი გააძევა. ინციდენტი საადის მხრიდან კლუბის ავტოსადგომზე მანქანის ურიგოდ დაყენების მცდელობას მოჰყვა. როცა კადაფი მიხვდა, რომ მის სურვილსა და მოთხოვნას ანგარიშს არავინ უწევდა, სკანდალი მოაწყო და განურჩევლად ყველას შეურაცხყოფას აყენებდა.

გამოცდილი ბრიატორეს აზრით, დღესდღეობით, სარდინიის უმთავრეს პრობლემას ავიარეისების ნაკლებობა წარმოადგენს. მაგრამ როგორც ჩანს, ფლავიოსთვის გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს: ის ქმნის ახალ ავიახაზს, რომელსაც Billion Air (სახელწოდება დისკოთეკა Billionaire-ის სახელის სიტყვათა გადათამაშებას წარმოადგენს) ერქმევა. ამ ავიახაზის თვითმფრინავების ბორტზე ექსკლუზიური მომსახურება იქნება: 50-60 ადგილია გათვალისწინებული და ისიც მხოლოდ პირველი კლასის; მგზავრებს სარდინიის სამზარეულოს ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდებიან, სატელევიზიო გადაცემებსაც შესთავაზებენ (თვითმფრინავის აფრენის წინ DVD-ზე ჩაიწერენ ახალი ამბების გამოშვებას, რომლის ტრანსლაციაც მგზავრობისას მოხდება) და ყოველივე ეს საოცრად მდიდრულად მოწყობილ გარემოში მოხდება. ბრიატორეს, როგორც ბიზნესმენს, შესანიშნავად ესმის, რომ მსოფლიოში მრავლადაა ისეთი ადამიანი, რომელიც მზად გახლავთ, საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადოს მაღალხარისხოვანი მომსახურებისთვის. მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე საავიაციო ბაზარი კრიზისს განიცდის – ასე რომ, ამ სფეროში ფულის დაბანდება მომგებიანი აღმოჩნდება.




*„რენოს“ ბოლიდის პრეზენტაციაზე (ფერნანდო ალონსოსთან, ტესტ-პილოტ — ფრენკ მანტანისთან, არნო ტრულისთან და „რენოს“ გუნდის პრეზიდენტ — პატრიკ ფორმთან ერთად)*

## კენიის სანაპიროზე

„ფორმულა-1“-ის გუნდის ბოსს კენიაში დასვენება განსაკუთრებულად ხიბლავს. მას იქ საკუთარი სახლი და მამულიც აქვს. ვილას, რომელსაც ფლავიო ყოველ ზამთარს სტუმრობს, Lion in the Sun („ლომი მზეზე“) ეწოდება. ბრიატორე, როგორც წესი, იქ Renault-ის გუნდის წევრებთან ერთად მიეგზავრება, რომელსაც 2004 წელს წარმოადგენდნენ: პილოტები – ფერნანდო ალონსო, იარნო ტრული და ფრანკო მონტანი და მათი ფიზიოთერაპევტები – ედუარდო და ფაბრიციო. კენიაში გამგზავრების მიზანი მომავალი სეზონისთვის გუნდის ფიზიკური და მორალური მომზადებაა. პილოტები თავიანთი მთავარი მენეჯერის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ ტრენაჟორებზე, ცურავენ, თამაშობენ ჩოგბურთს, დარბიან და სამთო ველოსიპედებით დადიან. აქტიური ფიზიკური დატვირთვის მიუხედავად, მრბოლელები დასვენებასა და მოდუნებასაც ახერხებენ, მით უმეტეს, რომ სეზონის ამ დროს კენიაში არაჩვეულებრივი კლიმატი და გარემოა.

## უცნობი ნაცნობი ბრიატორე

თუკი ვივარაუდებთ იმას, რომ ეს იღბლიანი ადამიანი პირველ ადგილზე ბიზნესსა და პირად გამორჩენას აყენებს, ნაწილობრივ მართლები აღმოჩნდებით. ის, ვაჭრობასა და სამეწარმეო საქმიანობაში მოპოვებული წარმატებების აფიშირებას ყოველთვის ახდენს და ამაყობს ამ სფეროებში მიღწეული გამარჯვებებით. მაგრამ მისი ინდივიდუალობის მეორე მხარე ფართო საზოგადოებისათვის დაფარული და გასაიდუმლოებულია. მათ შორისაა ქველმოქმედებაც. მაგალითად, მისი ერთ-ერთი კომპანია იტალიის სამედიცინო ხელსაწყოების ბაზარზე ლიდერი გახლავთ და ის ამ სფეროში უამრავ სასიკეთო საქმეს აკეთებს. „ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ადამიანების დახმარება“, – ამბობს ფლავიო.

ასევე ცოტა ვინმემ თუ იცის იმის შესახებაც, „ფორმულა-1“-ის ბოქსებში სპორტული ტანსაცმლით მოსიარულე იტალიელის სისუსტეს, ნებისმიერი ფორმისა თუ ხარისხის ჰალტუხები რომ წარმოადგენს. „ჰალსტუხებს 20 წლის ასაკიდან ვაგროვებ და იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კოლექცია მაქვს! ყველაზე მეტად სხვადასხვა ფორმის შავი ჰალსტუხები მიზიდავს, მომწონს შავი და ყავისფერი თასმის ფორმის ტყავის ჰალსტუხებიც. საკუთარი კოლექციის გასამდიდრებლად, მზად ვარ, მთელი ქვეყნის ბუტიკები კარდაკარ შემოვიარო. ღვთის წყალობით, ჩემს კარადებში ამ ჰალსტუხებისათვის საკმარისზე მეტი ადგილია!“ – ხუმრობს ბრიატორე.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ უამრავი სკანდალის მთავარი მოქმედი პირი, პრესაში მის შესახებ დაწერილი პუბლიკაციების შინაარსს არასოდეს ეცნობა. „შესაძლოა, ორიოდე წამით მხოლოდ იმისკენ გამექცეს თვალი, თუკი ჩემზე რაიმე განსაკუთრებულ სისულელეს დაწერენ. ჩემზე უკეთ ხომ არავინ იცის, თუ რას და როგორ ვაკეთებ. დანარჩენი ყველაფერი კი ჩემთვის უმნიშვნელოა“.

■

# ვაჟა-ფაშაველას დაგვიანებული ჰონორარი, ქართულ «კლასიკად» ქცეული ჰაინეს ლექსი და გალაკტიონის გაუსტუმრებელი ვალი

**ლუარსაბ ბოცვაძეს იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლეშივე უწოდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბურჯი და მემკვიდრე გოგებაშვილისა“. გამოჩენილ პედაგოგს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს XIX საუკუნის ქართველ „სამოციანელებს“ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული როლი ჰქონდა. არადა, მისი ღვაწლი., ურთიერთობები ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, დღეს ბევრისთვის პრაქტიკულად უცნობია. ბევრმა არც იმის შესახებ უწყის რაიმე, რომ ამ ერთ-ერთი დიდი ქართველის შვილიშვილი, ჩვენი კოლეგა მაპა ბოცვაძეა, რომელიც ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქმიანობს და ყოველდღე ხვდება ბაბუის მიერ 90 წლის წინ დარგულ ჭადრებს...**

ნუცა თოფჩიშვილი

**მაპა ბოცვაძე:**

— ლუარსაბ ბოცვაძე თავდაპირველად ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ განათლების მოყვარულმა საოსტატო სემინარიაში განაგრძო სწავლა. მისი დამთავრების შემდეგ, პედაგოგობა არჩია. თავად ხელმოკლე, ხშირად უმართავდა ხელს ნიჭიერ და სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს. ერთხელ, როცა შეიტყო, რომ ახალგაზრდა, ხელმოკლე ყმაწვილს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების საშუალება არ ჰქონდა, ფული გაუგზავნა და მისწერა: „მიიღეთ ჩემგან ეს ოცდახუთი მანეთი. მართალია, მცირედია, მაგრამ სულითა და გულით მოძღვნილია. როცა სწავლას დაამთავრებთ, ვიმედოვნებ, თქვენ სხვას გაუწევთ დახმარებას და ამრიგად გადავიხდით ერთიმეორის ვალს“. ეს ახალგაზრდა ყმაწვილი, შემდგომში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე მიქაბერიძე იყო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით, ლუარსაბ ბოცვაძე, გარკვეული პერიოდი მოღვაწეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში — წყალტუბოში, წინამძღვრიანთკარში, ასევე — კავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე). იმ პერიოდში (1892 წლიდან 1906 წლამდე). კავკავის ქართულ სკოლაში სულ 48 მოსწავლე ირიცხებოდა და სკოლას საკუთარი შენობაც კი არ ჰქონდა. მართალია, იქ ბევრი ქართველი ცხოვრობდა, მაგრამ მათ განათლებაზე არავინ ზრუნავდა. ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფი სკოლა ჩაიბარა ლუარსაბ ბოცვაძემ. სულ ცოტა ხანში, მოსწავლეთა რიცხვმა 300-ს გადააჭარბა. მოხდა საოცრება: სკოლას არა მარტო ქართველები, არამედ იქაური ოსები და რუსებიც მიაწყდნენ. სულ მალე კი, კავკავის ერთ გორაკზე ლამაზი შენობა წამოიჭიმა. სკოლაში გაიხსნა აგრეთვე გოგონებისათვის — ხელსაქმის, ხოლო ვაჟებისათვის — სხვადასხვა ხელობის შემსწავლელი კურსები. საკმაოდ დიდ ნაკვეთზე ბავშვები მიწაზე მუშაობას და მცენარეების მოვლა-პატრონობასაც სწავლობდნენ. კავკავის ქართული სკოლა ჩრდილო

ლუარსაბ ბოცვაძე

კავკასიაში ქართულ ეროვნულ ცენტრად იქცა. სხვათა შორის, შემდგომში, სწორედ ამ სკოლაში სწავლობდა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

**— ლუარსაბ ბოცვაძე ილია ჭავჭავაძის უმცროსი თანამედროვე იყო. თქვენს საოჯახო არქივში თუ გაქვთ შემონახული მათი ურთიერთობის ამსახველი რაიმე მასალა?**

— ლუარსაბ ბოცვაძის მოღვაწეობა კავკავში ქართული სკოლით არ შემოიფარგლებოდა. ის აქვეყნებდა წერილებს იმდროინდელ პრესაში, კითხულობდა ლექციებს განათლებისა და კულტურის საკითხებში. კავკავის ქართულ სკოლაში და დავით სარაჯიშვილის ქარხანაში დააარსა საკვირაო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. ლუარსაბ ბოცვაძის სახელზე გაგზავნილი. ილია ჭავჭავაძის წერილები, მის ტომეულებშია შესული. მინდა, ამ წერილებიდან 2 ამონარიდი გაგაცნოთ: „მოწყალეო ხელმწიფევ, ლუარსაბ გერასიმეს ძევ! წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოისმინა რა მდივნის მოხსენება 9-ში ამ თვისა იმის შესახებ, რომ თქვენ გამგეობის მინდობილობისამებრ ტფილისის სამრეკლო სკოლათა სასწავლებლებისათვის გამართულ პედაგოგიურ კურსებზე აძლევდით სამაგალითო გაკვეთილებს, დადგინა: გამოგეცხადოთ მადლობა შრომისათვის. საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე“.

**— როგორც ცნობილია, ლუარსაბ ბოცვაძემ დააარსა ჟურნალი „განათლება“, რომლის რედაქტორი და გამომცემელიც თავად იყო, ავტორებად კი, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები გვევლინებოდნენ.**

— ჟურნალი „განათლება“ ვიწრო, სპეციალური პედაგოგიური ჟურნალი არ გახლდათ. „განათლებაში“ თანამშრომლობდნენ: იაკობ გოგებაშვილი, აკაკი, ვაჟა, ნიკო ლომური, ეკატერინე გაბაშვილი, ირეოდიონ ევდოშვილი და სხვ. ჟურნალის კარი ღია იყო ახალგაზრდებისთვის — ეს ახალგაზრდები კი იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი... ჟურნალს მუდამ უჭირდა მატერიალურად. ბაბუა უკანასკნელ კაპიკებსაც მის გამოცემას ახმარდა. ჰონორარს მხოლოდ უკიდურესად შეჭირვებულებს უხდიდნენ. ერთხელ, რედაქტორს ვაჟა-ფშაველასთვისაც კი გასჭირვებია ფულის მიცემა. ვაჟას უცდია, უცდია, მაგრამ უფულობას მეტად შეუწუხებია და რედაქციაში ერთი წერილი დაუტოვებია ლუარსაბ ბოცვაძისთვის: შენ რაც არ გაქვს ელიაო,/ მე მას გულით ველიაო,/ ვინძლო მალე მოიშოვო,/ გამიმართო ხელიაო,/ ხომ

შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1950წ.

უწყი, რომ უფულობა/ მეტისმეტად ძნელიაო/... ლუარსაბს ბედად, იმ დღეს გიმნაზიაში მიულია ხელფასი და საჩქაროდ გაუგზავნია ვაჟასთვის მისი კუთვნილი თანხა.

**— გიმნაზია რომ ახსენეთ, ალბათ, იმ სათავადაზნაურო გიმნაზიას გულისხმობდით, რომელიც ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში იყო განთავსებული, სადაც ლუარსაბ ბოცვაძე ქართულ ენას ასწავლიდა. გამიგონია, ჭავჭავაძის პროსპექტზე, უნივერსიტეტის გასწვრივ ჩამწკრივებული ულამაზესი ჭადრებიც მისი დარგულიაო...**

— იმ დროს ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობდნენ სახელოვანი ადამიანები: გრიგოლ ნათაძე, ზაქარია ფალიაშვილი, აკაკი შანიძე, მიხეილ ზანდუკელი, კონსტანტინე გამსახურდია (გერმანულ ენას ასწავლიდა) და სხვა. ლუარსაბ ბოცვაძე მათთან ერთად იღვწოდა. იგი მრავალი საქმის მოთავე იყო. ერთ მშვენიერ დღეს თურმე, „ხეთა რგვის დღე" მოაწყო. მოიტანა ნერგები და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაარგვევინა, როგორც გიმნაზიის ეზოში, ასევე ქუჩაში, შენობის გასწვრივ. დღევანდელი უნივერსიტეტის ბაღში და ჭავჭავაძის პროსპექტზე დარგული ჭადრები სწორედ 90 წლისაა. ერთი საინტერესო ფაქტიც მინდა გავიხსენო: ლუარსაბ ბოცვაძის საკუთრებას წარმოადგენდა დიდი მიწის ნაკვეთი, რომელზეც სახლის აშენებას აპირებდა და შემდეგ, უსასყიდლოდ გადასცა უნივერსიტეტს — იქ ახლა II კორპუსი დგას.

იოსებ ბაქრაძე

**— წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ, სწორედ ლუარსაბ ბოცვაძეს მიანდო მისი სახელმძღვანელოების შესწორება-შევსება და გამოცემა. ამ დიდ საქმეში მას მხარში ედგა მეუღლე — ნინო ბაქრაძე-ბოცვაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი...**

— ბებია, თავის დასთან, ეკატერინე ბაქრაძე-ბურჯანაძესთან ერთად, „დედაენისა" და დაწყებითი კლასების სხვა სახელმძღვანელოების ავტორი გახლდათ, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების პრინციპით იყო აგებული და რომელზეც მრავალი თაობა აღიზარდა. 1964 წელს, ვენესუელაში გამართული, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც ცნობილმა მეცნიერმა სპინოზამ ჩაატარა, ქართულმა „დედაენამ" I ადგილი დაიკავა. ნინო ბაქრაძემ შცვეიცარიაში — ციურიხსა და ჟენევაში მიიღო განათლება. 17 წლისა, მიუხედავად იმისა, რომ სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღებას არც აპირებდა, ჟენევაში ულამაზეს ქალად აღიარეს. მას ბევრი პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილი გამოუქვეყნებია იმდროინდელ პრესაში. ნინო, ცნობილი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი ილიას თანამებრძოლის, იოსებ (სოსიკო) ბაქრაძის ქალიშვილი გახლდათ. იოსებ ბაქრაძის კალამს ეკუთვნის ჰანეს, ბაირონის, შილერის, შელის თარგმანები. ალბათ ბევრმა არც იცის, რომ სიმღერის — „ტურფავ, ტურფავ", რომელიც ასე შეიყვარა ქართულმა საზოგადოებამ, — ტექსტი სწორედ ჰაინეს ლექსის ბაქრაძისეულ თარგმანს წარმოადგენს.

ნინო ბაქრაძე-ბოცვაძე 17 წლის

**— ოჯახის ტრადიცია, თქვენმა მამამ — პროფესორმა იოსებ ბოცვაძემ გააგრძელა...**

— მამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. დამთავრებული ჰქონდა თბილისის I საშუალო სკოლა და ბევრი ცნობილი პედაგოგი ასწავლიდა. მაგრამ განსაკუთრებით იგონებდა ხოლმე ბიბლიოთეკის გამგეს, რომელსაც ყველა, დეიდა ვარას ეძახდა (კოტე მახარაძის დედა გახლდათ). მამა საოცარ კლასში სწავლობდა — მის გვერდით ისხდნენ: ვახტანგ ბერიძე, ქეთუსია ორახელაშვილი, ნინო ჯავახიშვილი... ამ ბავშვებს, რომელთაც შინ წიგნების გარდა, არაფერი ჰქონდათ, მაინც დეიდა ვარა ურჩევდა წიგნებს... ომის დროს, სრულიად ახალგაზრდა სოსო ბოცვაძე სოხუმში გადაიყვანეს სამუშაოდ, სადაც პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, კათედრის გამგედ, სახელმწიფო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ მუშაობდა. საოცარი ურთიერთობები არსებობდა მაშინ აფხაზებსა და ქართველებს შორის. მამას აფხაზი მეგობრები ბოლომდე შემორჩნენ...

**— წინაპრების მიერ დათესილი სიკეთე ალბათ წინ ბევრჯერ დაგხვედრიათ. თუ ჰქონდა მამას, ლუარსაბ ბოცვაძის მეგობრებთან ურთიერთობა და რამე ამბავს ხომ არ გაიხსენებთ?**

— ასეთი ბევრი იყო, იგივე ნიკო კეცხოველი, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მამასთან მეგობრობდა. ბაბუას ასე იხსენებდა თავის მოგონებებში: „თუკი რაიმე კარგი არის ჩემში, თუკი ქველმოქმედებისა და სიკეთის ქმნის სურვილი მამოძრავებდა ოდესმე, ეს ჩემი დიდი მასწავლებლის, ლუარსაბ ბოცვაძის დამსახურებაა. მუდამ ვცდილობდი, მას დავმსგავსებოდი". განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გალაკტიონი, რომელიც თურმე, ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა ბაბუაჩემის მიერ დათესილ სიკეთეს და გულუხვობას. მამას რომ შეხვდებოდა, თავისებურად ჩაიცინებდა და ეტყოდა: ძამიკო, შენი ვალი მმართებს, მაგრამ გადახდა გამიჭირდება: ცხონებული მამაშენი ძალიან მანებივრებდა, ხან 10 მანეთს მომცემდა, ხან — 25-ს, მეუბნებოდა — შენი ჰონორარიაო; კარგად ვიცოდი, საკუთარი ჯიბიდან იღებდა და მაძლევდაო... მამას და გალაკტიონს ძალზე თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. პოეტის დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, იოსები თურმე საავადმყოფოში მივიდა, საიდანაც გალაკტიონის სისხლიანი პერანგის ნაგლეჯი მოიტანა და სასოებით ინახავდა...

**— ფიქრის გორაზე, ვერიკოს (ყოფილი სუმბათაშვილ-იუჟინის) ქუჩაზე თქვენს სახლს არავითარი წარწერა არ ამშვენებს — არც ბაბუის და არც მამის...**

— იმ სახლზე, სადაც დაიბადა მამა და ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარეს ბაბუამ და ბებომ, სადაც მდებარეობდა „განათლების" რედაქცია, დადიოდნენ ვაჟა, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გოგლა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე და ბევრი სხვა, ერთ „მშვენიერ" დღეს, ბაბუის და მამის მემორიალური დფები გაქრა. ამ ქუჩაზე საერთოდ, ბევრი მემორიალური დფა თითქმის ერთდროულად გაქრა... არ მინდა, უზნეობაზე ვილაპარაკო. ჩვენმა ხალხმა გაჭირვებას მაინც ღირსეულად გაუძლო... რასაკვირველია, გულსატკენია, რაც მოხდა, მაგრამ ადამიანს, რომელსაც შვილი შიმშილით უკვდება, ძნელია, მორალზე ელაპარაკო. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი წინაპრების ხარჯზე, რომლებიც ყოველთვის გაჭირვებულებს ეხმარებოდნენ, ვიღაცამ შვილი დაუპურა და შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა... ახლა ვფიქრობ, აღვადგინო მემორიალური დფები, მაგრამ ალბათ, ლითონის არ უნდა იყოს... ■

იოსებ ბოცვაძე

# ლეგენდის დაბრუნება


Birdcage 75th

კონცეპტი – Birdcage 75th, რომელიც სახელგანთქმულმა ატელიემ – Pininfarina – ფირმებთან – Maserati და Motorola ერთობლივად შექმნა, ე.წ. ექსტრემალური სპორტული ავტომობილების იმ ტრადიციების აღორძინებას ემსახურება, რომლებსაც იტალიურ საავტომობილო დიზაინში XX საუკუნის 50-

იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. 50-იან, 60-იან და ნაწილობრივ 70-იან წლებში აგორებული ტალღა, საუცხოო შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფით – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოხდენილი მანქანის დაბადებით დაგვირგვინდა. ავტომრეწველობის სამყაროში მანამდე არასდროს მიუღწევიათ სილამაზისა და სისწრაფის ესოდენ სრულყოფილი ურთიერთშერწყმისთვის.

ახალი ტიპის მოდელების რიგს, 1954 წელს გამოსულმა Maserati A6 GCS-მა დაუდო სათავე. ძარას დახვეწილმა კონტურმა და ჰარმონიულმა პროპორციებმა ის თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მანქანად აქცია. შემდეგ, „პინინ-ფარინამ“ ერთიმეორის მიყოლებით, ექსტრემალური სპორტული მანქანების არაერთი პროტოტიპი ააგო, რომელიც სარბოლო ავტომობილების სრულყოფილ შასის ეფუძნებოდა. 1965 წელს, კიდევ ერთი საუცხოო მოდელის – Ferrari Dino Berlinetta Speciale – პრემიერა შედგა. 1967 წელს, Dino Competizione-მ გააოგნა ყველა მნახველი: „მგრძნობიარე“ ფორმების მქონე ეს ავტომობილი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი აღმოჩნ-


Maserati MC12

და, რომლის შექმნის დროსაც, საფუძვლიანად იყო შემუშავებული აეროდინამიკა. მომდევნო წელს, მას მოჰყვა, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო დახვეწილი მოდელები – Alfa Romeo 33 და Ferrari P5, ხოლო 1969-ში, იტალიელმა ავტომწარმოებლებმა კიდევ 3 ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ნამუშევარი წარმოადგინეს საზოგადოების სამსჯავროზე: Abarth 2000, Alfa Romeo 33 Prototipo Speciale და 512s-ის თემაზე შექმნილი ექსტრემალური ვარიაცია, რომლის სიმაღლე მხოლოდ 1 მ-ზე ოდნავ მეტს აღწევდა. 1970 წელს გაჩნდა კონცეპტუალური მოდელი, რომელსაც დღემდე, ყველა დროის „დრიმ-ქარად“

Maserati A6 GCS

(საცნებო მანქანად) მიიჩნევენ – Ferrari Modulo. ეს გახლდათ რადიკალურად განსხვავებული შემოქმედების ნაყოფი, რომელშიც ტრადიციულმა სტილისტიკამ და წარმოების მეთოდებმა, ფორმების გეომეტრიულ სისადავეს დაუთმო ადგილი.

2005 წელს, ფირმის 75 წლისთავის აღსანიშნავად, „პინინ-ფარინამ“ აღნიშნული ეპოქის შემოქმედებითი სულისკვეთების დაბრუნება გადაწყვიტა. Birdcage 75-th გახლავთ ავტომანქანა, რომლის ყველა მახასიათებელი – სტილი, ტექნიკური მონაცემები, მძღოლთან მისი „ურთიერთქმედების“ ხერხები – შესაძლებლობის ზღვარს უახლოვდება. ეს Maserati-ს ბრენდის ფუტურისტული ინტერპრეტაცია გახლავთ, ამავე დროს, ამ მარკის მდიდარ მემკვიდრეობას შეგვახსენებს.

ის Maserati MC12-ის შასიზეა აგებული. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტორთა მთავარ მიზანს, დიზაინში სიახლის შეტანა წარმოადგენდა, კონცეპტის, დონორის 12-ცილინდრიანი ძრავათი (700 ცხ.ძ. სიმძლავრის) აღჭურვა, თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ მანქანას სარბოლო სტანდარტები უნდა დაეკმაყოფილებინა. ამიტომ საჭირო იყო, მექანიკისთვის, განსაკუთრებულად ეფექტური გარეგნული ფორმები შეესაბამებინათ. როგორც სპეციალურმა კვლევამ უჩვენა, სარბოლო მანქანებში ყველაზე ხშირად, წყლის წვეთისა და ამობრუნებული ფრთის ფორმებს იყენებენ, რადგან ისინი ყველაზე ოპტიმალურია აეროდინამიკის თვალსაზრისით. ასე გაჩნდა ავტომობილის მთავარი ელემენტების შეკვრის იდეა: წვეთის ფორმის მქონე ცენტრალური ნაწილი წვეტით მანქანის უკანა მხარისკენაა მიმართული და მასში ძრავა და სამგზავრო დანაყოფებია მოქცეული; ეს „წვეთი“ შეერთებულია შასისთან, რომელსაც ამობრუნებული ფრთის ფორმა აქვს; ის 2 ნაწილადაა გაყოფილი – ზედა, მგზავრების თავზე, კონუსის ფორმის გამჭვირვალე სახურავს წარმოადგენს, ქვედა კი, მანქანის აეროდინამიკური ნაწილის სტრუქტურულ ელემენტს შეადგენს.

სახელწოდება – Birdcage – შემთხვევითი როდია: სპორტული ავტომანქანების მოყვარულთ იგი შეახსენებს ლეგენდარულ Birdcage Tipo 63-ს, რომელსაც ეს სახელი (birdcage ინგლისურ ენაზე გალიას ნიშნავს), შასის რადიკალური, სამკუთხა კონსტრუქციის გამო უწოდეს. ამ ტიპის მანქანები წინა საქარე მინის სიდიდითაც გამოირჩეოდა, რისი წყალობითაც, შასის მექანიკური ნაწილები ჩანდა. თავდაპირველად, Tipo 63 აღჭურვილი იყო 260 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი, შემდგომ ის 320-ძალიანმა V12-მა შეცვალა.

ახალი კონცეპტუალური მოდელის სიგრძე 4656 მმ-ს, სიგანე – 2020 მმ-ს, სიმაღლე კი – 1090 მმ-ს შეადგენს. ■

BIRDCAGE-TIPO63

# ზალიკო მომლერლებს არ წყალობს, პუტკუნები ხიბლავს და შეყვარებულს პატიჟნებას კუს ცხვს უპატრონებს

**დიზაინერ ზალიკო ბერგერს, ხათუნა ჟორდანიასა და ზურა ხაჩიძის ქორწილში მიღებული ტრავმა ჯერ არ მოშუშებია. თაბაშირიანი ფეხით შინ ზის და სულმოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა საზოგადოებას ჯანმრთელი დაუბრუნდება. უახლოეს მომავალში, ზალიკო ჩვენების მოწყობას გეგმავს და არც იმას გამორიცხავს, რომ მალე, ოჯახის შექმნაც გაბედოს...**

ზალიკო ბერგერი დედასთან ერთად

## მერი კობიაშვილი

— დედაჩემი მიყვება, რომ საბავშვო ბაღში ერთი გოგო მყვარებია. თურმე, რომ მეკითხებოდნენ, მინდოდა თუ არა მასთან ერთად ცხოვრება, კი-მეთქი, — ვპასუხობდი. მაგრამ მაშინ არ მესმოდა, რა იყო სიყვარული. იმ გოგონასადმი ინტერესიც სკოლაში მისვლისთანავე დამკარგვია.

**— სკოლაში გვერდით მჯდომი გოგო არ შეგყვარებია?**

— გვერდით მჯდომი — არა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, სკოლაში ისევე, როგორც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, გამორჩეული გოგონები მომწონდა. ერთ ზაფხულს, არტეკში წავედი დასასვენებლად. როგორ მოვახერხე, არ ვიცი, მაგრამ იქ 2 გოგო შემიყვარდა ერთდროულად, ერთი ქართველი იყო, მეორე — სომეხი. ამ უკანასკნელს ან რუზანო ერქვა, ან — ქნარიკა, ზუსტად ვერ ვიხსენებ. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ხუჭუჭა თმა... მეორე, თელავიდან იყო. ისეთი საშინელი გვარი ჰქონდა, ვერ გაგიმხელთ. მას სიყვარულში გამოვუტყდი. მან კი უარმყო. მითხრა — მეგობრობას მეფიცებოდი და ასეთი რამ როგორ გამიბედეო?!. ამ ამბავმა გული მატკინა; ცალმხრივი სიყვარულით, თბილისში დაბრუნების შემდეგაც ვიტანჯებოდი.

**— შენმა პირველმა პაემანმა როგორ ჩაიარა?**

— როცა ტინეიჯერი ვიყავი, თბილისში დღევანდელთან შედარებით ნაკლები კაფე იყო. შეყვარებულები სწორედ იქ იყრიდნენ ხოლმე თავს. მეც, როცა სერიოზული სიყვარული მეწვია, შეყვარებულს პაემანი ერთ-ერთ კაფეში დავუნიშნე. ორიგინალობა გამოვიჩინე და ყვითელი ვარდები ვაჩუქე. მოგვიანებით გავიგე, რომ ყვითელი ფერი განშორების სიმბოლოა. ალბათ ამ ვარდების ბრალი იყო, რომ ეს სიყვარული 2 თვეზე მეტხანს არ გაგრძელებულა. საერთოდაც ვფიქრობ — არასერიოზული შეყვარებული ვარ ხოლმე, სიყვარული მალე მინელდება. ეტყობა, ბავშვობიდან დამებედა და ხშირად, ერთდროულად 2 გოგო მიყვარდება.

**— მერე, გული არ გწყდება, შენი სიყვარული რომ ხანმოკლეა?**

— რა თქმა უნდა, ყოველი ჩავლილი სიყვარულის გამო გულისტკენას განვიცდი. მაგრამ ამ მიზეზით, დეპრესია არასდროს მქონია. ერთ ჩემს დაკვირვებას გაგიმხელთ: ოჯახი ნამდვილ სიყვარულს ქმნის, შვილები ცოლ-ქმარს აახლოებს. ერთერთმა მეუღლემ შეიძლება, საყვარელიც გაიჩინოს, მაგრამ მეუღლეს თავისი ადგილი უკავია... დღეს ჩემ გარშემო ბევრი ახალშექმნილი ოჯახი ინგრევა. ეს ჩემთვის მიუღებელია. ოჯახს თუ შექმნი, ეს მთელი ცხოვრება უნდა გაგრძელდეს.

**— ამ ყველაფრისთვის შენ თვითონ მზად ხარ?**

— არა, ნამდვილად. ბავშვის და ცოლის ნერვები არ მაქვს. კარგი საცოლე ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. თუმცა — არა, შეყვარებული მყავს: თაკო დოლაბერიძეა *(„ქუჩის ბიჭების“ პროდიუსერი. — ავტ.)*, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო *(იცინის)*... ჰო, რა მოხდა? არ შეიძლება, რომ პუტკუნა შემიყვარდეს?.. ჩვენს ურთიერთობას მგონი, ქორწილითაც დავაგვირგვინებ. კარგი ოჯახური ტანდემი გვექნება მე და თაკოს.

**— შეიძლება, ბევრმა იფიქროს, რომ ახლა სმამართლეს ლაპარაკობ...**

— მას შემდეგ, რაც თაკო, ხათუნასა და ზურას ქორწილში ხელში ავიყვანე, ბევრმა იფიქრა, რომ შეყვარებულები ვიყავით. მე კი ამ ყველაფერზე, რაც გითხარით, კიდეც ვიხუმრე და სერიოზულადაც ვთქვი...

**— ცოლად რომ მოიყვან, ალბათ დიეტაზე ყოფნას აიძულებ...**

— კი. მაგრამ როგორც ვიცი, ის დიეტაზე უკვე ზის. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა... ეეჰ (თაბაშირიან ფეხზე იყურება)... 25 კილო დაუკლია. ნეტავ, მანამდე მაინც დაეკლო, სანამ ფეხს მომტეხდა.

**— ბევრ ცნობილ ადამიანს ხვდები შენი საქმიანობის გამო, რომელიმე მათგანი თუ შეგყვარებია?**

— მომღერლებიდან არავინ მყვარებია. სოფო ჭყონია მომწონდა, ერთი პერიოდი.

**— შენი სიყვარულის ამბავი გაუმხილე?**

— ღრმა ურთიერთობები არ გვქონია. ჩვენ ვმეგობრობდით, თან — მოგვწონდა ერთმანეთი.

**— გოგო თუ გამოგტყდომია პირველად სიყვარულში?**

— პირდაპირ გეტყვი — ძალიან მაღაზიანებს ისეთი სიტუაცია, როცა მე არ მიყვარს, ის კი — ვენებს იჭრის...

**— შეგიძლია, გოგონასთვის საჩუქრად მირთმეული ყველაზე საყვარელი ნივთი გაიხსენო?**

— რამდენიმე წლის წინ, „გუჩის“ ფირმის თეთრეული ვაჩუქე ერთ გოგონას. მის ზუსტ ფასს არ ვიტყვი. ისე გაგიმხელ, რომ 20 კარგი სუნამოს ფასი ღირდა.

**— მის ცოლად მოყვანას აპირებდი?**

— ალბათ კი. ახლა ველარ ვიტყვი, მაგრამ მაშინ ვფიქრობდი, რომ ასეთი საჩუქრის გაკეთება ღირდა.

**— რას ურჩევდი ბიჭებს, რომლებიც პირველად აპირებენ პაემანზე წასვლას?**

— თეთრი პერანგით ნუ წავლენ პაემანზე. ეცადონ, რაც შეიძლება კარგად გამოიყურებოდნენ. დღეს რატომღაც ძალიან გაუფასურებულია პაემანი. ბიჭები გოგონებს ურეკავენ და ეუბნებიან — ვინმე დაქალი წამოიყვანე, მე ძმაკაცს წამოვიყვანო, მერე ეს „სასტავი“ რესტორანში ჯდება. თუ კარგი გოგოა, უნდა თქვას — 12 საათისთვის, სახლში მიმიყვანეო. ბიჭი გოგოს სახლამდე მანქანით მიაცილებს, დაშორებამდე კი — „იზასავებენ“. ასე მთავრდება პაემნები. კარგ შემთხვევაში, თუ პაემანი კუს ტბაზე არ დამთავრდა, პატიოსანი შეყვარებული გყოლია და ეგაა...

**— როგორ ქორწილს გეგმავ?**

— მინდა, ძალიან დიდი ქორწილი მქონდეს. სუფრას აუცილებლად, რომელიმე ცნობილი ქართველი თამადა გაუძღვება. ერთი ეგ არის — ჩემი მონაცემების პატრონს, „ქართულის“ ცეკვა გამიჭირდება. ვაპირებ, მინიმუმ 4 მეჯვარე მყავდეს. ბევრი ისეთი მეგობარი მყავს, რომელიც წარმოჩენის ღირსია...

■

**ცნობილი პარაფსიქოლოგის, დალი ავაგუმაშვილის მისაღებში ვის აღარ შეხვდებით. მასთან თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი დადის — ბავშვებით დაწყებული, პოლიტიკოსებითა და თანამდებობის პირებით დამთავრებული. ქალბატონ დალის უამრავი გაჭირვებული ემადლიერება. მისი ლოცვის ძალაზე ყველა პაციენტი სასწაულებს პყვება. დახმარების სათხოვნელად ავაგუმაშვილთან საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიან.**

# dali avagumaSvili: auris negatiuri energiiT dabinZureba depresiasac iwvevs

*ნანა სისაური*

**— მათთვის, ვინც არ იცის: ქალბატონი დალი პოპულარული ქართველი მომღერლის გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია“) დაა...**

— გია საზღვარგარეთ რომ მიდიოდა, ტელეფონით დამიკავშირდა მისი ბავშვობის მეგობარი, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს და მთხოვა, შენს ძმას დამცავი თილისმა გამოატანეო. ღვთისმშობლის სახელობის ერთ-ერთ მონასტერში საქართველოს მიწაზე დაცვა გავუკეთე და გავატანე. მას მერე, როცა მირეკავს, მადლობას მიხდის, — ვგრძნობ, რომ ივერიის ღვთისმშობლის ძალა მფარველობსო. გიას მეგობარი ბიზნესმენები ახალი საქმის დაწყების წინ ჩემთან მოდიან აურის გასასუფთავებლად.

**— რა კავშირშია ერთმანეთთან ბიზნესი და აურა?**

— დაბინძურებული აურის მქონე ადამიანი ნეგატიურ ინფორმაციას იზიდავს, რის გამოც ითვალება და მნიშვნელოვანი ოფიციალური შეხვედრის ან საქმიანი მოლაპარაკების დროს, შესაძლოა, წარმატებამ მის ბიზნესს გვერდი აუაროს, გამორიცხული არ არის, სიტუაცია უაზროდ დაიძაბოს, გართულდეს და საქმე გაჭიანურდეს, ან ჩაიშალოს.

**— როგორ ასუფთავებთ ადამიანის დაბინძურებულ აურას?**

— ლოცვებით!.. ნეგატიური ენერგიის გაწშენდილი ბიოველი დადებით ინფორმაციას იზიდავს და ბიზნესმენს ახალი საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში ეხმარება. თქვენი სუფთა აურა პარტნიორებს სათანამშრომლოდ განაწყობს, რაც ხელს შეგიწყობთ დასახული მიზნების განხორციელებაში, დაძაბული ვითარების განმუხტვასა და უიმედო სიტუაციის სათქვენოდ შემობრუნებაში. დახმარების სათხოვნელად ჩემთან უცხოეთიდანაც ჩამოდიან, ბუნებრივია, მათ არ სურთ, ალალბედზე ჩადონ ფული ამა თუ იმ საქმეში. სხვათა შორის, დახმარებას საზღვარგარეთ წასვლის მსურველებიც მთხოვენ, რათა ღვთის შეწევნით ხელი მოემართოთ.

**— დეპრესიას თუ შველით?**

— აურის ნეგატიური ენერგიით დაბინძურება დეპრესიასაც იწვევს. დღეს მთელი საზოგადოება სტრესულ მდგომარეობაშია. ყველას იმდენი სანერვიულო გვაქვს, მიკვირს, როგორა ვართ საღ ჭკუაზე. უარყოფითი ინფორმაციით მეტ-ნაკლებად თითოეული ჩვენგანის ბიოველია დაბინძურებული. სამწუხაროდ, ნერვულ სტრესს ყველა ერთნაირად ვერ უძლებს, ზოგს სუსტი აურა აქვს, რის გამოც არ ძალუძს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს დაგროვილ პრობლემებს და სპეციალისტის დახმარებას საჭიროებს. ხშირად ქრონიკული ნევროზი და ღრმა დეპრესია აურის უკიდურესი დაბინძურებითაა გამოწვეული. როცა მიზეზი ენერგეტიკულია და არა ორგანული, ექიმი და წამალი ავადმყოფს არ შველის. მსგავს შემთხვევებში ერთადერთი სწორი გამოსავალია დაბინძურებული აურის ლოცვებით გასუფთავება.

**— თქვენი პაციენტები კმაყოფილები არიან შედეგებით?**

— რა თქმა უნდა!.. მშობლებმა ამას წინათ 17 წლის გოგონა მომიყვანეს, შეძლებული ოჯახის შვილი, თავისი ნებით აირჩია პროფესია და სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარა. სამწუხაროდ, ბავშვმა პასუხი ვერ გამცა, რატომ აღარ სურდა სწავლა და სიცოცხლე... ვენები გადაიჭრა, საბედნიეროდ, მიუსწრეს და გადაარჩინეს. როგორც კი დაბინძურებული აურა ლოცვებით გასუფთავდა, გოგონას ცხოვრების ხალისი და ინტერესი დაუბრუნდა. დედებს ჩემთან მოჰყავთ ბავშვები, რომლებსაც ეკლესიაში შესვლა არ სურთ... დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანს საკუთარი თავიც ეზიზღება და ახლობლებიც... ბინძურ ენერგიასთან ბრძოლა მხოლოდ ლოცვით შეიძლება. სამწუხაროდ, დეპრესიაში ჩავარდნილ ადამიანთა რიცხვი თანდათან იზრდება, არ კლებულობს.

**— შელოცვით ორგანული დაავადებებიც იკურნება?**

— არა, ორგანულ დაავადებებს ექიმი და წამალი შველის. შელოცვა მხოლოდ მაშინ იძლევა სასურველ შედეგს, როცა ჩივილებს ბინძური ენერგიის ზემოქმედება და არაორგანული პათოლოგია იწვევს. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე მხოლოდ მაშინ ვიღებ, როც ექიმის დიაგნოზის თანახმად, პაციენტს რაიმე ორგანული დაავადება არ აღენიშნება. ავიღოთ, მაგალითად, უშვილობა, თუ ქალიც ჯანმრთელია ფიზიკურად და მამაკაციც, მაგრამ ბავშვი რატომღაც არ უჩნდებათ, შელოცვა სასურველ შედეგს გამოიღებს, ორგანული დაავადების შემთხვევაში, უძლური ვარ, ექიმს უნდა მიაკითხოთ.

**— შელოცვით ოჯახურ პრობლემებსაც აგვარებთ?**

— რა თქმა უნდა! ქრონიკულ ნევროზს ხშირად აურის უკიდურესი დაბინძურება იწვევს. ზოგი წლების განმავლობაში მკურნალობს, სვამს უამრავ წამალს, მაგრამ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, რადგანაც მისი ორგანიზმი ქიმიური სამკურნალო პრეპარატებით იწამლება... როცა ადამიანს მედიკამენტები არ კურნავს, უნდა მიხვდეს, რომ დაავადების მიზეზი ენერგეტიკულია და შელოცვის მეტი არაფერი უშველის... მერწმუნეთ, ერთი ნევროზიანიც საკმარისია ოჯახში, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს. გარდა ამისა, ხშირად ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზი ხდება ჯადო, ამ შემთხვევაშიც ნეგატიური ენერგიის ზემოქმედების განეიტრალება მხოლოდ ლოცვით არის შესაძლებელი. უარყოფითი მუხტისაგან გათავისუფლება ადამიანს ამშვიდებს, ფსიქიკას უწყნარებს, დაკარგულ წონასწორობას უბრუნებს. როგორც კი აღდგება ჰარმონია ჩვენსა და გარე სამყაროს შორის, ველარაფერი გაგვაღიზიანებს იოლად და, შესაბამისად, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაც მოგვარდება.

**— ქალბატონო დალი, ზოგს ნათელმხილველი ჰგონიხართ...**

— ყველას ვთხოვ, სამკითხაოდ ნურავინ მოვა, მე არც ნათელმხილველი ვარ და არც მარჩიელი... ზოგჯერ წინასწარ, თვითონაც არ ვიცი, როდის, უფრო ხშირად კი შელოცვების პერიოდში, ღვთის ნებით მომავლის შესახებ ინფორმაციას ვიღებ. თუ ამ დროს, ჩემი პირით ვინმეს რაიმეს აუწყებს უზენაესი, უთუოდ აუსრულდება, რადგანაც მის ნება-სურვილს წინ ვერავინ აღუდგება.

**— თქვენზე ამბობენ, რომ შეუცდომლად იგებთ, არის თუ არა ადამიანი მაგიური ზემოქმედების ქვეშ, სად არის ჯადო დამალული, ვინ არის დამკვეთი და რაზეა გაკეთებული...**

— ინფორმაციას უფლის კარნახით ვიღებ. შელოცვების დროს ზოგიერთები თვითონვე პოულობენ სახლში ჯადოს... ჩემი ძმის მეგობარს, სხვათა შორის, ისიც საკმაოდ პოპულარული პიროვნებაა საქართველოში, რომ არ აღმოეჩინა და საკუთარი თვალით არ ენახა ის, რის

გამოც იყო ცუდად, ალბათ, ვერ დაიჯერებდა, რომ ჯადო ჰქონდა გაკეთებული. მადლობა ღმერთს, გიამ დროზე მოიყვანა ჩემთან, თორემ შესაძლოა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო.

**— სახლიდან გაქცეული ქმრების დასაბრუნებლად ცოლები უკან არაფერზე იხევენ და ხშირად მიმართავენ მჩხიბავებს დახმარებისთვის, ზოგიერთები მოლასთანაც მიდიან...**

— სასოწარკვეთილი ქალები, სამწუხაროდ, ადვილად ცდებიან, რადგანაც არ იციან, რომ საყვარლის მიერ გაკეთებული ჯადოს მოხსნა მჩხიბავებისა და მოლების დახმარებით დიდი ცოდვაა, გარდა ამისა, ზოგიერთები სახლიდან წასული ქმრების დასაბრუნებლად თავად უკვეთენ ჯადოს. მაგიური ზემოქმედების განეიტრალება ღვთის შეწევნითა და ლოცვის ძალით უნდა მოხდეს. ყველას, ვინც ჯადოს მოხსნა სხვა გზებით სცადა, ან თავად შეუკვეთა მჩხიბავს თუ მოლას, ვურჩევ, დროულად აღიაროს თავისი დანაშაული და მოინანიოს.

**— ზოგს ეჩვენება ხოლმე, რომ მის ქმარს ჯადო აქვს გაკეთებული...**

— ხანდახან ჩემთან ზედმეტად ეჭვიანი ქალბატონებიც მოდიან. ჰგონიათ, რომ ქმარი ღალატობს, სათანადო ყურადღებას აღარ აქცევს, რადგანაც საყვარელმა ჯადო გაუკეთა... მე მათ პირველსავე შეხვედრაზე ვეუბნები სიმართლეს, სხვათა შორის, უამრავი ოჯახი გადავარჩინე დანგრევას. ჩემთან მკითხავების მიერ გაბრიყვებულებიც მოდიან. მარჩიელები ატყუებენ, ჯადო გაქვთ გაკეთებულიო. ბევრი შეშინებული ქალი დამიმშვიდებია, მაგრამ როცა მართლაა საჭირო ენერგეტიკული ზემოქმედება, დროულად უნდა შველა.

**— ბევრი გათვალული გყავთ „სამკურნალო“?**

— ზოგჯერ ავი თვალი ჯადოზე უარესია. თვალის მიერ გამოსხივებულ უარყოფით ენერგიას შეუძლია ბედის ჩაკეტვა, უსიამოვნების მოტანა, კარგად დაწყებული საქმის ჩაშლა, ადამიანის დასნეულება და ა.შ. განსაკუთრებით მოუნათლავ ბავშვებზე მოქმედებს ცუდად. ამიტომ ნათლავდნენ უწინ ახალშობილებს დაბადებისთანავე. სისტემატურად ატარეთ ჯვარი, რათა უწმინდური ვერ მოგერიოთ. ზოგიერთს იმდენად სუსტი აურა აქვს, რომ თვალს ადვილად იღებს, ითვალება და საქმეს თავს ვეღარ აბამს, წარმატებული ბიზნესმენები გაკოტრებამდე მიდიან.

**— თქვენზე ამბობენ, მოუნათლავებს არ იღებსო, მართალია?**

— დიახ, ასეა!.. ვინც ჯერ არ გაქრისტიანებულა, ვერ მივიღებ, როცა მოინათლებიან, დიდი სიამოვნებით ვილოცებ მათთვის.

**— რა სასჯელი ელის ჯადოს შემკვეთს?**

— თუ დროულად არ მოინანიებს, ღვთის რისხვა დაატყდება თავს. ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ ცდუნდა, ვურჩევ, ლოცვით შეიმსუბუქოს ცოდვით დამძიმებული სული, თორემ სასჯელს ვერც მისი შთამომავლები გადაურჩებიან.

**— ბინძური ენერგია თქვენზე არ გადმოდის?**

— რა თქმა უნდა, გადმოდის, მაგრამ ვიცი, როგორ გავანეიტრალო. ღვთის წყალობითა და შეწევნით უწმინდური ვერაფერს მაკლებს.

**— როგორ ხვდებით, თქვენთან მოსულ ადამიანს სხვისთვის ჯადო გაუკეთებია, თუ არა?**

— როცა მის აურაში შევდივარ, ყველაფერს ვგრძნობ, ასე რომ, ჯადოს შემკვეთი ვერაფერს დამიმალავს. ერთმა ქალბატონმა შემომჩივლა, სიძე სახლიდან გაგვექცა, ცოლ-შვილი მიატოვა და რამე წამალი მომეცი, უკან რომ დავაბრუნოთ, შვილიშვილები მეცოდებიანო. მივხვდი, ბოროტი ებრძოდა და გაჭირვების ჟამს მის ცდუნებას ცდილობდა. დავამშვიდე, ვურჩე, ავი განზრახვა თავიდან ამოეგდო, გამოვულოცე და ვუთხარი, თუ ის კაცი შენი შვილის ბედია, თავისი ფეხით მოვა სახლში. ჯადოს გაკეთება ძალიან დიდი ცოდვაა, არ ცდუნდე, მჩხიბავთან არ წახვიდე, თორემ შვილიშვილებს გაუბედურებმეთქი. რამდენიმე თვის შემდეგ, გახარებულმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა... მისი სიძე მაგიური ზემოქმედების გარეშე, ღვთის შეწევნითა და ლოცვის ძალით დაუბრუნდა ცოლ-შვილს. მჩხიბავთა მეცადინეობით არც გათხოვება შეიძლება და არც ცოლის შერთვა, ასეთი „ბედნიერება“ დროებითია, წარმავალი.

**— ლოცვით ბედის გახსნა თუ შეგიძლიათ?**

— როცა ადამიანი წლების განმავლობაში ვერ ქმნის ოჯახს, აუცილებლად უნდა გაარკვიოს, მიზეზი მაგიური ზემოქმედებაა თუ არა. როცა დარწმუნდება, რომ ჯადო აქვს გაკეთებული და ბედი ვიღაცამ ხელოვნურად ჩაუკეტა, სიამოვნებით დავეხმარები. როგორც კი ლოცვებით მაგიური ზემოქმედება განეიტრალდება, ჩაკეტილი ბედიც გაიხსნება, ზოგიერთები 2-3 თვეში თხოვდებიან და ქორწინდებიან.

**— ლოცვა შეშინებულებსაც კურნავს?**

— დიახ, ამას წინათ, მშობლებმა მომიყვანეს გოგონა, რომელიც ისე იყო შეშინებული, დღისითაც ვერ ჩერდებოდა მარტო, ღამე კი სინათლეში ეძინა და ბებიას ოთახიდან არ უშვებდა.

**— რამ შეაშინა ბავშვი?**

— ღამღამობით ისეთ კოშმარულ სიზმრებს ხედავდა თურმე, რომ გაღვიძებული შიშისგან ძრწოდა. სამი შელოცვის მერე, გოგონას მშვიდი ძილი დაუბრუნდა.

**— რა სიმპტომები აღენიშნებათ სატანურ ძალთაგან შეპყრობილ ბავშვებს?**

— არაბუნებრივად აგრესიულები არიან, სადისტურ ბუნებას ავლენენ, უმიზეზოდ ღიზიანდებიან, არ ინდობენ ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და ამხანაგებს. შეუძლიათ ისეთი წყენა და ტკივილი მიაყენონ საყვარელ ადამიანს, რომ მერე თვითონვე ინანონ.

**— რატომ ერევათ ზოგჯერ ექიმებს ერთმანეთში შეპყრობილი და შეურაცხადი?**

— შიზოფრენიით დაავადებული და ავსულისგან შეპყრობილი, ხანდახან ერთნაირ სიმპტომებს ავლენენ, ამდენად სწორი დიაგნოზის დასმა, იოლი არ არის... ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამი თვის განმავლობაში, ყოველღამე, ერთსა და იმავე დროს, შავებში ჩაცმული ქერა, ლამაზი მამკაცი „აკითხავდა“ — უცნაური სტუმარი დაკეტილ კარში შემოდიოდა, ქალს თითებზე ხელით ნაზად ეხებოდა და უჩინარდებოდა. საბრალო შიშით ვეღარ იძინებდა, ხილვებმა ძალიან შეცვალა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ სახლში ჩაიკეტა, სამსახურშიც აღარ დადიოდა, მოსწყდა გარე სამყაროს, იტანჯებოდა, რადგანაც სიმართლეს ვერავის უმხელდა.

**— რატომ?**

— ეშინოდა, რომ ოჯახის წევრები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დააწვენდნენ. ჩემი არსებობა ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან შეიტყო და ისე მომძებნა. გულით მენდო, ირწმუნა, რომ ვუშველიდი და მართლაც, შვიდი ლოცვის შემდეგ ქალს ხილვები გაუქრა, აღარავინ მოსჩვენებია, მშვიდი ძილი დაუბრუნდა და ისევ სრულფასოვანი ადამიანი გახდა.

**— ქალბატონო დალი, დამცავ თილისმებსაც აკეთებთ?**

— ვაკეთებ, მაგრამ თუ ადამიანის აურა დაბინძურებულია, თილისმის ტარებას აზრი არა აქვს.

**— რატომ?**

— ჯერ ბიოველი უნდა გასუფთავდეს, თუ ადამიანი გამოლოცვილი არ არის, თილისმას ძალა ეკარგება. უპირველეს ყოვლისა, აურა უნდა გაიწმინდოს ბინძური ენერგიის ზემოქმედებისგან და მერე უნდა გაკეთდეს დამცავი თილისმა, რათა ბოროტ ძალთა გავლენისგან დაიფაროს ადამიანი და ხელი მოუმართოს მას ცხოვრებაში. ზოგიერთი პირდაპირ თილისმას ითხოვს, ლოცვებს საჭიროდ არ მიიჩნევს, არადა ჩვენი ხსნა ლოცვაშია, სხვა ვერაფერი გადაგვარჩენს.

*P.S. ქალბატონი დალი წინასწარი ჩაწერის გარეშე არავის იღებს! ჩაწერა ხდება ტელეფონით. დარეკეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9 საათიდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონებია: 96.79.00; 899.10.73.06; 893.95.24.39.*

R

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(14 - 20 აპრილი)

## ვერძი — 21III-20IV

უახლოესი გარემოცვა თქვენდამი მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ იქნება, არაკეთილმოსურნეებმა კი შესაძლოა, ინტრიგაში თქვენი გახვევაც შეიძლება სცადონ. არ არის გამორიცხული, გაგიუარესდეთ მატერიალური მდგომარეობა. ამიტომ მაქსიმალურად შეამცირეთ ხარჯი. გადაადგილებისა და მოგზაურობის დროს, გამოიჩინეთ სიფრთხილე. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური — მარჩხვისა და კირჩხიბთან. **პოზიტ. დღეები:** 14,16,18. **ნეგატ. დღეები:** 15, 20.

## კრეტა — 21IV-21V

სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ და ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით, ვინაიდან დაპირებების შესრულება გაგიჭირდებათ (შეეცადეთ, გეგმების ხორცშესხმა სამომავლოდ გადადოთ). მოსალოდნელია წარმატებული მოგზაურობა, რომელიც სიმშვიდესა და საკუთარი თავის რწმენას შეგმატებთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და ქალწულთან, ნეგატიური — მარჩხვისა და სასწორთან. **პოზიტ. დღეები:** 15, 16, 17. **ნეგატ. დღეები:** 18, 19.

## მარჩხვი — 22V-21VI

დაიკაპიწეთ ხელები და საკუთარი იდეების ხორცშესხმას შეუდექით. იზრუნეთ ძველი საქმეების დასრულებაზეც. შეგიძლიათ, საკუთარ ცხოვრებაში კარდინალური ცვლილებებიც კი განახორციელოთ, მთავარია, მიზანსწრაფვა გამოიჩინოთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს. გარკვეული სიფრთხილე გმართებთ სამსახურში, კოლეგებთან კონტაქტისას. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და თევზებთან. **პოზიტ. დღეები:** 16, 19, 20. **ნეგატ. დღეები:** 15, 17.

## პირჩხვი — 22VI-22VII

შესაძლოა, სრულიად ახალი პერსპექტივები გადაგეშალოთ და იმ საქმის კეთება მოგიხდეთ, რომელზეც ადრე არასდროს გიფიქრიათ. თქვენი მფარველები და კეთილისმსურველები გაგიწევენ მნიშვნელოვან დახმარებას, ოღონდ, ამას დაფარულად მოიმოქმედებენ. შეეცადეთ, ნებისმიერი თქვენ მიერ გაწეული შრომა მომავლის საძირკვლად აქციოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და თევზებთან, ნეგატიური — ქალწულსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 15, 18, 19. **ნეგატ. დღეები:** 16, 17.

## ლომი — 23VII-23VIII

თუ ამ კვირაში საკმარის დიპლომატიასა და ტაქტს გამოიჩენთ, ეს დიდად წაგადგებათ საქმიანობაში, წარმატებით გადაჭრით ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებული იქნება დოკუმენტაციასთან, განსაკუთრებით — სამართლებრივ და ფინანსურ საბუთებთან. შეეცადეთ, რეალურად შეფასოთ საკუთარი შესაძლებლობები და ნაკლები ინიციატივა იკისროთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური — მარჩხვისა და კირჩხიბთან. **პოზიტ. დღეები:** 16, 18, 20. **ნეგატ. დღეები:** 15, 19.

## ქალწული — 24VIII-23IX

ეს პერიოდი მრავალ სიახლეს გპირდებათ, არ არის გამორიცხული, რომ სამსახური ან პროფილი გამოიცვალოთ. იოლად მოახერხებთ ახალ ადგილზე ადაპტირებას, რაც ხელს შეგიწყობთ ახალი კონტაქტების დამყარებაში. შესაძლოა, ამას მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც მოჰყვეს, რაც ახალი პრობლემების მშვიდად, საფუძვლიანი მოფიქრების შემდეგ გადაგაჭრევინებთ. იყავით ორგანიზებული და მიზანსწრაფული. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — კუროსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 15,17,18. **ნეგატ. დღეები:** 16, 20.

## სასწორი — 24IX-23X

მოგიწევთ სარისკო საქმეების კეთება, ასევე ურთიერთობა ისეთ ნაცნობებთან, რომლებიც თქვენდამი მაინცდამაინც პოზიტიურად არ არიან განწყობილი. მოსალოდნელია ნერვიულობა ყოფითი პრობლემების გამო, ეს კი წინა პლანზე წამოწევს თქვენსთვის დამახასიათებელ ყველაზე უარყოფით თვისებას — მერყეობას. სტუმრად დაპატიჟების შემთხვევაში, თავაზიანი უარი თქვით ან ვიზიტი სამომავლოდ გადადეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და თხის რქასთან. **პოზიტ. დღეები:** 16, 17, 20. **ნეგატ. დღეები:** 15, 18.

## ღრიანკალი — 24X-22XI

კარგი იქნება, თუ კრიტიკული თვალით გადახედავთ უახლოეს წარსულს და პრობლემებს ფხიზელი თვალით შეხედავთ — ეს საშუალებას მოგცემთ, გარკვეული კორექტივები შეიტანოთ საკუთარ ცხოვრებაში, თან ახალი შეცდომებისგან დაიზღვიოთ თავი. ეს პერიოდი პოზიტიურია ცოდნისა და გამოცდილების დასაგროვებლად, ასევე ახლო მანძილზე სამოგზაუროდ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — ვერძსა და ღრიანკალთან. **პოზიტ. დღეები:** 15, 16, 17. **ნეგატ. დღეები:** 18, 19.

## მშვილდოსანი — 23XI-21XII

შესაძლოა, დაგეგროვდეთ მრავალი პრობლემა, რომელიც აუცილებელ გადაჭრას მოითხოვს. მოგიწევთ მოსაწყენ ადამიანებთან ურთიერთობა და რუტინული სამუშაოს შესრულება, ეს კი თქვენს თავისუფლებას შეზღუდავს და მიზანსწრაფულობასაც შეასუსტებს. გირჩევთ, მოთმინება გამოიჩინოთ, რომ უფრო არ გაუარესოთ მდგომარეობა. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხვსა და სასწორთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 18, 19, 20. **ნეგატ. დღეები:** 15, 17.

## თხის რქა — 22XII-20I

მოულოდნელად შექმნილი უსიამოვნო სიტუაცია სარისკო მოქმედებისკენ გიბიძგებთ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მახერხებთ სიტუაციის გამოსწორებას. ამას დაემატება უსიამოვნო ინფორმაცია, რომელიც უახლოეს ადამიანებთან იქნება დაკავშირებული. ოღონდ, პანიკაში ნუ ჩავარდებით და ნუ იმოქმედებთ იმპულსურად. პირიქით — შეეცადეთ, ყველაფერი წინასწარ კარგად გაიაზროთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედთ; კირის ბოლოსთვის, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თხის რქასთან, ნეგატიური — ვერძსა და მერწყულთან. **პოზიტ. დღეები:** 16, 18, 19. **ნეგატ. დღეები:** 17, 20.

## მერწყული — 21I-19II

გაძლიერდება თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი, რაც დადებით იმპულსს მოგცემთ, პროფესიონალურ საქმიანობაში წინ წასაწევად. დიდია იმის ალბათობა, რომ დამატებითი სამუშაოს შთვნა მოახერხოთ, რაც ცხადია, თქვენი მატერიალური მდგომარეობის გამყარებას შეუწყობს ხელს. იმოქმედეთ მშვიდად და შეეცადეთ, კოლეგებისა და პარტნიორების წინაშე ლაღად გამოიყურებოდეთ და საუბრისას იუმორის გრძნობა გამოავლინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მერწყულთან, ნეგატიური — მარჩხვსა და ქალწულთან. **პოზიტ. დღეები:** 15, 16, 20. **ნეგატ. დღეები:** 17, 19.

## თევზები — 20II-20III

გამორიცხული არ არის, რომ თავი ისე იგრძნოთ, როგორც „ციყვი ბორბალში“ — ანუ ვერ შეძლოთ საკუთარი შრომის ნაყოფის დანახვა და მოგეჩვენოთ, რომ ერთ ადგილს ტკეპნით. ამას შეგრძნებას კიდევ უფრო გაამძაფრებს გართულებული მატერიალური მდგომარეობა. პირველ რიგში, შეეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და თავი აარიდოთ კონფლიქტებს. გახსოვდეთ, რომ ყველა სიძნელე დროებითი იქნება. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თევზებთან, ნეგატიური — ლომსა და ღრიანკალთან. **პოზიტ. დღეები:** 16, 17, 19. **ნეგატ. დღეები:** 15, 18.

*მოამზადა რამაზ გიგაურმა*

ქორვა-ჭარი
სახელმ-წიფო აფრიკაში
ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
რბილი ხაოიანი ქსოვილი
ზღვის მარტო-რქა
ღვინის ჭურჭელი
ფერად-ფერადი, შუშხუნების გაშვება
მჭევ-რმეტყ-ველების თეორია
ინდონე-ზიის კუნძული
დერეფანი
პროვინ-ციის მმართველი თურქეთში
მსახიობი ... რაიანი
აშშ-ის შტატი
ვერონეზეს ნამდვილი გვარი
ღორების ჯოგი
ხორბლის მარცვლის გული
დიზაინერი ... ბერგერი
საგანთა გარკვეული ჯგუფის ფორმა
გარეული ვირი
ირლან-დიის ეროვნული არმია
მინერ-ალური ლურჯი საღებავი
ამერი-კელი მოკრივე
მრავლნიჩ-ბიანი ხის სამხედრო გემი
ესკიმო-სების ქოხი
საბრძოლო ნადავლი
ნაზბეწვი-ანი ცხვრის ჯიში
ფერადი ლითონის სიფრიფანა ჭურჭელი
ფრანგული არაყი
საქონლის მოსათავ-სებელი ჭურჭელი
მუსლიმა-ნური მარხვა
უსინათ-ლოთა შრიფტი
თამბაქოს მოსაწევი მოწყობი-ლობა
ერთ ჯერზე მისაღები წამლის რაოდენობა
სახოტბო ლექსი
ფეხბურ-თის მეფე
ქვეყნის ნაწილი
სასწორის თეფში
ხრიკი
ოპტი-კური მინა
ცხენ-ირემი
მდინარე საქართველოში
ქართველთა წარმართუ-ლი ღვთაება

23-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

# ანეკდოტები

***

— სასწრაფოდ ფული მჭირდება...
— შენ ჭკუა უფრო გჭირდება, ჭკუა.
— მე იმას არ გთხოვ, რაც არ გაქვს...

***

— ბიძიკო, რა გვარი ხარ შენე?
— მე, გაგუა ვარ.
— რომელი გაგუა — ღლონტი?..

***

მიხო მამალს ყიდის ბაზარში. ახალგაზრდა მყიდველი ეკითხება:
— ძია მიხავ, ქათმებსა კარგათა პეპლამს?
— კარგათაო!.. კარგათ კი არა, ინგრე მაგრათა პეპლამს, რომა ყველა საღამოსა მაგი დაპეპლმის მერე ჩემ დედღებსა მიწიდან სულაფატკითა ვთხრი ხოლმე, მააშ!..

***

— დედა, მამაჩემი ვინაა?
— თოვლის ბაბუა.
— ეგ როგორ?
— როგორ და... ახალ წელს მოვიდა, გაგაკეთა და მის მერე აღარ მინახავს.

***

ორი მენეჯერი ხვდება ერთმანეთს. ერთი ეკითხება მეორეს:
— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, მოხდა რამე?
— ჰო. ჩემმა ცოლმა ჩემთვის მდივანი გამონახა.
— ქერათმიანი თუ შავთმიანი?
— მელოტი!

***

სვანებმა XXII საუკუნეში ჭადრაკის სწავლა დაგეგმეს.

***

ორი ქალი მოდაზე საუბრობს:
— რა საშინელებაა, მამაკაცის გრძელი პიჯაკები! ინტიმურ თემაზე ესაუბრები და ვერ ხვდები, რას გრძნობს შენ მიმართ.

***

სვანი ეკითხება ტიპს:
— რა კარგი პიჯაკი გაცვია!.. სად შეიკერე?!
— პარიზში.
— მესტიიდან შორსაა?!
— კი, 6000 კილომეტრია.
— უი, რა მიყრუებულში ყოფილა და რა კარგად კერავენ!

***

მიხო ეუბნება ცოლს:
— ძვირფასო, აი, ძალიან ხო მიყვარხარ, არა?!. მარა რო გავიგო, მღალატობ, დედას გიტირებ!..
— ნუ ბრაზობ, მიხო... დღე და ღამე გარეთა ხარ და როგორღა გაიგებ, ჰა?!.

***

— აფიციანტ! აფიციანტ, ჩემს „სუპში“ ბუზია!
— ჩუსდ, ბატონო, თორემ, ხომ იცით, რა შურიანი ხალხია — სხვებიც გაგონებენ და იმთაც მოუნდებათ!..

***

ექიმი საკუთარი თავის რეკლამირებას ეწევა პაციენტთან:
— ჩვენ ოპერაციებს ვაკეთებთ უახლესი ტექნოლოგიებით, მთელი მსოფლიოს მეცნიერების გამოცდილების გათვალისწინებით. ასე რომ, ოპერაციის შემდეგ, თქვენივე ფეხით მიხვალთ პალატაში, ერთ საათში შეძლებთ, გარს შემოუაროთ ჩვენს საავადმყოფოს, 5 საათში — სამჯერ შემოურბენთ ჩვენს კორპუსს, ხოლო 24 საათში, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში სირბილით გაიქცევ-გამოიქცევით. კითხვები გაქვთ?
— ექიმო, შეიძლება, ოპერაციის დროს მაინც ვიწვე?

***

— მიხო, მუცელი რად გინდა?
— მა, აბა, ატხოდები ხელით ვატარო?!.

***

მიხო ეუბნება ცოლს:
— ისე მრცხვენია, ისე მრცხვენია მიტოსი, რო...
— რატომა, კაცო?!.
— იმიტო, რო მესამედ მპატიჟებს ცოლის გასვენებაში, მე კი ერთხელაც ვერ დავპატიჟე...

***

ჭიჭიკიას ზურგზე ჭადრაკის დაფა ახატია. ბიჭიკია ეკითხება:
— ბუჯო, ჭადრაკის დაფის დახატვას, არ ჯობდა, რაცხა ნორმალური დაგეხატა.
— ბევრს ნუ ბჟუტურობ და... თუ ჩემი ძმა ხარ, ერთი d-4-ზე მომფხანე.

***

— შეიძლება თუ არა, ერთი კაცის საგზურით მთელმა ოჯახმა დაისვენოს?
— შეიძლება, თუ საგზურს სიდედრს მივცემთ!

***

ორი მეგობრის საუბრიდან:
— ეს ქალები ყაჩაღებზე უარესები არიან.
— რატომ?
— ყაჩაღები ან საფულეს გთხოვენ, ან სიცოცხლეს, თანაც ძირითადად — ერთხელ. ქალები კი, ორივეს და თანაც — მუდმივად.

***

სულთანი თავისი ჰარამხანის ცოლებს ეუბნება:
— მე თქვენგან მივდივარ... სხვა ჰარამხანა შემიყვარდა...

***

ქართველი ახალი მეზობლის გასაცნობად გაეშურა. კარი ლამაზმა ქალმა გაუღო:
— გამარჯობათ, მე თქვენი მეზობელი ვარ — ვანო.
— ზემოდან თუ ქვემოდან?
— სულერთია.

***

— მამა, ასეთი არეულ-დარეული ამინდი რატომ არის? ხან ცივა, ხან ცხელა, ხან წვიმს...
— ეგა, შვილო, ატმოსფეროს ტენიანობაზე, ნალექების რაოდენობასა და თბილი მასების გადაადგილებაზეა დამოკიდებული.
— უფრო გასაგებად ვერ მეტყვი?
— რაც ხელისუფლებაა, ისეთიც ამინდია, რა!..

***

თანამშრომელი ეუბნება უფროსს:
— მე თქვენთან ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობ და თუ შეიძლება, ნახევარი ხმით მიყვიროთ!

# რამდენად გამბედავი ადამიანი ბრძანდებით?



**გამბედაობა მნიშვნელოვანი თვისებაა, როგორც სამსახურებრივ ასპარეზზე, ასევე პირად ცხოვრებაშიც. როგორ ფიქრობთ, თავად თქვენ რამდენად გამბედავი ბრძანდებით? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ მოყვანილი ტესტის შევსების შემდეგ მიიღებთ.**

1. თქვენი ახალი ხელმძღვანელი სამსახურში ახალ წესებს ამკვიდრებს, რომლებიც საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რასაც თქვენ შეჩვეული ხართ. იოლად შეეგუებით ახალ წესებს?
   ა) დიახ – 3;
   ბ) არა – 0.
2. იოლად ეთვისებით თუ არა ახალ ადამიანებსა და ახალ კოლექტივს?
   ა) დიახ – 4;
   ბ) არა – 0.
3. თუ თქვენი აზრი არ ემთხვევა თქვენი უფროსის აზრს, გამოთქვამთ თუ არა მას ხმამაღლა?
   ა) დიახ – 3;
   ბ) არა – 0.
4. თუკი ახალ სამსახურში შედარებით მაღალ ანაზღაურებას შემოგთავაზებენ, გადახვალთ თუ არა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე?
   ა) დიახ – 2;
   ბ) არა – 0.
5. შეცდომის დაშვების შემდეგ, ჩვეულებრივ, ხომ არ უარყოფთ ხოლმე თქვენს დანაშაულს?
   ა) დიახ – 0;
   ბ) არა – 4.
6. შეგიძლიათ თუ არა თქვენი უდანაშაულობის ჭეშმარიტი მოტივი დაასახელოთ ისე, რომ შემამსუბუქებელი მიზეზებისა და გარემოებების დასახელებით თავის მართლებას არ მოჰყვეთ?
   ა) დიახ – 2;
   ბ) არა – 0.
7. შეგიძლიათ თუ არა სერიოზული დისკუსიის შედეგად, საკუთარი აზრი შეიცვალოთ?
   ა) დიახ – 3;
   ბ) არა – 0.
8. თუკი ვინმეს მიერ დაწერილი ტექსტის აზრობრივი მხარე გაკმაყოფილებთ და პრეტენზია მხოლოდ მის გადმოცემის სტილთან გაქვთ, დაუნებით მოითხოვთ თუ არა თქვენი რეკომენდაციების მიხედვით ტექსტის შესწორებას?
   ა) დიახ – 2;
   ბ) არა – 0.
9. შეიძენთ თუ არა ისეთ ნივთს, რომელიც არაფერში გჭირდებათ, მაგრამ ძალიან მოგწონთ?
   ა) დიახ – 0;
   ბ) არა – 2.
10. შესაძლოა თუ არა, რომ ვინმეს მომხიბლაობამ გადაწყვეტილება შეგაცვლევინოთ?
   ა) დიახ – 0;
   ბ) არა – 2.
11. წინასწარ გეგმავთ თუ არა, სად გაატარებთ შვებულებას, თანაც ისე, რომ შემთხვევითობას გამორიცხავთ?
   ა) დიახ – 1;
   ბ) არა – 0.
12. ყოველთვის ასრულებთ თუ არა ვინმესთვის მიცემულ პირობას?
   ა) დიახ – 3;
   ბ) არა – 0.

## ტესტის შედეგები

**0-9 ქულა:** არცთუ ისე გამბედავი ადამიანი ბრძანდებით. გადაწყვეტილების მიღებას დიდხანს უნდებით და ეს თქვენთვის საკმაოდ მტკივნეული პროცესია. გირჩევნიათ, თქვენ მაგივრად სხვებმა მიიღონ გადაწყვეტილება. საჯარო დისკუსიების დროს, დუმილს ამჯობინებთ, მაგრამ თუკი იძულებული ხართ, რომ თქვენი აზრი რამდენიმე სიტყვით მაინც გამოთქვათ, ეს საკმაოდ დიდი ძალისხმევის ფასად გიჯდებათ. ხშირად თქვენი ცოდნა და გამოცდილება წყალში გეყრებათ თქვენივე გაუბედაობით. ცუდია ისიც, რომ თქვენი მეტისმეტი მოკრძალებულობისა და გაუბედაობის გამო, შეიძლება მეგობრებიც ცუდ მდგომარეობაში ჩააყენოთ. ეცადეთ, უფრო ენერგიულად დაიცვათ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც პირადად თქვენს კეთილდღეობას ეხება. გირჩევთ, თავიდან თუნდაც სულ მცირე რამიდან შეუდგეთ საქმეს.

**10-18 ქულა:** გადაწყვეტილების მიღებისას წინდახედულებას იჩენთ, მაგრამ როცა სწრაფი მოქმედებაა საჭირო, არც მაშინ იბნევით. სამაგიეროდ, როცა გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისზე მეტი დრო გაქვთ, ეჭვები გიპყრობთ და ცდილობთ, წინასწარ განსაზღვროთ, რა მოჰყვება თქვენს ამა თუ იმ ნაბიჯს. რჩევისა და დახმარების სათხოვნელად ხშირად სხვებს მიმართავთ, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლადაც მშვენივრად შეგიძლიათ. გირჩევთ, უფრო მეტად იქონიოთ საკუთარი თავისა და ძალების რწმენა.

**19-28 ქულა:** საკმაოდ გამბედავი, თანამიმდევრული და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ხართ. შეგიძლიათ სწრაფად მოქმედება და ხშირად სწორ გადაწყვეტილებასაც იღებთ. საკუთარ აზრსა თუ გადაწყვეტილებას აქტიურად იცავთ, მაგრამ თუკი აღმოჩნდება, რომ ცდებით, არც გადაწყვეტილების შეცვლა გიჭირთ. თუმცაღა, ის ფაქტი, რომ აქამდე თქვენ არაერთი პრობლემის გადაჭრას წარმატებით ართმევდით თავს, არ ნიშნავს იმას, რომ სხვების რჩევები და რეკომენდაციები უარყოთ; ქვეყნად ხომ უამრავი ისეთი საკითხი არსებობს, რაშიც თქვენ არაკომპეტენტური ხართ.

**29 ქულა და უფრო მეტი:** მცნება გაუბედაობა, თქვენთვის საერთოდ არ არსებობს. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, ზედმიწევნით კომპეტენტური ბრძანდებით. კრიტიკული შენიშვნები ძალიან გაღიზიანებთ. როგორც წესი, სხვის მიერ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებასა თუ ვარაუდს ხელაღებით უარყოფთ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ის საკმაოდ გონივრული იყოს. დაშვებულ შეცდომას მეტისმეტად განიცდით, მაგრამ ამ შეცდომაში საკუთარი თავის გარდა ყველას ადანაშაულებთ. თუკი თქვენ ხელმძღვანელი ბრძანდებით, სავარაუდოა, რომ თანამშრომლების ნებისმიერ ინიციატივას ახშობთ. ერთი რამ გაითვალისწინეთ: ამგვარი მუშაობის სტილი კარგს არაფერს მოგიტანთ, ის აუცილებლად უნდა შეცვალოთ!

# ტიმ ბერტონმა ციყვებს მილიონი დოლარი დაახარჯა

ცნობილმა რეჟისორმა, პროდიუსერმა და სცენარისტმა ტიმ ბერტონმა, თავისი ახალი ფილმის – „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ გადაღებისას, ციყვების „სწავლა-განათლებაზე“ მილიონი დოლარი დახარჯა.

„ბეტმენისა“ და „მაიმუნების პლანეტის“ რეჟისორს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გაეცოცხლებინა სცენა როალდ დალის პოპულარული საბავშვო წიგნიდან. ფილმში მონაწი-

ლეობას იღებენ ჯონი დეპი, ფრედი ჰაიმორი, ანასოფია რობი, ჯულია უინტერი, ჰელენა ბონემ კარტერი, კრისტოფერ ლი, მისი პაილი, ლენს სმიტი, ნოა ტეილორი.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ტიმ ბერტონმა ციყვებისთვის 6-თვიანი სკოლა დააარსა, სადაც ისინი დაბადებისთანავე მიჰყავდათ და 6 თვის მანძილზე თხილის გარჩევასა და დახარისხებას ასწავლიდნენ. ამის შემდეგ რეჟისორი კიდევ 6 თვის მანძილზე იღებდა საჭირო სცენას ლონდონის ერთ-ერთ კინოსტუდიაში.

ამავე წიგნის მიხედვით, 1971 წელს გადაღებულ ფილმში ამგვარი სცენა არ იყო. ფილმში „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ – იმ ადგილას, სადაც პატარა ბიჭი ჩარლი ცხოვრობს, მთავარ ღირსშესანიშნაობად უზარმაზარი შოკოლადის ფაბრიკა ითვლება, სადაც ერთობ საიდუმლო ამბები ხდება. ტკბილეულის მწარმოებელი ფაბრიკა ექსცენტრიკულ ბიზნესმენს ბილი ვონკს ეკუთვნის. მის როლს ჯონი დეპი ასრულებს. ■

# ლიტველმა და-ძმამ ყინულის სახლში 63 საათი გაძლო

ლიტველმა ილუზიონისტმა და-ძმამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მათ 63 საათი, ყინულის ხორგში, წყლისა და საკვების გარეშე გაატარეს.

შოუ ლიტვის საკურორტო ქალაქ პალანგაში ჩატარდა. არაჩვეულებრივი სანახაობაზე დასასწრებად, ათასამდე მაყურებელი შეიკრიბა. ღონისძიების გმირებმა და-ძმა არვიდას და დიანა გაუჩიუნასებმა 63 საათი 1,4 მ სიგრძის, 1,2 სიგანის და 2 მ სიმაღლის ყინულის სახლში, -6-დან +5 ტემპერატურის ქვეშ დაყვეს.

წინა რეკორდი ამერიკელ დევიდ ბლეიერნს ეკუთვნოდა. 2000 წელს ბლეიერნმა ყინულის „ციხეში“ 61 საათი და 40 წუთი დაყო, მაგრამ მას სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა და ძლიერი მოყინვის შედეგად დაზიანებული კიდურების ამპუტაციას ძლივს გადაურჩა.

და-ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მთელი მათი იქ ყოფნის მანძილზე ექიმთა ბრიგადა ადევნებდა თვალყურს. ამასთან ერთად, მათ ტანზე მიმაგრებული ჰქონდათ ფიქსატორები, რომელიც მათი სხეულების ტემპერატურას, პულსს და სისხლში ჟანგბადის შემცველობას უჩვენებდა. ექიმების თქმით, რეკორდსმენების მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. ■

# 3 შვილის დედა ვეფხვის ბოკვრების ძიძაა

ცოტა ხნის წინ, მიანმის (ყოფილი ბირმის) ქალაქ იანგონის ზოოპარკში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: იქ, 16 წლის მანძილზე პირველად, ბენგალიური ვეფხვის სამი ბოკვერი დაიბადა. მაგრამ ძუ ვეფხვ ნაო-ნაოს დედობრივი ინსტინქტი რატომღაც არ აღმოაჩნდა და ერთი მათგანი დაგლიჯა. ზოოპარკის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, დანარჩენი ორი ბოკვერი მისთვის განერიდებინათ. ახალშობილები შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, ვეტერინარებს ძიძის ძებნა მოუხდათ. დახმარების სურვილი ზოოპარკის თანამშრომელმა 40 წლის ხლა ხტაიმ გამოთქვა, რომელიც 3 შვილის და მათ შორის, შვიდი თვის გოგონას დედაა. „ძალზე შემებრალნენ ბოკვრები და გადავწყვიტე, სანამ კბილები ამოუვათ, ძუძუ ვაწოვო“, – ამბობს ის. პატარა მტაცებლების რძე სავსებით ჰყოფნით, მით უფრო, რომ მათ დამატებასაც აძლევენ. დამთვალიერებლებს ბოკვრების ნახვა დაახლოებით ორი თვის შემდეგ შეეძლებათ.

ვეფხვი ნოა-ნოა, ახალშობილების მამა და კიდევ ორი ვეფხვი იანგონის ზოოპარკში 2001 წელს, ცხოველების გაცვლითი პროგრამით, ტაილანდიდან ჩაიყვანეს. ერთი წლის წინ კი, მიანმის ხელისუფლებამ, ვეფხვებისთვის, მსოფლიოში უდიდესი ნაკრძალი გააშენა. ■

# ფოტოკუთხეები

-55.
627/2

№8(94) 14.IV.-27.IV.2005

ოჯახის

# მეგობარი

ოჯახის ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

## ოჯახის

## მეგობარი

ოჯახის ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

თმა ჩვენი განწყობის განმსაზღვრელია

ნამლისმიერი ალერგია

ვიზიტი მამოლოგთან

საკვერცხეების პათოლოგიები

მთავარი თემა: დიაბეტიანთა ცხოვრების წესი

ყლუპლოვანი დაავადება

მეხსიერების საზრდო

გადავარჩინოთ ნერვები

## თქვენი ოჯ

## თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის